

საქართველოს სახალხო დამცველის

საანგარიშო
მოხსენება

საქართველოში
ადამიანის უფლებებისა
და თავისუფლების
დაცვის მდგომარეობის შესახებ

2006

წლის პირველი ნახევარი

თბილისი 2007

საქართველოს სახალხო დამცველის
2006 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენება
იბეჭდება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP)
და ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

1. შესავალი – სიტუაციის მოკლე მიმოხილვა	9
2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობა მართლმსაჯულების სფეროში	15
სასამართლო ხელისუფლება	15
პროკურატურა	32
ფინანსური პოლიცია	53
შინაგან საქმეთა სამინისტრო	56
პოლიციის მონიტორინგი	64
ადამიანის უფლებები ჯარში	66
3. მოხსენება სასჯელალსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ	69
ცვლილებები პატიმრობის შესახებ კანონში, პატიმართა უფლებები და სასჯელალსრულების დანესებულებებში არსებული მდგომარეობა	70
სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი პატიმრების პაემნები	72
პატიმრების პაემნები	73
დაცვის უფლება	80
ვიდეოკამერები შეხვედრის ოთახებში	82
პატიმრების კვება, ბანდეროლები და ამანათები	83
განათება, ვენტილაცია	86
პატიმართა ჰიგიენა	89
ტანსაცმელი და თეთრეული	91
დასაქმება, განათლება	92
საკუთრების უფლება სასჯელალსრულების დანესებულებებში	95
საპატიმროთა გადატვირთულობა	95
პატიმართა განთავსება	97
პატიმართა ბადრაგირება	98

პატიმრების ცემა-წამება	99
ამბოხი მე-5 საპყრობილეში	99
არეულობა ქუთაისის №2 საპყრობილეში	101
ჩხრეკა ბათუმის მე-3 საპყრობილეში	101
სამედიცინო მომსახურება სასჯელაღსრულების სისტემაში	106
4. სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება	175
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება	178
სიტუაცია ევროსასამართლოს განაჩენების აღსრულებასთან დაკავშირებით	178
აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები	178
ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინება	179
6. ადამიანის უფლებების დარღვევა არაკონტროლირებად ტერიტორიაზე	181
მდგომარეობა გალის ქართულ სკოლებში	188
დემოკრატიული ინსტიტუტები სამშვიდობო ზონაში	189
ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა ცხინვალის რეგიონში	189
პოლიტიკური დევნის ფაქტები	190
აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მომხდარი ადამიანის უფლებების ხელყოფის ფაქტების გამო პასუხისმგებელი სახელმწიფოს განსაზღვრა	191
7. დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ	194
8. ლტოლვილების უფლებების დაცვის შესახებ	210
9. შიშობები და მანიფესტაციები	215
10. მედიის მდგომარეობა საქართველოში	223
11. ზოგადი ინფორმაცია მედიის მდგომარეობის შესახებ	226
სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მასმედიასთან თანამშრომლობის ამაღლება	234
ჟურნალისტთა დაცვის გეგმის შემუშავება	240
12. მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების დაცვისა და ტოლერანტობის კუთხით	252
რელიგიის თავისუფლების დაცვა	252
გადაუჭრელი და პრობლემური საკითხები	255
ტოლერანტობა და ინტეგრაცია	256

დანართი №1	257
დანართი №2	260
13. ეროვნული უმცირესობების საბჭოს შესახებ	262
14. ბავშვთა უფლებები	266
ბავშვთა უფლებების ცენტრის შექმნა	267
მონიტორინგი	268
ქუჩის ბავშვები	272
განცხადებები	278
დენისტიტუციონალიზაციის პროგრამა	279
არასრულწლოვანი დამნაშავეები	280
15. გენდერული თანასწორობის საკითხები	284
16. ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში	290
17. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	295
დანართი	303
18. სოციალურ-ეკონომიკური უფლებები	306
ცხოვრების სათანადო დონის უფლება	307
საკუთრების უფლება	316
სამენარმეო საქმიანობის მნიშვნელობა და მენარმეობის თავისუფლება	324
შრომის უფლება	328
19. უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე	343
დემოგრაფიული განვითარების ძირითადი ტენდენციები	343
ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა აივ/შიდსით დაავადებულთა სამედიცინო მომსახურების და სოციალური დახმარების მონიტორინგი	348
ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობა	356
20. საჯარო ინფორმაციის თავისუფლება	379
ინფორმაციის თავისუფლების ცნება	379
საჯარო ინფორმაციის მიღების გაჭიანურების ფაქტები და სახალხო დამცველის რეაგირებანი	380
21. განათლების უფლება	384
22. ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში კაცინენტთა უფლებები და მათი მოთავსებისა და მკურნალობის პირობები	386



23. საკანონმდებლო წინადადებები	392
24. სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სარჩელები	404
25. სახალხო დამცველის ადმინისტრაციული პერსონალი	409
26. რეკომენდაციები	515

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი ითვალისწინებს სახალხო დამცველის მიერ პარლამენტისათვის წელიწადში ორჯერ ადამიანის უფლებათა სფეროში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენას. წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს 2006 წლის პირველი ნახევრის შესახებ მოხსენებას, რომელშიც გაანალიზებულია ქვეყანაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება და მოცემულია ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებათა რეკომენდაციები, მითითებულია იმ დარღვევებზე, რომელსაც ადგილი ქონდა ამ უკანასკნელ პერიოდში.

1995 წელს კონსტიტუციაში სახალხო დამცველის ინსტიტუტის ჩამოყალიბებით, შემდეგ კი 1996 წელს ორგანული კანონის „სახალხო დამცველის შესახებ“ მიღებით, საქართველოში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმი, რომელშიც გაერთიანებულია ევროპის ქვეყნების ომბუდსმენის ინსტიტუტების ტრადიციები და ძირითადი პრინციპები. 1996 წლიდან დღემდე სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში იქცა რეალურ ბერკეტად ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ამაზე მეტყველებს არა მარტო ამ ინსტიტუტის მიერ განხორციელებული მთელი რიგი ღონისძიებები, არამედ მოქალაქეთა მხრიდან ნდობის ამაღლება. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში.

სახალხო დამცველის აპარატში საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ მომზადდა სახალხო დამცველის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების მთელი პაკეტი. კანონში შესატანი ცვლილებები განპირობებულია ადამიანის უფლებათა სფეროში შექმნილი რეალური მდგომარეობით, ითვალისწინებს სახალხო დამცველის ფუნქციების დაკონკრეტებას და მიზნად ისახავს ამ ინსტიტუტის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას. ცვლილებების პროექტი პარლამენტში საგაზაფხულო სესიაზე იქნა გაგზავნილი.

სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენს პარლამენტში წარმოდგენილ საკანონმდებლო აქტებზე წანადადებისა და რეკომენდაციების მომზადება, რომელიც ცალკე თავშია განხილული.

სახალხო დამცველის აპარატი ყოველთვის ცდილობს, დროული რეაგირება მოახდინოს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებ-


შესავალი



ზე. ამის დასტურია მოქალაქეთა მხრიდან სახალხო დამცველის ინსტიტუტისადმი მაღალი შეფასების და ნდობის დამსახურება.


გაეროს განვითარების პროგრამის „დახმარება სახალხო დამცველის“ პროექტის ფარგლებში ბიზნეს კონსალტინგის ჯგუფმა (BCGG) ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, რომელიც გარკვეულ ნარმოდგენას გვიქმნის საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებაზე. გამოკითხული იქნა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან 3500 ადამიანი, 407 შერჩევის წერტილიდან, მათ შორის აღმსრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ჟურნალისტები. გამოკითხვით გამოვლინდა ის ძირითადი პრობლემები, რომელიც ყველაზე უფრო მეტად აწუხებს ჩვენს თანამემამულეებს. გამოკითხულთა უმრავლესობა მთავარ პრობლემას სოციალური საკითხების მოუგვარებლობაში ხედავს.

მე წაგიკითხავთ ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების ჩამონათვალს. მთხვოვთ, დახედოთ გარათს და თითოეული პრობლემა შეაფასოთ 11 ბალიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად უმნიშვნელოს“, ხოლო 11 „ძალიან მნიშვნელოვანს“



კითხვაზე, ვის მიმართავდით თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მოსახლეობის პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

ვის მიგართავთ თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში?





საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის საქმიანობის შესახებ ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, ჩვენ ვეცადეთ წარმოგვეჩინა ის ძირითადი ტენდენციები, რაც შეინიშნება საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და სახალხო დამცველის ინსტიტუტისადმი მოქალაქეთა დამოკიდებულებაში. ჩვენ ვეცადეთ განგვეჩინა სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რისთვისაც მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მონაცემები შევადარეთ როგორც გასული – 2005 წლის მონაცემებს, ასევე 2003 და 2004 წლებს. შედარებით ანალიზმა დაგვანახა გარკვეული ცვლილებები როგორც სტატისტიკაში, ასევე დინამიკაში და წარმოაჩინა ახალი ტენდენციები (დადებითი და უარყოფითი მხარეები), მათი გადაწყვეტის მიმართულებები და გზები, ასევე ახლო მომავლის პერსპექტივები.

აპარატის პრაქტიკული საქმიანობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კომპონენტს სახალხო დამცველის სახელზე შემოსულ განცხადებებზე რეაგირება წარმოადგენს. ეს მეტად რთული, მრავალმხრივი და ამასთან შრომატევადი სამუშაოა.


კერძოდ, სქემა №1-ზე სქემატურადაა ასახული სახალხო დამცველის აპარატში 2003-2006 წლებში შემოსული განცხადებების დინამიკა.



სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების რაოდენობა
(2003-2006 წლების დინამიკა)



გსმენიათ თუ არა სახალხო დამცველის აპარატის შესახებ?




სახალხო დამცველის აპარატის მუშაობით კმაყოფილი რესპონდენტების ძირითადი არგუმენტი ის იყო, რომ ომბუდსმენის მუშაობა ბოლო პერიოდში საგრძნობლად გააქტიურდა (63.6%). შედარებით კრიტიკულად განწყობილი რესპონდენტები კი ამბობენ, რომ აპარატს დამოუკიდებლობა აკლია, საქმეს იწყებს, მაგრამ ვერ ასრულებს. მათი აზრით, ეს ორგანო სუსტია, რადგან არ აქვს საქმის ბოლომდე მიყვანისთვის საჭირო ბერკეტები.

სქემა №3-ზე ნაჩვენებია 2006 წლის I ნახევარში შემოსული განცხადებების მიღება თვეების მიხედვით, საიდანაც ირკვევა, რომ შემოსულ 683 განცხადებიდან 116 ანუ 16,9% კოლექტიურია, ხოლო განცხადებათა მეტი ნაწილის 455 განცხადების ანუ 66,6% – ავტორად მამაკაცები არიან.


2003-2005 წლებში შემოსული განცხადებებია წარმოდგენილი. ისინი თემატიკის მიხედვით არიან განაწილებული, ამასთან ნათლად ჩანს, რომ ამ განცხადებათა მეტი ნაწილი მართლმსაჯულების სფეროში შემავალ, ასევე სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა საკითხებზე მოდის (2248 და 1872 განცხადება შესაბამისად) და მხოლოდ მცირე ნაწილი (54 განცხადება) თავისუფლებისა და თანასწორობის სფეროში შემავალ საკითხებს ეხება.

სხვადასხვა შინაარსის განცხადებების რაოდენობა წლების მიხედვით (2003-2005 წლებში)



წარმოდგენილ სქემაზე ასახულია იგივე მაჩვენებლები (შემოსულ განცხადებათა შინაარსი) 2006 წლის მიმდინარე თვეებში, რომელსაც წლის ბოლომდე შემოსული განცხადებების რაოდენობა ემატება.

სახალხო დამცველის აპარატიდან 2006 წლის I ნახევარში
გაზაპნული მიმართვის შედეგები



განსხვავებით სხვა წლებიდან, 2006 წლის I ნახევარში იმატა საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებულმა განცხადებებმა. მათი რაოდენობა 48 განცხადებას აღწევს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა და ამავდროულად განმტკიცდა სახალხო დამცველისა და მისი აპარატის საქმიანი კონტაქტები, ხელისუფლების სტრუქტურებთან, ასევე პარლამენტთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მასმედიის წარმომადგენლებთან და რაც მთავარია საზოგადოებასთან. რამაც თავის მხრივ გააფართოვა და ამავე დროს გააუმჯობესა აპარატის საქმიანობის მათი შინაარსი, ხარისხი და ეფექტურობა.

სახალხო დამცველის მიერ დაფიქსირებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა არა ერთი სერიოზული ხასიათის დარღვევა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების მხრიდან სხვადასხვა სფეროებში, რომლებმაც თავისი ასახვა ჰპოვა მოცემული მოხსენების შესაბამის თავებში. აღნიშნული მდგომარეობა მოითხოვს რადიკალურ შეცვლას, რისთვისაც კომპლექსური ხასიათის ღონისძიებების გატარებაა საჭირო. ამ მიზნით, აპარატის მიერ შემუშავებულია და განსახილველად წარმოდგენილია მთელი რიგი წინადადებები, სპეციალური დასკვნები და რეკომენდაციები.

მოქალაქეები ხშირად მომართავენ საქართველოს სახალხო დამცველს და მიუთითებენ სასამართლო გადაწყვეტილებების უკანონობაზე. როგორც ცნობილია, სახალხო დამცველს სასამართლო პროცესში ჩარევის უფლება არ აქვს და ამდენად, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, იგი ერიდება ყოველგვარ რეაგირებას სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხებზე, ზოგიერთი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც ომბუდსმენი სახალხო დამცველი ზედამხედველობს სასამართლოთა საქმიანობას. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

შვედეთში ომბუდსმენი უზრუნველყოფს სასამართლოების მიერ თავიანთ უფლებამოსილების განხორციელებისას ობიექტურობისა და ჭეშმარიტების დაცვას. რიკსდაგის ომბუდსმენი ან იუსტიციის კანცლერი აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს უმაღლესი სასამართლოს ან უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს წევრის წინააღმდეგ, მათი თანამდებობრივი მოვალეობების განხორციელებისას ჩადენილი დანაშაულისთვის, ლობირებს ზემოაღნიშნული პირების თანამდებობიდან გადაყენებას ან უფლებამოსილების შეწყვეტას და საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს, მოითხოვოს მათი სამედიცინო შემოწმება.

დანიიაში ომბუდსმენს უფლება აქვს, სასამართლოში მოწმედ გამოიძახოს მის მიერ წარმოებული გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი პირი.

პოლონეთში მოქალაქეთა უფლებების კომისარს (ომბუდსმენს) შეუძლია, გააკეთოს წარდგინება საქმეზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების დანების თაობაზე; აპელაციის წესით გაასაჩივროს ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებები და მონანიღობა მიიღოს ასეთ პროცესებში პროკურორის უფლებებით; სპეციალური დადგენილებებით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, იშუამდგომლოს სასჯელისათვის და თანამდებობრივ დანაშაულებთან დაკავშირებულ საქმეებზე ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმების თაობაზე, შეიტანოს განსაკუთრებული სააპელაციო საჩივარი სასამართლოს საბოლოო და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის წინააღმდეგ („ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარს შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი).

ფინეთის საპარლამენტო ომბუდსმენს უფლება აქვს, და-

უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობა მართლმსაჯულების სფეროში



აყენოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხი.

სასამართლოსთან დაკავშირებით ფართო კომპეტენციები აქვთ აზიის ომბუდსმენებსაც.

ავსტრალიაში, ინდოეთსა და ფიჯიში, მონღოლეთსა და ნეპალში ომბუდსმენებს უფლება აქვთ, სასამართლოში გამოიძახონ და დაკითხონ მონმეები; ჩაერიონ და მონაწილეობა მიიღონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილი არაა, მონაწილეობა მიიღოს და ჩაერიოს სასამართლო პროცესებში; გამოიძახოს პირი სასამართლოში მონმედ და გამოვიდეს ბრალმდებლის ფუნქციებით. მისი მაქსიმალური უფლება სასამართლოსთან დაკავშირებით მხოლოდ ის არის, რომ კანონდარღვევის შემთხვევაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გაუგზავნოს წინადადება მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის არცერთ წინადადებას მოსამართლის დისციპლინური წესით დასჯის თაობაზე ჯერ შედეგი არ მოყოლია, თუმცა მათი მხრიდან კანონის დარღვევას სავარაუდოდ ჰქონდა ადგილი. მარტო 2006 წლის პირველ ნახევარში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 13 წინადადება გაიგზავნა მოსამართლეთა მიერ კანონის დარღვევასთან დაკავშირებით, მათგან, 7 წინადადება არ გაიზიარეს, ხოლო 5 საქმეზე მიმდინარეობს წარმოება. აღსანიშნავია შემდეგი შემთხვევა:

რამიშვილი-კობრიძის საქმე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მოსამართლე ნანა ქიქილეიშვილის თავმჯდომარეობით განიხილა მსჯავრდებულების შალვა რამიშვილისა და დავით კობრიძის სისხლის სამართლის საქმე. სასამართლოზე პროკურორმა იშუამდგომლა ადვოკატების – გოჩა სვანიძისა და დავით კორკოტაშვილის აცილებაზე, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა. მოსამართლე დადგენილებაში მიუთითებს სსსკ-ის 107-ე მუხლის ე) პუნქტზე, სადაც ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხავ საფუძველს წარმოადგენს დასაცავი პირის უარი ადვოკატზე და უარი მიღებულია.

მართალია პირველის ინსტანციით საქმის განხილვისას განსასჯელებმა უარი თქვეს ადვოკატებზე, მაგრამ სააპელაციო სტადიაზე საქმის განხილვისას შ. რამიშვილისა და დ. კობრიძეს უარი არ უთქვამთ ადვოკატებზე, პირიქით ისინი მოითხოვდნენ პროცესზე მათი უფლებები დაეცვათ ადვოკატებს – გოჩა სვანიძესა და დავით კორკოტაშვილს. ამ უფლებას მათ აძლევდათ სსსკ-ის 78-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ განსასჯელს უფლება აქვს შეცვალოს თავისი პოზიცია და კვლავ მოიწვიოს დამცველი შეთანხმებით. ხოლო ასეთი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ დამცველის მოწვევა მიზნად არ ისახავს პროცესის გაჭიანურებას ან პროცესის სხვა მონაწილისათვის ხელის შეშლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიზღუდა განსასჯელების უფლება დაცვაზე, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით. (ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია).

სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა იუსტიციის საბჭოს მდივანს მოსამართლე ნ. ქიქილეიშვილის დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, რაზეც საბოლოო პასუხი არ მიგვიღია.



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გარანტირებულია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა ისჯება კანონით, როგორც ჩანს, ეს პრინციპი არც თუ იშვიათად ირღვევა და ხდება მოსამართლეებზე ზეწოლა. მოსამართლეები, არც თუ იშვიათად, საქმის მასალების ყოველგვარი შემონმების გარეშე აკმაყოფილებენ პროკურატურის შუამდგომლობებსა და საჩივრებს, რითაც უხეშად ლახავენ ბრალდებულთა თუ განსასჯელთა უფლებებს, მაშინ, როცა უფლებათა დაცვაზე კონტროლი მათი უშუალო ვალდებულებაა. მაგალითად:

გია თეთრაძის საქმე

გია თეთრაძის მიმართ თბილისის საოლქო სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, რომელიც შეიძლება გასაჩივრებელიყო მხარის მიერ 14 დღის ვადაში. ბოლნისის რაიონულმა პროკურორმა გ. კაპანაძემ საოლქო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა, მაშინ, როცა განაჩენი უკვე შესული იყო კანონიერ ძალაში.

საკასაციო საჩივარი გადაეგზავნა უზენაეს სასამართლოს, რომლის განჩინებით გაუქმდა გ. თეთრაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი და საქმე განსახილველად გაეგზავნა დმანისის რაიონულ სასამართლოს.

ვინაიდან თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენი შესული იყო კანონიერ ძალაში, საოლქო სასამართლო უფლებამოსილი არ იყო, მიეღო პროკურორის საკასაციო საჩივარი და გადაეგზავნა უზენაესი სასამართლოსათვის. ასევე, უზენაეს სასამართლოს არ უნდა განეხილა საკასაციო საჩივარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ემსჯელა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, საიდანაც გვეცნობეს, რომ საქმეზე დაიწყო წარმოება.

თ. შარაშენიძის საქმე

თ. შარაშენიძეს ბრალი ედებოდა დანაშაულში, რის გამოც 1994 წელს შეფარდებული ჰქონდა წინასწარი პატიმრობა. მან 9 თვე გაატარა პატიმრობაში. შემდგომ სს საქმე შეწყდა და თ. შარაშენიძე გათავისუფლდა წინასწარი პატიმრობიდან. 2005 წელს ამავე საქმეზე განახლდა საქმის წარმოება. პროკურატურამ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით, ა/ღონისძიების სახით, თ. შარაშენიძის პატიმრობის თაობაზე, რაც დააკმაყოფილა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, შემდგომ კი ეს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ.

ამდენად, თ. შარაშენიძეს იმ დანაშაულისათვის, რომლის გამოც 1994 წელს იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში 9 თვე, ხელახლა შეეფარდა წინასწარი პატიმრობა, რითაც დაირღვა სსს კოდექსის მოთხოვნა: ერთი და იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის პირის ბრალდებულის სახით პატიმრობა არ შეიძლება აღემატებოდეს 9 თვეს (ძვ. რედაქციით).

სახალხო დამცველმა მიმართა იუსტიციის საბჭოს, ემსჯელა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, საიდანაც გვეცნობა, რომ საქმის წარმოება დაწყებულია.



სანდრო გირგვლიანის საქმე

აღწერილობითი ნაწილი

2006 წლის 28 იანვარს, ოქროყანის სასაფლაოსთან, ტყეში, მოქალაქე სანდრო გირგვლიანის გვამი იპოვეს. მისი დაკარგვის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს ს. გირგვლიანის მეგობარმა, ლევან ბუხაიძემ შეატყობინა, რომელიც 27 იანვარს საღამოს მასთან ერთად იმყოფებოდა.

2006 წლის 28 იანვარს, ღამის პირველის ნახევარზე, ლევან ბუხაიძე და სანდრო გირგვლიანი ბარ „კაიზერთან“ მეგობრებს დაშორდნენ და ტაქსით „შარდენ ბარისაკენ“ გაემართნენ. ბარში დაახლოებით ნახევარი საათი დაჰყვეს, გარეთ გამოვიდნენ და ფეხით გაუყვნენ ლესელიძის ქუჩას. „შარდენ ბარში“ სანდრო გირგვლიანს დაძაბული საუბარი ჰქონდა მეგობარ გოგონასთან, თათია მაისურაძესთან, რომელიც მას ბარში სხვა თანმხლებ პირებთან ერთად დახვდა და სასაუბროდ გადაჯდა გირგვლიანისა და ბუხაიძის მაგიდასთან. როგორც მოგვიანებით გაიკვია, თათია მაისურაძესთან ერთად შსს მაღალი თანამდებობის პირები იმყოფებოდნენ, მათ შორის: შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გურამ დონაძე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დათა ახალაია, შსს გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე და შსს თანამშრომელი ოლეგ მელნიკოვი.

ბარიდან გამოსვლის შემდეგ, ს. გირგვლიანსა და ლ. ბუხაიძეს ლესელიძის ქუჩაზე „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა მიუახლოვდა, რომლიდანაც უცნობი პირები გადმოვიდნენ, წარუდგნენ როგორც პოლიციის თანამშრომლები, ჩამოართვეს მობილური ტელეფონები და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მოგვიანებით, დაზარალებულმა ლევან ბუხაიძემ გაარკვია, რომ ისინი ოქროყანაში იმყოფებოდნენ. ოქროყანის სასაფლაოზე ს. გირგვლიანი და ლ. ბუხაიძე გადმოყარეს მანქანიდან, გააშიშვლეს, სასტიკად სცემეს და თან სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. როგორც ლევან ბუხაიძე იხსენებს, ცემის დროს სანდრო გირგვლიანი გაექცა გამტაცებლებს და გაურკვეველი მიმართულებით მიიმალა, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ გამტაცებლებმა ბუხაიძის ცემა-საც თავი დაანებეს და იგი ტყეში დატოვეს. ლ. ბუხაიძემ ს. გირგვლიანი ვეღარ იპოვა. ასევე ვერ იპოვა საკუთარი ტანსაცმელიც, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, გამტაცებლებს თან წაეღოთ. მოგვიანებით ლევან ბუხაიძემ ავტოგასამართ სადგურს შეაფარა თავი, ხოლო დილით ამ ფაქტის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს აცნობა. 28 იანვარს მეგობრებმა იპოვეს სანდრო გირგვლიანის გვამი, რომელსაც მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა და ნახევრადშიველ მდგომარეობაში იყო. გამოძიებამ ლევან ბუხაიძე ჯერ დაზარალებულის სახით დაიბარა ქალაქის პოლიციის სამმართველოში, იგი ეჭვმიტანილად ცნეს, თუმცა დღის ბოლოს ისევე დაზარალებულად აღიარეს და გაუშვეს.

მოგვიანებით, ტელეკომპანია „იმედის“ მიერ მომზადებული ჟურნალისტური გამოძიების ეთერში გასვლის შემდეგ, საზოგადოების ერთმა ნაწილმა და სანდრო გირგვლიანის ახლობლებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ ამ მკვლელობაში შსს მაღალჩინოსნები, კერძოდ შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გურამ დონაძე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დათა ახალაია, მისი მოადგილე ოლეგ მელნიკოვი და შსს გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე მონაწილეობდნენ, ამიტომ უნდობლობას უცხადებდნენ ამ უწყების მიერ ჩატარებულ გამოძიებას და ითხოვდნენ, რომ გამოძიება საქართველოს გენერალურ პროკურატურას ეწარმოებინა.

გამოძიებამ კი აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის 2006 წლის 6 მარტს ეჭვმიტანილად დააკავა შემდეგი პირები:

გერონტი ზაურის ძე ალანია – შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი;

ავთანდილ დავითის ძე აფციაური – შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ოფიცერი;

მიხეილ ჯემალის ძე ბიბილურიძე – შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ოფიცერი;

ალექსანდრე ომარის ძე ლაჭავაძე – შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ოფიცერი;

დაკავებულმა პირებმა აღიარეს, რომ „შარდენ-ბარის“ გასასვლელში მათ ჩხუბი მოუვიდათ დაზარალებულებთან, თუმცა თავი დამნაშავედ მხოლოდ გ.ალანიამ ცნო, თანაც მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამატება). აღნიშნული დანაშაული მას ბრალად ჰქონდა შერაცხული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაყადაღებული ავტომობილით უკანონოდ სარგებლობისათვის.

მიუხედავად დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმტანილად ცნობილი პირების დაკავებისა, საზოგადოების ყურადღება ამ საქმის მიმართ უფრო გაიზარდა. საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ მკვლელობის მოტივი სანდრო გირგვლიანსა და შარდენ ბარში მყოფ შსს მაღალი თანამდებობის პირებს შორის მომხდარი შელაპარაკება ან თათბირის მისურადისა და სანდრო გირგვლიანის „დაძაბული“ საუბარი იყო.

აღნიშნულ საქმეზე წინასწარი გამოძიება 21 ივნისს დამთავრდა და საქმე სასამართლოში გადაიგზავნა. გ. ალანია, ა. აფციაური, მ. ბიბილურიძე და ა. ლაჭავაძე განსასჯელები იყვნენ სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

2006 წლის 27 ივნისს დაიწყო „გირგვლიანის საქმის“ სასამართლო განხილვა, რომელიც ქართული მართლმსაჯულებაში პრეცედენტი იყო იმით, რომ სირთულისა და მნიშვნელობის მიუხედავად, უმოკლეს ვადაში – 2006 წლის 6 ივლისს დასრულდა. სულ გაიმართა 6 სასამართლო სხდომა. საქმის განხილვა 9 კალენდარულ დღეში დამთავრდა. სასამართლომ განსასჯელები წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო. გ. ალანიას მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, დანარჩენებს – 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სანდრო გირგვლიანის საქმემ წინასწარი გამოძიების დაწყებისთანავე საზოგადოების უდიდესი ინტერესი გამოიწვია. შსს სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობა საქმეს განსაკუთრებულ ინტერესს სძენდა.

დაზარალებულების ადვოკატები ხშირად ჩიოდნენ, რომ მათ ხელი ეშლებოდათ საქმის მასალების გაცნობაში. აღნიშნული პრეტენზიები ბევრ შემთხვევაში სამართლიანი იყო. ტენდენციურობა უფრო თვალსაჩინო გახდა სასამართლო გამოძიებისას, რომელიც საჯარო იყო. სასამართლო სხდომაზე დაზარალებულის უფლებამონაცვლისა და ადვოკატების მიერ დაყენებული შუამდგომლობების დიდი ნაწილი არ დაკმაყოფილდა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია:

- სასამართლოში საქმის განხილვის დროს ბრალდებულების ბადრაგირებას ახდენდნენ ნიღბიანი პირები. ამავდროულად, სასამართლო სხდომების დროს ისინი ეფარებოდნენ განსასჯელებს, რათა მათი სახე არ მოხვედრილიყო ვიდეო ან ფოტო ობიექტივში. ასევე შეუძლებელი იყო მათი დანახვა სხდომის დარბაზში მყოფი პირებისთვისაც. დარბაზში არ ისმოდა მათი ხმა.



- 2006 წლის 27 ივნისს, პირველივე სასამართლო სხდომაზე დაზარალებულის უფლებამონაცვლის ადვოკატმა შ.შავგულიძემ დააყენა შუამდგომლობა საქმის განხილვის მინიმუმ 3 დღით გადადების მოთხოვნით. აღნიშნული შუამდგომლობა მან შემდეგი გარემოებებით დაასაბუთა:

ბრალდებულებს და მათი ინტერესების დამცველ ადვოკატებს საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა ჰქონდათ მთელი 5 თვის განმავლობაში, ანუ საქმის წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის დროს, ხოლო დაზარალებულ მხარეს საქმის მასალები წინასწარი გამოძიების დასრულების შემდეგ გადაეცა. წინასწარი გამოძიების დასრულებიდან გასული იყო მხოლოდ 5 დღე, რაც დაზარალებული მხარისათვის არ იყო საკმარისი, რომ 4 ტომიან საქმეს სრულყოფილად გაცნობოდა. მის შუამდგომლობას მხარი დაუჭირა დაზარალებულის – ლევან ბუხაიძის ადვოკატმა. შუამდგომლობას მხარი არ დაუჭირეს განსასჯელების ადვოკატებმა და პროკურორმა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15, 439-ე, 437-ე მუხლების თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით. თუმცა, სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რამდენადაც დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინტერესებს წინასწარ გამოძიებაში იგივე ადვოკატები ახორციელებდნენ და მიიჩნია, რომ მათ საკმარისი დრო ჰქონდათ საქმის გასაცნობად. თუმცა, იმავე დადგენილებაში აღნიშნა, რომ სხდომებს შორის პერიოდში მათ ექნებათ შესაძლებლობა, უკეთ გაცნობოდნენ საქმეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 69-ე მუხლის შესაბამისად დაზარალებულს ან მის უფლებამონაცვლეს, ხოლო 84-ე მუხლის შესაბამისად, დამცველს სისხლის სამართლის საქმის სრულად გაცნობის უფლება აქვს საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ. კონკრეტულ სიტუაციაში, საქმე სასამართლოს გადაეგზავნა 21 ივნისს. საქმე შედგებოდა 4 ტომისაგან და ბუნებრივია, 4 ტომიანი საქმის სრულყოფილად გასაცნობად 5 დღე არ იყო საკმარისი. ასე რომ მოსამართლის მსჯელობა იმის შესახებ, რომ დაზარალებულებს იგივე ადვოკატები იცავდნენ, რომლებიც მათ ინტერესებს წარმოადგენდნენ წინასწარი გამოძიებისას და მათ ჰქონდათ საშუალება საქმეს წინასწარ გამოძიებაში გაცნობოდნენ, მცდარია. მოსამართლე თავადვე დასძენს, რომ მათ საქმის უკეთ გასაცნობად მიეცემათ დრო სხდომებს შორის. ის ამით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დაზარალებული მხარე საქმეს შესაძლოა მართლაც არ იცნობდა, თუმცა, მისი აზრით, რომ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ საქმის განხილვა ძალიან მცირე ვადაში დასრულდა და სასამართლო სხდომებს შორის თითო დღე იყო თავისუფალი. ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი პირდაპირ აკისრებს ვალდებულებას სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში სასამართლოს), რომ პირს რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში, მინიმუმ უნდა ჰქონდეს ადეკვატური დრო და საშუალებები საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. მივიჩნევთ, რომ აღნიშნული უფლებებით სარგებლობა ასევე შეუძლია დაზარალებულ მხარესაც, რომელსაც ამ კონკრეტული ფაქტის გამოძიებისას საგამოძიებო ორგანოებთან გაცილებით მეტი პრობლემა ჰქონდა, ვიდრე განსასჯელებს.

აღნიშნულ შუამდგომლობაზე უარის შემდეგ შ. შავგულიძემ განაცხადა: „ვინაიდან სასამართლო გადანყევტილებით უარს გვეთქვა დამატებით სამდღიანი ვადის მიღებაზე, რათა სრულყოფილად შეგვესწავლა საქმის მასალები, დღევანდელ სასამართლო პროცესზე საქართველოს სსსკ-ის 468-ე მუხლის შესაბამისად, მოკლებული ვართ შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას. ეს შუამდგომლობა შეეხება დამატებით მტკიცებულებათა გამოთხოვას. აღნიშნულიდან გამომდინარე – შემდგომ ეტაპზე იქნება დაყენებული ანალოგიური შუამდგომლობები.“

- 3 ივლისს სასამართლო სხდომაზე დაზარალებულის უფლებამონაცვლის ადვოკატმა, შ. შავგულიძემ დააყენა შუამდგომლობა, არ გამოქვეყნებულიყო მონმე ა. მიქაუტაძის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენება, რადგან მონმე ა. მიქაუტაძე, რომელიც ამ დროს არ იმყოფ-

ფებოდა ქალაქში და ორ დღეში უნდა დაბრუნებულიყო, მზად იყო სასამართლოსთვის ჩვენება მიეცა, რაც მან შ. შავგულიძესთან საუბრისას დაადასტურა. მისი დაკითხვის აუცილებლობა ადვოკატ შალვა შავგულიძის განცხადებით განპირობებული იყო ა. მიქაუტაძესა და გ. გობეჯიშვილის ჩვენებებს შორის არსებული სხვაობით. შუამდგომლობას მხარი დაუჭირა დაზარალებულ ლევან ბუხაიძის ადვოკატმა, ხოლო მხარი არ დაუჭირეს პროკურორმა და განსასჯელების ადვოკატებმა. სასამართლოს მიერ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. ამ შემთხვევაშიც დაზარალებულის დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა მიზნად ისახავდა საქმის შესწავლას სრულყოფილად და საეჭვო და დასაზუსტებელი დეტალების ბოლომდე გამოკვლევას. მოსამართლემ კი მოწმის დაკითხვის ორი დღით გადადება არ ჩათვალა მიზანშეწონილად და მიიჩნია, რომ საქმის დაჩქარებულად დასრულება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სასამართლო გამოძიების სრულყოფილად ჩატარება.

- სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა შ. შავგულიძემ დააყენა შუამდგომლობა, გამოექვეყნებინათ დაზარალებულ ლევან ბუხაიძის ჩვენების ადგილზე შემონმების 9 მარტის ვიდეო-ჩანაწერი; მოწმე ელიაშვილის ჩვენების ადგილზე შემონმების 11 მარტის ვიდეო-ჩანაწერი; მოწმე გობეჯიშვილის 22 მარტის ჩვენება; ამოცნობის ამსახველი ვიდეო მასალები, კერძოდ: 6 მარტის – აფციაურის, ბიბილურიძის და ლაჭავას ამოცნობა, 8 მარტს – მელნიკოვის ამოცნობა, 6 მარტისა და 10 მარტის დაზარალებულ ლევან ბუხაიძის დამატებითი დაკითხვის ოქმები; თბილისი – კოჯრის გზატკეცილის პატარკაციშვილის სახლთან 2006 წლის 28 იანვარს გადაღებული CD დისკი, მოწმე თათია მაისურაძის დაკითხვის 13 მარტის ვიდეომასალა; სანდრო გირგვლიანის გადაადგილების ამსახველი რუკა.

პროკურორი შუამდგომლობას არ დაეთანხმა, რადგანაც მათი გამოქვეყნების მოტივი ვერ დაინახა, ასევე განსასჯელები და მათი ადვოკატი არ დაეთანხმნენ ამ შუამდგომლობას.

პროკურორის მიერ პოზიციის დაფიქსირების შემდეგ სასამართლოს კვლავ შალვა შავგულიძემ მიმართა და დასახელა მოტივი, რის გამოც სურდა გამოქვეყნებულიყო ვიდეო მასალები, კერძოდ, მისი ინფორმაციით, ერთ-ერთი მოწმე დაკითხვის დროს ტელეფონით იღებდა დირექტივებს, რაც დაფიქსირებული უნდა იყოს ვიდეოფირზე. ასევე დასძინა, რომ გაუგებარია რა აზრი ჰქონდა ჩვენებების ვიდეოგადაღებას, თუ მათ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით არ გამოაქვეყნებდნენ.

სასამართლომ მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ოქმის სახით გამოაქვეყნა როგორც მოწმე ელიაშვილის ჩვენების ადგილზე შემონმება, ასევე 2006 წლის 27 იანვრის გადაღებული ვიდეომასალა.

აღნიშნული შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობას კანონის პირდაპირ დარღვევად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ ცხადია, რომ როდესაც ერთ-ერთ მხარეს ეჭვი უჩნდება საგამოძიებო ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედების საპროცესო კანონთან შესაბამისობის შესახებ, არსებობს მისი გადამონმების საშუალება და ის ასახულია საქმეზე თანდართულ მტკიცებულებაში, მის გამოქვეყნებაზე უარი მოსამართლის მხრიდან დარღვევის შეგნებულად დაფარვას ან საქმის რაც შეიძლება დაჩქარებულ ვადებში განხილვის სურვილზე მიუთითებს და მეორეხარისხოვნად მიიჩნევა სასამართლო გამოძიების სრულყოფილებას.

- ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის შემდეგ, დაზარალებულის უფლებამონაცვლის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ კიდევ ერთი შუამდგომლობა დააყენა. მისი განცხადებით, რადგანაც სასამართლომ უარი განაცხადა იმ მტკიცებულებების გამოქვეყნებაზე, რომელზეც, მისი ინფორმაციით, ასახული იყო საპროცესო სამართალდარღვევები, ასევე ის გზა, რომელიც ს. გირგვლიანმა გაიარა, ამ მტკიცებულების გამოქვეყნების გარეშე აშკარაა, რომ მოცემული სასამართლო სხდომა ვერ ჩაითვლება ობიექტურად. შესაბამისად მიიჩნია, რომ მათი მოთხოვნის



დაუკმაყოფილებლობით აშკარად ჩანს სასამართლოს მიკერძოებულობა, მოსამართლე იყო არა-ობიექტური და ტენდენციური და მოითხოვა მოსამართლის აცილება. შუამდგომლობას დაეთანხმნენ ადვოკატები მ. რამიშვილი და ლ. ავალიანი. ასევე შუამდგომლობას მხარი დაუჭირეს დაზარალებულის უფლებამონაცვლემ ი. ენუქიძემ და დაზარალებულმა ლ. ბუხაიძემ.

პროკურორი მ. მოსულიშვილი მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უსაფუძვლოა. მას ისევ დაეთანხმნენ განსასჯელების ადვოკატებიც.

სასამართლომ ადგილზე თათბირით უარი თქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, იმ მოტივით, რომ შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობა არ შეიძლება გახდეს მოსამართლის აცილების საფუძველი.

■ ადვოკატ შალვა შავგულიძის მიერ სასამართლო სხდომაზე დაყენებული იქნა ახალი შუამდგომლობა, რომლითაც პროკურორების, მანანა მოსულიშვილისა და შოთა გენგაშვილის აცილებას ითხოვდა. აცილების საფუძველად ადვოკატი მიუთითებდა საქმეზე პროკურატურის მიერ თანდართული მტკიცებულებების (ვიდეო მასალების) გამოქვეყნების შესახებ შუამდგომლობისას პროკურორების მიერ გამოხატულ პოზიციას, კერძოდ იმას, რომ პროკურორებმა მხარი არ დაუჭირეს შუამდგომლობას. ადვოკატის განცხადებით, ის რომ თბილისის პროკურატურამ საქმეს თან დაურთო ვიდეო მასალები, იმით იყო განპირობებული, რომ მათ საქმისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდათ. შესაბამისად რადგან პროკურორების მიერ არ იქნა რა მხარდაჭერილი შუამდგომლობა, ადვოკატის აზრით მათ შეზღუდეს დაცვის განხორციელების შესაძლებლობა.

პროკურორებმა და განსასჯელების ადვოკატებმა ისევ არ დაუჭირეს შუამდგომლობას მხარი და მიიჩნიეს, რომ ის უსაფუძვლოა.

სასამართლომ ადვოკატ შ.შავგულიძის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

■ ადვოკატმა ლ. ავალიანმა სასამართლოს წერილობით წარუდგინა შუამდგომლობა, კავშირგაბმულობის კომპანიებიდან (მაგთიდან და ჯეოსელიდან) გამოეთხოვათ სხვა განსასჯელებისა და სუფრის სხვა წევრების სატელეფონო საუბრების ამონაწერები ანძების მითითებით (საქმეში იდო მხოლოდ გ. ალანიას, დ. ახალაიას და გ. დონაძის ტელეფონების ამონაწერი). ასევე გაეშვიფრათ ის ნომრები, რომლებიც ხშირად ფიგურირებენ საქმეში. მის შუამდგომლობას მხარი დაუჭირეს ადვოკატმა შ.შავგულიძემ, დაზარალებულმა ლევან ბუხაიძემ და ირინა ენუქიძემ. პროკურორებმა მხარი არ დაუჭირეს შუამდგომლობას იმ მოტივით, რომ იმ პირების ბრალეულობა, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემულნი, დასტურდება მტკიცებულებათა ერთობლიობით. რაც შეეხება მაგიდასთან მსხდომ სხვა პირებს, გამოძიებას მათ ჩვენებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ აქვს. შესაბამისად შუამდგომლობის დაკმაყოფილების საჭიროებას ვერ ხედავენ. განსასჯელები და მათი ადვოკატები ამჯერადაც პროკურატურის მხარეს აღმოჩნდნენ და შუამდგომლობას მხარი არ დაუჭირეს. სასამართლომ ადვოკატ ლ. ავალიანს დადგენილებით უარი უთხრა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, იმ მოტივით, რომ საქმეში მოთავსებული ზარების ნუსხა ამომწურავად იძლევა საჭირო ინფორმაციას.

აღნიშნულზე შეიძლება ითქვას, რომ ეჭვს ბადებს თავად გამოძიების მწარმოებელი ორგანოს მოქმედება, როდესაც მან მხოლოდ ბრალდებულ გია ალანიას მობილურ ტელეფონზე განხორციელებული ზარების ნუსხა და ანძების რუკა ამოიღო და იგივე საგამოძიებო მოქმედება არ ჩაატარა სხვა ბრალდებულების მიმართ, ისევე, როგორც სუფრაზე მსხდომთაგან მხოლოდ გურამ დონაძისა და დათა ახალაიას ტელეფონებიდან განხორციელებული საუბრების ნუსხა არის ამოღებული. ამ შემთხვევაში სასამართლოს შეეძლო დაეკმაყოფილებინა ადვოკატის შუამდგომლობა, თუმცა ამის ვალდებულება არ გააჩნდა. ამ საკითხის გადაწყვეტა მოსამართლის შეფა-

სების საგანია, თუმცა ამ შემთხვევაში აღნიშნული შეფასება შეიძლება კრიტიკის ობიექტი გახდეს.

- აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის შემდეგ ადვოკატმა შ. შავგულიძემ კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი მოსამართლის აცილების შესახებ, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა.
- დაზარალებულის ადვოკატმა ლ. ავალიანმა იშუამდგომლა სასამართლოსთან და წარმოადგინა დაზარალებულ ლ. ბუხაიძის ავადმყოფობის ისტორიის ბეჭდით დამონმებული ასლი, რათა დართული ყოფილიყო საქმეზე. ისტორია შეეხებოდა დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას 2006 წლის 1 თებერვლიდან 2 მარტამდე. აღნიშნული ისტორიის მიხედვით, დაზარალებულს ჰქონდა ქალა ტვინის დაზარალებული ტრამვა და თავის ტვინის შერყევა. ასევე ადვოკატმა მოითხოვა, სასამართლოს დაენიშნა დამატებითი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, რათა განსაზღვრულიყო ლ. ბუხაიძისადმი მიყენებული დაზიანების ხარისხი.

პროკურორმა მ. მოსულიშვილმა მიიჩნია, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგანაც საქმეში იდო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც 2006 წლის 31 იანვრით არის დათარიღებული და რომლითაც ბუხაიძის სხეულზე არსებული დაზიანებები ექსპერტიზამ მსუბუქი ხარისხის დაზიანებებს მიაკუთვნა. მისივე განცხადებით, არც დაზარალებულს და არც მის დამცველს ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ ექსპერტიზის დასკვნა. მათ შეეძლოთ შუამდგომლობა დამატებითი ექსპერტიზის ჩატარებაზე დაეყენებინათ წინასწარი გამოძიების დროს ან ჩაეტარებინათ ალტერნატიული ექსპერტიზა, რაც არ გააკეთეს. აქედან გამომდინარე პროკურორმა მხარი არ დაუჭირა შუამდგომლობას.

განსასჯელების ადვოკატის განცხადებით, ექსპერტიზის დანიშვნის მოთხოვნა მიზნად ისახავდა საქმის განხილვის გაჭიანურებას და ისინი ისევე პროკურორის პოზიციას დაეთანხმნენ. განსასჯელებიც დაეთანხმნენ თავიანთ ადვოკატებს.

სასამართლომ ადგილზე თათბირით უარი თქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ დაზარალებულს შეეძლო თავად დაენიშნა ალტერნატიული ექსპერტიზა და დასკვნა სასამართლოზე წარედგინა, ასევე ლ.ბუხაიძე წინასწარი გამოძიების დროს მონაწილეობას იღებდა და სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებში.

მართალია, დაზარალებულს ჰქონდა უფლება თავად დაენიშნა ალტერნატიული ექსპერტიზა, მაგრამ მის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა არ შეიძლება გამხდარიყო სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის საფუძველი.

- ლევან ბუხაიძემ მოითხოვა სასამართლოს კვლავ დაეკითხა, რადგანაც დამატებით ჩვენების მიცემა სურდა. მან სასამართლო სხდომაზე აჩვენა, რომ განსასჯელ მ. ბიბილურიძეს მონაწილეობა არ მიუღია დანაშაულის ჩადენაში და მას დანამდვილებით შეუძლია თქვას, რომ ის ოლეგ მელნიკოვის ნაცვლად არის დაკავებული. მან აღნიშნა, რომ ოლეგ მელნიკოვი იყო ის პირი, რომელიც ყველაზე მეტი აგრესიულობით გამოირჩეოდა მის მიმართ. აღნიშნული ჩვენების მიცემისას გარკვეული გაურკვეველობა წარმოიქმნა სხდომის დარბაზში. დაპატიმრებულებს მიუახლოვდა ორი უცხო პირი, რომელთაგან ერთერთს პროკურატურის სამსახურებრივი მონაწილეობა ეკიდა ყელზე. ერთ-ერთი მათგანი მობილურით საუბრობდა და დაპატიმრებულებს ინფორმაციას აწვდიდა, ხოლო მათგან მიღებულ ინფორმაციას ტელეფონით გადასცემდა. აღნიშნული პირის მოქმედებამ დარბაზში მსხდომთა ყურადღება მიიპყრო. მაშინ, როდესაც დარბაზში მსხდომთ საშუალება არ ეძლეოდათ ვიზუალურად დაენახათ დაპატიმრებულები, ამ პირებს არა მხოლოდ მათთან საუბრის საშუალება მიეცათ, არამედ მათთვის ტელეფონით მიღებული ინფორმაციის გადაცემისაც კი. როდესაც სასამართლო დარბაზში მყოფი პირების მცირედი წამოძახილი ან



ხმაური მოსამართლისგან სსს კოდექსის 208-ე მუხლის ავტომატურ გამოყენებას იწვევდა, ამ შემთხვევაში მოსამართლეს არანაირი რეაქცია არ ჰქონია. აღნიშნული ფაქტის შესახებ მოსამართლეს დარბაზში მყოფმა თინათინ ხიდაშელმა მიუთითა, რაზეც მოსამართლემ განაცხადა, რომ ის ვერაფერს ხედავდა და ნაცვლად იმისა, რომ სიტუაციაში გარკვეულიყო და კანონდარღვევა აღეკვეთა, თინათინ ხიდაშელი 100 ლარით დააჯარიმა.

ლევან ბუხაიძის ჩვენების შემდეგ სასამართლო სხდომაზე კიდევ ერთხელ, ოღონდ ახალი საფუძვლით, იქნა დაყენებული შუამდგომლობა ადვოკატ შალვა შავგულიძის მიერ სატელეფონო ზარების ამონაწერების გამოთხოვის შესახებ, რაც სასამართლომ კვლავ არ დააკმაყოფილა და მოტივად მიუთითა, რომ ამ შუამდგომლობაზე სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა, ხოლო ლევან ბუხაიძის ჩვენება არ მიიჩნია ახალ არსებით გარემოებად. არადა, ლევან ბუხაიძემ თავისი ახალი ჩვენებით, უარყო რა ერთ-ერთი განსასჯელის დანაშაულში მონაწილეობა, სასამართლოს, ბუნებრივია, საქმის სრულად შესწავლისათვის და მტკიცებულებების სრულად თავმოყრისათვის, როგორც მინიმუმი, მ.ბიბილურიძის მობილურზე განხორციელებული ზარებისა და გადაადგილების ანძების ნუსხა უნდა გამოეთხოვა. ამ შემთხვევაშიც მოსამართლე შინაგანი რწმენით აფასებს მტკიცებულებების შეგროვების საკითხს. ასე რომ მისი მოქმედება პირდაპირ კანონსაწინააღმდეგოდ არ შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა როგორც წინა შემთხვევაში, მას შეეძლო სხვა, უფრო სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაც.

■ ხაზგასასმელია კიდევ ერთი გარემოება. იმ დროისათვის მოქმედი ნორმით, იკრძალებოდა ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულების ერთ საკანში მოთავსება, თუმცა ოთხივე დაკავებული ერთ საკანში იყო მოთავსებული, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა კი ამტკიცებდა, რომ ამით კანონს არ არღვევდა.

სახალხო დამცველის აპარატი სისტემატურად ადევნებდა თვალყურს წინასწარ გამოძიებასა და საქმის სასამართლო განხილვას. საქართველოს კანონმდებლობით ჩვენ წინასწარ ან სასამართლო გამოძიებაში ჩარევის უფლება არ გვაქვს, თუმცა შესაძლებელია მათი მიმდინარეობის კანონიერებასა და სამართლიანობაზე ჩვენი შეფასება გავაკეთოთ.

მიგვაჩნია, რომ მსჯავრდებულების – გ. ალანიას, ა. აფციაურის, ა. ლაჭავასა და მ. ბიბილურიძის მიმართ სხვა მუხლებთან ერთად წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა (წამება) მუხლითაც უნდა დაწყებულიყო. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ქმედება აბსოლუტურად იდენტურია მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა. კერძოდ, წამების დეფინიციას სისხლის სამართლის კოდექსი შემდეგნაირად გვაძლევს:

წამება, ესე იგი პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოთ ჩადენილი ქმედებისათვის.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე გვქონდა: პირისადმი ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით იწვევდა ძლიერ ფიზიკურ ტკივილსა და ფსიქიკურ ტანჯვას და რომლის მიზანი იყო პირის დაშინება და დასჯა მისი (სანდრო გირგვლიანის შემთხვევაში) ან მესამე პირის (ლევან ბუხაიძის შემთხვევაში) მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქმედება ჩადენილი იყო მოხელის (მსჯავრდებულები იყვნენ შსს თანამშრომლები) მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მ.ბიბილურიძეს თან ჰქონდა იარაღი და თუ საჭირო იქნებოდა, მზად იყვნენ „დაეკავებინათ“ ფაქტობრივად თავისუფლებაღკვეთილები), ორი პირის მიმართ და ჯგუფურად. შესაბამისად მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით უნდა დაკვალიფიცირებულიყო.

სამწუხაროდ, საგამოძიებო ორგანომ გამოძიება ამ მიმართულებით არ წაიყვანა და მათ ბრალი წაეყენათ სხვა, შედარებით მსუბუქ დანაშაულთა ჩადენაში, ხოლო მოგვიანებით ცნობილ იქნენ დამნაშავედ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად სისხლის სამართლის პროცესი (მათ შორის სასამართლო პროცესიც) მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე.

მხარეებს სრული თანასწორობის საფუძველზე უფლება აქვთ, წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვან საკუთარი აზრი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე.

შეჯიბრებითობა წინასწარ გამოძიებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმით, რომ: ბრალდების ფუნქცია ეკისრება პროკურორს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და მის წარმომადგენლებს; დაცვის უფლება აქვთ ბრალდებულს, დამცველს, სამოქალაქო მოპასუხესა და მის წარმომადგენლებს.

გირგვლიანის საქმის განხილვისას პროკურატურა და დაცვის მხარე ერთად ცდილობდნენ მათთვის სასურველი შედეგის მიღწევას. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ყველა საქმისათვის არსებით შუამდგომლობაზე, რომელიც სასამართლო პროცესზე იქნა დაყენებული, პროკურატურა და დაცვის მხარე ერთ პოზიციას გამოხატავდა. რეალურად, სასამართლო პროცესზე ბრალდების ფუნქციის განხორციელება დაზარალებულს, დაზარალებულის უფლებამონაცვლესა და მათ ადვოკატებს უწევდათ.

სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ ყველა შუამდგომლობებს მხარს უჭერდა როგორც პროკურორი, ასევე დაცვის მხარე. მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში სასამართლოს მხრიდან ხდებოდა დაზარალებული მხარის დისკრედიტაცია.

სასამართლოს ევალუბოდა მხარეებისათვის (მათ შორის დაზარალებულისათვის) შეექმნა პირობები მტკიცებულებათა წარდგენისათვის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის. დაზარალებულის უფლებამონაცვლის ადვოკატის, შ. შავგულიძის მიერ დაყენებული იქნა შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც ის ითხოვდა იმ მტკიცებულებების სრულ გამოკვლევას, რომელიც თბილისის პროკურატურამ საქმეს დაურთო (კერძოდ ვიდეო მასალები).

მიუხედავად ამისა, სასამართლომ ამის უფლება მხარეს არ მისცა. მართალია სასამართლო დამოუკიდებელია გადანყვეტილების მიღებისას, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძირითადი პრინციპების უარყოფა არ შეიძლება სასამართლოს დამოუკიდებლობით გავამართლოთ.



დადებითად ვაფასებთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურულ რეფორმას. „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონში 2006 წ. 25 მაისს შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების რაოდენობა, კერძოდ, „იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 19 წევრისაგან. მის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოს იუსტიციის მინისტრი“. ასევე, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი; 5 წევრს, რომელთაგან 4 არის საქართველოს პარლამენტის წევრი, ირჩევს საქართველოს პარლამენტი. 9 წევრს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისაგან ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით“.



ასევე მეტად წინგადადგმულ ნაბიჯად ვაფასებთ კონსტიტუციაში შემავალ ცვლილებას, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტი აღარ დანიშნავს მოსამართლეებს, რაც მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის დაცვის ერთ-ერთი გარანტია.



აღსანიშნავია მოსამართლეთა მხრიდან არაადეკვატური სასჯელების დანიშვნის საკითხი, როდესაც მოსამართლეებს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე გამოაქვთ ისეთი სახის სასჯელი, რომელიც აშკარად არაადეკვატურია ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა, მაგალითად:

მოქალაქე ც.ც. კონტრაბანდული სიგარეტის შენეხვა-რეალიზაციის ბრალდებისათვის სასამართლომ დაჯარიმა 10 000 ლარით. ც.ც. არის 5 შვილის დედა, მე-2 ჯგუფის ინვალიდი, ფეხზე აქვს განგრენა, მკერდზე – სიმსივნე. მას სჭირდებოდა სასწრაფო ოპერაცია, რომელსაც უსახსრობის გამო ვერ იკეთებდა. ოპერაციის ხარჯების გამომუშავების მიზნით, მან ჩაიდინა დანაშაული, რაც თავისთავად არ ამართლებს მის ქმედებას, თუმცა მოსამართლეს შეეძლო დანიშნა სასჯელის სახით ჯარიმის მინიმალური ოდენობა – 2000 ათასი ლარი, მით უმეტეს, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ სასამართლო ჯარიმის ოდენობას ადგენს დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.



ანალოგიური პრობლემა არსებობს არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნისას. მოსამართლე ვალდებულია, გაითვალისწინოს ის გარემოებები, რომ არასრულწლოვანის ფსიქიკა ჩამოყალიბების პროცესშია, ადვილად ექცევა ასაკით უფროს პირთა ზეგავლენის ქვეშ, მცდარი წარმოდგენა ექმნება ცხოვრების ღირებულებებზე, საჭიროებს სწავლის გაგრძელებისა თუ პროფესიული საქმის დაუფლებას, აღზრდის პირობების გაუმჯობესებას.

მაგალითად, არასრულწლოვან ივერი ზერეკიძეს სასამართლომ მკვლელობის მცდელობისთვის მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (ი.ზერეკიძის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანებები იყო მსუბუქი ხარისხის, მიუხედავად ამისა, მას მიესაჯა სასჯელის მაქსიმუმი. არადა, სხვა შემთხვევებში, როცა ჩადენილი დანაშაულის შედეგად გაცილებით მძიმე შედეგი დგება, სასამართლოს გაცილებით მსუბუქი განაჩენი გამოაქვს. მაგალითად, მ/წ 28 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა სასჯელზე საპროცესო შეთანხმება, რომელიც დადებული იყო პროკურორსა და განსასჯელებს, არაიკ და სერგო მატინიანებს შორის. მათ ბრალი ედებოდათ მძიმე დანაშაულში, როგორცაა ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით, სასჯელის სახით მათ შეეფარდათ 3 წელი, საიდანაც 1 წელი შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 2 წელი შეეცვალათ პირობით გამოსაცდელი ვადით (უფრო ვრცლად იხ. ქვემო – პროკურატურის თავში).



გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 2005-06 წლებში სასამართლოს არცერთი არასრულწლოვანი არ გაუთავისუფლებია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით.

არის შემთხვევები, როცა არასრულწლოვანთა საქმეებს იხილავს ის მოსამართლე, რომელსაც საერთოდ არ აქვს გავლილი სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, რასაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

ვფიქრობთ, მოსამართლეთა არაკვალიფიციურობა მეტად უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაში მართლმსაჯულების სისტემაზე. მოსამართლეები სერიოზულ მომზადება-გადამზადებას საჭიროებენ. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, 2005წ. 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“. იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ დაიწყო ფუნქციონირება. კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციების სრულად შესრულებას იგი 2007 წლის იანვრიდან დაიწყებს. შემუშავდება სასწავლო პროგრამები, სტრატეგია და მომზადებიან ტრენერები. ვფიქრობთ, იუსტიციის უმაღლესი სკოლა მნიშვნელოვნად მოხსნის არაკვალიფიციური მოსამართლეების პრობლემას სასამართლო სისტემაში. მოსამართლის არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს შემდეგი ფაქტი:

ზურაბ შალიკიანის საქმე

2006 წლის 22 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ანა ლელუღვამ ადმინისტრაციული წესით, 14 დღით დააპატიმრა 1988 წლის 17 ოქტომბერს დაბადებული ზურაბ შალიკიანი. მოგვიანებით, 23 მაისს ქუთაისის საქველაცო სასამართლომ ზ. შალიკიანის მიმართ გამოტანილ დადგენილებასი ნაწილობრივ ცვლილება შეიტანა და ადმინისტრაციული სახდელი – პატიმრობა ჯარიმით შეცვალა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილით: „ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები, თვრამეტ წელს მიუღწეველ პირებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს“.

მოსამართლე ანა ლელუღვამ დაარღვია კანონის ეს მოთხოვნა და ადმინისტრაციული წესით დააპატიმრა 18 წელს მიუღწეველი პირი.

ვინაიდან მოსამართლის ქმედება შეიცავდა სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს (სამსახურებრივი გულგრილობა), სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურორს ზ. ადეიშვილს წინასწარი გამოძიების დასაწყებად.

გენერალური პროკურატურიდან გვეცნობა, რომ არასრულწლოვან ზ. შალიკიანის ადმინისტრაციული წესით დაპატიმრების ფაქტზე გენ. პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუმცა მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. საქმე, რომელსაც არანაირი გამოძიება არ სჭირდებოდა და უნდა დამდგარიყო მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, დღემდე წინასწარი გამოძიების ეტაპზეა.

დადებითად ვაფასებთ გასულ წელთან შედარებით საერთო სასამართლოებში აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შესახებ შუამდგომლობების კლების ტენდენციას. ხშირად პროკურატურა ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე სასამართლოს მიმართავდა შუამდგომლობით, ა/ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებაზე, რომელთა დიდი ნაწილი კმაყოფილდებოდა სასამართლოს მიერ. 2005 წლის განმავლობაში სასამართლოებში შევიდა 9962 შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებისა (პატიმრობა, პირადი თავდებობა, გირაო), მათგან პატიმრობის შესახებ იყო 9042 შუამდგომლობა ანუ სულ შესული შუამდგომლობების 90%. პატიმრობის შესახებ შესული შუამდგომლობებიდან დაკმაყოფილდა 7159 შუამდგომლობა, ანუ 79%.

2006 წლის პირველ 6 თვეში სასამართლოებში შევიდა სულ 8301 შუამდგომლობა სამივე სახის ა/ღონისძიებაზე (პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა). აღნიშნული რიცხვიდან 5868 შუამდგომლობა იყო პატიმრობის შესახებ, ანუ სულ შესული შუამდგომლობების 70% (20%-ით ნაკლები წინა წელთან შედარებით). თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მათგან დაკმაყოფილდა 5156 შუამდგომლობა, ანუ დაახლოებით 90%, რაც მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



ამასთან, აღსანიშნავია ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით პროკურატურა უფრო ხშირად ითხოვს აღმკვეთ ღონისძიებად არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას, ეს პატიმართა აბსოლუტურ რაოდენობაზე არ ახდენს გავლენას, რადგან მკვეთრად გაიზარდა მთლიანად დაკავებულთა რიცხვი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სასამართლომ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე მაქსიმალურად შეზღუდოს აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობის გამოყენება, რაც იმავდროულად გარკვეულწილად მოხსნის გადატვირთულობის პრობლემას სასჯელალსრულების დაწესებულებებში.

საგულისხმოა, რომ 2005 წლისგან განსხვავებით იმატა გირაოსა და პირადი თავდებობის შესახებ დაკმაყოფილებულმა შუამდგომლობების რაოდენობამ, კერძოდ: 2212 შუამდგომლობიდან გირაოს შესახებ დაკმაყოფილდა 2121, პირადი თავდებობის შესახებ 221 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 216.

შევეხებით გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკას. წინა წელთან შედარებით იკლო მათმა რიცხვმა. კერძოდ: 2005 წელს საერთო სასამართლოების პირველ ინსტანციაში დადგინდა გამამართლებელი განაჩენი 64 საქმისა და 79 პირი მიმართ, ხოლო 2006 წლის პირველ ნახევარში დადგინდა გამამართლებელი განაჩენი 12 საქმისა და 17 პირის მიმართ; 2005 წ. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი 7 საქმისა და 8 პირის მიმართ, ხოლო საანგარიშო პერიოდში კი – 5 საქმისა და 5 პირის მიმართ; 2005 წ. საკასაციო სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი 11 საქმისა და 11 პირის მიმართ, ხოლო 2006 წ. 1 იანვრიდან 1 ივლისამდე გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი 4 საქმისა და 5 პირის მიმართ.

სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევებზე გამოტანილი კერძო დადგენილებების შესახებ აღვნიშნავთ, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ აღმოჩენილ დარღვევებთან დაკავშირებით (როგორც მონიტორინგის ოქმებზე, ისე განცხადებების შესწავლის შედეგად), არცერთ მოსამართლეს არ გამოუტანია კერძო განჩინება სსსკ-ის 50-ე მუხლის შესაბამისად, თუმცა სასამართლოში გაგზავნილი საქმის მასალები აშკარად მეტყველებდნენ საპროცესო უფლებების დარღვევებზე.

მ. ჩხეიძის საქმე

ბაღდათის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ზ.ყვავაძემ მ.ჩხეიძის დაპატიმრების ბრძანება გასცა 2006 წლის 9 იანვარს 13:25 სთ-ზე (მ.ჩხეიძე დაკავებული იქნა 2006 წლის 6 იანვარს 12:00 სთ-ზე), რითაც უხეშად დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 და სსსკ-ის 145-ე მუხლის მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები (ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს). მოსამართლეს მ. ჩხეიძის მიმართ ბრალდების წარდგენიდან 24 საათში არ მიუღია გადაწყვეტილება, მან ბრძანება გასცა საათისა და ოცდახუთი წუთის დაგვიანებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ჩხეიძე, სსსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის გ) პუნქტის თანახმად, სასამართლო დარბაზიდან დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო.

2006 წლის 17 იანვარს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე კ. გოცირიძემ განიხილა ადვოკატის საჩივარი მ. ჩხეიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ და დადგენილებით უცვლელად დატოვა ბრალდებულ მ. ჩხეიძის მიმართ 2006 წლის 9 იანვარს შეფარდებული დაპატიმრების ბრძანება. მოსამართლე კ. გოცირიძე, სსსკ-ის 50-ე მუხლის 1

და II ნაწილების გათვალისწინებით, ვალდებული იყო გამოეტანა კერძო დადგენილება, ვინაიდან მ. ჩხეიძის დაპატიმრება მოხდა კანონის დარღვევით.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ემსჯელა მოსამართლეთა – ზ. ყვავაძისა და კ. გოცირიძის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხზე, საიდანაც გვეცნობა, რომ მოსამართლეთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.



სტატისტიკურ მონაცემები, რომელიც მივიღეთ უზენაესი სასამართლოდან კერძო განჩინებებთან დაკავშირებით, არის შემდეგი: 2006 წლის 6 თვეში გამოტანილია 16 კერძო განჩინება, მათ შორის, გამოძიებაში დაშვებულ დარღვევებზე – 15, დანაშაულის ხელშემწყობ მიზეზებზე – 1; რაც შეეხება ინფორმაციას განსასჯელის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე გამოტანილი კერძო განჩინების შესახებ, ასეთი მონაცემები სტატისტიკური ანგარიშგების მოქმედ ფორმებში გათვალისწინებული არ არის. (2005 წელს გამოტანილ იქნა 25 კერძო განჩინება, მათ შორის გამოძიებაში დაშვებულ შეცდომებზე – 23, დანაშაულის ხელშემწყობ მიზეზებზე – 2).

რაც შეეხება სასამართლოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს, 2006 წლის პირველ ნახევარში განხილულია 507 საქმე, რომელთაგან დაკმაყოფილდა 290 შუამდგომლობა, ანუ 57%-ი; ხოლო სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი შეცვლის შესახებ განხილულია 2 საქმე, რომელთაგან არც ერთი არ დაკმაყოფილდა. 2005 წელს საერთო სასამართლოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ განხილულია 2036 საქმე, მათ შორის დაკმაყოფილდა 1745, ანუ 85%-ი (2005 წელს აღნიშნული კატეგორიის საქმეები სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში აღირიცხებოდა ერთად). ამკარაა, რომ წინა წლებთან შედარებით შემცირდა პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებულთა რაოდენობა. მიგვაჩნია, რომ სტატისტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა იყოს დადებითი.

რაც შეეხება ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას ვიტყვით, რომ 2006 წლის 6 თვეში განხილულია 10 შუამდგომლობა, რომელთაგან დაკმაყოფილდა მხოლოდ 2.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №72/ნ ბრძანებაში 2006 წლის 9 მარტს შევიდა ცვლილება. დაავადებათა ჩამონათვალიდან, რომლებიც ცვლილებამდე წარმოადგენდნენ (პატიმრობის შესახებ კანონის 65-ე მუხლის შესაბამისად) სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველს, ამოღებული იქნა ნერვული სისტემისა და გრძნობათა ორგანოების დაავადებები (არაოფიციალური ინფორმაციით, ცვლილება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ერთ-ერთი კანონიერი ქურდი დაავადებულია მსგავსი სენით). ამდენად, ასეთი დაავადების მქონე პირები აღარ თავისუფლდებიან სასჯელის მოხდისაგან. ასე მაგალითად, მსჯავრდებული ე.შ., რომელიც უკუზრნებელი სენით (ნერვული სისტემისა და გრძნობათა ორგანოების დაავადება) იყო დაავადებული, იმყოფებოდა სასჯელალსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში სხვა ავადმყოფებისაგან იზოლირებულად. პატიმარს უვლიდა მეუღლე, რომელიც ფაქტობრივად მასთან ერთად იხდიდა სასჯელს. ავადმყოფური მდგომარეობიდან გამომდინარე, ე.შ., სასჯელალსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გაჩერებით განიცდიდა როგორც ფიზიკურ, ისე მორალურ ტანჯვასაც, რაც სრულად შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით აკრძალულ ნაშენებსა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ცნებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, რათა №72/ნ ბრძანებაში მ/ნ 9 მარტის ცვლილება გაუქმდეს და ბრძანების მე-6 მუხლს კვლავ დაემატოს პირველი და მეოთხე



პუნქტები (რითაც განსაზღვრულია თავისა და ზურგის ტვინის სისხლძარღვანი, ასევე ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებანი), რათა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი პატიმართა უფლებების დაცვა.

სახალხო დამცველის აქტიური ჩარევის შედეგად (2005 წლის მეორე ნახევრის ანგარიშის დროს, პარლამენტში გამოსვლისას სახალხო დამცველმა ისაუბრა ე.შ—ს უმძიმესი მდგომარეობის შესახებ – ის, თავისი ავადმყოფობის გამო არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდა და, რამდენადაც მისი მეუღლე იძულებული იყო, თავზე დასდგომოდა ავადმყოფ ქმარს, ფაქტობრივად ორი ადამიანი იხდიდა სასჯელს) 2006 წლის 24 აგვისტოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბ. ახალაიამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ე.შ-ის მიმართ მძიმე ავადმყოფობის გამო განჩენის აღსრულების გადავადება მის გამოჯანმრთელებამდე. მოსამართლემ სსკ-ის 607-ე მუხლის შესაბამისად დაადგინა, რომ ე.შ-ის მიმართ გადავადდეს განჩენის აღსრულება მის გამოჯანმრთელებამდე. ამდენად, ე.შ-ს გათავისუფლების საფუძველი გახდა სწორედ ის დაავადება, რაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №72/6 ბრძანებაში 2006 წლის 9 მარტის ცვლილებით ამოღებული იქნა.

2005 წელს ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაზე სასამართლოებში სულ შევიდა 15 საქმე, რომელთაგან დაკმაყოფილდა 5.

რაც შეეხება ხანდაზმული ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას, 2006 წლის 6 თვეში არც ერთი საქმე არ განხილულა (2005 წელს აღნიშნული კატეგორიის საქმეები სტატისტიკური ანგარიშების ფორმებში გათვალისწინებული არ იყო).

2005 წლის ანგარიშში გამოკვეთილი პრობლემის მსგავსად 2006 წლის პირველ ნახევარში კვლავ აღინიშნება საქმის ჩანიშვნისა და განხილვის ვადების გაჭიანურების ტენდენცია, რაც მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობით, სასამართლო პროცესებზე პატიმართა ბადრაგირების პრობლემისა და მონმეთა გამოუცხადებლობითაა გამოწვეული.

სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი საკითხიც: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის (უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა) პროკურატურისთვის წარმოადგენს სასამართლოზე ზეწოლის ერთგვარ საშუალებას. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემომნების პრეროგატივა ეკისრება სწორედ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს, ხოლო სსკ 336-ე მუხლის არსებობა შესაძლებლობას ქმნის, აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება გადასინჯული იქნას პროკურატურის მიერაც, რითაც პროკურატურა ფაქტობრივად გვევლინება მე-4 ინსტანციად, რაც ლახავს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით გარანტირებულ პრინციპს, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე და ბათილია ყველა ის აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლის არსებობით ილახება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პრინციპი, რომ სასამართლო ხელისუფლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებული არ არის. აღნიშნულ პრინციპთან წინააღმდეგობაში მოდის ის გარემოება, რომ მოსამართლის უკანონო განაჩენზე საქმის გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა, რომელიც არის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სსკ-ის 336-ე მუხლი პროკურატურას შესაძლებლობას აძლევს, სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მუქარით, ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლეზე და ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელებაში, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და უზენაესობის პრინციპს.

საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 336-ე მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2001 წლიდან 2006 წლის 5 ოქტომბრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის საფუძველზე პასუხისმგებლობაში მიეცა 9 მოსამართლე: 1) ნ.ხუბუა (სამხედრო მოსამართლე) – მის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო; 2) მ.პატარაშვილი (მცხეთის რ/ი სასამართლოს მოსამართლე) – საქმე გადაგზავნილია სასამართლოში არსებითი განხილვისათვის; 3) თ.კვარაცხელია (ზუგდიდის რ/ი სასამართლოს მოსამართლე) – სასჯელის ზომად განესაზღვრა პირობითი მსჯავრი 1 წლის ვადით; 4) მ. ჩხეიძე (გარდაბნის რ/ი სასამართლოს მოსამართლე) – საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით პირობითი მსჯავრი და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით; 5) ი. კვეზერელი (გარდაბნის რ/ი სასამართლოს მოსამართლე) – საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით პირობითი მსჯავრი და ჯარიმა 27300 ლარის ოდენობით; 6) მ. გელენაძე (წყალტუბოს რ/ი სასამართლოს მოსამართლე) – სასჯელის სახედ განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; 7) ნ. თოლორაია (ზუგდიდის რ/ი სასამართლოს მოსამართლე) – სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 200 ლარის ოდენობით; 8) ბ. გვაჯავა (ფოთის რ/ი სასამართლოს მოსამართლე) – სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; 9) დ. დევრასაშვილი (ახალგორის რ/ი სასამართლოს მოსამართლე) – საქმე წინასწარ გამოძიებაშია.



პროკურატურა

სახალხო დამცველის აპარატში შემოდის ისეთი სახის განცხადებებიც, რომელთა შესწავლის შედეგად აშკარად იკვეთება მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ნიშნები. საუბარია ცემა-წამებაზე, უკანონო დაკავებაზე, სასამართლო გადანაცვლების შეუსრულებლობაზე, გამოძიების ტენდენციურობაზე და სხვ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი, გამოძიების დაწყების მიზნით, სათანადო მასალებს უგზავნის გენერალურ პროკურატურას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამოძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, დაიწყონ წინასწარი გამოძიება. ამავე კანონის მე-18 მუხლის თანახმად, გამოძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ვალდებული არიან უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩადინა იგი და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება. საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილი მასალები აშკარად მიუთითებენ ჩადენილ დანაშაულზე, თუმცა პროკურატურა ხშირად არ იწყებს გამოძიებას თითქოს უსაფუძვლობის მოტივით, ან სათანადო მასალებს დანაშაულის თაობაზე გზავნის სასამართლოში, სადაც უკვე განიხილება პირის ბრალდების საქმე, მაგრამ თავად განსასჯელის წინააღმდეგ ჩადენილ უკანონო ქმედებებზე მოხელეთა მიერ სასამართლო არ მსჯელობს და არ გამოაქვს კერძო დადგენილება. პროკურატურა ამგვარი ქმედებით იცილებს გამოძიების დაწყების ვალდებულებას და აპელირებს სასამართლოზე, რითაც არღვევს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას. თუმცა პროკურატურა, მისთვის სასურველ საქმეებთან დაკავშირებით, მიმართავს სასამართლოს საქმის მასალების გამოთხოვის შუამდგომლობით და იწყებს გამოძიებას. ასე რომ, პროკურატურასა და სასამართლოს შორის იქმნება ერთგვარი ჩაკეტილი წრე, რაც ზოგჯერ ხელს უშლის ქეშმარტების დადგენას და ხდება ბრალდებულ პირთა ისე გასამართლება, რომ მათი უფლებების დარღვევის ფაქტებზე არც პროკურატურა და არც სასამართლო არ ახდენს არანაირ რეაგირებას.

ალექსანდრე მხეიძის საქმე

2005 წლის 6 აპრილს შსს-ს გენ.ინსპექციამ ჩაატარა სპეცოპერაცია დაბა წყნეთში, რომლის დროსაც პოლიციის თანამშრომლებმა ქრთამის ალების ბრალდებით დააკავეს პატრულის თანამშრომელი ალექსანდრე მხეიძე. ის სცემეს როგორც დაკავებისას, ასევე შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის შენობაში მიყვანისას (დაზიანებაზე არსებობს ექსპერტიზის დასკვნა). დაკავებული თავიდანვე აცხადებდა, რომ 20 (ოცი) ლარი, რომელიც ამოუღეს ჯიბიდან, ჩაუდო ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომლის ამოცნობაც შეუძლია. აღნიშნულზე მან მიმართა შუამდგომლობით საგამოძიებო ორგანოს, რომ ჩატარებულიყო ამოცნობა, თუმცა მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა მთელი რიგი საეჭვო გარემოებები ა.მხეიძის ბრალდების საქმესთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. შეუსაბამობაა წინასწარ დანომრილ და სპეც. ქიმიური ნივთიერებით დამუშავებულ 20 ლარიან კუპიურასა და ა. მხეიძის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ 20 ლარიან კუპიურას შორის (არ ემთხვევა სპეციალური ფანქრით გაკეთებული ნარწერები „შსსX“ და „სუს“ კუპიურებზე).
2. ა.მხეიძის სისხლის სამართლის საქმეზე მონებებმა, აკაკი ტატიშვილმა და ალექსანდრე ასოიანმა, დამატებით დაკითხვისას აჩვენეს, რომ ულტრაიისფერი სხივების დანათებისას ფულადი კუპიურა ანათებდა მომწვანო-მოყვითალო ფერით, ხოლო ალექსანდრე მხეიძის ხელებზე მსგავსი ნათება არ აღენიშნებოდა. დაკავებული ალექსანდრე მხეიძე აგინებდა ერთ-ერთ პიროვნებას და აცხადებდა, რომ მან „ჩაუდო“ დანომრილი ფული.

3. ალექსანდრე მხეიძის სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილი ვაგარშაკ ლორის-რუსო ფიგურირებს, რომელიც სხვა ანალოგიურ სისხლის სამართლის საქმეებშიც ჩანს როგორც მონმის, ასევე დაზარალებულის სტატუსით (ჩვენთვის ცნობილ 5 საქმეში). ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ვაგარშაკ ლორის-რუსო თანამშრომლობს პოლიციასთან, ახდენს დანაშაულის პროვოცირებას და მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერება საეჭვოა.
4. ფულადი კუბიურების დანომვრის შესახებ ოქმში დამსწრედ ფიგურირებს პიროვნება, რომელიც არის სპეცოპერაციის მონაწილე პოლიციელის სიძე. ამდენად ჩნდება ეჭვი, რომ ის დაინტერესებული იქნებოდა საქმის შედეგით.

სახალხო დამცველმა საეჭვო გარემოებებთან დაკავშირებით სათანადო მასალები გაუგზავნა გენ. პროკურატურას, თუმცა რეაგირება მათი მხრიდან არ მომხდარა და მასალები გადაეცა სასამართლოს, ხოლო ა. მხეიძის ცემის ფაქტზე არავინ დასჯილა.

ამირან რობაქიძის საქმე

2004 წლის 24 ნოემბერს ქ.თბილისში, ნერეთლის გამზირზე, საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მიერ დიდუბის ეკლესიასთან ჩატარდა „ბმვ“-ს მარკის ავტომობილში მყოფი პირების დაკავების ოპერაცია, რომელიც მსხვერპლით დასრულდა. პატრულ გ. ბაშაღიშვილის ნასროლი ტყვიით გარდაიცვალა ამირან რობაქიძე, ხოლო დანარჩენი ხუთი პიროვნება: ა. ბართაია, გ. ქურდაძე, ი. მიქაბერიძე, კ. აზარიაშვილი და ლ. დანგაძე დააკავეს.

მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა პოლიციის თანამშრომლებისათვის წინააღმდეგობის განევისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით.

გამოძიების მხარე ამტკიცებდა, რომ საეჭვო ავტომობილის გაჩერებისთანავე შიგნით მყოფმა ახალგაზრდებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციის თანამშრომლებს, რასაც ერთ-ერთი პოლიციელის მხრიდან მოჰყვა გასროლა, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა ა. რობაქიძე.

ზემოაღნიშნულს ადასტურებდა პოლიციელების (გ. ბაშაღიშვილის, დ. აბუაშვილის, გ. ჭანტურიას და ლ. ლოხუანიძის) ჩვენებები. მათი გადმოცემით, ავტომობილიდან გადმოსულ ა. რობაქიძეს ხელში ეჭირა ავტომატური იარაღი და გახსნა ცეცხლი პოლიციელთა მიმართულებით, ხოლო გ. ბაშაღიშვილმა მოახდინა საპასუხო გასროლა თავისი და სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად.

გარდაცვლილის მხარის მიერ ჩატარებულმა ექსპერტიზებმა მთლიანად გამორიცხა პოლიციელთა ჩვენებებში მოყვანილი ფაქტების სისწორე. სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქმე და გაკეთდა ობიექტური და სრულყოფილი გამოძიების მოთხოვნა. ყოველივემ შედეგი გამოიღო და დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა გ.ბაშაღიშვილის მიმართ, მაგრამ გ. ბაშაღიშვილს ბრალი დაედო სხვისი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობაში (სსკ-ის 116 მუხლი).

საგულისხმო იყო გამოძიების მიმდინარეობის დროს არაერთი გარემოება. კერძოდ:

ა. რობაქიძის ოჯახის წევრებს, როგორც დაზარალებულის უფლებამონაცვლეებს, უკანონოდ ეუბნებოდნენ უარს საქმის მასალების ასლების მიღებაზე;

საქმეში არის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, რომელიც წარმოდგენილია დედნიდან გადაბეჭდილი სახით (პროკურატურის განმარტებით), რომელსაც მხოლოდ მაშინ მოეწერა ხელი, როდესაც მას გაეცნო ა. რობაქიძის წარმომადგენელი;



სახალხო დამცველისთვის, ოჯახის წევრებისთვის, მედიისთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა შსს თანამშრომელთა მიერ გადაღებული ლიკვიდაციისა და დაკავების ამსახველი ვიდეომასალა;

არ იკითხებოდნენ სასწრაფო დახმარების სამსახურის ის თანამშრომლები, რომლებიც გავიდნენ შემთხვევის ადგილზე და დააფიქსირეს ა.რობაქიძის გარადაცვალების ფაქტი, მაშინ, როდესაც მხარე დაჟინებით მიუთითებდა ექიმების გადმოცემულს, რომ მათ შემთხვევის ადგილზე იარაღი არ უნახავთ;

საკმარისი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, არ მოხდა პოლიციელთა ნარკოლოგიური შემოწმება.

შემთხვევის ადგილზე გადაღებულ მწირ ვიდეომასალაში არცერთ საერთო ხედში არ ჩანს პოლიციელთა ჩვენებებში ნახსენები ცეცხლსასროლი იარაღები. კამერა იარაღებს აფიქსირებს მხოლოდ ახლო ხედით დეტალური გადაღებისას.

არ იქნა დადგენილი „ამოღებული“ იარაღის წარმომავლობა. გასაკვირია, როგორ აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ამოღებული იარაღი იმ სტუდენტების ხელში, რომელთაგან არცერთი არ ყოფილა ნასამართლელი. თავდაპირველად გამოძიებამ ყველა დაკავებულს ნაუყენა ბრალდება იარაღის უკანონო შექმნა, ტარებაში. მოგვიანებით ორ ბრალდებულს მოეხსნა ბრალდება. ადვოკატების განცხადებით, საქმეში არსებული ერთი ავტომატური იარაღი და ერთი ხელყუმბარა დარჩა ისე, რომ მათ უკანონო შექმნა-ტარებაში არავის ედება ბრალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოხდა გ. ბაშალეიშვილის განზრახ მკვლელობა, სამართალდამცავთა მიერ იარაღის „ჩადება“, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, გადამეტება, უკანონო დაკეცვა, ცრუ ჩვენების მიცემა. ხელთ არსებული ვიდეომასალით დგინდება, რომ შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ თბილისის საპატრულო პოლიციის მაშინდელი უფროსი ზ. მიქაძე და ამჟამად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გ.გრიგალაშვილი, ასევე, პოლიციის მაღალჩინოსანი დ. ბაქრაძე. გარდაცვლილ ა. რობაქიძის მეგობრები მიუთითებდნენ, რომ შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მაშინდელი უფროსი – გურამ დონაძე, უშუალოდ ის ხელმძღვანელობდა გადაღებას და აჩერებდა გამვლელებს, რათა მათ დაედასტურებინათ „ჩადებული“ იარაღების ამოღება.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურორს, რომ დაუყოვნებლივ დაწყებულიყო სისხლისსამართლებრივი დევნა ყველა იმ პოლიციელისა და სამართალდამცველის მიმართ, ვინც მონაწილეობა მიღო დაკავების ოპერაციაში, შემთხვევის ადგილზე ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასა და იქ ამოღებული მტკიცებულებების საპროცესო დამაგრებაში. ასევე დადგენილიყო საქმეში არსებული იარაღის წარმომავლობა და საქმის გამოძიებაზე განხორციელებულიყო გენერალური პროკურატურის კონტროლი.

ქ. თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა სახალხო დამცველს აცნობა, რომ რეკომენდაციაში აღნიშნული გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, იგი გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც იხილებოდა გრიგოლ ბაშალეიშვილის ბრალდების სს საქმე.

მას შემდეგ, რაც გრიგოლ ბაშალეიშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, გენ.პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სსკ-ის 369-ე (მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია) და 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენის ფაქტებზე, თუმცა გამოძიებას კონკრეტული პირები სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში არ მიუცია.

დ.ჯ.-ს საქმე

სასჯელალსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფებოდა განსასჯელი დ.ჯ. პატიმარ დ.ჯ.-ის ფსიქიკური მდგომარეობა იყო მძიმე, რაც დასტურდებოდა „სს მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ კომისიის 2005 წლის №300 დასკვნით. აღნიშნულ სს საქმეზე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ 2006 წლის 20 იანვარს გამოიტანა დადგენილება დ.ჯ.-ის ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების თაობაზე, რომელიც შესასრულებლად გადაეგზავნა სასჯელალსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილის დირექტორს, თუმცა დადგენილება არ აღსრულებულა.

საქართველოს სახალხო დამცველმა, განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 381-ე მუხლით), წინასწარი გამოძიების დაწყების მიზნით სათანადო მასალები გაუგზავნა გენერალურ პროკურატურას.

იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის პ. კოვზირიძის წერილით გვეცნობა, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტზე წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი არ არსებობდა.

ნინო ლობჯანიძის და ზვიად ობოლაძის საქმე

2005 წლის 22 სექტემბერს, ღამის 4 საათზე შპს „მცხეთის სამხარეო მრავალპროფილიან საავადმყოფოში“, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმის პირველადი დიაგნოზით „კვებითი ინტოქსიკაცია“, მიყვანილი იქნა მოქალაქე გულიკო მახარაშვილი.

მიმღებ განყოფილებაში გასინჯულ იქნა ექიმ თერაპევტისა და ქირურგის მიერ, რის შესახებაც სამედიცინო ჩანაწერი ქირურგს არ გაუკეთებია. ანამნეზური მონაცემების საფუძველზე (კერძოდ, პაციენტის განცხადებით, ის მკურნალობდა უშვილობაზე, იმყოფებოდა რამდენიმე ექიმთან, ჩატარებული ჰქონდა ექოსკოპიური კვლევა და კლინიკაში შემოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე აღენიშნა თვითნებური აბორტი და მის შემდეგ პერიოდული გამონადენი) გამოძახებულ იქნა მორიგე ექიმ-გინეკოლოგი, ზვიად ობოლაძე. მის მიერ ავადმყოფი გასინჯულ იქნა და დაესვა დიაგნოზი ენდომეტრიტი, პელვეოპერიტონიტი. ექიმმა მიზანშეწონილად მიიჩნია ანტიბაქტერიული თერაპიის დანიშვნა და საშვილოსნოს ღრუს გამოფხეკა.

პაციენტის მეუღლემ, ზვიად ჩოხელმა საავადმყოფოსთან შენიშნა მისი მეზობლის, ნინო ლობჯანიძის ავტომანქანა. ნინო ლობჯანიძე ამავე საავადმყოფოს ექიმ-გინეკოლოგი და სამკურნალო დარგში დირექტორის მოადგილე იყო. ზვიად ჩოხელი დაუკავშირდა ნინო ლობჯანიძეს, აცნობა, რომ მისი მეუღლე გულიკო მახარაშვილი მოიყვანეს საავადმყოფოში, თუმცა მისთვის უცნობი იყო პაციენტის მდგომარეობა. ნ. ლობჯანიძემ ზ. ჩოხელს განუმარტა, რომ ჰყავდა მშობიარე პაციენტი, რომელთანაც მორჩებოდა გარკვეულ პროცედურებს და მოინახულებდა გულიკო მახარაშვილს.

პაციენტი ზვიად ობოლაძის მითითებით შეყვანილი იქნა საპროცედუროში და ზოგადი ნარკოზით წარმოებულ იქნა გამოფხეკვა. ნინო ლობჯანიძე ამ დროს შევიდა პაციენტის სანახავად და აღმოაჩინა, რომ შესაბამისი სამედიცინო ინსტრუმენტი, კერძოდ შესაბამისი ზომის ჰეგარის ჩხირი არ აღმოჩნდა იარაღების კომპლექტში, რის გამოც მითითება მისცა სანიტარს, მოეტანა ინსტრუმენტი, რომელიც სხვაგან ინახებოდა. ამის შემდეგ მან შეიყვანა ჩხირი საშვილოსნოს ღრუში და დატოვა საპროცედურო, ხოლო გამოფხეკა ზვიად ობოლაძემ განაგრძო. ამ შეხვედრისას გახდა ცნობილი ნინო ლობჯანიძისათვის პაციენტის მდგომარეობა. აღნიშნულის შესახებ მან ინფორმაცია მიაწოდა პაციენტის მეუღლეს, ასევე სანიტარს მოატანინა პაციენტისათვის საჭირო ძლიერი ანტიბიოტიკები და დაუბრუნდა მის პაციენტს – აბაზოვას. ასევე სთხოვა ზვიად ჩოხელს რომ, თუ მისი დახმარება გახდებოდა საჭირო დაკავშირებოდა და შეძლებისდაგვარად აღმოუჩინდა დახმარებას.



მოგვიანებით, პროცედურის შემდეგ პაციენტი გადაყვანილ იქნა პალატაში და იმყოფებოდა მორიგე პერსონალის დაკვირვების ქვეშ. როგორც სტაციონარის სამედიცინო ბარათიდან ირკვევა, დილის 10 საათამდე ავადმყოფის მდგომარეობა იყო სტაბილური, უჩიოდა ტკივილს მუცლის არეში, სისუსტეს და გაუკეთდა ტკივილგამაყუჩებელი. ზვიად ობოლაძე პერიოდულად აწვდიდა ინფორმაციას პაციენტის ახლო ნათესავებს მისი მდგომარეობის შესახებ.

დილის 10 საათზე, დასრულდა რა ზვიად ობოლაძის მორიგეობა, კლინიკაში მოვიდა განყოფილების გამგე თინა სვანიძე, რომელმაც ავადმყოფი გადაიბარა შინაგანანესის მოთხოვნათა დაცვით. ავადმყოფი მანაც გასინჯა და იგივე დიაგნოზი დასვა. დაახლოებით 45 წუთის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა და აღინიშნა არტერიული წნევის მაჩვენებლის დაქვეითება. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, ზვიად ობოლაძე დაინტერესდა ავადმყოფის მდგომარეობით და დარჩა კლინიკაში. თინა სვანიძემ გამოიძახა რეანიმაციული განყოფილების გამგე და გადაწყდა, მკურნალობა გაგრძელებულიყო რეანიმაციულ განყოფილებაში. ჰემოდინამიური გაუარესების ფონზე გადაწყდა, გამოკვლევის ჩასატარებლად გამოძახებულიყო ექოსკოპისტი. თავდაპირველად ექოსკოპია ჩატარდა 11 საათისთვის და ჰემოდინამიური გაუარესების მიზეზი ვერ იქნა ნანახი, რის გამოც ექოსკოპისტმა გადაწყვიტა, დალოდებოდა შარდის ბუშტის შევსებას. განმეორებით ექოსკოპია ნაწარმოები იქნა 13 საათისთვის და მუცლის ღრუში ნანახი იქნა სითხე. ეჭვი იქნა მიტანილი შინაგან სისხლდენაზე, რის გამოც დაისვა ოპერაციული მკურნალობის საკითხი.

11 საათზე ნინო ლობჯანიძესთან მივიდა სანიტარი არეშოვი, რომელმაც უთხრა, რომ ეძახდნენ და სასწრაფოდ გაყოლოდა. როდესაც ნ. ლობჯანიძე დერეფანში გამოვიდა, დახვდნენ გ. მახარაშვილის ნათესავები, ასევე ზ. ობოლაძე, თ. სვანიძე, ს. მეტრეველი და ი. ტაბიძე. თინა სვანიძემ ნინო ლობჯანიძეს უთხრა, რომ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, პაციენტი გ. მახარაშვილის რეანიმაციაში გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღო. დაახლოებით 11:30 საათზე ნინო ლობჯანიძესთან შევიდა სამედიცინო განყოფილების გამგე მ. მხეიძე, რომელმაც უთხრა, რომ მიიღო ძალიან სერიოზული მშობიარე და ეჭვი ჰქონდა საშვილოსნოს გახევაზე.

დაახლოებით 12 საათზე ნ. ლობჯანიძემ მოინახულა გ. მახარაშვილი, სადაც ნახა მისი ნათესავებიც. ასევე მათგან შეიტყო, რომ პაციენტის ძმა და ქმარი წასული იყვნენ სისხლის მოსატანად. ნ. ლობჯანიძემ შესთავაზა დახმარება სისხლის გადასხმის ორგანიზების საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა რეანიმაციული განყოფილების გამგემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ამის საჭიროება არ იყო. აღნიშნულის შემდეგ ნ. ლობჯანიძემ მ. მხეიძეს დაუსვა კითხვა, თუ რატომ არ იყო ჩატარებული ექოსკოპიური კვლევა და რა იყო ხელისშემშლელი მიზეზი, რაზედაც მიიღო პასუხი, რომ შარდის ბუშტის აუესებლობის გამო პასუხი ვერ იქნა მიღებული და ელოდებოდნენ განმეორებითი ექოსკოპიის დასკვნას. ნ. ლობჯანიძემ გამოთქვა მოსაზრება, გამოეძახებინა კატასტროფის ცენტრი და მათი სასწრაფო დახმარების მანქანით მოეხდინა ავადმყოფის გადაყვანა, თუმცა, ს. მეტრეველის მიერ განემარტა, რომ ამის საჭიროება არ იყო, მდგომარეობის სტაბილურობის გამო. მან ნ. ლობჯანიძეს, როგორც საავადმყოფოს ადმინისტრაციის წარმომადგენელს სთხოვა სეფსოლოგის გამოძახების ორგანიზება. ნ. ლობჯანიძემ დარეკა კატასტროფის ცენტრში და დაადგინა, რომ კონსულტანტი სეფსოლოგი იყო ექიმი ლ. მგალობლიშვილი და ასევე დაადგინა მისი საკონტაქტო ტელეფონიც.

ამის შემდეგ ნ. ლობჯანიძე დაუკავშირდა მგალობლიშვილს და შეთანხმდნენ 16 საათისათვის კონსულტაციის ჩატარებაზე. ექიმმა სეფსოლოგმა პირველ რიგში მოიკითხა ექოსკოპიური კვლევის შედეგები, რაზედაც მიიღო ინფორმაცია, რომ ელოდებოდნენ განმეორებითი ექოსკოპიის ჩატარებას. ნ. ლობჯანიძე გამოხატავდა უკმაყოფილებას ექოსკოპიის ჩატარების გაჭიანურების გამო, რაც უთხრა თ. სვანიძეს და დაამატა, რომ ასეთ შემთხვევაში (ექოსკოპიის დაგვიანება) დიაგნოსტიკის მიზნით, შეეძლოთ უკანა თალის ფუნქციის წარმოებაც. თ. სვანიძემ თავის მხრივ გამოხატა უკმაყოფილება ასეთ მითითებებზე, რის შემდეგაც ნ. ლობჯანიძე ავიდა საოპერაციოში და დაუბრუნდა ახლად შემოსულ ავადმყოფს, რომელსაც საკეისრო კვეთა უნდა ჩატარებოდა. დაახლოებით 13:30 საათზე საოპერაციოში, სადაც იმყოფებოდა ნ. ლობჯანიძე, შევიდა ექიმი თ. სვანიძე და მ. მხე-

იქს დახმარება სთხოვა გ. მახარაშვილისათვის ოპერაციის ჩატარებაში, აქვე აცნობა, რომ მუცლის ღრუში ნანახი იქნა სითხე, სავარაუდოდ სისხლი. მ. მხიედ დახმარებას 20 წუთში შეპირდა, დაახლოებით 14:00 საათისთვის. დაახლოებით 14:50 საათზე ხათუნა პერინაშვილმა, რომელიც მცხეთის საავადმყოფოს მიმღებ განყოფილებაში მუშაობს ექიმ თერაპევტად, ტელეფონით ლობჯანიძეს სთხოვა ჩასვლა ქვევით, სამეანო ბლოკში. ავადმყოფის გასინჯვის პროცესში მას შეატყობინეს, რომ სასწრაფოდ ასულიყო გინეკოლოგიურ საოპერაციო ბლოკში, სადაც ასვლის შემდეგ მას გ. მახარაშვილი გარდაცვლილი დახვდა. იქ მყოფებმა მას სთხოვეს, იქნებ მას შეეტყობინებინა პაციენტის სიკვდილის ამბავი მისი ოჯახის წევრებისათვის.

პაციენტის გარდაცვალების შესახებ მის ნათესავებს ინფორმაცია თავდაპირველად ნინო ლობჯანიძემ მიანოდა.

იმავე დღეს დაიწყო წინასწარი გამოძიება. ნინო ლობჯანიძე, ზვიად ობოლაძე, თინა სვანიძე და სხვა პირები გამოძიების მიერ არაერთხელ იქნენ დაკითხულები. 2005 წლის დეკემბერში ლობჯანიძე, ობოლაძე და სვანიძე გამოძიებამ პროკურატურის შენობაში დაიბარა, სადაც მათი დაკავება მოხდა და ბრალი წაყენათ სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

2006 წლის აპრილს დაიწყო სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა, ხოლო 2006 წლის 9 აგვისტოს ნინო ლობჯანიძე და ზვიად ობოლაძე ცნეს დამნაშავედ და მიესაჯათ 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ნინო ლობჯანიძე შპს „მცხეთის სამხარეო მრავალპროფილიან საავადმყოფოში“ ხელშეკრულებით მუშაობდა დირექტორის მოადგილედ სამკურნალო დარგში. ამავდროულად მას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული საავადმყოფოსთან და მუშაობდა ექიმად. ის ემსახურებოდა მხოლოდ იმ პაციენტებს, რომლებთანაც წინასწარ ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული.

სასამართლო განაჩენით, მას ბრალად შეეარაჯა დანაშაულის ჩადენა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომელიც გულისხმობს:

სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის არასაპატიო მიზეზით მედიცინის მუშაკის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობა, რამაც ავადმყოფის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის ჩამორთმევის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა მაშინ არსებობს, თუ:

1. ავადმყოფი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაშია;
2. არასაპატიო მიზეზით მედიცინის მუშაკის მიერ არ მოხდება გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა, რასაც ავადმყოფის სიცოცხლის მოსპობა უნდა მოყვეს.

თავდაპირველად ყურადღება უნდა გამახვილდეს, იმყოფებოდა თუ არა ავადმყოფი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებებს:

1. რამდენად სწორად მოხდა პაციენტის დიაგნოზირება?
2. ენდომეტრიტი, პელვეოპერიტონიტი არის თუ არა სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა?
3. გარე ორსულობა ითვლება თუ არა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობად?
4. რა დროს გახდა ავადმყოფის მდგომარეობა სიცოცხლისათვის საშიში?

პირველ კითხვაზე პასუხი გაცემული აქვს ექსპერტიზას, რომელიც გარდაცვლილს ჩაუტარდა. ექსპერტიზის დასკვნიდან ჩანს, რომ, რომ დიაგნოზი არ იყო სწორად დასმული, თუმცა ამას წინ



უძღვოდა მთელი რიგი გარემოებები. როგორც ექსპერტების ჩვენებიდან ირკვევა, იმ სიმპტომატიკით, რაც ავადმყოფს ჰქონდა, თუ გათვალისწინებული იქნება ის გარემოებაც, რომ ანამნეზური მონაცემებით (პაციენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციით), მას რამდენიმე დღით ადრე ჰქონდა თვითნებური აბორტი, დასმული დიაგნოზი – ენდომეტრიტი, პელვეოპერიტონიტი – ლოგიკურია. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, დიაგნოზის სიმცდარე ყველასათვის პოსტ-პაქტუმ გახდა ცნობილი. შესაბამისად, ექიმმა ზ. ობოლაძემ დასმული დიაგნოზის ადეკვატური მკურნალობა დაუნიშნა პაციენტს. შესაბამისად, ზ. ობოლაძის მიერ დასმული დიაგნოზი გამომდინარეობდა პაციენტის სიმპტომატიკიდან.

ნ. ლობჯანიძისათვის ზვიად ობოლაძისაგან გახდა ცნობილი პაციენტის მდგომარეობა და დიაგნოზი. ამ უკანასკნელს არ შეიძლებოდა ეჭვი შეეტანა დიაგნოზში, რადგან მას პაციენტი არც კი გაუსინჯავს. მისთვის ასევე ცნობილი იყო, რომ პაციენტის სამედიცინო დახმარების უწყვეტობა დაცული იყო.

რაც შეეხება მე-2 კითხვას – არის თუ არა ენდომეტრიტი და პელვეოპერიტონიტი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა? აღნიშნულ კითხვაზე პასუხისათვის აუცილებელია განვსაზღვროთ, რა ითვლება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობად. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ ასეთ ტერმინს არ იცნობს, თუმცა ანალოგიური შინაარსის მატარებლად არის წარმოდგენილი კრიტიკული მდგომარეობა და მისი განმარტება ასეთია: „კრიტიკული მდგომარეობა – ჯანმრთელობის მოშლის ფორმა, როდესაც ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია და დაუყოვნებელი მკურნალობის გარეშე სიკვდილი გარდაუვალია.“ სწორედ აღნიშნული კრიტიკული მდგომარეობა უნდა განვიხილოთ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობად, როდესაც პაციენტისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობამ შეიძლება მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვიოს. რაც შეეხება დაავადებებს – ენდომეტრიტსა და პელვეოპერიტონიტს – მათ სიცოცხლის მოსპობა არ შეუძლიათ. შესაბამისად პაციენტი, რომელსაც დიაგნოზით დადგენილი აქვს ენდომეტრიტი და პელვეოპერიტონიტი, არ შეიძლება მივიჩნიოთ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფად.

მე-3 კითხვასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარე ორსულობა არ არის სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა. სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა გახდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მას მოჰყვებოდა მილის გახეთქვა და მუცლის ღრუში სისხლდენა. ანუ, მხოლოდ გარე ორსულობა არ უნდა ჩაითვალოს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობად.

რა დროს გახდა ავადმყოფის მდგომარეობა სიცოცხლისათვის საშიში? ავადმყოფის მდგომარეობა სიცოცხლისათვის საშიში ხდება მას შემდეგ, რაც სისხლი იწყებს ჩაღვრას მუცლის ღრუში.

როგორც სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, პაციენტის მდგომარეობის გაუარესება იწყება დაახლოებით 10:40 საათიდან. ამ პერიოდისათვის მისი მკურნალი ექიმი ქალბატონი თინა სვანიძე. დაახლოებით 11 საათზე პაციენტი გადაყავთ რეანიმაციულ განყოფილებაში და უტარდება ექოსკოპია (ულტრაბგერითი გამოკვლევა), რა დროსაც მუცლის ღრუში სითხე არ ჩანს, თუმცა ვერც ორგანოების დათვალიერება ხერხდება, რადგან შარდის ბუშტი ცარიელია. ამის შემდეგ ხდება შარდის ბუშტის ავსება და განმეორებითი ექოსკოპია ტარდება დაახლოებით 13 საათზე. განმეორებითი ექოსკოპიის დროს მუცლის ღრუში ჩანს სითხე და პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას. შეიძლება ითქვას, რომ პაციენტი ამ დროიდან უკვე იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში.

აღსანიშნავია, რომ როგორც სასამართლო სხდომის ოქმიდან ჩანს, ექოსკოპისტი გია ნინოშვილი დასმულ კითხვაზე ცემს შემდეგ პასუხს: მუცლის ღრუში სითხე რომ ყოფილიყო, პირველი ექოსკოპიის დროს გამოჩნდებოდა, მიუხედავად იმისა, შარდის ბუშტი იქნებოდა თუ არა სავსე. შესაბამისად, გამოძიებით ვერ დასტურდება ზუსტი დრო, თუ როდის დაიწყო სისხლმა მუცლის ღრუში ჩაღვრა, თუმცა, თუ ამ უკანასკნელის ჩვენებას დავეყრდნობით, ის 11 საათზე არ იყო თვალსაჩინო. შესა-

ბამისად, პაციენტი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში 11 საათის შემდეგ აღმოჩნდა, როდესაც ის მკურნალი ექიმის, თინა სვანიძის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

შესაბამისად, პაციენტი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც მასთან არანაირი ვალდებულება აღარ ჰქონდა ზვიად ობოლაძეს, როგორც ექიმს, რომ აღარაფერი ვთქვათ ნინო ლობჯანიძეზე.

პაციენტის მდგომარეობა რომ სიცოცხლისათვის საშიში იყო, ექიმებისთვის ცნობილი 13 საათზე გახდა. ნინო ლობჯანიძეს კი ავადმყოფთან შეხება 12 საათის შემდეგ არ ჰქონია. ამ დროს მან ავადმყოფი მოინახულა და მის ოჯახის წევრებს დახმარება შესთავაზა, თუ სისხლი დასჭირდებოდათ. ნინო ლობჯანიძე ამის შემდეგ ოპერაციაზე შედის და ოპერაციიდან გამოსულს გ. მახარაშვილი გარდაცვლილი ხვდება.

აღნიშნული მსჯელობიდან ცხადია, რომ როდესაც ნ. ლობჯანიძეს და ზ. ობოლაძეს შეხება ჰქონდათ ავადმყოფთან, ამ უკანასკნელის მდგომარეობა სიცოცხლისათვის საშიში არ იყო, შესაბამისად მათ მიმართ აღნიშნული მუხლის გამოყენება გაუმართლებელია. ასევე აღსანიშნავია, რომ არც წინასწარი გამოძიების დროს და არც სასამართლო გამოძიებისას უტყუარად არ დადგენილა, თუ როდის იყო პაციენტი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. შესაბამისად, როგორც მინიმუმი, ყველა ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

რაც შეეხება მე-2 ნაწილს:

10 საათიდან პაციენტ გ. მახარაშვილის მკურნალი ექიმი იყო თ. სვანიძე. შესაბამისად, მისი მკურნალობის უწყვეტობა დაცული იყო. ზ. ობოლაძეს მაშინ წარმოეშვებოდა ვალდებულება დახმარებოდა პაციენტს, თუ მას არ ეყოლებოდა ექიმი და საჭირო იქნებოდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. რასაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია. ჯანმრთელობის შესახებ კანონით განმარტებულია, თუ როდის აქვს უფლება ამა თუ იმ პირს აღმოუჩინოს ავადმყოფს გადაუდებელი დახმარება, რომლის განუხორციელებლობაც იქნება დასჯადი ქმედება. ზ. ობოლაძეს ამის ვალდებულება არ ეკისრებოდა, უფრო მეტიც, მას ამის უფლება არ ჰქონდა.

ასევე, არც წინასწარ და არც სასამართლო გამოძიებას არ დაუკონკრეტებია, რომელი ქმედობით (მოქმედებით ან უმოქმედობით) ჩაიდინეს დანაშაული ზვიად ობოლაძემ და ნინო ლობჯანიძემ. ანუ, კონკრეტულად რა არ უნდა გაეკეთებინათ მათ, ან რა ევალდებოდათ და არ გააკეთეს.

როგორც ნ. ლობჯანიძე აცხადებს, მან წინასწარ გამოძიებას წარუდგინა მტკიცებულებები, რომლებიც თავდაპირველად სისხლის სამართლის საქმეში ჩაიდო. კერძოდ, პაციენტების ისტორიები, რომლებსაც მან 22 სექტემბერს დახმარება აღმოუჩინა და ამონაწერი მობილურ ტელეფონზე გამავალი და შემავალი ზარებისა, რომლითაც გამოძიებას შეეძლო კონკრეტული დროის განსაზღვრა, თუ სად იმყოფებოდა იმ მომენტში ნ. ლობჯანიძე და რას აკეთებდა, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურებდა მის უდანაშაულობას. მოგვიანებით, საქმის სასამართლო განხილვისას აღმოჩნდა, რომ საქმიდან ეს მტკიცებულებები ამოღებული იყო. ლობჯანიძის აზრით საგამოძიებო ორგანომ აღნიშნული მასალები განზრახ ამოიღო, რათა ნ. ლობჯანიძის უდანაშაულობის დამამტკიცებელი დოკუმენტები საქმეში არ ყოფილიყო.

აღნიშვნის ღირსია, რომ მიუხედავად განსასჯელების მოთხოვნისა, მოსამართლემ უარი თქვა სასამართლო განხილვის ვიდუო გადაღებაზე. მოგვიანებით, როდესაც სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობის საშუალება მიეცათ უკვე მსჯავრდებულებს, მასში არსებითად შეცვლილი ჩვენებები აღმოაჩინეს. ეს ძირითადად ექსპერტების მიერ მიცემულ ჩვენებებს შეეხება. ისინი დაწერილია არასამედიცინო ენით და ბევრ შემთხვევაში მიცემული ჩვენებიდან არსებითად განსხვავებულ და არცთუ იშვიათად საპირისპირო მოსაზრებებს შეიცავს. სამწუხაროდ დაშვებული შეცდომები და ცვლილებები მიმართულია განსასჯელების საწინააღმდეგოდ.



ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე ცალკე წარმოებად გამოიყო საქმე თინა სვანიძის მიმართ, რომელსაც ნ. ლობჯანიძისა და ზ. ობოლაძისაგან განსხვავებით, ალკევეთ ღონისძიებად გირაო ჰქონდა შეფარდებული. მის მიმართ საქმის განხილვა დღემდე არ განახლებულა.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე, მეუღლე ზვიად ჩოხელი, დღესაც გამოხატავს თავის ნუხილს და შეშფოთებას იმის გამო, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ ნ. ლობჯანიძე და ზ. ობოლაძე, ხოლო, მისი აზრით, დამნაშავე თ. სვანიძე ჯერ კიდევ გაუსამართლებელია. მან ამის შესახებ სასამართლოსაც მიმართა წერილობით.

ყურადღება არის გასამახვილებელი თავად სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზეც. განაჩენში არ ჩანს ჩადენილ ქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის ურთიერთკავშირი. არ ჩანს ქმედობა, რომელიც ჩაიდინეს ნ. ლობჯანიძემ და ზ. ობოლაძემ და რომელიც კანონსაწინააღმდეგო იყო. უფრო მეტიც, სასამართლოს განაჩენი არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან. კერძოდ:

სასამართლოს განაჩენში მითითებულია, რომ (გვ. 2 აბზაცი 2) მან დადასტურებულად ცნო შემდეგი: „ავადმყოფი გადაყვანილ იქნა გინეკოლოგიურ განყოფილებაში, სადაც მორიგე ექიმ-გინეკოლოგის ზვიად ობოლაძის და ამავე საავადმყოფოს დირექტორის მოადგილის სამკურნალო დარგში, მეან-გინეკოლოგის ნინო ლობჯანიძის მიერ გასინჯულ იქნა პაციენტი და დაესვა დიაგნოზი: „პოსტ-ბორტული მწვავე ენდომეტრიტი, პელვიო-პერიტონიტი“, რის საფუძველზეც მათ გ. მახარაშვილს ჩაუტარეს საშვილოსნოს ინსტრუმენტული გამოფხეკვა.“

სასამართლოს მიერ ნებისმიერი ფაქტის დადასტურებულად ცნობა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, რომლებიც საქმის მასალებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამ შემთხვევაში კი მოსამართლემ თავად შეთხზა ისტორია იმის შესახებ, რომ პაციენტს დიაგნოზი ნ. ლობჯანიძემ დაუსვა. ის, რომ დიაგნოზი დასვა მხოლოდ ზ. ობოლაძემ, დასტურდება სამედიცინო ჟურნალში გაკეთებული ჩანაწერითა და მონშეთა ჩვენებით, ხოლო ნ. ლობჯანიძეს არც ჟურნალში აქვს ჩანაწერი გაკეთებული და არცერთი მონშე არ უთითებს იმ ფაქტზე, რომ მან დიაგნოსტიკაში მონაწილეობა მიიღო. უფრო მეტიც, გამოძიებით დადგენილია, რომ ნინო ლობჯანიძემ პირველად მაშინ ნახა პაციენტი, როდესაც ის სამანიპულაციოში ჰყავდა შეყვანილი ექიმ ზ. ობოლაძეს და საშვილოსნოს ღრუს გამოფხეკვას იწყებდა. სასამართლომ, შეიძლება ითქვას, შეგნებულად, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, დადასტურებულად მიიჩნია ფაქტი, რასაც საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება არ ადასტურებს.

სასამართლო ასევე შეგნებულად უთითებს (გვ. 6 აბზაცი 1.), რომ მონშე მაია თანიაშვილმა, რომელიც ექიმ ანესთეზიოლოგად მუშაობს მცხეთის საავადმყოფოში, თითქოსდა ჩვენებით დაადასტურა, რომ როდესაც ის ჩავიდა გინეკოლოგიურ განყოფილებაში, დახვდნენ ზ. ობოლაძე, ნ. ლობჯანიძე და სანიტრები, თუმცა ჩვენებაში აღნიშნულია, რომ ნ. ლობჯანიძე შემოდოდა და გადიოდა, ხოლო კონკრეტული დეტალების გახსენება, თუ როდის შემოვიდა და გავიდა, არ შეუძლია.

სასამართლოს მიერ დაშვებული ამდაგვარი შეცდომები არც თუ მცირეა განაჩენში, რაც მიმართულია იმისაკენ, რომ ნ. ლობჯანიძისა და ზ. ობოლაძის ბრალეულობა არარსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით თვალსაჩინო გახდეს.

სახალხო დამცველის მიერ გაეგზავნა შეკითხვები საქმეში მონშედ დაკითხულ ექსპერტს ა. ქორიძეს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კომისიური ექსპერტიზის საქმიანობაში. მან აღნიშნა, რომ სხდომის ოქმში ასახული მისი ჩვენება არ არის იდენტური მის მიერ მიცემული ჩვენების. მან ასევე დამატებით გვიპასუხა ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე, რომლითაც გამოირიცხა ზვიად ობოლაძისა და ნინო ლობჯანიძის ბრალეულობა. მისივე განცხადებით, ნინო ლობჯანიძეს, როგორც ექიმს, იგი ამ საქმის მიხედვით საყვედურსაც კი არ მიცემდა.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შეამოწმა მცხეთის საავადმყოფო და საექიმო საქმიანობის ლიცენზია შეუჩერა თინა სვანიძეს, ხოლო ნინო ლობჯანიძის პასუხისმგებლობის საკითხი საერთოდ არ დაუყენებია, რადგანაც ჩათვალა, რომ მას პაციენტთან არანაირი კავშირი არ ჰქონია და საკითხი არ უნდა განეხილა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ინფორმაციაზე, რომელიც სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ მიერ გადაიციემოდა, როგორც პაციენტის დალუპვის დღეს, ასევე ექიმების დაკავებისას. „რუსთავი 2-ის“ განცხადებით, გულიკო მახარაშვილის გარდაცვალების მიზეზი არასწორად დასმული დიაგნოზი გახდა. ასევე, სიუჟეტის მიხედვით, მას დიაგნოზად ინფექცია დაუსვეს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

რაც შეეხება ექიმების დაკავების პროცესს, როგორც ჟურნალისტი აღნიშნავს სამ ექიმს საექიმო საქმიანობის უფლება აღარ ექნება (რაც არასწორია). ჟურნალისტი ნანუკა ჟორჯოლიანის სიუჟეტის მიხედვით, ექიმი ნინო ლობჯანიძე ერთადერთი იყო, ვინც გაქცევა სცადა. ის, თითქოს, მცხეთის გასასვლელში დააკავეს და პროკურატურაში მიიყვანეს იმ კოლეგებთან ერთად, რომლებიც ხელს აწერენ პაციენტ გულიკო მახარაშვილისათვის დასმულ დიაგნოზს. აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. ნინო ლობჯანიძე თავად გამოცხადდა სამართალდამცავ ორგანოში და არანაირ გაქცევას ან მის მცდელობას ადგილი არ ქონია. ჟურნალისტის განცხადებით სიკვდილის მიზეზი უყურადღებობა და არასწორი დიაგნოზი გახდა. ნინო ლობჯანიძის მისამართით ჟურნალისტი ამბობს, რომ ის ხელს აწერს დიაგნოზს და ადასტურებს, რომ პაციენტს მხოლოდ ორსულობა შეუწყდა. ამ შემთხვევაშიც ჟურნალისტი არასწორ ინფორმაციას ავრცელებს, რადგანაც არცერთ დოკუმენტში არ მოიპოვება ჩანაწერი, გაკეთებული ნინო ლობჯანიძის მიერ, რომელიც პაციენტ გ. მახარაშვილის დიაგნოზს შეეხება. ჟურნალისტი ასევე აცხადებს, რომ პაციენტი, როდესაც საავადმყოფოში მიიყვანეს იყო მაღალი სიცხით, სისხლდენით და მუცლის მწვავე ტკივილით, რაც ასევე არასწორია. გამოძიების მასალებით არ დასტურდება რომ მას სიცხე ან სისხლდენა ჰქონდა. ჟურნალისტის მიერ დახატული სურათით ყველა დაკავებული ექიმი საზოგადოების თვალში უკვე დამნაშავედ მოინათლა. ჟურნალისტი ასევე აცხადებს, რომ სამივე ექიმს ჩამოერთმევათ საექიმო საქმიანობის უფლება. ასევე სიუჟეტში საუბარია, რომ პროკურატურის ეს გადაწყვეტილება დაფუძნებული იყო ჯანდაცვის სამინისტროს დასკვნაზე, რომელიც ადასტურებდა სამივე ექიმის ბრალეულობას მომხდარზე. რაც ასევე არასწორია.

აღნიშნული საქმის ანალიზი ცალმხრივად აჩვენებს, რომ საგამოძიებო ორგანო, კონკრეტულად კი პროკურატურა, ტენდენციურად იძიებდა საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ როგორც საქმეში მონაწილე ექსპერტებმა, ასევე მოწმეების მიერ მიცემულმა ჩვენებებმა გამოიხატეს მსჯავრდებულების ბრალეულობა, ისინი სისხლისამართლებრივ პასუხისმგებებაში მაინც მიეცნენ, ხოლო მოგვიანებით მოსამართლე გ. ქირიამ უსაფუძვლოდ დამნაშავეებად სცნო და 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

დავით საყვარელიძის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მოქ. მ.საყვარელიძემ 2003 წლის 22 ნოემბერს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების არაობიექტურობასთან დაკავშირებით. როგორც განმცხადებელი მიუთითებს, 2003 წლის 22 ნოემბერს, მათ კერძო მფლობელობაში მყოფ ავტომობილსა და სამხედრო ჯავშანტრანსპორტიორს შორის მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპნენ მისი 23 წლის ვაჟიშვილი დავით საყვარელიძე და და – ეთერ ნულიაშვილი, ხოლო სხეულის დაზიანებები მიიღო ამ უკანასკნელის სამმა მცირეწლოვანმა შვილმა: ბადრი, გოჩა და სოფიკო ნულიაშვილებმა. განცხადებას დართული მასალების შესწავლის შედეგად, მიმაჩნია, რომ საქმეზე გამოძიება წარიმართა ტენდენციურად.



საქმეზე წინასწარ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2003 წლის 22 ნოემბერს, დაახლოებით 18 საათსა და 25 წუთზე, გორგასლის ქუჩაზე ქ. რუსთავიდან თბილისის მიმართულებით მოძრავი ჯავშანტრანსპორტიორი შეეჯახა „ბმვ-ს“ მარკის მსუბუქ ავტომანქანას (სახ. ნომერი №AAD-209). ჯავშანტრანსპორტიორს (სპეციალური სატრანსპორტო საშუალება „ბტრ-1“ №004), რომელიც ეკუთვნოდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სპეციალური ოპერატიული ცენტრის სწრაფი რეაგირების სამმართველოს „დ“ დანაყოფს, მართავდა აღნიშნული დანაყოფის ჯავშანტექნიკის ჯგუფის მძღოლ-მექანიკოსი ავთანდილ მამალაძე.

აღნიშნული ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ ჯავშანტრანსპორტიორი გადაღებეს და ნომერი შეუცვალეს: №004 გადაიქცა №007-ად (იხ. ტ.1. ს.ფ. 71-72), რაც წარმოადგენდა დანაშაულის დამალვის მცდელობას, მაგრამ გამოძიებამ ამ ფაქტზე თვალი დახუჭა. ამ შემთხვევაში იკვეთება თავად გამოძიებლის გ. სხირტლაძის პასუხისმგებლობის საკითხი.

საქმეზე ჩატარებული არაერთი ექსპერტიზა დაბეჯითებით გამოკვეთავს მომხდარ ტრაგედიაში ჯავშანტრანსპორტიორის მძღოლის ბრალეულობას. კერძოდ:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კრიმინალისტიკური და სამედიცინო სასამართლო ექსპერტიზის სამსახურის მიერ 2003 წლის 26 დეკემბრის ტრასოლოგიური ექსპერტიზით (დასკვნა №46/14) დადგენილია: „ავტომობილი „ბმვ“ მოძრაობდა ქ. თბილისის ცენტრიდან ქ. რუსთავის მიმართულებით ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე 10მ სიგანის მშრალ, მოასფალტებულ, ორმხრივი მოძრაობისათვის განკუთვნილ, ჰორიზონტალურ, სწორი პროფილის მქონე გზაზე, ხოლო ჯავშანტრანსპორტიორი მოძრაობდა მის შემხვედრად. გზის აღნიშნულ მონაკვეთზე შეჯახების შემდეგ ჯავშანტრანსპორტიორი არ გაჩერდა და გააგრძელა გზა, ხოლო „ბმვ“ თავისი ინერციის ხარჯზე გადაადგილდა წინ – მარჯვნიდან მარცხნივ (წინა მარცხენა საბურავის დაზიანების გამო) – მისი მოძრაობის მიმართულების მიხედვით და გაჩერდა სავალი ნაწილის მარცხენა მხარეს ბეტონის ბორდიურთან, ისე როგორც დაფიქსირებულია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში თანდართულ სქემაზე. შემთხვევის ადგილზე „ბმვ-ს“ სავალ ნაწილზე აღინიშნება შუშისა და პლასტმასის წვრილი ჩამონაყარი, რომელიც იწყება „ბმვ-ს“ უკანა ნაწილიდან და ვრცელდება 16.1 მეტრ მანძილზე. აღნიშნული ჩამონაყარი განლაგებულია „ბმვ-ს“ სავალი ნაწილის მარჯვენა ნაპირიდან 2.5 მეტრში. გამომდინარე ავტომობილზე არსებული დაზიანებებიდან, შეჯახების კუთხიდან, შემთხვევის ადგილზე არსებული მინის და პლასტმასის ნამტვრევების ჩამონაყარის მდებარეობიდან ცხადად ჩანს, რომ შეჯახების მომენტში ავტომობილი „ბმვ“ იმყოფებოდა სავალი გზის მარჯვენა მხარეს, ხოლო „ბტრ“ გადასული იყო შემხვედრ სამოდრო ზოლზე, ანუ შეჯახება მოხდა „ბმვ-ს“ სავალ ნაწილზე“ (იხ. ტ.1. ს.ფ.133-139).

აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ „ბმვ“ მოძრაობდა არა მხოლოდ თავის გზაზე, არამედ გზის უკიდურეს მარჯვენა მხარეს. თანაც, ეს არის ფართო, ათი მეტრი სიგანის გზა. შესაბამისად, ჯავშანტრანსპორტიორი მთლიანად გადავიდა მოძრაობის საპირისპირო ზოლზე და ისე შეეჯახა „ბმვ-ს“.

მონმის სახით დაკითხვისას, ორივე ჯავშანტრანსპორტიორის ეკიპაჟის წევრები მიუთითებენ მათ საპირისპირო მხარეს დიდი სისწრაფით მოძრავ ავტომანქანა „ბმვ-ზე“ (იხ. ტ.1. ს.ფ. 29-32; 39-41; 66-72), თუმცა საწინააღმდეგო ჩვენებას აძლევს ქ.თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საგზაო პოლიციის განყოფილების უფროსი ინსპექტორი გ.პარკაძე. იგი მონმის სახით დაკითხვის ოქმში მიუთითებს, რომ თავის მენყვილე ვეფხია შავრეშიანთან ერთად 2003 წლის 22 ნოემბერს მორიგეობდა ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩაზე, შემთხვევის ადგილიდან რამოდენიმე ასეულ მეტრში. მისი მორიგეობის პერიოდში ქ.თბილისის მხრიდან სწრაფად არ ჩაუვლია მსუბუქ ავტომანქანას (როგორც ამას უთითებენ საბრძოლო ჯავშანმანქანაში მყოფი პირები თავიანთ ჩვენებებში). წინააღმდეგ შემთხვევაში, დაშვებულ სიჩქარეზე სწრაფად მოძრავ მანქანას იგი აუცილებლად დააფიქსირებდა. რაც შეეხება სამხედრო ჯავშანმანქანებს, გ. პარკაძე აღნიშნავს

(იხ. ტ.1. ს.ფ.92-93), რომ მათი სიჩქარე იყო დაახლოებით 70-80 კმ/სთ-ში და ორივე ჯავშან-ტრანსპორტიორზე ზემოდან ისხდნენ ბიჭები. თუმცა შემდგომ, 2004 წლის 31 აგვისტოს, დამატებითი დაკითხვის დროს მონმე გ.პარკაძემ თავისი პირველი ჩვენება შეცვალა და ჯავშანტრანსპორტიორების სიჩქარე მიუთითა 50კმ/სთ. (იხ. ტ.2. ს.ფ. 97-104). **რაც შეეხება გ. პარკაძის მენჯილეს, ვ. შავრეშიანს, ის გამოძიების მიერ არცერთ ეტაპზე დაკითხული არ არის.**

ეს ორი ფაქტი – პარკაძის მიერ ჩვენების შეცვლა და შავრეშიანის დაკითხვაზე უარის თქმაც საქმის შეგნებულად გაყალბების სურვილზე მიუთითებს. 2 წლისა და 8 თვის განმავლობაში ამ საქმის ძიება პერიოდულად წყდება და შემდეგ ისევ გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში არც ერთ გამოძიებულსა და არც ერთ უწყებას, რომელიც გამოძიებას აწარმოებდა, არ გასჩენია სურვილი, დაეკითხა ისეთი მნიშვნელოვანი მონმე, როგორც შავრეშიანია.

2. თუმცა, შავრეშიანის დაკითხვის გარეშე, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე პროკურატურას უნდა დაეწყო სისხლისამართლებრივი დევნა ჯავშანტრანსპორტიორის მძღოლის მიმართ, მაგრამ ამის ნაცვლად გამოძიებამ, 2003 წლის 29 დეკემბერს, საქმეზე დანიშნა **რიგით მეორე ავტოტექნიკური ექსპერტიზა**. ექსპერტიზას უნდა დაედგინა, ტექნიკური თვალსაზრისით შეეძლოთ თუ არა ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლებს ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება და ჰქონდათ თუ არა მათ დარღვეული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კანონის მოთხოვნები,

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კრიმინალისტიკური და სამედიცინო სასამართლო ექსპერტიზის სამსახურის მიერ 2004 წლის 16 იანვრის ტრასოლოგიური ექსპერტიზით (დასკვნა №85/13) დადგენილია, რომ „მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში, ჯავშანტრანსპორტიორის მძღოლის ავთანდილ მამალაძის მოქმედება არ შეესაბამება საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების“ შესახებ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რომლის შესრულებითაც მას შეეძლო შეჯახების თავიდან აცილება; ავტომობილ „ბმვ“-ს მძღოლზე შეჯახების თავიდან აცილება არ იყო დამოკიდებული და მის მოქმედებაში საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მოთხოვნათა უგულვებელყოფა არ აღინიშნება“ (იხ. ტ.1. ს.ფ.143-145).

ამის შემდეგ, ქ.თბილისის რეგიონის სამხედრო პროკურატურის გამომძიებლის გ.სხირტლადის 2004 წლის 10 თებერვალის დადგენილებით აღიძრა სისხლისამართლებრივი დევნა (იხ. ტ.1. ს.ფ.170-171) ა. მამალაძის მიმართ საქართველოს სსკ-ის მე-400 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით. იმავე წლის 13 თებერვალს ა.მამალაძე ცნობილ იქნა ეჭვმიტანილად მითითებული დანაშაულის ჩადენაში და იმავე დღეს დაიკითხა ეჭვმიტანილის სახით (იხ. ტ.1. ს.ფ 176-179). ეჭვმიტანილ ა. მამალაძის მიმართ არ იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. მას ჩამოერთვა ხელწერილი (იხ. ტ.1. ს.ფ.180), რომ არ დაემალებოდა გამოძიებას და პირველი გამოძიებისთანავე გამოცხადდებოდა ნებისმიერი საგამომძიებო მოქმედებების ჩასატარებლად.

თუმცა, სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებობს 2004 წლის 19 თებერვლით დათარიღებული გამომძიებლის ოქმი (იხ. ტ.1. ს.ფ.199), სადაც მითითებულია, რომ 2004 წლის 18 თებერვალს 14:20 საათზე გამომძიებელი დაუკავშირდა ეჭვმიტანილ ა. მამალაძეს მობილურ ტელეფონზე, რომელიც აღნიშნულ დროს იყო გამორთული. ამის შემდეგ, ის დაუკავშირდა სახელმწიფო უშიშროების ოფიცერს ა.მამაგვიშვილს, რომელსაც უთხრა, რომ ეჭვმიტანილი ა. მამალაძე 19 თებერვალს გამოცხადებულიყო სამხედრო პროკურატურაში საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილეობისათვის, თუმცა ეჭვმიტანილი ა. მამალაძე პროკურატურაში არ გამოცხადდა. ეჭვმიტანილ ა. მამალაძის აღნიშნული ქმედება გამოძიების მიერ არ იქნა სათანადოდ შეფასებული და დარჩა რეაგირების გარეშე. სსსკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ეჭვმიტანილი არ შეასრულებს თავის საპროცესო მოვალეობას (გამოძახებისთანავე გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელ ორგანოში), მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონით გათვალისწინე-



ბული სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება. აქედან გამომდინარე, სსსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, გამომძიებელი უფლებამოსილი იყო, ეჭვმიტანილ ა.მამალაძის მიმართ გამოეყენებინა სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება.

ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნები სრულიად საკმარისი იყო ეჭვმიტანილ ა. მამალაძისათვის ბრალის წასაყენებლად, თუმცა გამომძიებლის მიერ ეს არ გაკეთებულა.

3. ამის შემდეგ, 2004 წლის 17 თებერვალს, გამოძიების მიერ დაინიშნა დამატებითი ერთობლივი ტრასოლოგიური-ავტოტექნიკური, **რიგით მესამე**, ექსპერტიზა, თუმცა დამატებითი ექსპერტიზის საჭიროება არ არსებობდა, რადგან წინა ორ ექსპერტიზას გაკეთებული ჰქონდა კატეგორიული დასკვნები, რასაც ექსპერტები იშვიათად აკეთებენ ხოლმე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კრიმინალისტიკური და სამედიცინო სასამართლო ექსპერტიზის სამსახურის მიერ ჩატარებული დამატებითი ერთობლივი ტრასოლოგიური-ავტოტექნიკური ექსპერტიზით (2004 წლის 26 თებერვალის დასკვნა №45/13-46/14) კიდევ ერთხელ **კატეგორიულად** დადასტურდა ჯავშანტრანსპორტიორის მძღოლის ა. მამალაძის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა. დასკვნაში ნათქვამია, რომ შეჯახების დროს „...ავტომანქანა „ბმვ“ მთლიანად იმყოფებოდა თავისი სავალი ნაწილის მარჯვენა მხარეს (დაახლოებით 2.5 მეტრში თავისი მარცხენა ნაწილით). შედიოდნენ რა შეჯახების შემდეგ სატრანსპორტო საშუალებები მარცხენა გვერდით ერთმანეთთან კონტაქტში, ავტომობილ „ბმვ-ს“ მარცხენა ნაწილი თითქმის მთლიანად დაზიანდა. შეჯახებისთანავე „ბმვ-ს“ წინა მარცხენა საბურავში მოხდა წნევის დაცემა, რის გამოც ურთიერთკონტაქტის დამთავრების შემდეგ ავტომობილი „ბმვ“ ნარჩენი კინეტიკური ენერჯის ხარჯზე გადაადგილდებოდა მარჯვნიდან მარცხნივ, თავისი მოძრაობის მიმართულების მიხედვით და შემობრუნდა საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით, რის შემდეგაც მოხდა ავტომობილის კინეტიკური ენერჯის ჩახშობა და იგი გაჩერდა საპირისპირო მოძრაობისათვის განკუთვნილი სავალი ნაწილის უკიდურეს მარჯვენა მხარეს ისე, როგორც ეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში და მასზე თანდართულ სქემაზეა დაფიქსირებული.“ **დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ მოცემულ ვითარებაში საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა არ შეიძლება განვითარებულიყო ისე, როგორც ამას მიუთითებენ თავიანთ ჩვენებებში ეჭვმიტანილი ა. მამალაძე და მასთან ერთად მყოფი მოწმეები: ი. ლომიძე, ლ. ჩიხლაძე, ს. ყოლბაია, ნ. იასაშვილი და მ. მაღლაფერიძე (იხ. ტ.1. ს.ფ.201-202)**

4. ამის შემდეგ, უნდა მომხდარიყო ეჭვმიტანილ ავთანდილ მამალაძისათვის ბრალის წაყენება, მაგრამ ნაცვლად ამისა, 11 მარტს კიდევ ერთხელ დაინიშნა **მეოთხე** – ახლა უკვე საკომისიო ტრასოლოგიური-ავტოტექნიკური ექსპერტიზა, ამჟამად უკვე იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრში. ზედამხედველი პროკურორი ი. ბალათურია 2004 წლის 1 მარტს ავალებს გამომძიებელ გ. სხირტლაძეს, დანიშნოს საკომისიო ექსპერტიზა, ვინაიდან მიაჩნია, რომ მანამდე ჩატარებული ტრასოლოგიური და ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნები არ არის დასაბუთებული, მიუთითებს, რომ ექსპერტებს დადგენილი არა აქვთ სატრანსპორტო საშუალებების კვალი და მათი წარმოშობის მექანიზმი, ასევე არ არის დადგენილი, როდის მოხდა საპირისპირო სამოძრაო ზოლზე ამა თუ იმ ავტომანქანის გადასვლა. ამ მომენტიდან ჩნდება ექსპერტების წინაშე კითხვა – შეჯახების ზუსტი ადგილის განსაზღვრის შესახებ, რასაც შემდგომ ჩატარებულმა ვერცერთმა ექსპერტიზამ ვერ გასცა პასუხი. თუმცა, აღნიშნული საკითხის გარკვევით ვერ გაბათილდებოდა ის ფაქტი, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ავტომობილ „ბმვ-ს“ სავალ ნაწილზე და, რომ „ბმვ-ს“ მძღოლს არ დაურღვევია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნები, რაც დადასტურებულია პირველი სამი ექსპერტიზის დასკვნებით.

რიგით მეოთხე დასკვნა შედგა 1 აპრილს (იხ. ტ.1. ს.ფ.221-227) და ამ დასკვნაში უკვე იწყება საქმის გარემოებების სხვაგვარად წარმოჩენა, თუმცა ვერც ამ ექსპერტიზამ უარყო, რომ **საყვარელიძის მოქმედებაზე არ იყო დამოკიდებული ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება.**

რამდენადაც საქმის ყველა გარემოება გარკვეული იყო, გამოძიებას, ნაცვლად ამ კითხვების დასმისა, პირდაპირ უნდა დაეწერა საბრალდებო დასკვნა და საქმე სასამართლოში წარემართა, რაც არ გაკეთდა, რაშიც იკვეთება საქმის მწარმოებელი გამოძიებლის გ. სხირტლაძისა და ზე-დამხედველი პროკურორის ი.ბალათურიას პასუხისმგებლობის საკითხი.

- 5. ამის ნაცვლად კი თბილისის რეგიონის სამხედრო პროკურატურის პროკურორს გ. სხირტლაძეს 2004 წლის 07 აპრილს გამოაქვს კიდევ ერთი დადგენილება დამატებითი, ამჟამად უკვე **რიგით მეხუთე** ტრასოლოგიური ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ექსპერტიზის ჩატარება ისევე იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრს დაევალა. დაზარალებული მარიამ საყვარელიძე უარს აცხადებს დამატებითი ექსპერტიზის ჩატარებაზე, მაგრამ მას არავინ უსმენს (იხ. ტ.2. ს.ფ. 12-15).

დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნის პარალელურად, პროკურორი გ. სხირტლაძე, რომელიც, როგორც ჩანს, კარგად ხედავს, თუ რამდენად ეწინააღმდეგება წინა ექსპერტიზების დასკვნებსა და, შესაბამისად, რეალობასაც, ბოლო, 1 აპრილის ექსპერტიზა, კითხვას უგზავნის თბილისის საგზაო პოლიციის უფროსს, შემთხვევით, ზუსტად იმ დღეს, ზუსტად იმ ადგილზე, ზუსტად იმ დროს, რაიმე სხვა ავტოსაგზაო შემთხვევა ხომ არ მომხდარაო! პასუხი, რასაკვირველია, უარყოფითია (იხ. ტ.2. ს.ფ. 16-17).

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, როცა საბრალდებო დასკვნის დაწერა იყო დარჩენილი, მივიღეთ სრულიად მოულოდნელი შედეგი: საქმე, რომელშიც ყველაფერი დადგენილი და გამოძიებული იყო, 19 აპრილს ამოღებული იქნა თბილისის რეგიონის სამხედრო პროკურორის უწყებრივი საგამოძიებო ქვეგანყოფილებიდან და შემდგომი გამოძიებისათვის გადაეგზავნა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს (იხ. ტ.2. ს.ფ.6-8) ანუ, პრაქტიკულად, გამოძიებული საქმე „შემდგომი გამოძიებისთვის“ გადაეცა იმ უწყებას, რომლის თანამშრომლებიც არიან ეჭვმიტანილი ამ დანაშაულის ჩადენაში. გადაცემა მოხდა 2004 წლის 19 აპრილს და დადგენილებას ხელს აწერს მაშინდელი გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი, ოღონდ დადგენილებაში არ ჩანს, რაღა უნდა გამოიძიონ შემდგომმა გამოძიებლებმა.

აღნიშნულიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება – პროკურატურას არ სურს საქმის სასამართლოში გადაგზავნა.

19 მაისს დაიდო კიდევ ერთი ახალი, **რიგით მეხუთე**, დასკვნა (№561/13-562/14), რომლის ავტორებიც უკვე შეუძლებლად მიიჩნევენ იმის გარკვევას, თუ როდის მოხდა „საპირისპირო ზოლზე ამა თუ იმ აქციონის გადასვლა“. თუმცა, ვერც ეს ექსპერტიზა გაექცა იმის აღიარებას, რომ „სატრანსპორტო საშუალებათა ურთიერთკონტაქტს ადგილი უნდა ჰქონოდა ავტომობილ „ბმვ-ს“ სამოდროო ზოლში. **მართალია, აქ კატეგორიული ტონი უკვე გაქრა, მაგრამ დასკვნის მომდევნო ნაწილი ისევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „საქმის ასეთი ვითარებაში ატომობილი „ბმვ-ს“ მძღოლს დავით საყვარელიძის მოქმედებაზე არ იყო დამოკიდებული ა\საგზაო შემთხვევის თავიდან აცილება“.** მეორე მხრივ, ექსპერტებს მოჰყავთ ჯავშანტრანსპორტორის მგზავრების ჩვენებები და ასკვნნიან, რომ მათი ჩვენებების მიხედვით ჯავშანტრანსპორტორის მძღოლს ავთანდილ მამალაძეს არ შეეძლო ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება (იხ. ტ.2. ს.ფ. 19-34).

ამ ჩვენებების მიხედვით მათ დაინახეს, როგორ დაეჯახა „ბმვ“ და როგორ დატრიალდა, რაც პირველი ჩვენებების მიხედვით, მათ საერთოდ არ დაუნახავთ. 28 ნოემბერს (ჯავშანტრანსპორტორის №004 ეკიპაჟის წევრები) მოწმის სახით დაკითხული ი. ლომიძე, 8 დეკემბერს მოწმის სახით დაკითხული თ. ყოლბაია და ჩიხლაძე აღნიშნავენ, რომ შეამჩნიეს დიდი სისწრაფით მოძრავი „ბმვ“, რომელიც დაეჯახა მათ ჯავშანტრანსპორტორს და გაჩერდა მათ უკან გვერდულად, არც ერთი მათგანი არ მიუთითებს „ბმვ“-ის დატრიალებაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოწმე იური ლომიძე 09 დეკემბერს დამატებით დაკითხვისას აზუსტებს ეკიპაჟის წევრების ჯავშანტრანსპორტიორზე განლაგების სქემას. მისი ჩვენებიდან ირკვევა, რომ იგი იჯდა კოშკურაზე



ზემოდან, მძლოლისგან მარჯვნივ, უკანა მარჯვენა ლუკიდან მარჯვენა მხარეს აკონტროლებდა თ. ყოლბაია, რომელსაც თავი ჰქონდა გარეთ; ლ. ჩიხლაძე, რომელიც იჯდა ზედ კოშკურაზე, უკანა მხარეს აკონტროლებდა. ეკიპაჟის დასახელებული წევრების ჯავშანტრანსპორტორზე განლაგებიდან გამომდინარე, ისინი დაინახავდნენ „ბმვ-ეს“ დატრიალებას, თუ ამას ჰქონდა ადგილი.

მთლიანობაში, ეს დასკვნა უკვე იმდენად არის გაყალბებული, რომ იგი ამ ექსპერტიზის ავტორების სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველს იძლევა. თუმცა, ბოლომდე გაყალბება მათაც ვერ გაბედეს და დასკვნაში უამრავი კითხვის ნიშანი დატოვეს, ოღონდ აქ იკვეთება ერთი ნიშანი. ექსპერტებმა ვერ დამალეს ის ფაქტი, რომ მინისა და პლასტმასის ჩამონაყარის განლაგება და სხვა მასალები სწორედ საყვარელიძის უდანაშაულობას ცხადყოფს და ამას მხოლოდ ჯავშანტრანსპორტორის მძლოლისა და მგზავრების ჩვენებებს და საკუთარ საეჭვო ვარაუდებს უპირისპირებენ.

ჯავშანტრანსპორტიორის მძლოლისა და მგზავრების ჩვენებები კი, ცხადია, ტენდენციურია და მათზე დაყრდნობით ობიექტურ მასალებში ეჭვის შეტანა სხვა არაფერია, თუ არა საქმის გაყალბების მცდელობა და სურვილი.

6. 19 მაისის ექსპერტიზის დასკვნაც №561/13-562/14 არ აღმოჩნდა საკმარისი საქმის საბოლოოდ გასაყალბებლად და 2004 წლის 21 ივნისს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრების მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკი ვ. სადათიერაშვილი 21 ივნისს კიდევ ერთ, **რიგით მეექვსე** – განმეორებით კომპლექსურ ტრასოლოგიურ-ავტოტექნიკურ ექსპერტიზას ნიშნავს (ტ.2. ს.ფ.47-49).

19 ივლისს გენერალური პროკურორის მოადგილე კახა კობერიძე მესამედ აგრძელებს გამოძიების ვადას – 23 სექტემბრამდე – ისევე ექსპერტიზის პასუხის მიღებისთვის საჭირო დროის გამო (ტ.2 ს.ფ. 71-72).

„საკომისიო განმეორებითი კომპლექსური ტრასოლოგიურ-ტექნიკურ“ ექსპერტიზის ჩატარება დაევალა შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოს. შს მინისტრი კი ამ დროს უკვე ირაკლი ოქრუაშვილია, რომელმაც საქმე თავის დროზე „შემდგომი გამოძიებისათვის“ იმ უწყებას გადაუგზავნა, რომლის თანამშრომელმაც მოახდინა ავტოსატრანსპორტო შემთხვევა. შსს-ს ექსპერტიზა უკვე კატეგორიულად ამბობს, რომ წარმოდგენილი მასალები არ არის საკმარისი სრულყოფილი გამოკვლევის ჩასატარებლად და უარს ამბობს დასკვნის გაცემაზე (ტ.2 ს.ფ. 91-94); ასევე ექსპერტიზა ვერ ჩაატარეს თავდაცვის სამინისტროს საექსპერტო სამსახურისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შპს „საექსპერტიზის“ ექსპერტებმა, ვინაიდან მათ მოცემულ სს საქმეზე უკვე ჩატარებული ჰქონდათ ექსპერტიზები და, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, განმეორებით ველარ მიიღებდნენ მონაწილეობას (ტ.2. ს.ფ. 78).

7. 4 ოქტომბერს გამომძიებელი ვ. სადათიერაშვილი ნიშნავს **რიგით მეშვიდე** დამატებით საკომისიო კომპლექსურ ტრასოლოგიურ-ავტოტექნიკურ ექსპერტიზას (ტ.2. ს.ფ.100-124). ექსპერტიზის ჩატარება კვლავ დაევალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოს, რომელიც ისევე უარს აცხადებს ექსპერტიზის ჩატარებაზე იმავე მოტივით (სს საქმის მასალები არ იძლევა საშუალებას ჩატარდეს სრულყოფილი ექსპერტიზა), რა მოტივითაც უარი თქვა 7 ივლისს გამოტანილ ექსპერტიზის ჩატარების დადგენილების შესრულებაზე (ტ.2. ს.ფ. 130-132).
8. 27 ოქტომბერს გამომძიებელი ვ.სადათიერაშვილი ნიშნავს **რიგით მერვე** საკომისიო კომპლექსურ ტრასოლოგიურ-ავტოტექნიკურ ექსპერტიზას (ტ.2. ს.ფ.140-143). ექსპერტიზის ჩატარება დაევალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კრიმინალისტიკური და სამე-

დიცინო სასამართლო ექსპერტიზის სამსახურს. 19 ნოემბერს გენერალური პროკურორი ზ. ადე-იშვილი გამოძიების ვადას მეხუთედ აგრძელებს 2005 წლის 23 იანვრამდე (ტ.2. ს.ფ.145-147), შემდეგ კი მეექვსედ – 23 მარტამდე (ტ.2. ს.ფ.169-171), რადგან ექსპერტიზის პასუხს ვადა სჭირდება. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კრიმინალისტიკური და სამედიცინო სასამართლო ექსპერტიზის სამსახური ისევ უარს ამბობს ექსპერტიზის ჩატარებაზე (იხ.ტ.2. ს.ფ.148).

საბოლოოდ, 2005 წლის 30 აპრილს ვ.სადათიერაშვილმა გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ავთანდილ გივის ძე მამალაძის მიმართ, რომელიც დაამტკიცა საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა ა. ხვადაგიანმა. დადგენილების თანახმად, შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა, „ვინაიდან ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო“ (იხ.ტ.2 ს.ფ.217-228).

9. აღნიშნული დადგენილება გაუქმდა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ს.ციციციძის 2005 წლის 5 ივნისის დადგენილებით, რომელიც ძალაში დატოვა ქ.თბილისის საოლქო სასამართლომ. სასამართლო სხდომაზე დაზარალებულ მ. საყვარელიძის მიერ მიცემული ჩვენების მიხედვით, უშიშროების თანამშრომლის, აჩიკო მამაგეიშვილის დავალებით მასთან მივიდნენ მისი შვილის – დავით საყვარელიძის მეგობრები, რომლებმაც მას მორიგება შესთავაზეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ აუცილებელი იყო აღნიშნულ პირთა დაკითხვა იმის გასარკვევად, თუ რაში დასჭირდა დაზარალებულ მხარესთან გარიგებაზე წასვლა, რა იყო გარიგების მოტივი და მიზანი. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ უნდა მომხდარიყო ა/მანქანა „ბმვ-ში“ მჯდომი არასრულწლოვანების, გოჩა და ბადრი ნულიაშვილების დაპირისპირება „ბტრ-ში“ მსხდომ პირებთან. სასამართლოს დადგენილებაში მითითებული მოთხოვნები გამოძიების მიერ არ შესრულებულა.

სისხლის სამართლის საქმეზე შემდგომი გამოძიება ჩატარდა საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების მიერ. 2006 წლის 23 თებერვალს ქ. თბილისის პროკურატურის შს ორგანოებში სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორის მ.ლოლობერიძის დადგენილებით კვლავ შეწყდა სს №1003544 საქმე ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო.

10. სს საქმის შეწყვეტის დადგენილება დაზარალებულმა მ.საყვარელიძემ გაასაჩივრა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში. მოსამართლე ჯ. კობალიანის 2006 წლის 22 მაისის დადგენილებით გაუქმდა 2006 წლის 23 თებერვლის ქ. თბილისის პროკურატურის დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ და სისხლის სამართლის საქმე წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად დაუბრუნდა ქ. თბილისის პროკურატურას.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქმის უშიშროების სამინისტროსათვის გადაცემის დროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა გ. ღვინიაშვილი, რომელიც ამჟამად ქ.თბილისის პროკურორია და რომლის დაქვემდებარებაში მყოფ უწყებასაც დაუბრუნდა სისხლის სამართლის საქმე გამოძიების ჩასატარებლად.

ინასარიძე-ლევინის საქმე

2003 წლის 18 დეკემბერს დაახლოებით 17 საათსა და 20 წუთზე შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო მ/სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა ლ. ლევინმა ადმინისტრაციული წესით დააკავა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოქ. გ. ინასარიძე. გ. ინასარიძეს დაკავებისას ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა და აღმოაჩნდა საეჭვო ფხვნილის სახის ნივთიერება. მოგვიანებით სამართალდამცველთა მიერ შემოწმდა აღნიშნული ნივთიერება



და გაირკვა, რომ იგი არ წარმოადგენდა ნარკოტიკულ საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაკავებული მიეცა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში.

გ. ინასარიძე მოთავსებულ იქნა შს სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორში, რის შემდეგაც 2003 წლის 20 დეკემბერს 9 საათზე, მისსავე საკანში, აღმოჩენილ იქნა გ. ინასარიძის გვამი. ის ჩამოკიდებული იყო ორიარუსიანი საწოლის მეორე იარუსზე ყელზე გაკეთებული მარყუჟით.

2003 წლის 20 დეკემბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე გ. ინასარიძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე.

2004 წლის 27 ივნისს აღიძრა და აღნიშნულ საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო სისხლის სამართლის №0604887 საქმე ლ. ლევიძისა და სხვათა მიმართ. ლ. ლევიძე პასუხისგებაში იქნა მიცემული სს კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 341-ე მუხლით.

2005 წლის 1 ივნისს თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა ლ. ლევიძის ბრალდების საქმე და გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. საბრალდებო დასკვნა ეყრდნობა: ნათელა, ტარიელ, ნატო, მანანა ინასარიძეების ჩვენებებს და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნას.

სასამართლო დაეთანხმა საბრალდებო დასკვნით წარდგენილ ბრალდებას და განსასჯელს მიუსაჯა 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და ორი წლით ჩამოართვა თანამდებობის დაკავების უფლება.

განაჩენი კასაციის წესით გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში როგორც დაცვის, ასევე ბრალდებისა და დაზარალებულის მხარეებმა. დაცვის მხარე ითხოვდა ბრალდების მოხსნას და განსასჯელის გათავისუფლებას, ხოლო ბრალმდებელი და დაზარალებული ითხოვდნენ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნებას, რადგანაც მიაჩნდათ, რომ გამოტანილი სასჯელი არ იყო ადეკვატური და განსასჯელს ეკუთვნოდა სასჯელის უფრო მკაცრი ზომა.

2006 წლის 2 მარტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მოსამართლეების: დ. სულაქველიძის (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ი. ტყეშელაშვილის, ნ. კვანტალიანის შემადგენლობით განიხილა საჩივარი და გამოიტანა განჩინება. განჩინებით უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ბრალდებულის საჩივარი, ცვლილებები შეიტანა განაჩენში, განსასჯელს მოცემული ბრალის კვალიფიკაცია შეუცვალა სს კოდექსის 342-ე მუხლით და სამსახურებრივი გულგრილობისათვის მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 9 თვით.

თბილისის საოლქო სასამართლო თავის განაჩენში დაეყრდნო დაზარალებულის უფლებამონაცვლის ნ. ინასარიძის, მონაწილის: ნ. ინასარიძის, მ. ინასარიძის და ტ. ინასარიძის (ისინი არიან გ. ინასარიძის შესაბამისად: და, რძალი და ძმა) ჩვენებებს, „საქართველოს ტელეკომი“-დან და შპს „მაგთიკომი“-დან გაცემულ ოფიციალურ ინფორმაციას, ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს განცხადებების რეგისტრაციის ჟურნალს, აღნიშნული სამმართველოს №80/05-40 წერილს, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასა და ექსპერტ კ. ერისთავის ჩვენებას, საიდანაც ირკვევა, რომ ლ. ლევიძემ არ უზრუნველყო გ. ინასარიძის დაკავების შესახებ მისი ახლობლებისთვის შეტყობინების განხორციელება, დაკავების ოქმში გაკეთებული ჩანაწერი შეტყობინების შესახებ არ ასახავს რეალობას და გ.ინასარიძის გვამზე აღნიშნებოდა მსუბუქი ხასიათის ფიზიკური დაზიანებები, რომლებიც მიყენებული ჰქონდა სიკვდილამდე 1-3 დღით ადრე.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ლევიძემ ძალადობის გამოყენებით ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება – უკანონოდ დააკავა გ.ინასარიძე და მიაყენა მსუბუქი დაზიანებები. ამასთან, მან ჩაიდინა სამსახურებრივი სიყალბე პირადი მოტივით – შეიტანა ყალბი მონაცემები დაკავების ოქმში საკუთარი კანონდარღვევის დასაფარავად.

საკასაციო სასამართლომ გამოიჩინა სრული სიმკაცრე ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ და გამოიყენა კანონით მინიჭებული ყველა ბერკეტი ყოველგვარი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადასაწყვეტად. მან საქმის მასალებიდან გამომდინარე არ მიიჩნია განაჩენი ობიექტურად, რადგან ჩათვალა, რომ ბრალი სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით არ დასტურდებოდა, ვინაიდან საქმეში არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ ძალადობა, რამაც ფიზიკური დაზიანებები მიაყენა დაკავებულს, განხორციელდა კონკრეტულად ლ. ლევიძის მიერ. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და გ. ინასარიძის უკანონოდ დაკავების დასადასტურებლად. ასევე, არ დაადასტურა ლ. ლევიძის ბრალი სსკ-ის 341-ე მუხლის ნაწილიც, რადგანაც საქმეში არ არის საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებდა ჩვენებებს ლ. ლევიძის მიერ დაკავებულისათვის შეტყობინების გაკეთების უფლების მიცემის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე ლ. ლევიძემ მისცა უფლება დაკავებულს, განეხორციელებინა სატელეფონო ზარი, მაგრამ გამოიჩინა გულგრილობა და აღარ გააკონტროლა, თუ სად რეკავდა სინამდვილეში გ. ინასარიძე.

აქედან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ლევიძემ ჩაიდინა სამსახურებრივი გულგრილობა – არ გააკონტროლა დაკავებულის უფლების რეალური განხორციელება, არ უზრუნველყო მისთვის პირადი ნივთების დროული დაბრუნება, არ მიაღწენა თვალყურის დათვალით უფლების შემდგომ მართლა გავიდა თუ არა გ. ინასარიძე სამინისტროს შენობიდან და თუ არ გავიდა, ვისთან და რა მიზეზით დარჩა. თუ მართლაც გავიდა სამინისტროდან, შეეძლო თუ არა მას სახლამდე მისვლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ პროკურატურამ საქმე არ გამოიძია სრულყოფილად, არ შეკრიბა საკმარისი მტკიცებულებები ლ. ლევიძის ბრალის დასამტკიცებლად, რამაც, მიუხედავად საოლქო სასამართლოს განაჩენისა, საბოლოოდ გამოიწვია მის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნის უარყოფა და ყველა არსებული ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა.

ამასთან, სასამართლო უფლებამოსილი იქნებოდა გამოეყენებინა სსკ-ის 50-ე მუხლი და გამოეტანა კერძო დადგენილება სხვა პოლიციელთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებზე, რომ არა გამოძიების მიერ პრაქტიკულად „ჩაფარცხული“ გამოძიება. დარღვევებზე, რომელთა შესახებაც სასამართლოს ჩვეულებრივ უნდა გამოეტანა კერძო დადგენილება, არსებობს სხვა სისხლის სამართლის საქმეები. გარდა გ. ინასარიძის თვითმღვლელობამდე მიყვანის საქმისა (№0603941), 2004 წლის 15 ოქტომბერს მთანმინდა-კრწანისის პროკურატურის გამოძიებულმა ვ. ცანავამ გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის №0604887 საქმიდან (ლ. ლევიძისა და სხვათა მიმართ) სისხლის სამართლის ახალი №0604937 საქმის (დაუდგენელ პირთა მიმართ) ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ. გამოძიებულმა აღნიშნული დადგენილება მიიღო იმის გათვალისწინებით, რომ წინასწარ გამოძიებას უკვე დადასტურებული ჰქონდა ლ. ლევიძის ბრალი და მის მას უნდა გამოცხადებოდა წინასწარი გამოძიების დამთავრება, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ პოლიციის თანამშრომლებს, პროკურატურას კონკრეტულად არცერთის მიმართ არ ჰქონდა შერაცხული ბრალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასრულებულია ლ. ლევიძის ბრალდების საქმის გამოკვლევა, ხოლო, თვით გ. ინასარიძის დაკავებასა და გარდაცვალების ფაქტის და მათზე ჩატარებული გამოძიების (გამოძიებების) კანონიერების გამოსაკვლევად საჭიროა შესწავლილ იქნას №0603941 და №0604937 სისხლის სამართლის საქმეები.



ხშირია შემთხვევები, როცა პროკურატურა არ იწყებს გამოძიებას სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილ მონიტორინგის ოქმების საფუძველზე, სადაც თავისუფლებაზე ზღუდული პირები აღნიშ-



ნავენ პოლიციისა თუ სასჯელაღსრულების ორგანოების თანამშრომლების მიერ მათზე განხორციელებულ ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ზემოქმედების ფაქტებს. მონიტორინგის ოქმის მიღების შემდეგ გამომძიებელი თუ პროკურორი ხდება დაკავებულს (ბრალდებულს), ესაუბრება მას და ადგენს ოქმს, რომელშიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი უარყოფს მის მიმართ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ფაქტს.

გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზეპირ გამოკითხვას – „გასაუბრებას“ როგორც საპროცესო მოქმედებას. ამდენად, სრულიად შესაძლოა, რომ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულმა პირებმა უარყონ მათზე განხორციელებული წამებისა და ღირსებისშემლახავი მოპყრობის ფაქტები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გარკვეული გარიგების სანაცვლოდ. აქედან გამომდინარე, საფრთხე ექმნება წამებისა და ღირსებისშემლახავი მოპყრობის ფაქტების ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარებას, რასაც ითვალისწინებს როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ისე საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო დოკუმენტები (სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია). ასე მაგალითად:

2006 წლის 9 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა შსს №2 დმი-ის შემონმებისას ნახეს დაკავებულ იმედა ჭრელაშვილზე არსებული ფიზიკური დაზიანებები, რაც დაკავებულის განცხადებით, მიაყენეს ისანი-სამგორის რაიონის პირველი განყოფილების თანამშრომლებმა. აღნიშნულის საფუძველზე ქ.თბილისის პროკურორს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს და შსს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსს მივმართეთ წერილით და თანდართული დოკუმენტაციით, რათა მიეღოთ კანონით გათვალისწინებული ზომები.

ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურიდან გვეცნობა, რომ ამავე რაიონის პროკურორი გ. კონდახიშვილი ისანი-სამგორის პროკურატურის შენობაში შეხვდა ბრალდებულ იმედა ჭრელაშვილს, რომელმაც ზეპირი გამოკითხვისას განაცხადა, რომ დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებს მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ და მათ მიმართ პრეტენზია არ ჰქონდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიციის მუშაკების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 144¹ და 143² და 143¹ მუხლებით არ დაწყებულა.

6 სექტემბერს იუსტიციის სამინისტროს სად №1 საპყრობილის დირექტორი ლევან მარუაშვილი რამდენიმე პიროვნებასთან ერთად შევიდა ერთ-ერთ საკანში, სადაც იმყოფებოდნენ პატიმრები მიხეილ კერესელიძე, ოთარ ბაბოევი, თამაზ შავეშოვი და გურამ ვაშაკიძე. ლევან მარუაშვილი პატიმრებს დაწესებულების ახალ დირექტორად წარუდგა. მან პატიმრებს მობილური ტელეფონების ჩაბარება მოსთხოვა და თან დაემუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ნივთს „ჩაუდებდა“ და სასჯელს დაუმატებდა. როცა ჩხრეკის შემდეგ საკანში უკანონო ნივთი არ აღმოჩნდა, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა პატიმრები ცალ-ცალკე გაიყვანეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. პატიმრებს გარეგნული დათვალიერების შედეგად აღენიშნებოდათ სხეულის დაზიანებები ზურგისა და ფეხის არეში. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს პატიმრებს და ოქმები შეადგინეს, რაც შემდგომი რეაგირებისათვის გაეგზავნა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს გიორგი ლაცაბიძეს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსს პავლე კოვზირიძეს და საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოს.

შემდგომ, პატიმრებს საპყრობილის დირექტორის ოთახში შეხვდნენ და გაესაუბრნენ გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოს თანამშრომლები, ა. ნადარეიშვილი და ზ. ბეგიაშვილი. საუბარს ესწრებოდნენ საპყრობილის დირექტორი ლევან მარუაშვილი და მისი მოადგილე, რომელთა იქ ყოფნაც პატიმრებზე ერთგვარ ზეწოლის საშუალებად აღიქმებოდა და ხელს

უშლიდა შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების ეფექტურ გამოძიებას (აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა წერილი გაუგზავნა გენერალურ პროკურატურას). ეს ფაქტი სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა შემთხვევით აღმოაჩინეს. კითხვაზე, თუ რა პროცესუალური მოქმედება ხორციელდებოდა და რატომ ესწრებოდნენ ადმინისტრაციის წარმოდგენლები ამ მოქმედებას, გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა უპასუხეს, რომ ოფიციალურად არანაირი საპროცესო მოქმედება არ ხორციელდებოდა და ისინი უბრალოდ „ესაუბრებოდნენ“ პატიმრებს 6 სექტემბრის ფაქტთან დაკავშირებით.



აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: როდესაც პროკურატურა იწყებს გამოძიებას სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით (მომხდარ ფაქტზე), სისხლის სამართლებრივი დევნა კონკრეტულ პირებზე აღარ იწყება, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აშკარა საფუძველი და, საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად, ვლინდება პირთა ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში. ასე მაგალითად:

2006 წლის 27 მაისს, დილით, სოფელ აჩაბეთის მკვიდრი 8 ქართველი ახალგაზრდა მამაკაცი, ცხინვალის გავლით, ყინვისში სალოცავად მიდიოდა. ოსმა სამართალდამცავებმა საბუთების შემოწმების მიზნით ისინი დააკავეს და ადგილობრივი უშიშროების სამმართველოს შენობაში გადაიყვანეს. დაკავებულები დაკითხეს და შემდგომ გაუშვეს. ამ ფაქტს ქართული მხრიდან მოჰყვა ყოველად გაუმართლებელია რეაქცია: თბილისიდან ჩასულმა სპეცრაზმელებმა სხვადასხვა ადგილას დააკავეს 40-ზე მეტი ოსი ეროვნების მოქალაქე და ჩაიყვანეს გორის პოლიციაში, სადაც 12 ადამიანს უშუალოდ სპეცრაზმელებმა მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა. დაკავებულთაგან ითხოვდნენ ელიარებინათ, რომ იყვნენ ე.წ. „აპალჩენცები“ ან დაესახელებინათ ის „აპალჩენცები“, რომლებსაც იცნობდნენ. დაკავებულებს გახადეს ტანსაცმელი, ზოგს მხოლოდ წელს ზემოთ, ზოგს წელს ქვემოთაც, ურტყამდნენ ნიხლებს, მუშტებს, პლასტმასის ცარიელ ბოთლებს, სველ პირსახოცს, რომლის ერთი ბოლო განასკვული იყო. ერთ-ერთ დაკავებულს, ედუარდ თედავეს კი პისტოლეტით გაუტყვნეს თავი. აგინებდნენ უშვერი სიტყვებით. ცემა დაახლოებით ნახევარი საათიდან ერთი საათამდე გრძელდებოდა;

გორის პოლიციის შენობაში მომხდარ წამების ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურორს წინასწარი გამოძიების დაწყების მოთხოვნით. შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება განზრახ უკანონო დაკავების ფაქტზე, თუმცა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში არცერთი პირი არ მიუციათ.



სახალხო დამცველს დახმარებისათვის მომართავენ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილი პირები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ პროკურატურის მხრიდან დანაშაულში ბრალდებულ პირებთან საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე. კერძოდ, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას არ ხდება საჯარო ინტერესის, ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინება და მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებთან პროკურატურა მიდის გარიგებაზე (მაშინ როცა, დანაშაულების მიმართ გამოცხადებულია „წულოვანი ტოლერანტობა“).

მაგალითად: მ/წ 28 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა სასჯელზე საპროცესო შეთანხმება, რომელიც დადებული იყო პროკურორსა და განსასჯელებს, ა. და ს. მატინიანებს, შორის. მათ ბრალი ედებოდათ მძიმე დანაშაულში, როგორცაა ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით. სასჯელის სახით მათ შეეფარდათ 3 წელი, საიდანაც 1 წელი შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 2 წელი შეეცვალათ პირობით გამოსაცდელი ვადით. საპროცესო შეთან-



ხმების დამტკიცებით მოსამართლემ დაარღვია სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი (პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მესამედი, ვინაიდან მატინიანებს ჩადენილი ჰქონდათ მძიმე დანაშაული, მოსამართლე უფლებამოსილი არ იყო, შეფარდებული სასჯელიდან 2 წელი შეეცვალა პირობით, გამოსაცდელი ვადით). აღნიშნულ ფაქტზე სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ემსჯელა მოსამართლის ქმედების კანონიერებასთან დაკავშირებით, საიდანაც გვეცნობა, რომ საქმეზე დაწყებულია წარმოება.

■ ხშირად პროკურატურა ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით ა/ლონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებაზე. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს დაპატიმრებას იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც კანონით დადგენილია თავისუფლების აღკვეთა 2 წლით ან მეტი ვადით, მაგრამ თუ დანაშაული მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი არაა და დაპატიმრებამ შეიძლება გამოიწვიოს ბრალდებულის ჯანმრთელობისათვის მძიმე შედეგი, არ არის აუცილებელი, რომ პროკურატურამ მოითხოვოს დაპატიმრება, როგორც აღკვეთის ღონისძიება. **ასე მაგალითად:**

2006 წლის 20 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანებით, ბრალდებულ მ.ჯ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა 2 თვიანი პატიმრობა სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის (თაღლითობა) მეორე და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. მ.ჯ. დაავადებული იყო სიმსივნით. ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დანესებულებაში მას გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა და საჭიროებდა გადაუდებელ სტაციონალურ მკურნალობას. 2006 წლის 16 აგვისტოს იგი გადაიყვანეს ონკოლოგიურ საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა ოპერაცია, თუმცა 2 დღის შემდეგ მ.ჯ. გარდაიცვალა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დანაშაულში ბრალდებულ პოლიციის თანამშრომელთა მიმართ პროკურატურა იჩენს ლოიალობას და მძიმე დანაშაულის შემთხვევაშიც კი, სასამართლოში შედის შუამდგომლობით პოლიციელთა მიმართ არასაპატიმრო ა/ლონისძიების მოთხოვნით. ასე მაგალითად:

მოქალაქე **ა. ოგანესიანმა** მიმართა სახალხო დამცველს და მიუთითებდა ისანი-სამგორის შს სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლების მიერ მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე (ცემა-წამება). აღნიშნულზე სახალხო დამცველის აპარატმა არაერთხელ მიმართა ქ. თბილისის პროკურატურას. პროკურატურიდან გვეცნობა, რომ პოლიციის ორი თანამშრომელი მიეცა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, თუმცა ა/ლონისძიების სახით მათ შეეფარდათ გირაო.

პროკურატურასთან და ზოგადად გამოძიებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ისეთი პრობლემური საკითხი, როგორიცაა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების არასწორი განმარტება და პრაქტიკაში გამოყენება. სამართლის ნორმათა განმარტება რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია, თუმცა ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგამოძიებო პრაქტიკას, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის მიმართულებით, მით უმეტეს, როცა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ამოცანაა დაიცვას მხარეთა უფლებები.

მაგალითად, წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისას დაცვის მხარეს არ ეძლევა საშუალება, მიიღოს ისეთი მნიშვნელოვანი მტკიცებულების ასლი, როგორიცაა ექსპერტიზის დასკვნა. დაცვის მხარე იძულებულია ხელით გადაინეროს დასკვნის შინაარსი. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 366-ე მუხლი ადგენს მხარის უფლებას გაცენოს და მიიღოს ექსპერტის დასკვნა, მათ ექმნებათ პრობლემები ამასთან დაკავშირებით. დასკვნის გაცნობა თავისთავად გულისხმობს მისი ასლის მიღებასაც, ვინაიდან ასლის მიღება წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკურ საშუალებას.

საქართველოს სახალხო დამცველს არაერთმა მოქალაქემ მომართა ფინანსური პოლიციის უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით. ეს ეხება როგორც ექვმიტანილთა დაკავებისას გამოყენებულ არა-ადეკვატურ ძალას (ცემა, იარაღის გამოყენება), ისე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დროს მოქალაქეთა უფლებების ხელყოფას.

ადამიანის უფლებათა დარღვევის მხრივ გამოირჩევა ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველო. მოქალაქეები ხშირად მიუთითებენ თავად სამმართველოს უფროსზე, ზურაბ არსოშვილზე, როგორც მოძალადეზე:

ნიკოლოზ ფოსურის საქმე

ა/ნ 17 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა შიდა ქართლის შს სამხარეო სამმართველოს დროებით მოთავსების იზოლატორში მოინახულეს დაკავებული ნიკოლოზ ფოსური, რომელსაც აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები სახის, ზურგისა და ქვემო კიდურების არეში, მას შემდგომ დაუდგინდა ტვინის შერყევა.

ნიკოლოზ ფოსურმა განაცხადა, რომ მის საცხოვრებელ სახლში, გორის რაიონის სოფელ ფლავში, მივიდნენ ფინანსური პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც ფიზიკურ შეურაცხყოფა მიაყენეს აყენებდნენ მის დედას, დასა და ფეხმძიმე მეუღლეს, რომელიც ნააქციეს. ნ. ფოსური მივიდა მეუღლის მისაშველებლად, მაგრამ ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ის შეაკავეს და დაუწყეს ცემა, დაადეს ბორკილები და უფრო სასტიკად გააგრძელეს მისი ცემა.

შემდგომ ის წაიყვანეს ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოში, ავტონამქანაში კვლავ გრძელდებოდა მისი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. როდესაც ნ.ფოსური ეკითხებოდა მათ, თუ რა იყო მისი დაკავების მიზეზი, ფინანსური პოლიციის თანამშრომლები არ პასუხობდნენ და აგრძელებდნენ ფიზიკურ ძალადობას. ის შეიყვანეს სამმართველოს უფროსის ზურაბ არსოშვილის კაბინეტში. ამ უკანასკნელმა შესთავაზა, დაესახელებინა კონტრაბანდისტების ვინაობა, რის სანაცვლოდ დაჰპირდა გათავისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაინყებდნენ მის მიმართ გამოძიებას მძიმე მუხლით. როდესაც ნ.ფოსურმა უარი განაცხადა შეთავაზებულ წინადადებაზე, იგი ჩაიყვანეს ქვედა სართულზე, ბორკილებით მიაბეს გათბობის რადიატორს და ამ მდგომარეობაში ამყოფეს დაახლოებით ორი საათი. ამ პერიოდში მასთან მივიდა ერთ-ერთი პოლიციელი, გახადა სისხლში ამოსვრილი მათისური და მისცა სხვა მათისური. შემდგომ ნ.ფოსური გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში როგორც ექვმიტანილი კონტრაბანდული სიგარეტის შექმნა-შენახვაში, თუმცა შემთხვევის თვითმხილველი მეზობლები აცხადებენ, რომ ნიკოლოზ ფოსურს არ ჰქონია სახლში კონტრაბანდული სიგარეტი და თავად ფინანსური პოლიციის თანამშრომლები ცდილობდნენ, ჩაედოთ სიგარეტი ფოსურის სახლში, რისი საშალებაც არ მისცეს.

ნიკოლოზ ფოსურმა ასევე აღნიშნა, რომ მისი დაკავების დროს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს უფროსი ზურაბ არსოშვილი, რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღი ჩაარტყა თავში და აიძულა, ჩამჯდარიყო მანქანაში.

სახალხო დამცველმა სათანადო მასალები გადააგზავნა გენერალურ პროკურატურაში გამოძიების დასაწყებად. გამოძიება დაიწყო, თუმცა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში ჯერჯერობით არავინ მიეცა.

ფინანსური პოლიციის მიერ ჩადენილ სხვა მსგავს უკანონო ქმედებების შესახებაც მიმართა სახალხო დამცვემა პროკურატურას, თუმცა ფინანსური პოლიციის არცერთი თანამშრომელი არ დასჯი-



ლა. უფრო მეტიც, მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2005-2006 წლებში ფინანსური პოლიციის არცერთ თანამშრომელს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტზე არ დაჰკისრებია დისციპლინური სახდელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაუსჯელობის სინდრომი განაპირობებს ფინანსური პოლიციის მიერ უკანონო ქმედებების ჩადენას.

ფინანსური პოლიციის სპეცრაზმის ოპერაცია

2006 წლის 17 თებერვალს გორის რაიონის სოფელ დირბში ფინანსური პოლიციის სპეცრაზმმა დააკავა გივი მაზნიაშვილი, ლევან ტეტენაშვილი, თეიმურაზ ქუთათელაძე, მამუკა მუშკიაშვილი, ზურაბ კარენიძე, ზაურ ლაზარაშვილი, ვალერი ტეტუნაშვილი, ვალერი თეთრუაშვილი, ნიკოლოზ გულიაშვილი და ტრისტან მუშკიაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ მათ არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ სპეც-დანიშნულების რაზმისთვის, ისინი სასტიკად სცემეს (იარაღის კონდახებით ურტყამდნენ თავისა და სახის არეში). მათ წარედგინათ ბრალდება სსკ-ის მე-200 (მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა) და 353-ე მუხლებით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ).

ფინანსური პოლიციის სპეცრაზმის წევრების მიერ დაკავებულთა მიმართ მიყენებული ფიზიკური დაზიანებების ხარისხიდან გამომდინარე, გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ გადააჭარბეს თავიანთ უფლებამოსილებას. განსაკუთრებით გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა ტრისტან მუშკიაშვილს, მას მხედველობა ცალ თვალში (ცემის შედეგად) მნიშვნელოვნად დაუქვეითდა.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რომ შეესწავლათ ზემოაღნიშნული საკითხი, ასევე გამოძიების დამთავრებამდე უფლებამოსილება შეჩერებოდათ ზემოხსენებულ ოპერაციაზე პასუხისმგებელ პირებს.

გენერალური პროკურატურიდან გვეცნობა, რომ საქმეზე დაკითხულია მოწმეები და დაზარალებულები, ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები (მსუბუქი ხარისხის დაზიანება დაფიქსირდა), მაგრამ ვინაიდან სპეცრაზმელები იყვნენ ნიღბებში, დღემდე არ დამდგარა კონკრეტული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

ჩვენს წინა მოხსენებაში ჩვენ დავაყენეთ რეკომენდაცია, რომ სხვადასხვა უწყებების სპეცრაზმების მიერ ნიღბების ტარება მკაფიო ამოსაცნობი ნიშნების გარეშე აძნელებს ამ პირების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების გამოძიებას და ეს პრაქტიკა უნდა შეიცვალოს.

დავით ნასყიდაშვილის საქმე

2006 წლის 20 მაისს დავით ნასყიდაშვილს და ივანე ვაშაკიძეს ამ უკანასკნელის კუთვნილი „გაზელის“ ტიპის ავტომანქანით გორის რაიონის სოფელ ტირძნისიდან ბათუმის მიმართულებით სარეალიზაციოდ გადაჰქონდათ ვაშლი. დაბა სურამთან ისინი იძულების წესით გააჩერეს უცნობმა პირებმა (გაეცნენ როგორც პოლიციის თანამშრომლები, თუმცა არც ფორმა ეცვათ და არც მათ მანქანას ჰქონდა პოლიციის ნიშანი). დ. ნასყიდაშვილი დაუსხლტა თავდამსხმელებს, ხოლო ივანე ვაშაკიძე მოკლული იქნა თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით.

შემდგომ, როცა დ. ნასყიდაშვილი დაბრუნდა შემთხვევის ადგილას, პოლიციის თანამშრომლებმა ის წაიყვანეს ხაშურის პოლიციაში, სადაც უთხრეს, რომ დაკავებული ჰყავდათ ი. ვაშაკიძის მკვლე-

ლობაში ეჭვმიტანილი ფინანსური პოლიციის თანამშრომლები და ჰკითხეს შეძლებდა თუ არა მათ ამოცნობას. მან განაცხადა, რომ ამოცნობას შეძლებდა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პიროვნებები დ. ნასყიდაშვილს არ წარუდგინეს ამოსაცნობად და განუცხადეს, რომ მკვლეელი ის იყო. თუმცა მკვლელობის ბრალდება დ. ნასყიდაშვილს არ წაყენებია.

შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსმა ზ. არსოშვილმა განაცხადა რომ ფინანსური პოლიციის სამი თანამშრომელი შემთხვევით შეესწრო დაყაჩაღების ფაქტს.

მოკლულ ი. ვაშაკიძის ოჯახი მკვლელობაში ადანაშაულებენ ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს, მიუთითებენ რომ თუ ადგილი ჰქონდა ყაჩაღობას, მაშინ ყაჩაღობისთვის ხელსაყრელი ადგილი იქნებოდა გზის ის მონაკვეთი, რაც ავტომობილმა გაიარა სოფელ ტირძნისიდან ცენტრალურ მაგისტრალამდე (გზა გადის მინდვრებზე და საავტომობილო მიმოსვლა ნაკლებია) და არა ცენტრალური გზა.

ი. ვაშაკიძის მკვლელობის საქმე დღემდე გაუხსნელია.



აღსანიშნავია ასევე ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახურის მიერ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას ადამიანის უფლებათა ხელყოფის ფაქტები. ეს ეხება სატვირთო ავტომობილების მძღოლებს და მათ დალუქულ მანქანებს. კერძოდ, როდესაც იწყება გამოძიება კონტრაბანდის საქმესთან დაკავშირებით, ხდება როგორც კონტრაბანდული საქონლის, ისე სატვირთო ავტომანქანების ამოღება, რომლებშიც განთავსებულია ეს საქონელი. შემდეგ ინიშნება სასაქონლო ექსპერტიზა, რომელიც ჭიანურდება 5-6 თვის განმავლობაში (გაურკვეველია რა მიზეზით). ამ პერიოდის მანძილზე ავტომანქანები გაჩერებულია ტერმინალში, მძღოლები კი, რომელთაც არანაირი კავშირი არა აქვთ დანაშაულთან და მათი ოჯახები, რომელთა შემოსავლის წყარო მხოლოდ ეს სატვირთო ავტომანქანებია, რჩებიან საარსებო წყაროს გარეშე და განიცდიან უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურატურას, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს, რათა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ დროულად მოხდეს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და ავტომანქანების მესაკუთრეთათვის დაბრუნება, თუმცა რეკომენდაცია არ იქნა გაზიარებული და მსგავს ქმედებების რეციდივს მაინც აქვს ადგილი.



შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს პოლიციის სისტემის რეფორმირების მუხედევად, აშკარაა პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები.

საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“ განსაზღვრავს პოლიციის საქმიანობის პრინციპებს. კერძოდ, კანონის მე-4 მუხლის თანახმად, „პოლიციის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმისა და საქვეყნოობის პრინციპებს“. პოლიცია მოვალეა, თანაბრად პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და თავისუფლებები ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

სამწუხაროდ, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ანალიზი ნათელყოფს პოლიციელთა მხრიდან ზემოაღნიშნული პრინციპების დარღვევას სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს, რაც გამოიხატება ძალის გადაჭარბებულად გამოყენებასა და დაკავებულების ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში, იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერებების ჩადებაში. სამართალდამცველთა საქმიანობაზე უარყოფითად მოქმედებს პოლიციელთა ეთიკის კოდექსის არარსებობაც. ევროპიც საბჭოს წამების სანინააღმდეგო კომიტეტი ჯერ კიდევ 2003 წელს საქართველოში ვიზიტისას საუბრობდა პოლიციელთა ეთიკის კოდექსის აუცილებლობაზე, რომლის შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს პოლიციელთა ეთიკის ევროპის კოდექსში დადგენილი სტანდარტები. ამჟამად ეთიკის კოდექსის პროექტი გაგზავნილია საერთაშორისო ორგანიზაციებში ექსპერტიზისათვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, მას უახლოეს მომავალში მიიღებენ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცეცხლსასროლი იარაღის არაადეკვატურ გამოყენებას, რაც უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებას. კანონი პოლიციელს ანიჭებს იარაღის გამოყენების უფლებას მხოლოდ უკიდურესი ღონისძიების სახით, ამ დროს მათ უნდა დაიცვან პროპორციულობისა და უკიდურესი აუცილებლობის პრინციპები. უკიდურესი აუცილებლობის პრინციპი განმარტებულია, როგორც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა სხვა საშუალება უშედეგო აღმოჩნდება ან მათი გამოყენებით სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა.

პოლიციის მიერ ძალის გამოყენების შედეგად, 2005 წელსა და 2006 წლის პირველ ნახევარში დაღუპულია 33 დასაკავებელი პირი. მათ შორის, 2005 წელს 22 პირი, ხოლო მიმდინარე წლის 2 მაისამდე – 11. ორ მაისს თბილისში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ პოლიციის ოპერაციების შედეგად დაღუპულთა რიცხვმა მკვეთრად იკლო.

სამართალდამცავებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის განწევის შედეგად 2006 წელს დაიღუპა შინაგან საქმეთა სამინისტროს 10 თანამშრომელი. სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2004 წლიდან იკლო დაღუპულ თანამშრომელთა რიცხვმა. კერძოდ: 2004 წელს პოლიციის ოპერაციების დროს შსს 28 თანამშრომელი დაიღუპა, ხოლო 2005 წელს კი – 21.

2 მაისის თბილისის სპეცოპერაცია

პოლიციელთა მხრიდან ძალის არაადეკვატური გამოყენების მაგალითია 2 მაისს ჩატარებული **სპეცოპერაცია** თბილისის ცენტრში სანაპიროს ქუჩაზე. კერძოდ, ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე, 2006 წლის 2 მაისს პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, პოლიციელების მიერ ავტომატქანა „ბმვ“-ს მიმართულებით გახსნილი იქნა ინტენსიური ცეცხლი, რომლის შედეგადაც მანქანაში მსხდომი სამი ახალგაზრდიდან ერთ-ერთი, ბონდო ფუთურაძე მძიმედ დაიჭრა, ხოლო ალექსანდრე ხუბულური და ზურაბ ვაზა-

გაშვილი ადგილზე დაიღუპნენ. ქ. თბილისის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლით (მკვლელობა დამნაშავეის შეპყრობის აუცილებელი ზომის გადაცილებით).

სპეცოპერაცია ჩატარდა კორტებთან, ხალმხრავალ ადგილას, რაც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 ნაწილით აკრძალულია.

ა/ნ 23 მაისს, ადვოკატმა გ. მოსიაშვილმა გამოძიებლის წინაშე დააყენა შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმეზე ზ. ვაზაგაშვილის დედის, ც. შანავას დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ. ა/ნ 25 მაისის დადგენილებით გამოძიებელმა ვ. ლაცუზბაია და შემდეგ ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორმა ი. იმერლიშვილმა არ დააკმაყოფილეს შუამდგომლობა და მიუთითეს, რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, რადგან გამოძიების პროცესში ტარდებოდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები და დანიშნული იყო სხვადასხვა სახის ექსპერტიზები, რომელთა შეფასებისას დადგინდებოდა, ჰქონდა თუ არა დანაშაულის ჩადენას ადგილი პოლიციელთა მხრიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებული არის სახელმწიფო, იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შედეგად. ვინაიდან გამოძიება მიმდინარეობს პოლიციის მუშაკების მიერ დამნაშავეის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით მკვლელობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლით, მიზანშეწონილად მიგვაჩნდა სისხლის სამართლის საქმეში გარდაცვლილის დედის ციალა შანავას დაზარალებულის სტატუსით მონაწილეობა, ისევე, როგორც ეს ხორციელდება სხვა სახის დანაშაულების შედეგად დაზარალებულებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით რეკომენდაციით მივმართე გენერალურ პროკურორს, დაზარალებულად ეცნო ქ-ნი ც. შანავა. 2006 წლის 7 ივლისს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ზ. ვაზაგაშვილის დედა ციალა შანავა.

მ/ნ 20 სექტემბერს, სახალხო დამცველს განცხადებით მომართეს ადვოკატებმა ირმა ჭყაღუამ და მალხაზ ჯანგირაშვილმა დაზარალებულის უფლებამონაცვლის საპროცესო უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, კერძოდ, გამოძიებელი ვ. ლაცუზბაია დაზარალებულის უფლებამონაცვლეს უარს ეუბნებოდა ექსპერტიზის დასკვნების ასლების გადაცემაზე და მგლოვიარე დედას იძულებულს ხდიდა, ხელით გადაეწერა მისი შვილის ტანსაცმელზე და სხეულზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 366-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დროს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს: გაეცნოს ექსპერტიზის დასკვნებს, მისი მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღის შემდეგ აღძრას შუამდგომლობა დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. მიმაჩნია, რომ ექსპერტიზის დასკვნის გაცნობა თავისთავად გულისხმობს მისი ასლის მიღებასაც, ვინაიდან ასლების გადაღება ამ შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკურ საშუალებას და ყოველად გაუმართლებელია შვილმკვდარი დედის განვალება.

2006 წლის 21 სექტემბერს რეკომენდაციით მივმართე ქ. თბილისის პროკურორს, უზრუნველყო ექსპერტიზის დასკვნების ასლების სახით მიღება, რაც არ იქნა გაზიარებული.

შესაბამისად, გამოძიების მხრიდან დაზარალებულის უფლებამონაცვლისთვის ასეთი სახით დაბრკოლებების შექმნა ეჭვს ბადებს, გამოძიების მიერ სისხლის სამართლის პროცესის ამოცანის – დაიცვას დაზარალებულის უფლებები და თავისუფლებები – უგულვებელყოფაზე. სსსკ-ის 44-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდების მხარეს წარმოადგენს პროკურორი, აგრეთვე დაზარალებული, თუმცა



ამას ვერ ვიტყვით მოცემულ საქმეზე, რადგან გამოძიება ყოველმხრივ შეეცადა არ ჩაეხედა საქმეში ც. შანავას და არ ეცნო იგი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, არ მისცა ექსპერტიზის დასკვნების ასლი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს გამოძიების არაობიექტურობაზე. მიუხედავად დევოკატების არაერთი შუამდგომლობისა, ყოველივე ამის შემდეგ გამოძიებელი ვ. ლაცუზბაიას აცილებაზე პროკურატურის მხრიდან მათ უარი მიიღეს.

მართალია გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლით (მკვლელობა დამნაშავეის შეპყრობის აუცილებელი ზომის გადაცილებით), მაგრამ სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პოლიციელების მიმართ არ დაწყებულა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ექსპერტიზის დასკვნები რამოდენიმე თვეა გამოძიებას აქვს, მაგრამ ჯერჯერობით კანონშესაბამისი გადანყევტილება არ მიღებულა და ფაქტზე გამოძიება გრძელდება, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა მომხდარზე დადგეს პოლიციის თანამშრომელთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, ეფექტურად გამოიძიოს პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენების შედეგად გარდაცვალებით დასრულებული თითოეული შემთხვევა და პასუხი გასცეს ყველა კითხვას, მითუმეტეს კონკრეტულ საქმეზე საკმაოდ ბევრი კითხვა დაგროვდა, კერძოდ:

1. სპეცოპერაციის დღეს სხვადასხვა ვერსია გავრცელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების მხრიდან, პირველი – რომ კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდებოდა ჩასაფრება, ხოლო მეორე, თითქოს პოლიცია ახორციელებდა თვალთვალს და თვალყურს ადევნებდა ე.წ. „დანაშაულებრივი ჯგუფის“ გადაადგილებას. ორივე შემთხვევაში ისმის კითხვა – მაინცდამაინც კორტებთან, ხალმხრავალ ადგილას რატომ განხორციელდა სპეცოპერაცია? („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 ნაწილი კრძალავს ცეცხლსასროლი იარაღის ისეთ ადგილებში გამოყენებას, სადაც შესაძლოა სხვა პირთა დაშავება...).
2. შსს-ს ვერსიით, მათ ჰქონდათ ინფორმაცია ყაჩაღობის მომზადების ფაქტზე და მისი განხორციელების ადგილზე, მაშინ რატომ არ განხორციელდა ჩასაფრება დანაშაულის შესაძლო ჩადენის ადგილას?
3. შსს აცხადებდა, რომ პოლიცია თვალთვალს ახორციელებდა და ჰქონდა სატელეფონო ჩანაწერები „დანაშაულებრივი ჯგუფის“ შეხვედრის ადგილზე და მარშრუტზე, მაშინ რატომ არ მოხდა მათი ცალ-ცალკე აყვანა, თუნდაც მანქანაში ჩასხდომის დროს?
4. შსს-ს ინფორმაციით, სპეცოპერაციისას დალუპულები ეჭვმიტანილები იყვნენ ლომბარდის გაძარცვაში, მაშინ რატომ არ მოხდა მანამდე მათი დაკავება ძარცვის ფაქტზე? (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმე არ არსებობს, სადაც დალუპული პირები ეჭვმიტანილად არიან ცნობილი).
5. სპეცოპერაციის დასრულებისთანავე შსს-ს და სხვა მაღალჩინოსნებმა საჯაროდ დადებითად შეაფასეს სპეცოპერაცია, რასაც შეიძლება ხელი შეუშალოს შემდგომი გამოძიების ობიექტურობას.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული სპეცოპერაცია უნდა შეფასდეს მინიმუმ როგორც არაკვალიფიციურად, წარუმატებლად და დაუდევრად ჩატარებული, რასაც ორი ადამიანის დალუპვა მოჰყვა და საფრთხე შეექმნა მრავალი ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ვინაიდან, დილის დაახლოებით 10 საათი ეს ის დროა, როდესაც კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე ხალმრავლობაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იქ შუქნიშანია და სპეცოპერაციის დაწყების დროს ავტომანქანების მოძრაობა შეჩერებული იყო. ამ დროს მიდიან ბავშვები კორტებზე სავარჯიშოდ (პოლიციელთა სამიზნის უკან ჩოგბურთის მოედანია, სადაც უამინდობის გამო შემთხვევით არ თამაშობდნენ ბავშვები).

აუცილებელია, რომ პოლიციის მხრიდან გადაჭარბებული ძალის გამოყენების ფაქტზე გამოძიება ჩატარდეს მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კომპეტენტური ადამიანების მიერ.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 თავი, რომელიც არეგულირებს ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებას, არის ზოგადი ხასიათის, იგი საჭიროებს დეტალიზებას ძალის გამოყენების პროპორციულობისა და უკიდურესი აუცილებლობის პრინციპების გათვალისწინებით.

შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის სპეცოპერაცია სარფის საბაჟოზე

რაც შეეხება პოლიციის თანამშრომლების მიერ დაკავებულების ცემის ფაქტებს, არის შემთხვევები, როცა თავად შსს-ს მაღალი თანამდებობის პირები ამეტებენ თავიანთ უფლებამოსილებას და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ დაკავებულებს. 2006 წლის 8 თებერვალს სარფის საბაჟოსთან შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასავლეთის სამმართველოს ხელმძღვანელის, დავით მინდიაშვილის მიერ ჩატარდა სპეცოპერაცია, რომლის დროსაც დააკავეს ოთხი მესაზღვრე – ქონდარიძე, მიქელაძე, თავართქილაძე და დვალაძე. დაკავებულებს შს სამინისტროს თანამშრომლებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, მიუხედავად იმისა, რომ მათ არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. დაკავებულები უშუალოდ მიუთითებდნენ შსს-ს გენერალური ინსპექციის დასავლეთის სამმართველოს ხელმძღვანელზე დავით მინდიაშვილზე.

ზემოაღნიშნულზე საქართველოს სახალხო დამცველმა, წინასწარი გამოძიების დაწყების მიზნით, მისაღები გაუგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს, რომელმაც გვაცნობა, რომ აჭარის ა/რ პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, თუმცა ჯერჯერობით სისხლის სამართლის პასუხისგებაში არავინ მიუციათ.

რევაზ ცალანის საქმე

2005 წლის 10 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმელებმა (რევაზ ცალანის ინფორმაციით: მალხაზ ნიკლაური, ტარიელ ფრუიძე, სოლომონ ხორბალაძე) და მესტიის რაიონის პოლიციის თანამშრომელმა თემურ ჩიქოვანმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს რევაზ ცალანს. კერძოდ, ერთ-ერთმა მათგანმა დაარტყა სახის არეში, იგი წაიქცა, რის შემდეგაც ოთხივე მათგანმა დაუწყო ფეხებით ცემა. მოქალაქე რ. ცალანის მიმართ ფიზიკური ძალადობა გაგრძელდა მესტიის რაიონის პოლიციაშიც, სადაც აღნიშნულ ფაქტს შეესწრო პოლიციის უფროსი თემურაზ გვარამია.

რევაზ ცალანი 2006 წლის 27 მაისს გარდაიცვალა სიმსივნის დიაგნოზით.

შემთხვევიდან მეორე დღეს, რევაზ ცალანმა საჩივრით მიმართა მესტიის რაიონულ პროკურორს გულვერ გურჩიანს, თუმცა მან არანაირი რეაგირება არ მოახდინა. პროკურორ გ. გურჩიანის განმარტებით, მას განცხადებით მიმართეს მხოლოდ 2005 წლის 22 აგვისტოს, თუმცა სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ იქნა მესტიის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვ. ცალანის მიმართვა მესტიის რაიონული პოლიკლინიკის მთავარი ექიმის ა. ჩართოლანისადმი რევაზ ცალანის ავადმყოფობის ისტორიის მოთხოვნის თაობაზე, რომლის საფუძველზეც 12 აგვისტოს გაიცა რევაზ ცალანის ავადმყოფობის ისტორია (ფორმა №27). აქედან გამომდინარე, ჩნდება საფუძველიანი ეჭვი, რომ მესტიის რაიონულმა პროკურორმა გულვერ გურჩიანმა შეგნებულად არ დაიწყო გამოძიება.



აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა სამეგრელოსა და ზემო სვანეთში ბ. ქირიამ ახსნა-განმარტებები ჩამოართვა მესტიის რაიონულ პროკურორს გ. გურჩიანს, შს სამინისტროს მესტიის რაიგანყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსს ინსპექტორ-გამომძიებელს თ. ჩიქოვანს, ამავე განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელ ბ. მუშკუდიანს, მესტიის რაიონული ამბ. პოლიკლინიკური და სამშობიარო სახლის ქირურგ ადილარ ჩართოლანს, მესტიის რაიონული პოლიკლინიკის ექიმ-ფსიქიატრს ნაზო ფარჯიანს, მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერში მცხოვრებ – ემზარ მერლანს და ვიოლა ცალანს.

საქართველოს სახალხო დამცველმა, საქართველოს გენერალურ პროკურატურას გაუგზავნა სათანადო მასალები წინასწარი გამოძიების დასაწყებად.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ შსს-ს მესტიის რაიონული პოლიციის უფროსი თემურაზ გვარამია (შეეფარდა გირაო) სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით და ამავე განყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსი თემურ ჩიქოვანი (შეეფარდა პატიმრობა) სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და განზრახ უკანონო დაკავების ბრალდებით. სასამართლოს განაჩენით, თემურ ჩიქოვანს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო თემურაზ გვარამია დაჯარიმდა 10 000 ლარით.



აღსანიშნავია საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა უკანონო ქმედებებიც:

ჯემალ ბარამიდის საქმე

მ/ნ 12 თებერვალს ბათუმის საპატრულო პოლიციამ სიჩქარის გადაჭარბების გამო ბათუმი-მახინჯაურის მიმართულებით მოძრავი ჯემალ ბარამიძე გაჩერა. პოლიციელსა და მოქალაქეს შორის სიტყვიერი შელაპარაკების შემდეგ საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა 47 წლის ჯ. ბარამიძე უმონწყალოდ ცემა, რის შედეგადაც ბარამიძემ მიიღო თავის ტვინის შერყევა, გულმკერდის დაჟეჟილობა, თვალისა და ცხვირის მიდამოების დაზიანება. საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა მისი ცემა ხელბორკილების დადების შემდეგაც განაგრძო, ურტყამდა იარაღის კონდახს.

სახალხო დამცველის აჭარის წარმომადგენელმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვა ფაქტის თვითმხილველებს – ჯ. ბარამიდის თანამგზავრს ლ. შაინიძეს და ნაცნობს ტ.ბოლქვაძეს, რომელიც ინციდენტს შემთხვევით შეესწრო.

დაკავების იზოლატორში ჯ.ბარამიდისთვის სასწრაფო დახმარების გამოძახება ორჯერ გახდა საჭირო.

ბარამიდის თანამგზავრი შაინიძე აცხადებს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელი მამუკა ჯინჭარაძე მას იარაღით ემუქრებოდა, თუ ის გაბედავდა და ბარამიდის ცემაში ხელს შეუშლიდა.

ჯ. ბარამიდის დაზიანებებზე არსებობს როგორც ექიმის ცნობა, ისე იზოლატორის გარეგნული დათვალიერების ოქმი.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა აჭარის ა/რესპუბლიკის პროკურორს კ. მაისურაძეს, შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსს ვ. სანოძეს, და შსს საპატრულო პოლიციის აჭარის სამმართველოს უფროსს დავით ბაკურაძეს მომხდარ ფაქტზე გამოძიების დასაწყებად.

2006 წლის 9 აგვისტოს სასამართლომ მამუკა ჯინჭარაძეს უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

პოლიციის თანამშრომელთა მიერ უკანონო დაკავების ფაქტები

არასრულწლოვანთა დაკავება წყალტუბოს პოლიციაში

22 თებერვალს წყალტუბოში სამართალდამცველებს ეჭვმიტანილი მზია დანგაძე და ვახტანგ გველესიანი (სსკ-ის 181-ე მუხლი) მცირეწლოვან შვილებთან (5 და 6 წლის) ერთად ლამის სამ საათამდე ჰყავდათ პოლიციის განყოფილებაში დაკავებული. პოლიციის თანამშრომელთა განცხადებით, ბავშვების აყვანა მხოლოდ იმ მიზეზით მოხდა, რომ სახლში მარტო არ დაეტოვებინათ, თუმცა სახალხო დამცველის წარმომადგენელი იმერეთის რეგიონში თეონა კუჭავა პირადად შეხვდა დაკავებულებს, მათ მეზობლებს და ნათესავებს. როგორც აღმოჩნდა, პოლიციის მიერ ეჭვმიტანილი ცოლ-ქმრის აყვანისას სახლში ბავშვების ბებია და ბიძოლა იმყოფებოდნენ. შესაბამისად, მათი „იძულების წესით“ პოლიციის განყოფილებაში მიყვანა სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს. სამართალდამცველებმა დაარღვიეს მცირეწლოვანთა პირადი ხელშეუხებლობის უფლება, რაც ეწინააღმდეგება როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობას.

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა დასავლეთ საქართველოს ოლქის პროკურორს მიხეილ ჩოგოვაცესა და საქართველოს გენერალური პროკურატურას, რომ დაწყებულიყო წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირთა მიმართ, ვინც მცირეწლოვნები დააკავა.

როგორც პროკურატურიდან გვაცნობეს, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

დაკავებულთა ცემა ქუთაისის პოლიციაში

იყო ისეთი შემთხვევა, როცა პოლიციელმა, რომელსაც ევალებოდა წესრიგის, მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და მათი ღირსების დაცვა, ჩაიდინა ამორალურ ქმედება, რასაც შედეგად მოჰყვა დანაშაულებრივი ქმედების პროვოცირება და განხორციელება. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილები დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში, სადაც უკვე ძალის გამოყენების არანაირი საჭიროება არ იყო, ისინი სასტიკად სცემეს. ხოლო შემდგომ, დუმილის სანაცვლოდ, დაკავებულებს დაჰპირდნენ შემსუბუქებულ სასჯელსა და „შეღავათებს“. კერძოდ, ქუთაისის შსს №5 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს: კ.ჯ., ი.ხ., ა.ფ. და ნ.ც.. აღნიშნულ ფაქტს წინ უძღოდა შემდეგი მოვლენები: ქუთაისის შს განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი რეგულარულ ვიზიტებს ახორციელებდა ერთ-ერთ მალაზიაში, სადაც მუშაობდა ერთ-ერთი დაკავებულის მეუღლე.

როგორც დაკავებულები და მათი ახლობლები აცხადებენ, პოლიციელი ხშირად ავინრობდა ქალბატონს და, მისი ნების სანაღმდეგოდ, აიძულებდა მასთან ახლო ურთიერთობის დამყარებას. აღნიშნული ფაქტი ცნობილი გახდა რა ქალის მეუღლისათვის (თავად უთხრა მეუღლეს), ის და მისი რამდენიმე მეგობარი შეხვდნენ აღნიშნულ პიროვნებას. შეხვედრის დროს ქალბატონის მეუღლემ პოლიციელს მოსთხოვა, შეენწყვიტა მისი მეუღლის შევიწროება. ამას მოჰყვა პოლიციელის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა და საუბარი ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. როგორც ადგილზე მისული პოლიციელები აცხადებდნენ, დაკავებულებმა მ.მ-ს (პოლიციელს) მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, დაკავებისას გაუწიეს წინააღმდეგობა და დაზიანებებიც შესაბამისად დაკავების მომენტში იყო მიღებული.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ შემონმდა დაკავების ოქმები და დროებითი მოთავსების იზოლატორის ჟურნალის ჩანაწერები. დაკავებულებს: კ.ჯ.-ს, ი.ხ.-სა და ნ.ც.-ს (აღნიშ-



ნული პიროვნება არის ინვალიდი და დამოუკიდებლად გადაადგილება (უჭირს), აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის დაზიანება. ამათგან, მხოლოდ კ.ჯ. იყო ოფიციალურად აღნიშნული, რომ მან დაზიანებები მიიღო პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ განხორციელებული ცემის შედეგად, დანარჩენები კი დოკუმენტებში მიუთითებდნენ, რომ დაზიანებები მიიღეს დაკავების მომენტში. ყველა დაკავებულმა, გარდა ა.ფ-სა, საუბარში აღნიშნა, რომ პოლიციაში მიყვანის შემდეგ მათ სცემეს, თუმცა ამის ოფიციალურად აღნიშვნისაგან სხვადასხვა მიზეზის გამო თავი შეიკავეს.

ერთ-ერთი დაკავებული, კ.ჯ., გადაიყვანეს ქუთაისის კლინიკურ სამხარეო საავადმყოფოში. მას აღენიშნებოდა გარეგნული დაზიანებები და ტვინის შერყევა. დაკავებული პირების მიმართ გამოძიება დაიწყო სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით. როგორც დაკავებულების ახლობლები და თავად დაკავებულებიც აცხადებდნენ, მათ გამოძიება სთავაზობდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარებით და პოლიციაში განხორციელებულ ცემაზე დუმისის სანაცვლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ წინასწარი პატიმრობით. სწორედ ამის გამო იკავებენ თავს დაკავებულები პოლიციაში განხორციელებული ცემის ფაქტის ოფიციალურად აღნიშვნისაგან.

საბოლოოდ, პროკურატურასა და დანაშაულში ბრალდებულებს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. მათ აღიარეს დანაშაული. ამჟამად, ისინი გათავისუფლებულნი არიან.



მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა პოლიციელთა მიერ დაკავებულებისათვის იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერებების „ჩადების“ ფაქტები.

ბ. ბუკიას საქმე

2006 წლის 19 თებერვალს **სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს სამმართველოს** მიერ ჩატარდა სპეცოპერაცია, რომლის დროსაც სოფელ შამგონას ტერიტორიაზე დააკავეს ბ.ბუკია და თანმხლები პირები. ოპერაციას ხელმძღვანელობდა შს მმართველოს უფროსი მერაბ გერგაია.

წარმოდგენილი ვიდეომასალიდან ჩანს, რომ პოლიციის თანამშრომლები დაკავებულ ბ.ბუკიას აყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას (ერთ პოლიციელი ყურზე ქაჩავს, ხოლო მეორე თავში ურტყამს ხელს). ბუკია წინააღმდეგობას უწევდა პოლიციის თანამშრომლებს და ეხვეწებოდა მათ, არ ჩადოთ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი და ამითი არ დაელუპაო იგი. ბ.ბუკიას პირადი ჩხრეკის შედეგად ქურთუკის ჯიბეში „აღმოაჩნდა“ ხელყუმბარა.

წინასწარი გამოძიებითა და სასამართლოს გადანყვეტილებით ბ. ბუკიას დაუდასტურდა ბრალდება, ხოლო მის მიმართ განხორციელებულ არაადამიანურ მოპყრობის ფაქტზე (რაც ამჟამად ვიდეოფირზე) არ დასჯილა არცერთი პოლიციელი. ვიდეოფირზე დაფიქსირებული არაადამიანური მოპყრობისა და მისი თხოვნა – არ ჩაუდონ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი, მთლიანობაში საექვოს ხდის სასამართლოს გადანყვეტილების კანონიერებას.

ზ. მაისიასა და ანოხინის საქმე

2005 წ. 15 თებერვალს ქ.ბათუმში ინა ჩხენკელის საცხოვრებელ ბინაში შეიჭრა პოლიციის სპეცრაზმი და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაიწყო ბინის ჩხრეკა. მიუხედავად ბინის მესაკუთრის საქმის ვითარებაში გარკვევის არაერთი მცდელობისა, სპეცრაზმი იარაღის მუქარით განაგ-

რძობდა ჩხრეკას, რომელსაც არავინ ესწრებოდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ სპეცრაზმი შეცდომით შევიდა ინა ჩხენკელის ბინაში. პოლიციელები ეძებდნენ ვინმე ანიოხინს, რომელიც ცხოვრობდა ინა ჩხენკელის ბინის ზემო სართულზე.

ზ. მაისაია, რომელსაც ეძებდნენ ანიოხინთან ერთად, იმყოფებოდა ანიოხინის ბინაში. მათ შეიტყვეს ქვემო სართულზე მომხდარის შესახებ (რომ პოლიცია მათ ეძებდა). ისინი შებრუნდნენ სახლში. მალე პოლიცია მათ ბინაში მივიდა. კარი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გააღეს. ანიოხინისა და მაისაიას პირადი ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ნარკოტიკული ნივთიერება, ჰეროინი. დაკავებულები აცხადებდნენ, რომ პოლიციამ მათ ნარკოტიკი ჩაუდო, რაც ლოგიკურია. დაკავებულებს ჰქონდათ დრო, მოეშორებინათ ნარკოტიკული ნივთიერებები, ვიდრე პოლიცია მათ ბინაში ავიდოდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მეზობლები მათ ჩხრეკას არ დაასწრეს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წ. 29 აპრილის განაჩენით ზ.მაისაია და ანიოხინი ცნეს დამნაშავეებად. ზურაბ მაისაიას სასჯელის სახით განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ანიოხინს – 5 წლით მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით.

პოლიციელთა თვითნებობის შემთხვევები

2006 წ. 8 მარტს სალამოს საათებში ქალაქ ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მალთაყვის გზაჯვარედინთან, პოლიციის თანამშრომლებმა საავტომობილო რეიდი მოაწყვეს, ორივე მიმართულებით მოძრავ მანქანებს აჩერებდნენ და ჩხრეკდნენ. სახალხო დამცველმა, რომელიც ამ დროს ფოთში იმყოფებოდა, პოლიციის თანამშრომლებს რეიდის ჩატარების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების წარმოდგენა მოსთხოვა. პოლიციელებს არც ბრძანება აღმოაჩნდათ და ვერც ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი დაასახელეს. მეტიც, მათ არ ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, ზოგიერთ მათგანს კი ფორმაც არ ეცვა. ყველანი შეიარაღებულები იყვნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით. პოლიციელთა განცხადებით, მათ რეიდის ჩატარების შესახებ ხელმძღვანელობისაგან სიტყვიერი დავალება ჰქონდათ მიღებული.

მოგვიანებით სახალხო დამცველს რეიდის ჩატარების მიზეზად ქალაქ ფოთიდან ავტომობილი გაზ-2410 გატაცება დაუსახელეს, თუმცა ვერ ახსნეს, რატომ ხდებოდა სხვა მარკის ავტომობილების გაჩერება და ჩხრეკა.

სახალხო დამცველმა აღნიშნული ფაქტის შესახებ მიმართა შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რათა დაეწყოს სამსახურებრივი შემოწმება და დაესაჯათ როგორც რეიდში მონაწილე პირები, ასევე მისი ორგანიზატორები, თუკი ასეთები გამოიკვეთებოდნენ. ამ ფაქტზე არავინ დასჯილა. როგორც ადგილობრივმა ჟურნალისტებმა სახალხო დამცველს განუცხადეს, მსგავსი უკანონო ქმედებები ფოთსა და ფოთის შემოგარენში ძალიან ხშირია. მათ ადგილობრივ პრესაში მსგავსი ფაქტების შესახებ არაერთი წერილი ჰქონდათ გამოქვეყნებული. ამ წერილებში აღწერილია კონკრეტული შემთხვევები, როცა სპეცრაზმელები ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხოფას აყენებენ მოქალაქეებს, მათ შორის არასრულწლოვანებსაც, თუმცა ამის გამო არავინ დასჯილა.



პოლიციის მონიტორინგი

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატი 2005 წლის იანვრიდან რეგულარულად ახორციელებს პოლიციის განყოფილებებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგს როგორც ქალაქის, ისე რეგიონების მასშტაბით. მონიტორინგის მიზანია პოლიციის განყოფილებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული სიტუაციისა და დაკავებულთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება და დარღვევების შემთხვევაში, სათანადო რეაგირება. მონიტორინგის პრევენციულმა ხასიათმა მნიშვნელოვანწილად შეამცირა დაკავებულთა უფლებების დარღვევა, რასაც ცხადყოფს 2005-06 წლების შედარებითი სტატისტიკური ანალიზი.

მონიტორინგის ჯგუფების მიერ მიმდინარეობს როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებით გარანტირებული უფლებების დარღვევის ფაქტების აღმოჩენა და მათზე რეაგირება. მონიტორინგის ჯგუფები პოლიციის განყოფილებებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების შემოწმებისას განსაკუთრებულად ამახვილებენ ყურადღებას სამართალდამცავთა მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლისა და სხვა არაპუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებზე. ასევე მიმდინარეობს კონტროლი პოლიციის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული პროცესუალური ნორმების შესრულებაზე. იგულისხმება: დაკავებულისთვის უფლებების განმარტება, დაკავების ოქმის ასლის გადაცემა. დაკავებულის ახლობლისათვის შეტყობინება დაკავების შესახებ და სხვ.

2005 წლის განმავლობაში მონიტორინგის ჯგუფების მიერ პოლიციის განყოფილებებში 1763 ვიზიტი განხორციელდა (ამაში არ შედის სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების მიერ ჩატარებული რეგულარული მონიტორინგი, რაც ჯამში 2000-ს აღემატება).

2006 წლის იანვრიდან პოლიციის წინასწარი დაკავების მონიტორინგი განსხვავებული ინტენსიურობით მიმდინარეობდა. 2006 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით განხორციელებული ვიზიტების საერთო რაოდენობა შეადგენს 307-ს. ის გარემოება, რომ მონიტორინგი წლის განმავლობაში განსხვავებული ინტენსიურობით მიმდინარეობს, გამომწვეულია აპარატის ადამიანური და ტექნიკური რესურსების არასაკმარისი რაოდენობით. სახალხო დამცველის აპარატი პოლიციისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგს მხოლოდ საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით ახორციელებს.

2006 წლის პირველ ნახევარში მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოიკითხა 321 დაკავებული, აქედან 178-ს აღნიშნებოდა სხეულის დაზიანებები. აღნიშნული 178 პიროვნებიდან კი მხოლოდ 23 აღიარებდა სამართალდამცავთა მხრიდან ფიზიკური ზეწოლის ფაქტს, რაც დაზიანებების მქონე გამოკითხულ დაკავებულთა 13%-ია.

პოლიციელთა მხრიდან ფიზიკური დაზიანების 21 ფაქტზე დაიწყო გამოძიება (წამება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება). აქედან 11 საქმეზე გამოძიება შეწყდა დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო, 10 საქმე განხილვის პროცესშია.

რაც შეეხება პროცესუალურ დარღვევებს – დაფიქსირდა 110 დაკავებულის მიმართ. აქედან, 70 ფაქტი გამოძიების მიერ არ დადასტურდა. 30 საქმე განხილვის პროცესშია. მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებით, დისციპლინური წესით დაისაჯა პოლიციის 10 თანამშრომელი; 13 თანამშრომელი დაისაჯა დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნში არსებული დარღვევების გამო.

შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებში (2006 წლის პირველი ნახევარი) იყო სულ 7466 ეჭვმიტანილი, აქედან დაზიანებით იყო – 1357, ანუ დაკავებულთა საერთო რაოდენობის 18%; პოლი-

ციის მიმართ პრეტენზია ჰქონდა 86 დაკავებულს, ანუ დაზიანებების მქონე დაკავებულების საერთო რაოდენობის მხოლოდ 6%-ს.

სასჯელალსრულების დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის საპყრობილეებში 2006 წლის პირველ ნახევარში სხეულის დაზიანებით შევიდა 352 პატიმარი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით:

შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დაკავებული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 27 თანამშრომელი, მათ შორის – ქრთამის აღების ფაქტზე – 13, თაღლითობის ფაქტზე – 7, დანაშაულის დაფარვის ფაქტზე – 3, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე – 3, ნარკოტიკების უკანონო შენახვა, შექმნა, გასაღება და საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის ფაქტზე – 1.

შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარდა იქნა 466 სამსახურებრივი შემონმება. დისციპლინური სახდელი შეეფარდა შს ორგანოების 379 თანამშრომელს, მათ შორის: საყვედური – 115; სასტიკი საყვედური – 83; თანამდებობიდან ჩამოქვეითება – 5; შს ორგანოებიდან დათხოვნა – 107; წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება – 3. ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ფაქტზე შს ორგანოებიდან დათხოვნილ იქნა 37 თანამშრომელი.



ადამიანის უფლებები ჯარში

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ამჟამად ვერ ახორციელებს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილების სისტემატურ მონიტორინგს, თუმცა სათანადო რესურსების (ადამიანური, ტექნიკური და სხვ.) მიღების შემდეგ დაგეგმილია ამგვარი მონიტორინგის ჩატარება.

შევეხებით სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენას. ჯარისკაცები, როგორც წესი, ერიდებიან თავიანთი უფლებების დარღვევებსა და რეალურ მიზეზებზე საუბარს, რადგან ეშინიათ საქმის შემდგომი გართულებისა და სამხედრო ნაწილებში ჯარისკაცებისა თუ ოფიცერთა მხრიდან შესაძლო პრობლემის წარმოქმნისა.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა მოინახულეს ქ. თბილისის №5 საპყრობილეში მოთავსებული პატიმრები, რომლებსაც ბრალი ედებათ დეზერტირობისა და სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვებაში. მათი მხრიდან აღნიშნული დანაშაულების ჩადენის მოტივაცია საკმაოდ ბუნდოვანი და გაურკვეველი აღმოჩნდა. ისინი ერიდებოდნენ რეალური მიზეზების დასახელებას. თუმცა ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ სამხედრო სამსახურზე უარი და სამხედრო ნაწილების დატოვება განპირობებული იყო ნაწილებში არსებული სიტუაციით. კერძოდ:

სამხედრო ნაწილებში ჯარისკაცები დაყოფილები არიან კუთ-ხურობის ნიშნით და ხშირად კონფლიქტები მათ შორის ამ ნიადაგზე ხდება; ასევე, ჯარისკაცებს შორის არსებობს განსხვავება მათი ავტორიტეტიდან გამომდინარე და არსებობს იერარქია: ე.წ. დაფასებულები (ავტორიტეტიანები, ზოგ სამხედრო ნაწილში – „პატივცემულები“), ვაჟკაცები და ჯოგი (უავტორიტეტო). აქედან გამომდინარე, დანესებულია ქცევის განსხვავებული წესები თითოეული იერარქიის ჯარისკაცისათვის. მაგალითად, თუ დაფასებულს შეუძლია, უპრობლემოდ წავიდეს შევებულებაში, ე.წ. „ჯოგის“ ჯარისკაცი აუცილებლად თავდაპირველად უნდა დაეთხოვოს დაფასებულს და მხოლოდ შემდგომ ნაწილის ხელმძღვანელობას. თუ დაფასებულმა არ გაუშვა, იგი ვერ წავა შევებულებაში, ან წასვლის შემთხვევაში შეექმნება სერიოზული პრობლემები; ასევე, ჯარისკაცებმა ერთმანეთში შეკითხვაზე, თუ რომელ დანაყოფს ეკუთვნიან და ვინ არის დანაყოფის ხელმძღვანელი, უნდა უპასუხონ იმ „დაფასებულის“ გვარი, რომელიც მათ დანაყოფს „აკონტროლებს“. „დაფასებულისათვის“ ხელის შებრუნება არ შეიძლება, ხოლო მისგან ფიზიკური შეურაცხყოფა „გრეხად“ არ ითვლება. ხელფასების აღებისას იკრიბება ე.წ. „საერთოს“ ფული. ასევე, ნაწილიდან გაქცეული ჯარისკაცი ამჯობინებს ციხეში ჩაჯდეს, ვიდრე დაბრუნდეს თუნდაც სხვა ნაწილში, რადგან იქაც გაქცევის გამო სერიოზულად მოსთხოვენ პასუხს ე.წ. „დაფასებულები“.

ინფორმაციის სიმწირის გამო არ შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ აღნიშნული იერარქია ამავე სახელწოდებებით ყველა ნაწილში არსებობს, თუმცა პრობლემა რომ რეალურია, ფაქტია. ისიც უნდა ითქვას, რომ ჯარისკაცებში გაცილებით მყარადაა გამჯდარი ე.წ. „ომერტა“ – აბსოლუტური დუმილი ყველანაირ პრობლემაზე, ვიდრე რომელიმე სხვა დახურულ ინსტიტუციაში.

იყო ცალკეული შემთხვევები, როცა ჯარისკაცებმა მომართეს სახალხო დამცველს დახმარებისათვის. საქმე ეხებოდა ჯარისკაცთა მიმართ ფიზიკურ შეურაცხყოფასა და ფსიქიკურ იძულებას ოფიცრებისა და სხვა ჯარისკაცების (ე.წ. დაფასებულების) მიერ:

ჯარისკაც გიორგი შარიქაძის საქმე

2006 წლის 31 მაისს ქ.თბილისის თსუ კლინიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს თავდაცვის სამინისტროს მეოთხე – ქვეითი ბრიგადის რიგითი გიორგი შარიქაძე, რომელსაც სხეულზე მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა და თითქმის ვერ მეტყველებდა. გ. შარიქაძეს აღმოაჩნდა ქალა ტვინის დაზარალებული ტრამვა, მუცლისა და გულმკერდის დაზარალებული ტრამვები, სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა,

სხეულის სხვადასხვა მიდამოს ექსკორაციები და სისხლნაჟღერებები. მან განაცხადა, რომ ის სცემეს სერჟანტებმა და რიგითებმა, იმ მოტივით, რომ რატომ განაცხადა გამომძიებელთან მისი ცემის ფაქტების შესახებ და რატომ დაასახელა კონკრეტული პირები (ძალით დასვეს სკამზე, გაუკავეს ხელფეხი და ალაგ-ალაგ თმა გადაპარსეს, ურტყეს სახეში და მარჯვენა მხარსა და მუცელზე დანა დაუსვეს, ფული წაართვეს).

გიორგი შარიქაძე აღნიშნულ შემთხვევამდე ხუთჯერ ცემეს. თავდაპირველად ამის მიზეზი გახდა ის, რომ ჯარისკაცები მას მათი ტანსაცმლისა და წინდების გარეცხვას აიძულებდნენ, რაზეც შარიქაძე უარს აცხადებდა. გ. შარიქაძე სამხედრო ჰოსპიტალში რამოდენიმეჯერ მოხვდა, მისი განმარტებით – ცემის შედეგად.

გ. შარიქაძემ ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებების დროს ამოიცნო კონკრეტული პიროვნებები (სერჟანტები და ჯარისკაცი), ანუ დაზარალებულმა მიუთითა დანაშაულის ჩამდენ პირებზე, თუმცა გამომძიებლის მხრიდან არ მოხდა მათი ეჭვმიტანილად ცნობა და დაკავება.

ჯარისკაც ვალერი სარიშვილის საქმე

2006 წლის 9 იანვარს ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მოინახულეს ახალციხის სამხედრო ნაწილის საარტილერიო ბატალიონის რიგითი ვალერი სარიშვილი, რომელიც ტვინის შერყევის დიაგნოზითა და სხვა დაზიანებებით აკადემიკოს ოთარ ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში მკურნალობდა.

სარიშვილის ადვოკატის განცხადებით, სამხედრო ნაწილში მომსახურე სხვა რიგითი ჯარისკაცები გასული წლის ნოემბრის ბოლოდან მოყოლებული მას მუდმივად ჩაგრავენ და აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. შედეგად სარიშვილმა რამდენჯერმე დატოვა ნაწილი, თუმცა მამისა და ოჯახის წევრების რჩევით კვლავ ნაწილში ბრუნდებოდა.

2005 წლის 29 დეკემბერს სარიშვილი მამამისმა პირადად ჩაიყვანა სამხედრო ნაწილში და ნაწილის უფროსსაც ესაუბრა. 8 იანვარს, ცემის დროს, მას კისერზე დანა მიაღეს და ფულს სძალავდნენ. როგორც სარიშვილის ადვოკატი აცხადებდა, ე.წ. საერთო ხაზინისათვის (ობშიაკისთვის), თუ ოჯახი რიგითს ფულს არ გამოუგზავნიდა, მოძალადეები მას ჩამოხრჩობით ემუქრებოდნენ. ამ ფაქტს სამხედრო ნაწილის ოფიცერიც შეესწრო, თუმცა არანაირი რეაგირება არ მოუხდენია და ინციდენტში არ ჩარეულა.

მძიმე მდგომარეობაში მყოფი სამხედრო ნაწილიდან გამოქცეული რიგითი ვალერი სარიშვილი საავტომობილო გზაზე უცნობმა პირებმა იპოვეს და თბილისის ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში მიიყვანეს.

სამხედრო პოლიციის საგამომძიებო ნაწილს დანყებული აქვს წინასწარი გამოძიება გამოძალვისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუხლებით.

ჯარისკაც ზვიად ბელთაძის საქმე

ზვიად ბელთაძე მსახურობდა ქ. ფოთის საჰაერო თავდაცვის სამხედრო ნაწილში. სამხედრო ნაწილში დაიკარგა ავტომატური იარაღი, რისთვისაც დააკავეს ორი რიგითი და ოფიცერი. ბელთაძე აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებული არ ყოფილა, რასაც სამხედრო ნაწილიც ადასტურებენ. სამხედრო ნაწილში გამოცხადდა დაკარგული იარაღის ძებნა, რომელიც აღმოაჩინეს ბელთაძემ და კიდევ ორმა ჯარისკაცმა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ბელთაძე დაიკითხა რამდენჯერმე. მისი განმარ-



ტებით, ხდებოდა ზენოლა და მუქარა გამომძიებლის მხრიდან, რათა გაემხილა იარაღის დაკარგვასთან დაკავშირებული დეტალები. მას სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულებამდე რჩებოდა ორი თვე. ის ძალიან იყო დაშინებული გამომძიებლის მიერ, დარეკა სახლში და უთხრა მშობლებს, რომ ნასვლას აპირებდა, რადგან განიცდიდა ზენოლასა და შევიწროებას. ზ. ბელთაძემ მიატოვა ნაწილი. იმავე დღესვე ბელთაძის მამა მივიდა სამხედრო ნაწილში, შეხვდა და ესაუბრა ნაწილის უფროსს. ზვიად ბელთაძე არ აპირებდა ნაწილში დაბრუნებას, სანამ სიმართლე არ გაირკვეოდა. მასზე გამოცხადდა ძებნა. ბელთაძემ აიყვანა ადვოკატი და დასთანხმდა სამხედრო ნაწილში თავისი ნებით გამოცხადებაზე, თუმცა მან აღნიშნულის გაკეთება ვერ მოასწრო, რადგან 15 მარტს დააკავეს საკუთარ სახლში და მას ნაწილის თვითნებურად დატოვების გამო შეეფარდა წინასწარი პატიმრობა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან 2005-2006 წლის განმავლობაში. ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები არ ყოფილა. შესაბამისად, ვინმეს მიმართ დისციპლინარული დევნა არ განხორციელებულა და არც სახდელი დაკისრებია ვინმეს.

ადამიანის უფლებების დარღვევის თვალსაზრისით საქართველოში სასჯელალსრულების სისტემა კვლავ ერთ-ერთი ყველაზე რთული უბანია.

პრობლემას წარმოადგენს როგორც სასჯელალსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, ასევე ის პირობები, რომლებშიც პატიმრები საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული, წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ქვეშ იმყოფებიან.

საერთაშორისო სტანდარტები ციხესთან დაკავშირებით ადგენს, რომ თავისუფლების აღკვეთა საკმარისი სასჯელი უნდა იყოს დამნაშავესათვის და დაუშვებელია ციხეში იყოს ისეთი პირობები, რომლებიც გამოიწვევს პატიმართა ავადმყოფობას ან სიკვდილს. უფრო მეტიც, თუ სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს პიროვნების თავისუფლების აღკვეთის უფლებას, მანვე უნდა უზრუნველყოს მის მიმართ სათანადო და ადამიანური მოპყრობა. პიროვნებისათვის თავისუფლების აღკვეთისას სახელმწიფო ვალდებულია, პატიმარს შეუქმნას არსებობისათვის აუცილებელი პირობები.

გაეროს „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები“-ს 58-ე წესი ადგენს: „ციხეში მოთავსების, ან თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი ფორმით სასჯელის დანიშვნის მიზანი, საბოლოოდ, არის საზოგადოების დაცვა და დაზღვევა სახიფათო დანაშაულებისაგან. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია

შესაძლებელი, თუ სასჯელის მოხდისა და საზოგადოებაში ცხოვრების ნორმალურ წესთან დაბრუნების შემდეგ სამართალდამრღვევი არა მხოლოდ მზად არის, არამედ უნარიც შესწევს იმისა, რომ დაემორჩილოს კანონმდებლობას და უზრუნველყოს თავისი არსებობა“.

საქართველოში პატიმრობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი და კანონქვემდებარე აქტები (მინისტრის ბრძანება). ამასთან, შემუშავდა სასჯელალსრულების კოდექსის პროექტი, რომელიც საკუთარი დასკვნებისა და შენიშვნებისათვის განსახილველად გადაეცა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

2005 წ. შემუშავდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

3 მოხსენება სასჯელალსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ



ბის სისტემის რეფორმის სტრატეგია, რომლის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენს სასჯელალსრულების სისტემის კონცეპტუალური საკითხები. სტრატეგიის შემუშავებას თან ახლდა მისი საიმპლემენტაციო სამოქმედო გეგმის შემუშავებაც, რომელიც 2006 წ. მაისში დასრულდა. სამოქმედო გეგმა მოიცავს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომლებიც სტრატეგიაში მითითებული მიზნების განსახორციელებლად საჭირო. ამასთან, სტრატეგიაში მითითებულია სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც სტრატეგიაში მითითებული ღონისძიებების შესრულებაზე არიან უფლებამოსილნი და ის თანხები, რომლებიც საჭიროა ამ ღონისძიებების განსახორციელებლად. სტრატეგია პრეზიდენტის მიერ 2005 წ. ბოლოს დამტკიცდა.

**ცვლილებები პატიმრობის შესახებ კანონში,
პატიმართა უფლებები და სასჯელალსრულების დანახაულებებში
არსებული მდგომარეობა**

მიმდინარე წელს სასჯელალსრულების სისტემასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში არაერთი ცვლილება შევიდა, რომლებსაც როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მხარე აქვთ.

2006 წ. მოხდა სასჯელალსრულების დეპარტამენტის სრული დეცენტრალიზაცია, რომელიც შეეხა ადმინისტრირება-მენეჯმენტის ყველა სფეროს. კერძოდ: „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით, მოსამსახურეების საშტატო ნუსხას ამტკიცებს დეპარტამენტის თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით; სასჯელალსრულების დეპარტამენტში მომუშავე თანამშრომლები თანამდებობაზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ; „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 24 პუნქტის თანახმად, სასჯელალსრულების დანესებულების მოსამსახურეებს, მოადგილეების გარდა, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასჯელალსრულების დანესებულების დირექტორი. თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისა და მოხდის რეჟიმს განსაზღვრავს დეპარტამენტის თავმჯდომარე, ხოლო მსჯავრდებულის გადაყვანა ერთი რეჟიმის სასჯელალსრულების დანესებულებიდან სხვა რეჟიმის სასჯელალსრულების დანესებულებაში ხდება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით („პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

სასჯელალსრულების დეპარტამენტთან შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე წარდგინებით მიმართავს სასამართლოს („პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლი). კომისია დაკომპლექტებულია მხოლოდ სასჯელალსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებით, რაც არამიზანშენილიად მიგვაჩნია, იმ მიზეზით, რომ ობიექტურობის დაცვის ნაკლები ალბათობაა. ვითვალისწინებთ რა, რომ კომისიის დაკომპლექტება მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებითა და სხვა პირებით, რომლებსაც არანაირი შეხება არ ჰქონიათ სასჯელალსრულების სისტემაში, არ იქნება რეკომენდებული და უფრო მეტ ქაოსს გამოიწვევს სასჯელალსრულების სისტემაში, იუსტიციის მინისტრსა და სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს მივმართავთ რეკომენდაციით, ჩამოყალიბდეს შერეული კომისია, სადაც თანაბრად იქნებიან წარმოდგენილი ერთი მხრივ სასჯელალსრულების დეპარტამენტისა და იუსტიციის სამინისტროს, ხოლო მეორე მხრივ სისტემის გარედან მოწვეული პირები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ამასთან რეჟიმთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტა შევიდეს კომისიის კომპეტენციაში. აღნიშნული ემსახურება პატიმრობასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების მაქსიმალურად ობიექტურად გადაწყვეტას.

დეცენტრალიზაციის შედეგად სასჯელალსრულების დეპარტამენტს მიეცა ფინანსების დამოუკიდებლად სრული განკარგვის უფლება. ბანდეროლებისა და ამანათების შეგზავნაზე შეზღუდვებს აწესებს დეპარტამენტის თავმჯდომარე („პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ზემოაღნიშნული ცვლილება მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

დადებითად ვაფასებთ იმ გარემოებას, რომ პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველ პუნქტს, 2006 წ. 28 აპრილის ცვლილებით, დაემატა „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, სასჯელალსრულების დაწესებულებაში ცალკე ათავსებენ სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ და 143² მუხლით გათვალისწინებულ ტრეფიკინგის დანაშაულზე დაზარალებულად ცნობილ პირებს.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, „საზოგადოებრივ კონტროლს სასჯელალსრულების დაწესებულებებზე ახორციელებს მუდმივმოქმედი კომისია, რომელშიც შედიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწენი, არასამთავრობო და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა პირები. სასჯელალსრულების დაწესებულების მუშაკები ამ კომისიის შემადგენლობაში არ შედიან.“ კომისიის ამოცანებს წარმოადგენს სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციისათვის დახმარების განევა მსჯავრდებულთა განთავსების, სწავლების, მუშაობის, კვების, სამედიცინო მომსახურების, მათზე ზედამხედველობის განხორციელებისა და სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტაში. კომისიას თავის ამოცანების განხორციელებისას უფლება აქვს, შეიმუშაოს რეკომენდაციები და მიმართოს სასჯელალსრულების დაწესებულების დირექტორს.

აღსანიშნავია, რომ 2005 წლის მეორე ნახევრის ჩვენ საანგარიშო მოხსენებაში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, რეკომენდაციით მივმართეთ საქართველოს იუსტიციის მინისტრს: „უმოკლეს ვადაში დამთავრდეს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივი კონტროლის მუდმივმოქმედი კომისიების შექმნა სასჯელალსრულების ყოველ დაწესებულებასთან. ამასთან, კომისიის წევრებს მიეცეთ უფლება, არა მხოლოდ სამუშაო საათებში, არამედ კვირის ნებისმიერ დღეს და დღე-ღამის ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად შევიდნენ დაწესებულებაში, შეხვდნენ და გაესაუბრონ პატიმარს პირისპირ და დაუბრკოლებლად დაათვალიერონ ნებისმიერი საკანი, სათავსო თუ სხვა ოთახი. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში, როცა კომისიის წევრებს ხელი შეეშლებათ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაში, გატარდეს დისციპლინური ზომები დამრღვევი პირების წინააღმდეგ“. ზემოაღნიშნული რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტრომ გაითვალისწინა.

ამასთან, კიდევ ერთხელ რეკომენდაციით მივმართეთ იუსტიციის სამინისტროს, მიეცეთ საზოგადოებრივ კომისიებს საჭიროების შემთხვევაში ფოტო გადაღებისა და აუდიო ჩანაწერის უფლება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადა საზოგადოებრივი კომისიების წევრების თანამდებობების დასაკავებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა დაწესებულებასთან ვერ მოხერხდა კომისიების დაკომპლექტება და იგი დღეს მხოლოდ 3 დაწესებულებაში მუშაობს, კერძოდ: ქ. ქუთაისის №2, ქ. ზუგდიდის №4 და ქ. ბათუმის №3 სასჯელალსრულების დაწესებულებაში. იუსტიციის სამინისტროს არ შეუმუშავებია კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები, რაც კიდევ უფრო ართულებს კომისიების შექმნას. ჩვენ შევთავაზეთ იუსტიციის მინისტრს საზოგადოებრივი კომისიების წევრთა შერჩევის კრიტერიუმები. კერძოდ, ეს კრიტერიუმებია:

1. არ წარმოადგენდეს სამთავრობო დაწესებულების თანამშრომელს (მათ შორის სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომელს), ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა წარმომადგენლების გარდა;
2. ობიექტურობას, მიუკერძოებლობასა და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობას;
3. ადამიანის უფლებების ზოგად ცოდნას;
4. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნას;
5. საკითხების ნათლად გადმოცემის უნარს (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით);
6. ანალიტიკური აზროვნების უნარს;
7. ანგარიშების წერის გამოცდილებას;
8. გუნდური მუშაობის გამოცდილებას.



სახალხო დამცველის აპარატი სასჯელაღსრულების სისტემის ყოველდღიურ მონიტორინგს ახორციელებს, თუმცა მისი მცირერიცხოვნობიდან და შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, პენიტენციურ სისტემაზე საზოგადოებრივი კონტროლის სრული ამოქმედებისათვის, კანონით გათვალისწინებული მუდმივმოქმედი კომისიების შექმნა სასჯელაღსრულების ყველა დანესებულებასთან აუცილებელი და საჩქაროა.

ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში არის სასჯელაღსრულების დანესებულებებთან საზოგადოებრივი კომისიები და საკმაოდ ეფექტურად მუშაობს.

მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი კონტროლის მუდმივმოქმედი კომისიების შექმნა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პენიტენციურ სისტემაში არსებულ ვითარებას.

რეკომენდაცია: სახელმწიფომ გაილოს საზოგადოებრივი კომისიების ფუნქციონირებისათვის საჭირო მინიმალური რესურსები (ტელეფონი, სანავი და ა.შ).

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ნოემბრის ბრძანებულებით დაფუძნდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი. ბრძანებულების თანახმად, იუსტიციის სამინისტროს ახორციელებს ზემოაღნიშნული ცენტრის სახელმწიფო კონტროლს. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 2006 წლის 28 აპრილს დაემატა 11¹ მუხლი, რომლის თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის „მოსამსახურეთა ან/და ამ სისტემაში დასაქმების მსურველთა მომზადებას, გადამზადებას ან/და კვალიფიკაციის ამაღლებას ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“.

მოსამსახურე (გარდა დეპარტამენტის თავმჯდომარისა), როგორც წესი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მოსამსახურის სისტემაში თანამდებობაზე ინიშნება მხოლოდ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მომზადების პროგრამის გავლის შემდეგ („პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 11¹ მუხლის მე-2 პუნქტი).

სასჯელაღსრულების ან პრობაციის სისტემაში მუშაობის მსურველ პირს კანონი თანამდებობაზე დანიშვნის შესაძლებლობას აძლევს ზემოაღნიშნულ ცენტრში პროგრამის გავლის გარეშე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მან პროგრამა უნდა გაიაროს თანამდებობაზე დანიშნიდან 6 თვის განმავლობაში („პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 11¹ მუხლის მე-3 პუნქტი).

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დაფუძნება ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირების პროცესში, რადგან მრავალ პრობლემას სასჯელაღსრულების სისტემაში სწორედ არაკვალიფიციური თანამშრომლები ქმნიდნენ.

2005 წ. სექტემბერში დაიწყო ცენტრმა არაფორმალური მუშაობა, კერძოდ, პრეზიდენტის 2005 წ. 8 ნოემბრის ბრძანებულების გამოცემამდე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა მოამზადა საჯარო კონკურსის წესით შერჩეული, ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დანესებულების 280 თანამშრომელი.

2005 წ. დეკემბერში სასწავლო ცენტრმა მოამზადა საჯარო კონკურსის წესით შერჩეული 151 თანამშრომელი.

2006 წ. მარტში სასწავლო ცენტრის მიერ გადამზადდა ზუგდიდის №4 საპყრობილის მოქმედი 86 თანამშრომელი, ხოლო 2006 წ. მაისში – ბათუმის №3 საპყრობილის მოქმედი 122 თანამშრომელი.

ამჟამად, მიმდინარეობს ქ.თბილისის მსჯავრდებულთა და პატიმართა ბადრაგირების სპეციალური დანაყოფის 167 თანამშრომლის მომზადება სპეციალიზებული სასწავლო პროგრამის მიხედვით.

ვიმედოვნებთ, რომ სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი ასევე აქტიურად განაგრძობს მუშაობას მომავალში და კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის თავის საქმიანობას, რაც ხელს შეუწყობს სასჯელალსრულების სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

2008 წლის 1 იანვრამდე სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენინგებმა, სასჯელალსრულების სისტემის სამოქმედო გეგმის თანახმად, სასჯელალსრულების სისტემაში მომუშავე ყველა პირი უნდა გადაამზადონ.

პატიმრების პაემნები

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში პატიმრების პაემნებზე დაკავშირებით შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვით, შეიზღუდა პატიმრის/მსჯავრდებულის ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლება; პაემნის ხანგრძლივობა შემცირდა 1 საათამდე ვადით; პაემნების რაოდენობა დაიყო მსჯავრდებულთა კატეგორიების მიხედვით, კერძოდ:

- ქალი მსჯავრდებულები – თვეში არაუმეტეს 3 პაემანი;
- მამაკაცი მსჯავრდებულები მკაცრი რეჟიმის დანესებულებაში – თვეში არაუმეტეს 1 პაემანი;
- მამაკაცი მსჯავრდებულები – მკაცრი რეჟიმის დანესებულებაში (რეციდივით გასამართლებული) – ორ თვეში 1 პაემანი;
- უვადოდ თავისუფლებაღკვეთილ პატიმრები – წელიწადში არაუმეტეს 4 პაემანი;
- არასრულწლოვან მსჯავრდებულები – თვეში არაუმეტეს 4 პაემანი, ხოლო კარგი ყოფაქცევისა და სწავლის შემთხვევაში, სასჯელის ვადის ერთი მეოთხედის მოხდის შემდეგ, მსჯავრდებულის პატიმრობის პირობები შეიძლება გაუმჯობესდეს. ამ შემთხვევაში მას ნება ეძლევა, ჰქონდეს წელიწადში დამატებითი ორი ხანგრძლივი პაემანი.

არასრულწლოვანი პატიმრების გარდა, ხანგრძლივი პაემნების უფლება გაუქმებულია ყველა კატეგორიის პატიმრებისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ახალი ცვლილებებით პატიმრებთან ვიზიტორების რიცხვი მინიმუმამდე დაყვანილი და ამ კატეგორიას განეკუთვნება მხოლოდ ოჯახის წევრი და ახლო ნათესავი.

ყოველივე ზემოაღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიას, რომელიც ადგენს მსჯავრდებულთან ინდივიდუალიზებულ მოპყრობასა და რესოციალიზაციის პრინციპს, აგრეთვე, რეაბილიტაციის ამოსავალ პრინციპად მიიჩნევს მსჯავრდებულის კონტაქტს თავის ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესავებთან გრძელვადიანი და მოკლევადიანი პაემნების საშუალებით.

პატიმართა კონტაქტი გარესამყაროსთან მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათი კეთილდღეობის ამაღლებასა და რეაბილიტაცია-რეინტეგრაციას საზოგადოებაში.

საერთაშორისო საზოგადოება მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს პატიმართა გარესამყაროსთან კონტაქტის უფლების განხორციელებას, რაზეც მონიშნავს არაერთი რეკომენდაცია, კერძოდ: პატიმრების ნათესავებთან კონტაქტთან დაკავშირებით პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები ადგენს: „აუცილებელი ზედამხედველობის პირობებში პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რომ მიმონერისა და ვიზიტების საშუალებით რეგულარული ურთიერთობა იქონიონ ოჯახებთან და შეუზღავი რეპუტაციის მქონე მეგობრებთან“.



ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2006)2 რეკომენდაციაში, რომელიც შეეხება ევროპის ციხეების წესებს, აღნიშნულია რომ „პატიმარს უფლება უნდა მიეცეს, შეძლებისდაგვარად ხშირად იქონიოს კონტაქტი ოჯახთან, სხვა პირებთან და გარეშე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, წერილით, ტელეფონით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებითა და შეხვედრებით“ (24.1 პუნქტი). ასევე, „ციხის ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს პატიმრების კონტაქტს გარე სამყაროსთან და უზრუნველყოს ისინი სათანადო მხარდაჭერით“ (24.5 პუნქტი).

ევროსაბჭოს წამების სანინალმდეგო კომიტეტი (CPT) პატიმრობასთან დაკავშირებულ სტანდარტებში არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს ერთსაათიან შეხვედრას ერთი თვის განმავლობაში (ბროშურა №6, 2001 წ.) და ადგენს, რომ „აუცილებელია, პატიმრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, კონტაქტი იქონიონ გარესამყაროსთან, განსაკუთრებით საკუთარ ოჯახთან, ახლო მეგობრებთან, ცოლთან/პარტნიორთან და ბავშვებთან. ამგვარი კონტაქტის გაგრძელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველა დაინტერესებული მხარისათვის, განსაკუთრებით კი ციხის სოციალური რეაბილიტაციის სამსახურისათვის. გარესამყაროსთან კონტაქტის მნიშვნელობის ამაღლება უნდა იყოს სახელმძღვანელო პრინციპი“.

CPT საუბრობს ასევე პატიმართა უფლებაზე, ესტუმრონ საკუთარ ოჯახებს და აცხადებს: „პატიმრებს შეიძლება მიეცეთ უფლება, დაცვის გარეშე დატოვონ დაწესებულება, საკუთარი ოჯახისა და ახლო ნათესავების მონახულების მიზნით“.

საინტერესოა ამ მხრივ უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკა. მაგალითად, ზოგიერთ ციხეში არსებობს ოჯახის დღეები, რომელიც საშუალებას აძლევს პატიმარს, შეხვდეს შვილებს და ზოგჯერ კი ოჯახის სხვა წევრებსაც ციხის საკანში. ინგლისის ბევრ ციხეში არსებობს სპეციალური ადგილები მშობლებთან/ბავშვებთან შესახვედრად, რომელსაც ხშირად „დამაკავშირებელ ვიზიტს“ უწოდებენ.

კანადაში არსებობს ოჯახის კერძო ვიზიტების სისტემა, რომლის მიხედვით პატიმარს შეუძლია, 72 საათი გაატაროს ოჯახთან სპეციალურად გამოყოფილ პატარა ოთახში ორ ან სამ თვეში ერთხელ. ასეთი სისტემა არსებობს საფრანგეთსა და ესპანეთშიც.

გერნსში (კუნძული ლამანშზე, ეკუთვნის დიდ ბრიტანეთს) ხშირად ვიზიტი ხორციელდება თვეში 6-ჯერ. პატიმრებს საშუალება აქვთ 48 საათით ადრე შეათანხმონ, დაჯავშნონ ვიზიტი. შეხვედრების სპეციალურ მოსანახულებელ ოთახში პატიმარს შეუძლია მაქსიმუმ ორი მნახველის მიღება. ოთახში არის მაგიდა და სკამები. უსაფრთხოების მიზნით არსებობს დახურული ვიზიტებიც, სადაც არსებობს გარკვეული ბარიერი.

ჰონგკონგში არის გარკვეული შეზღუდვები შეხვედრის სიხშირეზე, ხანგრძლივობასა და ხასიათზე. მხოლოდ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს შეუძლიათ მონახულება. ვიზიტები არ არის ხანგრძლივი და მსჯავრდებული პირებისთვის არც თუ ისე ხშირი. ვიზიტისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე სასიამოვნო გარემოა. ვიზიტის ოთახი და მოსაცდელი ოთახი აღჭურვილია კონდენციონერით, მოსაცდელი ოთახი – ტელევიზორითა და ტელეფონითაც.

წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს უფლება აქვთ, შეხვდნენ დღეში 15 წუთის ხანგრძლივობით მაქსიმუმ ორ ადამიანს ერთდროულად. მსჯავრდებულ პირებს უფლება აქვთ შეხვდნენ თვეში ორჯერ, 30 წუთით, ერთდროულად მაქსიმუმ სამ ადამიანს.

ჰონგკონგის ციხეში ორი ტიპის ვიზიტი არსებობს – ღია და დახურული. დახურულ ვიზიტს ხშირად არასაკონტაქტო ვიზიტს უწოდებენ, პატიმარს და მის მნახველს ერთმანეთისგან ჰყოფთ შუშა. ეს არათუ მარტო შეხებას გამორიცხავს, არამედ ისინი ურთიერთობენ ტელეფონის საშუალებით. ეს ფაქტი ხშირ შემთხვევაში უკმაყოფილებას იწვევს პატიმრებსა და მნახველებში. დახურული ვიზიტები განკუთვნილია A და B კატეგორიის პატიმრებისთვის. ეს შეიძლება გავრცელდეს C და D კატეგორიის პატიმრებზეც, რომლებიც არიან მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში.

ღია ვიზიტის დროს პატიმარი და მნახველი პირდაპირ ესაუბრებიან ერთმანეთს და შესაძლებელია გარკვეული შეზღუდვებით განხორციელდეს ფიზიკური კონტაქტი. მაგალითად ხელის ჩამორთმევა შეიძლება, მაგრამ კოცნა აკრძალულია. ხშირ შემთხვევაში ღია ვიზიტის ოთახში არის გრძელი მაგიდა, რომელსაც უშუალოდ ჰყოფს მინა დაახლოებით თვალის სიმაღლემდე. პატიმრები სხედან ერთ მხარეს, მნახველები კი საპირისპირო მხარეს. ღია ვიზიტების დროს ხშირად პრობლემას წარმოადგენს ნარკოტიკების შეტანა.

შეზღუდვები არსებობდა მანამ, სანამ ცვლილებები არ შევიდოდა ციხის წესებში, რომელიც ითვალისწინებდა შეზღუდვებს მიმონერაზე, წერილების რაოდენობაზე. ამჟამად პატიმარს შეუძლია განუხაზღვრელი რაოდენობით გაგზავნოს წერილები, შეუძლიათ მიწერიონ ყველას, იქნება ეს მედია თუ სხვადასხვა ორგანიზაციები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

შოტლანდია – მსჯავრდებულ პირებს მინიმუმ ერთი 30 წუთიანი ვიზიტის უფლება აქვთ 7 დღეში ერთხელ და არანაკლებ 2 საათისა 28 დღეში ერთხელ. ოთხ კვირაში ერთი შეხვედრა უნდა იყოს შაბათ-კვირას.

ღია ვიზიტები – ეს ვიზიტის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. პატიმარი და მისი მნახველი სხედან მაგიდასთან ყოველგვარი ფიზიკური ბარიერის გარეშე. ამ ვიზიტების დროს ხორციელდება ზედამხედველობა. შეიძლება ეს იყოს სპეციალური კამერის მეშვეობით.

დახურული ვიზიტები – ამ დროს მნახველს და პატიმარს ერთმანეთისგან ჰყოფთ გამჭვირვალე მინა.

ოჯახის ვიზიტი – რიგ დანესებულებებში ოჯახის ახლო წევრებისთვის (განსაკუთრებით ბავშვებისთვის) შეხვედრისთვის არსებობს უფრო მშვიდი გარემო. მათ საშუალება აქვთ ისაუბრონ პირად საკითხებზე, ოჯახის პრობლემებზე და მთავარი მიზანია მშობლისა და ბავშვის ურთიერთობის შენარჩუნება/აღდგენა. ეს განსაკუთრებით ხდება, როდესაც მშობელს მისჯილი აქვს ხანგრძლივი პატიმრობა. ასეთი შეხვედრები შესაძლებელია თუ პატიმარს აქვს C ან D კატეგორია, აქვს კარგი დისციპლინარული მაჩვენებელი.

დამაკავშირებელი ვიზიტები – ამგვარი ვიზიტები შოტლანდიაში არსებობს მხოლოდ ქალთა დანესებულებებში. ამ ვიზიტების მიზანია, რომ დედებმა გაატარონ გარკვეული დრო შვილებთან. ამის უფლება აქვთ მათ, ვინც სამი თვე იხდის სასჯელს და ბავშვები არიან 12 წლამდე ასაკის. შეუძლიათ ჰქონდეთ მაქსიმუმ ორი შეხვედრა თვეში.

ინგლისი – ვიზიტი ხორციელდება ოთხ კვირაში ორჯერ მსჯავრდებული პირებისთვის და უფრო ხშირად წინასწარ პატიმრობაში მყოფათათვის. სხვადასხვა ციხეში ვიზიტის სხვადასხვა ხანგრძლივობაა.

მნახველმა უნდა ჩააბაროს პირადი ნივთები სპეციალურად განკუთვნილ ადგილას. ამის შემდეგ ისინი გადიან მრავალ უსაფრთხოების შემოწმებას (აეროპორტის მსგავსად) სანამ შევლენ ვიზიტის ოთახში. ვიზიტი არის დიდ ოთახში სადაც პატიმრები და მნახველები სხედან მაგიდასთან ან გრძელ მაგიდასთან. პატიმარს არ აქვს უფლება ვიზიტის დროს ადგეს თავისი ადგილიდან. ზოგიერთ დანესებულებაში არსებობს სათამაშო ადგილები ბავშვებისთვის. ზოგ ციხეში გათვალისწინებულია ბავშვების ვიზიტებიც, სადაც პატიმართა გარკვეულ კატეგორიას შეუძლიათ შეხვდნენ ბავშვებს და უფლება აქვთ ეთამაშონ მათ.

თურქეთში პატიმრებმა, რომლებმაც მოიხადეს სასჯელის ერთი მეხუთედი და ხასიათდებიან კარგი მოქცევით შეიძლება გადაყვანილნი იქნენ ღია ციხეში ციხის დისციპლინარული ხელმძღვანელობის, ციხის ადმინისტრაციის და გენერალური დირექტორის თანხმობის საფუძველზე.

პატიმრებმა, რომლებმაც მოიხადეს სასჯელის ერთი მეხუთედი კარგი მოქცევით შეიძლება მიიღონ გასვლის თანხმობა 1-დან 10 დღემდე მშობლების, მეუღლის, შვილების გარდაცვალების შემთხვევაში.



აუცილებლობის შემთხვევაში, როგორცაა პატიმრის ახლო ნათესავის სარიოზული ავადმყოფობა, ხანძარი, მინისძვრა რომელმაც ზიანი მიაყენა ახლო ნათესავს, პატიმარი მინისტრის თანხმობით შეიძლება გაუშვან 1-დან 10 დღემდე.

გარდა ამისა პატიმრებმა, რომლებმაც მოიხადეს სასჯელის ერთი მეოთხედი და გამოირჩეოდნენ კარგი მოქცევით და გადაყვანილნი არიან ღია ციხეში შეიძლება მიიღონ 72 საათიანი გასვლის სპეციალური ნებართვა.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პატიმრის უფლება სასჯელადსრულების დაწესებულების დროებით დატოვებაზე განსხვავდება შვედულებებისგან, რომელთა უფლებაც ევროპის უმრავლეს ქვეყანაში აქვთ პატიმრებს. კერძოდ, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლი ითვალისწინებს მსჯავრდებულთა მიერ დაწესებულების ტერიტორიის დატოვებას განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით, თუ მიღებული იქნება სარწმუნო ცნობა პატიმრის ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე. ამასთან, დაწესებულების დროებითი დატოვების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს, რომელშიც გათვალისწინებულია მსჯავრდებულის ადგილამდე მგზავრობის დროც. ზემოაღნიშნული კანონის 90-ე მუხლი ითვალისწინებს ბრალდებული პატიმრის ხანმოკლე გათავისუფლებას, კერძოდ, „არსებით და გადაუდებელ პირად ან სამართლებრივ საქმეებზე, რაც მოითხოვს პატიმრის უშუალო მონაწილეობას, გამომძიებლის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია, გასცეს პატიმრის ხანმოკლე გათავისუფლების ნებართვა 3 დღის ვადით“.

სტატისტიკური მონაცემებით 2000-2006 წწ. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მსჯავრდებულთა დაწესებულების დროებით დატოვების უფლება (49-ე მუხლი) გამოიყენეს 52-ჯერ, ხოლო პატიმრის ხანმოკლე გათავისუფლების უფლება (90-ე მუხლი) კი – მხოლოდ 8-ჯერ.

პატიმრების პაემნებთან დაკავშირებით კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ხანგრძლივი პაემნების გაუქმებით, ფაქტობრივად, პატიმრებს არ დაუტოვეს სხვა ალტერნატივა. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პატიმრების შვედულებს, ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ეს პრაქტიკა აპრობირებული და ფართოდ გავრცელებულია.

ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელებით, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში დიდი ხნით თავისუფლებააღკვეთილი და უვადო თავისუფლებააღკვეთილი პატიმრები არიან. მათთვის ცხოვრების ერთადერთი ნათელი ნერტილი იყო ხანგრძლივი პაემნებით ოჯახთან კონტაქტი, ხოლო ვისაც ოჯახი არ ჰყავს, მათ კანონი აძლევთ ოჯახის შექმნის უფლებას, თუმცა, ხანგრძლივი პაემნების გაუქმებით აზრს კარგავს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პატიმრის ქონების უფლებაც.

რესოციალიზაცია-რეინტეგრაციის საკითხი განსაკუთრებით თავს იჩენს არასრულწლოვან პატიმრებთან დაკავშირებით. არასრულწლოვნები იმყოფებიან რა პიროვნული განვითარების ადრეულ ეტაპზე, საჭიროებენ განსაკუთრებულ ზრუნვასა და დახმარებას ფიზიკური, სულიერი და სოციალური განვითარების სფეროში.

არასრულწლოვანი პატიმარი, რაც დრო გადის, მით უფრო აცნობიერებს იმას, რომ ხდება სასჯელადსრულების დაწესებულების ნაწილი, სადაც მას შეზღუდული აქვს კონტაქტი გარესამყაროსთან და მკაცრად აქვს განსაზღვრული დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი ქცევის წესები. შედეგად ვიღებთ იმას, რომ არასრულწლოვნის პერსონალური პასუხისმგებლობის გრძნობა მცირდება.

400 არასრულწლოვანი პატიმრის გამოკითხვამ გერმანიაში აჩვენა, რომ ყველაზე დიდი შიში, რომელიც მათ პატიმრობასთან დაკავშირებით აქვთ, არის პატიმრობის შედეგად სოციალური იზოლაციის გრძნობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემცირდა პატიმრებთან პაემნის უფლების მქონე პირთა წრე. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი პატიმრების მშობლები ხშირად არაჯეროვნად ასრულებდნენ მშობლის მოვალეობებს, აქედან გამომდინარე არასრულწლოვნების მშობლებთან კონტაქტმა შესაძლოა უფრო უარყოფითად იმოქმედოს მათზე, ვიდრე გვერდითი ხაზის ნათესავებთან (დეიდა, ბიძა და ა.შ).

ვფიქრობთ, რომ „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ზემოაღნიშნული ცვლილებები უარყოფითად იმოქმედებს არასრულწლოვანი პატიმრების ფსიქიკაზე და მათი რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესზე, რაც სასჯელის უპირველეს მიზანს წარმოადგენს.

იმის გათვალისწინებით, რომ ხანგრძლივი პაემნის უფლება დღეს საერთოდ გაუქმებულია, მოკლევადიანი პაემნის დროის შემცირება იწვევს პატიმართა პირობების მნიშვნელოვნად გამკაცრებასა და პატიმრების მდგომარეობის ბევრად გაუარესებას.

რეკომენდაცია: შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში და პატიმრებისათვის განისაზღვროს ხანგრძლივი პაემნის უფლება ან მისი ალტერნატიული ვარიანტი, კვლავ გაიზარდოს მოკლევადიანი პაემნის დრო და გაფართოვდეს პაემნის უფლების მქონე პირთა წრე, განსაკუთრებით არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართ.



„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, მსჯავრდებულ პატიმართან შეხვედრის უფლებას მის ოჯახს ან ახლო ნათესავს აძლევს სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია („პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ადრე მოქმედი კანონმდებლობით, პაემნის უფლებაზე ნებართვას გასცემდა სასამართლო. ზემოაღნიშნული ცვლილებები, მიუხედავად იმისა, რომ, ამარტივებს პატიმრის ნახვის საშუალებას, პრაქტიკაში გაცილებით მეტ პრობლემებს უქმნის პატიმრის ახლობლებს და ხშირ შემთხვევაში უარით ისტუმრებს მათ. ამის დამადასტურებელი ნათელი მაგალითია სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებები ოჯახის წევრებთან ან ახლო ნათესავებთან პაემნის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით. კერძოდ:



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის აჭარის რეგიონულ სამმართველოს დახმარებისთვის მიმართეს ბათუმის №3 საპყრობილეში მყოფი ბრალდებულების **ნუგზარ ბერაძის, ნუგზარ და ემზარ დიასამიძეების** ოჯახის წევრებმა. მათი განმარტებით, ა.ნ. ვ აგვისტოს გამოცხადდნენ ბათუმის №3 საპყრობილეში და საპყრობილის ადმინისტრაციას წარუდგინეს ქობულეთის შს საგამომიებო განყოფილების გამომძიებლის, მ. ლვინიანიძის მიერ გაცემული ნებართვები, რომლის ძალითაც მათ ჰქონდათ ბრალდებულების ნახვის უფლება და მათთან შეხვედრა მოითხოვეს.

მოქალაქეების მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. საპყრობილის დირექტორის მოადგილის, იური დირბარიანის განმარტებით, პატიმართან პაემნის განხორციელებას არეგულირებს დაწესებულების ხელმძღვანელობა. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულთა ნათესავებთან პაემანი უკანონოდ იქნა მიჩნეული და მას ჰქონდა მათი არ შეშვების უფლება.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მიხედვით „პატიმარს შეიძლება ყოველთვიურად მიეცეს არა უმეტეს ორი პაემნის უფლება. პატიმარს პაემნის უფლებას აძლევს გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე“. აქედან გამომდინარე, ბათუმის №3 საპყრობილის ადმინისტრაციამ დაარღვია აღნიშნული კანონის მოთხოვნები, რითაც შეილახა პატიმართათვის კანონით მინიჭებული უფლებები.



„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს, განიხილოს ბათუმის №3 საპყრობილის დირექტორის მოადგილის ი.დირბარიანის დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი. იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ შეინანვლა ზემოაღნიშნული საქმე და გაუგზავნა ქ. ბათუმის პროკურატურას, სადაც წერილი სახალხო დამცველის აპარატიდანაც გაიგზავნა. ქ. ბათუმის პროკურატურიდან გვეცნობა, რომ დირექტორის ქმედებაში არ იყო დანაშაულის ნიშნები და საქმე ისევ დაუბრუნდა იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, სადაც იხილება მისი დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი.



2006 წლის 2 ივნისს **თინა მარლანიამ** სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა, რომელშიც აღნიშნავდა, რომ, მოსამართლის ნებართვის მიუხედავად, ვერ მოახერხა შვილთან, ბრალდებულ ლაშა მარლანიასთან შეხვედრა.

განცხადების თანახმად, 2006 წლის 5 მაისს, თ. მარლანიამ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს, დალი მეტრეველს, რათა შვილთან, ლაშა მარლანიასთან, შეხვედრის ნება დაერთო. 8 მაისს, მოსამართლის მიერ გაცემული ნებართვით, №7 საპყრობილის დირექტორს ს. ხულორდავას ეცნობა, რომ მოქალაქე თ. მარლანიას უფლება ჰქონდა, შეხვედროდა სასამართლოზე რიცხულ პატიმარს ლ. მარლანიას. როდესაც თ.მარლანიამ №7 საპყრობილის ადმინისტრაციას აღნიშნული დოკუმენტი წარუდგინა, მას უარი განუცხადეს პატიმრის ნახვაზე იმ მოტივით, რომ მასში არ იყო აღნიშნული თ. მარლანიას პირადობის დამადასტურებელი საბუთის ნომერი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ გაცემულ ნებართვაში არ იწერება პირადობის მონუმბის ნომერი, მოსამართლემ თ. მარლანიას თხოვნა გაითვალისწინა და ახალ დოკუმენტში პირადობის დამადასტურებელი საბუთის ნომერი მიუთითა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საპყრობილის დირექტორმა თ. მარლანიას მანაც არ მისცა პატიმრის ნახვის საშუალება, რაც იმით დასაბუთა, რომ პატიმრებთან შეხვედრისათვის განსაზღვრული დრო დასრულებული იყო. იმის გამო, რომ 9 მაისი უქმე დღე იყო, თ. მარლანია საპყრობილეში 10 მაისს მივიდა და ს. ხულორდავას შვილთან შეხვედრა სთხოვა, თუმცა მან ისევ უარი მიიღო. ხულორდავას განცხადებით, მოსამართლის ნებართვა გაცემული იყო 8 მაისს და, აქედან გამომდინარე, 10 მაისს აღნიშნული ნებართვა აღარ მოქმედებდა. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს კანონი, რომლითაც დადგენილია, რომ მოსამართლის მიერ გაცემული ნებართვა მოქმედებს მხოლოდ მისი გაცემის თარიღით განსაზღვრულ დღეს.

მიგვაჩნია, რომ ს. ხულორდავამ დაარღვია „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, „პატიმარს შეიძლება ყოველთვიურად მიეცეს არა უმეტეს ორი პაემნის უფლება. პატიმარს პაემნის უფლებას აძლევს გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე“.

საქართველოს „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, 2006 წლის 6 ივნისს მივმართეთ იუსტიციის მინისტრს წინადადებით, განიხილოს სანდრო ხულორდავას დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი.

8 ივნისს თინა მარლანია სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან ერთად იმავე – 8 მაისის ნებართვით მივიდა სასჯელადსრულების დეპარტამენტის №7 საპყრობილეში და შვილს, ლაშა მარლანიას, შეხვდა.

14 ივლისს იუსტიციის სამინისტროდან მივიღეთ წერილი ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც მითითებული იყო, რომ გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი

შემომნებით არ დადასტურდა მოქალაქე თ. მარლანიას მიერ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები, რის გამოც შეწყდა სამსახურებრივი შემომნება და არ დადგა საპრობილის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი – მეტიც, იგი გადაიყვანეს №6 საპრობილის დირექტორად.

■
ზემოაღნიშნულის გარდა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის №7 საპრობილში მყოფი პატიმრების ოჯახის წევრებმა, რომელშიც აღნიშნავდნენ, რომ 2006 წლის 9 მარტს განცხადებით მიმართეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს მათთვის კანონით მინიჭებული პაემნის თაობაზე, რაზეც უარი მიიღეს.

სახალხო დამცველის აპარატმა წერილით მიმართა სასჯელალსრულების დეპარტამენტს, რათა მიეღო შესაბამისი ზომები.

სასჯელალსრულების დეპარტამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად, 1999 წლის 22 ივლისის საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ მე-5 თავის მე-80 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საპრობილის „მკაცრ რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, წლის განმავლობაში ჰქონდეთ 3 ხანმოკლე და 1 ხანგრძლივი პაემანი ადმინისტრაციის მეთვალყურეობით“. ვინაიდან პატიმრები გ. ენდელაძე, ბ. ჯაფარიძე, მ. მგალობლიშვილი, გ. ქართველიშვილი, ა. ლანდია საპრობილში მხოლოდ 2 თვის განმავლობაში იმყოფებოდნენ, უარი ეთქვათ პაემანზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28 დეკემბრის 366-ე ბრძანებით, „პირველი შეხვედრა მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს მისი დაწესებულებაში მოყვანისთანავე, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მას წინა შეხვედრა სხვა დაწესებულებაში.“ ზემოაღნიშნულ პატიმრებზე არ ყოფილა გაცემული პირველი შეხვედრის ნებართვა.

ჩვენ საქართველოს იუსტიციის მინისტრს და სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს მივმართეთ წინადადებით, რათა უზრუნველყოთ გ. ენდელაძეზე, ბ. ჯაფარიძეზე, მ. მგალობლიშვილზე, გ. ქართველიშვილსა და ა. ლანდიაზე კანონით მინიჭებული პაემნის უფლების რეალიზება, ასევე ემსჯელათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის – ა. ხუბუას დისციპლინური წესით დასჯის თაობაზე.

სასჯელალსრულების დეპარტამენტიდან პასუხის თანახმად, ზემოაღნიშნული ნორმა, რომელშიც მითითებულია, რომ „პირველი შეხვედრა მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს მისი დაწესებულებაში მოყვანისთანავე“, ალტერნატიულია და არა იმპერატიული. ამდენად, არ ავალდებულებს დაწესებულების ადმინისტრაციას, გამოიყენოს ამ ნორმით მინიჭებული უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელალსრულების დეპარტამენტმა სახალხო დამცველის წინადადება არ გაიზიარა.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. აქედან გამომდინარე, სასჯელალსრულების დეპარტამენტს არ ჰქონდა უფლება, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი ეთქვა პატიმრებისთვის პაემნის გაცემის ნებართვაზე და დაუსაბუთებლად არ გაეზიარებინა სახალხო დამცველის წინადადება.

სასჯელალსრულების ზოგიერთ დაწესებულებაში პაემნების ოთახების არასაკმარისი რაოდენობის გამო, პატიმრების ახლობელებს მათთან შესახვედრად რიგში დგომა უწევთ.

მაგალითად, **ზუგდიდის №4 საპრობილში** მხოლოდ ერთი პაემანის ოთახი ფუნქციონირებს, რაც საკმარისი არაა. შედეგად მნახველები იძულებულნი არიან, საათობით ელოდონ თავის რიგს. საკმა-



რისი არ არის ის ორი ოთახიც, რომლებიც პატიმრებისა და ადვოკატების შეხვედრისთვის არის განკუთვნილი. ახალი ოთახების გასახსნელად საპყრობილეს ფართი არა აქვს.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების თანახმად, „მსჯავრდებულთან პაემნის მსურველი პირი ვალდებულია, ამის თაობაზე სასჯელალსრულების ადმინისტრაციას შეატყობინოს პაემნამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა“.

ზემოაღნიშნული ცვლილება არამიზანშენილიად მიგვაჩნია, რადგან ხშირ შემთხვევაში პაემნის უფლების მისაღებად სასჯელალსრულების დაწესებულებებს მიმართავენ პატიმრის ოჯახის წევრები, რომლებიც შორი მანძილიდან ჩამოდიან და ქალაქში დასარჩენი ადგილი არ აქვთ. ამ დროს გაურკვეველია, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი. ფაქტობრივად, მათ ორჯერ და მეტჯერ უნევთ პაემნის უფლების მოსაპოვებლად თბილისში ჩამოსვლა.

რეკომენდაცია: წინადადებით მივმართავ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტს, შემცირდეს კანონით დადგენილი ვადა პაემნის უფლების გაცემაზე და უფლების მისაღებად თხოვნის წარდგენის დღესვე მოხდეს ნებართვის გაცემა.

დაცვის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დაცვის უფლება გარანტირებულია. აღნიშნული უფლება რეგლამენტირებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში, რომლებიც ქმნიან გარანტიებს კონსტიტუციური უფლების განსახორციელებლად. დაცვის უფლება მოიცავს დამცველთან შეუზღუდავი შეხვედრის უფლებასაც. აღნიშნული დებულება განმტკიცებულია „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.გ“ პუნქტით, მსჯავრდებულს უფლება აქვს, უზრუნველყოფილი იყოს „დამცველთან შეუზღუდავი შეხვედრის უფლებით“.

მსჯავრდებულისათვის ანალოგიურ გარანტიას აწვებს ამავე კანონის 48-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „ყველა მსჯავრდებულს აქვს დამცველთან შეხვედრის უფლება ყოველგვარი ჩარევისა და ცენზურის გარეშე. სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომლებს შეუძლიათ, აკვირდებოდნენ შეხვედრას ვიზუალურად, მაგრამ მოსმენის გარეშე“. ანალოგიური უფლებით სარგებლობენ პატიმრებიც (ბრალდებულები და განსასჯელები) და მათ ამ გარანტიას უდგენს პატიმრობის შესახებ კანონის 89-ე მუხლი, კერძოდ: „პატიმარს აქვს თავის დამცველთან შეხვედრის შეუზღუდავი უფლება, რაც წესრიგდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით“.

მიუხედავად კონსტიტუციისა და კანონის ასეთი იმპერატიული მოთხოვნისა, სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიერ სისტემატურად ხდებოდა დაცვის უფლების შეზღუდვა, რაც მსჯავრდებულებისა და პატიმრების დამცველთან შეხვედრის დროებითი აკრძალვით გამოიხატებოდა. კერძოდ: **2005 წლის დეკემბრის თვის ბოლოს ქუთაისის №2 საპყრობილისა** და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მიმდინარე მოვლენების გამო შეიზღუდა დაცვის უფლება, რაც გამოიხატა აღნიშნულ დაწესებულებაში ადვოკატების შეშვებასა და პატიმრებთან შეხვედრაზე უარის თქმით. მნიშვნელოვანია, რომ ამის შესახებ არანაირი აქტი არ გამოცემულა და ამ ბრძანებებს სიტყვიერად იძლეოდნენ სასჯელალსრულების დეპარტამენტისა და დაწესებულებების თანამდებობის პირები. ეს შეზღუდვები 2005 წლის 25 დეკემბერს დაიწყო და სხვადასხვა ფორმით თითქმის 8 დღე გაგრძელდა. თავდაპირველად შეზღუდვები მოეხსნათ იმ ადვოკატებს, რომლებსაც პროცესუალური ვადები გასდიოდათ, დანარჩენებს კი დასაცავ პირებთან შეხვედრის საშუალება მხოლოდ 2 იანვრის შემდეგ მიეცათ.

ანალოგიური სიტუაცია იყო სასჯელალსრულების ზოგიერთ სხვა დაწესებულებაშიც. თუ ქუთაისის შემთხვევაში ამის მიზეზი დაწესებულებაში არსებული არეულობა იყო, **ბათუმის №3 საპყრობილეში**,

ადვოკატებს შესვლაზე 5 დღის მანძილზე, 24 იანვრიდან 28 იანვრის ჩათვლით, უარს ეუბნებოდნენ იმ მოტივით, რომ დაწესებულებაში სანიტარული-ჰიგიენურ ღონისძიებები ტარდებოდა, რაც, როგორც წინა შემთხვევაში, უკანონო საბაზი იყო. უფრო მეტიც, დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გამოსცა ბრძანება შეზღუდვის შესახებ და ის საჯაროდ გამოაკრა დაწესებულების შესასვლელთან. აღნიშნული ბრძანება აბსოლუტურად უკანონო იყო და ეწინააღმდეგებოდა როგორც კონსტიტუციასა და საერთაშორისო ნორმებს, ასევე „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა“ და „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ამავდროულად, ადვოკატები, პატიმრები და მათი ახლობლები აღნიშნავენ, რომ მათი კანონიერი მოთხოვნების პასუხად ცინიკურ და დამცინავ დამოკიდებულებასა და აბუჩად აგდებას იღებდნენ.

თბილისის მე-7 საპრობილემში მყოფი პატიმრების ახლობლები და ოჯახის წევრები აღნიშნავენ, რომ სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომლები მათ მოთხოვნებს ცინიკურად ხვდებიან. კანონმდებლობით დადგენილ ვადებში არ პასუხობენ წერილობით განცხადებებს და ა.შ. №7 საპრობილემში ადვოკატების შეზღუდვა დაიწყო 2005 წლის დეკემბრის ბოლოს და 2006 წლის 5 იანვრამდე გაგრძელდა. საქართველოს სახალხო დამცველმა 2006 წლის 4 იანვარს რეკომენდაციით მიმართა სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსს, ბატონ ბაჩო ახალაიას და მოსთხოვა დაცვის შეუზღუდავი უფლების განხორციელებაზე ხელის შეშლის აღკვეთა. რეკომენდაციის შემდეგ საპატიმრო დაწესებულებებში ადვოკატების შეშვება აღდგა და მათ პატიმრებთან შეხვედრის საშუალება მიეცათ. თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ ითქვა, მოგვიანებით, სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიების ჩატარების უკანონო მოტივით ბათუმის №3 საპრობილემში ადვოკატისა და ბრალდებულის ან განსასჯელის შეხვედრის შეუზღუდავი უფლება 2006 წლის 24 იანვრის ბრძანებით კვლავ შეიზღუდა. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია სასჯელალსრულების დეპარტამენტის მხრიდან არ შესრულდა.

ასევე ხაზგასასმელია ისიც, რომ თბილისის №7 საპრობილესთან ადვოკატები საათობით დგანან რიგში, რადგან დამცველთან შესახვედრად არ არის საკმარისი ოთახები. 3 საგამოძიებო ოთახიდან ფუნქციონირებს მხოლოდ 2, რომლებშიც დამონტაჟებულია ვიზუალური სათვალთვალო კამერები. არის შემთხვევები, როცა ამ მიზეზის გამო ადვოკატები, მთელი დღის რიგში დგომის მიუხედავად, საერთოდ ვერ ახერხებენ მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან შეხვედრას.

რეკომენდაცია: გაიზარდოს ადვოკატებთან შეხვედრის ოთახების რაოდენობა და მოხდეს მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან შეუზღუდავი შეხვედრის უზრუნველყოფა (გონივრულ ფარგლებში).



2006 წ. 3 მაისს საქართველოს სახალხო დამცველი საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის უფროსს და ამ სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა. სახაზინო ადვოკატებმა ვრცლად მიმოიხილეს ის პრობლემები, რომლებსაც ისინი მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან შეხვედრისას აწყდებიან.

სახაზინო ადვოკატების მტკიცებით, საპატიმროში შესვლისას მათ ჩხრეკენ. ადვოკატთან შეხვედრამდე კი იჩხრიკება პატიმარიც. თუმცა, მას ადვოკატის თანდასწრებით შეხვედრის დასრულების შემდეგაც ჩხრეკენ, თანაც განმეორებითი ჩხრეკის დამთავრებამდე ადვოკატს არაძლევენ შენობის დატოვების უფლებას. მსგავსი ღონისძიების მიზანია, გამოირიცხოს ადვოკატის მიერ პატიმრისათვის ან, პირიქით, აკრძალული ნივთის ან ნივთიერების გადაცემის ალბათობა. ადვოკატები მიიჩნევენ, რომ პატიმრის განმეორებით გაჩხრეკა შეურაცხმყოფელია და ადვოკატებზე ზენოლის ერთგვარი საშუალებაა, ვინაიდან გამოირიცხული არ არის, პატიმარს საკნიდან ჰქონდეს წამოღებული კანონით აკრძალული ნივთი, რომელიც პირველი ჩხრეკისას არ აღმოაჩნდა, განმეორებითი ჩხრეკისას კი შეიძლება ადვოკატს დაბრალდეს მისი გადაცემა.



ჩვენთვის გაუგებარია ადვოკატის გაჩხრეკის მიზანი მაშინ, როცა პატიმარი იჩხრიკება, როგორც ადვოკატთან შეხვედრამდე, ასევე შემდეგაც. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ განახლებული ევროპული ციხის წესების 54.10 წესის თანახმად, „სასჯელაღსრულების დანესებულებაში პროფესიული ვიზიტების კონტროლთან დაკავშირებით, მაგ. დამცველის, სოციალური მუშაკის, ექიმის და ა.შ. გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს მათ პროფესიულ ორგანიზაციებთან კონსულტაციის შემდეგ“. ევროპის თითქმის არც ერთ ქვეყანაში არ ხდება ადვოკატების გაჩხრეკა მათი სტატუსიდან გამომდინარე.

რეკომენდაცია: აიკრძალოს ადვოკატების გაჩხრეკა პატიმრებთან შეხვედრის წინ.

სახაზინო ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ პატიმრებთან შეხვედრის კონფიდენციალობა ირღვევა. შეხვედრების ოთახში დამონტაჟებულია ვიდეოთვალი. ისინი არ გამორიცხავენ მოსასმენი მონაცემების არსებობას. ასეთ დაძაბულ ატმოსფეროში პატიმრები ცდილობენ, თავი შეიკავონ და ბოლომდე გულწრფელნი არ იყვნენ ადვოკატთან, რაც, თავისთავად, დაცვის უფლების განხორციელების ხარისხზე აისახება.

ვიდეოკამერები შეხვედრის ოთახებში

2006 წლის 16 ივნისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და მოითხოვა ქუთაისის №2 და თბილისის №7 საპყრობილეში პატიმრებისა და ადვოკატების შეხვედრის ოთახებში დაყენებული ვიდეოკამერების დემონტაჟი, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი იმპერატიულად აცხადებს, რომ „დამცველს უფლება აქვს შეხვედეს დასაცავ პირს მარტო და რაიმე მეთვალყურეობის გარეშე“.

დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ ვიდეოს სახალხო დამცველს უპასუხა, რომ ისინი უარს ამბობენ ამ რეკომენდაციის შესრულებაზე, რადგან ის, რაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით, დაშვებულია გაეროს „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებით“, და რამდენადაც საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები მაღლა დგას საქართველოს კანონმდებლობაზე, ამიტომ დეპარტამენტი მათ ანიჭებს უპირატესობას და ამით ხელმძღვანელობს.

ამ არადეკლარირებულ პასუხთან დაკავშირებით კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ მინიმალური სტანდარტები არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომლის რატიფიკაციას ახდენს პარლამენტი და რომელიც მაღლა დგას საქართველოს კანონმდებლობაზე. მინიმალური სტანდარტი არის სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტი, რომლის გათვალისწინებაც მიზანშეწონილია ქვეყნისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი კანონმდებლობა უფრო მაღალ სტანდარტებს არ აწესებს. საქართველოს კანონმდებლობა ამ შემთხვევაში უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს და ეს არის ჩვენი დემოკრატიის ერთ-ერთი ნიშანი. გარდა ამისა, გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესის თანახმად, „წინამდებარე წესები არ ისახავს მიზნად სასჯელაღსრულების დანესებულებების სანიმუშო სისტემის აღწერას. მათი ამოცანაა, რომ თანამედროვე აზროვნებისა და დღევანდელი მდგომარეობით არსებული ყველაზე დამაკმაყოფილებელ სისტემათა ძირითადი ელემენტების საფუძველზე წარმოაჩინოს ის, რაც პატიმრებთან მოპყრობის საკითხში საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც სწორი“.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს კარგად იციან სასჯელაღსრულების დეპარტამენტშიც. უბრალოდ, ეს ის შემთხვევაა, როცა მაღალი თანამდებობის პირი კანონს აშკარად უგულბებლყოფს. სწორედ ასეთი მიდგომა უქმნის საფრთხეს საქართველოში კანონის უზენაესობას.

პატიმრებთან შეხვედრის კონფიდენციალობის დარღვევის კიდევ ერთი მაგალითი: ადვოკატმა, შალვა ხაჭაპურიძემ, სახალხო დამცველთან საუბრისას განაცხადა, რომ 2006 წლის ივნისის თვეში

სასჯელალსრულების დანესებულების №6 იზოლატორში იგი თავისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან, პატიმარ ტ. ფოცხვერიასთან შეიყვანეს იმ საკანში, სადაც კიდევ ორი ე.წ. „კანონიერი ქურდი“, გ. ბობოხოძე და ქურასბედიანი, იმყოფებოდნენ. აღნიშნული არაერთხელ გამეორდა, რითაც აშკარად დაირღვა დამცველთან კონფიდენციალური შეხვედრის უფლება და რასაც ჩვენი აზრით, შესაბამისი ორგანოების მხრიდან რეაგირება აუცილებლად უნდა მოჰყვეს.

რეკომენდაცია: მოიხსნას საპყრობილებში ადვოკატებისა და პატიმრების შეხვედრის ოთახებში დაყენებული სათვალთვალოები და შევიდეს ცვლილებები იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28 დეკემბრის ბრძანებაში „პატიმრობის მოხდის შესახებ“ და გაუქმდეს აღნიშნული ბრძანების მე-19 მუხლის მე-9 ნაწილის ბოლო წინადადება: „საპყრობილის მოსამსახურეს უფლება აქვს ვიზუალურად, მოსმენის გარეშე, აკვირდებოდეს შეხვედრას“.

რეკომენდაცია: მიემართავთ იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, გამოიძიოს შ. ხაჭაპურიძის საქმე.

ჩვენ მიერ მოყვანილი შემთხვევებით სახეზეა კანონის აშკარა და უხეში დარღვევა. პარლამენტი არის ხელისუფლების ის შტო, რომელიც ახორციელებს დემოკრატიულ კონტროლს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მის მიერ კანონის უზენაესობის დაცვაზე და ჩვენი აზრით, მსგავსი ფაქტები პარლამენტმა არ უნდა დატოვოს რეაგირების გარეშე.

პატიმრების კვება, ზანდეროლება და ამანათიები

მეტად პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სასჯელალსრულების დანესებულებებში პატიმრების კვება.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი ზოგადად განსაზღვავს საერთაშორისო სტანდარტებში მოცემულ ნორმებს პატიმართა კვებასთან დაკავშირებით, კერძოდ, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სასჯელალსრულების დანესებულებაში კვების ორგანიზაცია უნდა შეესაბამებოდეს მოსახლეობის კვების ტრადიციებს და შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელ კომპონენტებს. აკრძალულია მსჯავრდებულის დასჯის მიზნით საჭმლის კალორიულობის დაქვეითება“, ხოლო მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „მსჯავრდებულს უფლება აქვს, ზანდეროლებითა და ამანათებით მიიღოს კვების პროდუქტები, გარდა დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა“.

პატიმრების კვებასთან დაკავშირებით ზოგადი განმარტებებია მოცემული აგრეთვე, იუსტიციის და ჯანდაცვის მინისტრების ერთობლივ ბრძანებაში №5/5000 „მსჯავრდებულთა კვების ნორმების, ტანსაცმლისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესახებ“, რომელიც ადგენს კალორიებს პატიმართა კატეგორიების მიხედვით (საერთო და მკაცრ რეჟიმში მყოფი მსჯავრდებულებისათვის, მძიმე და მავნე პირობებში მომუშავე მსჯავრდებულებისათვის, საპყრობილებში მყოფ პირთათვის, არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დანესებულებაში მყოფ მსჯავრდებულთათვის, სამედიცინო სამსახურის დანესებულებებში სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ პირთათვის, აგრეთვე, ორსული და მეძუძური დედებისათვის, სასჯელალსრულების დანესებულებაში მყოფ ჩვილ ბავშვთათვის და გარკვეულ შემთხვევებში იძულებითი კვების ნორმებს).

კერძოდ, დღიური კვება მსჯავრდებულებისათვის განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რომელ კატეგორიაში ექცევიან ისინი, თუმცა კანონმდებლობა მიუთითებს, რომ სულ მცირე, ერთ დღეში პატიმარისათვის მიწოდებული საკვების კალორიის ოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 2735-ისა – საერთო და მკაცრი რეჟიმის დანესებულებაში მყოფი პირებისათვის; 2879 – მავნე პირობებში მომუშავე პირებისათვის; 2486.1 – საპყრობილებში მყოფი პირებისა და არასრულწლოვანებისათვის; 2577.8 ან 2964 –



ავადმყოფი პატიმრებისათვის იმის მიხედვით, რამდენად მძიმე პატიმარია იგი, 295.9 – ორსული და მეძუძური დედებისათვის. აღნიშნულში არ არის გათვალისწინებული კვება დიეტური პატიმრების, ვეგეტარიანელებისა და რელიგიური საჭიროებებისათვის (მარხვა). ამასთან, პროცედურები, რომელთა მიხედვითაც უნდა იკვებონ პატიმრები, აგრეთვე, არაა დეტალიზებული, როგორ უნდა ხდებოდეს კანონით დადგენილი ოდენობის საკვები პროდუქტების მიწოდება პატიმრებისათვის და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი დაკონკრეტება.

იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებების შესაბამისად, გარკვეულ დაწესებულებებში (№7, №2, №6 საპყრობილებებში) გაიზარდა სასურსათო ულუფები თვეში 50 ლარამდე ერთი წინასწარი პატიმრისათვის, ხოლო 45 ლარამდე – ერთი მსჯავრდებულისათვის. ამავე დაწესებულებებში „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 4 აპრილის №380 ბრძანების საფუძველზე აიკრძალა ამანთების მიღება-გაგზავნა, რომლის საშუალებითაც უკანასკნელი წლების განმავლობაში საკუთარი ოჯახებისა და ახლო ნათესავების მიერ ხდებოდა პატიმრებისათვის იმ საკვები პროდუქტების მიწოდება, რომლითაც ვერ უზრუნველყოფდა სასჯელალსრულების დეპარტამენტი და რომლებიც წარმოადგენდა სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტების შემცველ (ვიტამინები, პროტეინი) საკვებ პროდუქციას. შესაბამისად, პატიმართა კვება მთლიანად საპყრობილის მომარაგებაზე გახდა დამოკიდებული, რამაც მიუხედავად კვებისათვის გამოყოფილი თანხის გაორმაგებისა, აშკარა გახდა რაციონის ერთფეროვნება და ულუფების სიმცირე. იმის გათვალისწინებით, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებებში კვება არაა დეკვატურია, აღნიშნული შეზღუდვა დაუშვებლად მიგვაჩნია. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები ზემოაღნიშნულს ხსნიან იმითი, რომ უახლოეს მომავალში სასჯელალსრულების დაწესებულებებში იხსნება მალაზიები. ამის გარდა, მიმდინარეობს „საქართველოს ბანკთან“ მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ თითოეულ პატიმარს გაეხსნება ბანკში პირადი ანგარიში, რომელშიც ახლობლების მიერ ან თავის მიერ გამომუშავებული თანხა დაერიცხება და შეეძლება მისთვის სასურველი კანონით აუკრძალავი ნივთებისა და საკვების შეძენა.

მალაზიებთან და პატიმართა პირად ანგარიშთან დაკავშირებულ ცვლილებას ჩვენ დადებითად ვაფასებთ, თუმცა, ამასთან მართებულად მიგვაჩნია, ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებამდე არანაირი შეზღუდვა არ დაწესებულიყო ამანათებთან დაკავშირებით, სანაცვლოდ კი, გამკაცრებულიყო კონტროლი შესაგზავნ პროდუქტებზე.

პრაქტიკაში გამოვლენილ საკვების პრობლემასთან დაკავშირებით საუბრობენ სასჯელალსრულების დაწესებულებებთან არსებული კომისიები. იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების სისტემის რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტისა და დასავლეთ საქართველოს სასჯელალსრულების დაწესებულებებთან არსებული საზოგადოებრივი კომისიების მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ პრობლემების მთელი რიგი სწორედ საყოფაცხოვრებო პირობებსა და განსაკუთრებით საკვებს, საკვების რაციონსა და სამზარეულოსთან დაკავშირებულ საკითხებს უკავშირდება.

როგორც აღვნიშნეთ, სასჯელალსრულების სხვადასხვა დაწესებულება სხვადასხვა ოდენობით ფინანსდება მსჯავრდებულთა კვებისათვის, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ეს თანხა მიზერულია. ბათუმისა და ზუგდიდის სასჯელალსრულების დაწესებულებათა კომისიების მიერ გამოვლინდა, რომ საკვებისათვის ბათუმში თვის განმავლობაში ერთ პატიმარზე იხარჯებოდა 23 ლარი, ხოლო ზუგდიდში – 26 ლარი. ავადმყოფი პატიმრებისათვის (რომლებიც პრაქტიკულად სასჯელალსრულების ყველა დაწესებულებაში იმყოფებიან) არ მზადდება ცალკე საკვები შესაბამისი სპეციფიკურობით; ყველა სასჯელალსრულების დაწესებულებაში არსებული მენიუ თითქმის იდენტურია და ამასთან უცვლელი; ზოგიერთ შემთხვევაში პატიმრებს არ აქვთ შესაბამისი ჭურჭელი საკვებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეინიშნებოდა 2006 წლის 19 აპრილს ზუგდიდის №4 საპყრობილეში, სადაც 9 არასრულწლოვან პატიმარზე მხოლოდ 1 კოვზი და 3 ჭიქა მოდიოდა.

ქ. ბათუმის №3 საპყრობილესთან არსებული საზოგადოებრივი კომისიის ანგარიშზე დაყრდნობით, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა №3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არის კვება. კერძოდ, საპყრობილეში ერთი სამზარეულო ოთახია, იქ არსებული ერთადერთი ქვაბი მოძველებული და სრულიად გაუმართავია (წყალი გასდის), სხვა რაიმე სახის მონყობილობა ან ჭურჭელი საპყრობილეში არ არის. პატიმრები ჭურჭლით მარაგდებიან ნათესავების მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მზარეულები საკვების მომზადებისას არ არიან სათანადოდ შემოსილნი თეთრი ხალათებით, რაც ქმნის ანტისანიტარიის საშიშროებას. ბათუმის საპყრობილეში მყოფი ავადმყოფი პატიმრებისთვის არ არსებობს განსხვავებული სახის რაციონი. ადმინისტრაცია მხოლოდ შაქრის გაორმაგებული დოზით მიწოდებს ახერხებს, თუმცა, 2006 წ. იანვარში სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს გამოვლინდა შემთხვევა, როცა პატიმრებს რამდენიმე დღის განმავლობაში არ ჰქონდათ შაქარი, რადგან იგი დაწესებულებაში არ იყო და არც გარედან შეტანის ნებას აძლევდნენ, რადგან ეს მინისტრის ბრძანებით არის აკრძალული.

მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა რუსთავის №6 საპყრობილესა და სხვა დაწესებულებებშიც, რაც უფლებების აშკარა დარღვევაა. **თუ დაწესებულების ადმინისტრაცია თვითონ ვერ ამარაგებს პატიმრებს კანონით გათვალისწინებული ულუფებით, მაშინ პატიმრებს უფლება უნდა მიეცეთ თვითონ შეიტანონ ეს ულუფა (ამ შემთხვევაში შაქარი).**

საინტერესოა ქ. ქუთაისის №2 საპყრობილესთან არსებული საზოგადოებრივი კომისიის ანგარიში, რომელშიც ყურადღება გამახვილებული საპყრობილეში არსებული კვების პრობლემებზე. კერძოდ: საკვები რაოდენობრივად და ხარისხობრივად არ აკმაყოფილებს პატიმრებს, ვინაიდან კვება ხორციელდება ძველი, 1991 წელს დამტკიცებული, რაციონის მიხედვით, როცა ამანათების შეგზავნა დაწესებულებაში პრობლემა არ იყო.

ქ. ზუგდიდის №4 საპყრობილის საზოგადოებრივი კომისიის ანგარიშში მითითებულია, რომ პატიმრებთან საუბრის შედეგად, მენიუს შემადგენლობა დადგინდა, მაგრამ მათთვის ძირითად საკვებს მაინც ამანათების სახით ნათესავების მიერ შემოგზავნილი პროდუქტი წარმოადგენს. ნებადართული პროდუქტების სია გამოკრულია ამანათების მიმღებ პუნქტთან. პატიმართა ახლობლებმა გამოთქვეს უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ საპყრობილესთან ფუნქციონირებს ამანათების მიმღები მხოლოდ ერთი სარკმელი, რის გამოც მათ საათობით უწევთ რიგში დგომა. პატიმრებს საკვები ჭურჭელი ზუგდიდის საპყრობილეში, ქუთაისის მსგავსად, ოჯახიდან მიეწოდებათ.

საინტერესოა საერთაშორისო სტანდარტები პატიმრების კვებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

გაეროს მინიმალური სტანდარტების (ნესი 20 და 26) თანახმად, „პატიმრები ადმინისტრაციის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საჭმელად ვარგისი, ჯანმრთელობისათვის და ძალღონისათვის უსაფრთხო, ხარისხიანი და კარგი საკვებით, ამასთან წყლის დაღვევა უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა პატიმარისათვის ნებისმიერ დროს“. დაწესებულებას ეკისრება ვალდებულება ჰყავდეს ექიმი, რომელიც რეგულარულად შეამოწმებს საჭმლის მომზადებას, მომსახურების რაოდენობასა და ხარისხს. აუცილებელია, ადმინისტრაციამ დროულად უზრუნველყოს პატიმართა კვება პატიმართა მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობს პატიმართა ასაკიდან, შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან და კულტურულ-რელიგიური მოთხოვნებიდან.“

ევროპული წესების მიხედვით, რომელიც სულ ახლახანს, 2006 წლის 11 იანვრის ევროპის მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით იქნა განახლებული, ახალ სტანდარტებს ადგენს და აკონკრეტებს დღის განმავლობაში სავალდებულო კვების ნორმატივებს. ამასთან, ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოებს, ეროვნულ დონეზე დაადგინონ კვების ნორმები. კერძოდ, 22.2 პრინციპის მიხედვით: „საკვები რაციონის მოთხოვნები, როგორცაა კალორიულობა და ცილების შემცველობა, გათვალისწინებული



უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით“. აგრეთვე 22.4 პრინციპი ადგენს, რომ „პატიმართათვის გათვალისწინებული უნდა იყოს სამჯერადი კვება, გონივრულ ინტერვალებში.“

საერთაშორისო სტანდარტები ადგენს, რომ „დაუშვებელია საკვების კალორიულობის შემცირება პატიმრის დასჯის მიზნით“.

შევეხებით მნიშვნელოვან საკითხს – **წყლის მიწოდებას**. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში სრულად არის იმპლემენტირებული საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნა აღნიშნულთან დაკავშირებით და შეიძლება ითქვას, რომ იგი არ წარმოადგენს ხარვეზს სამართლებრივი თვალსაზრისით, თუმცა კანონქვემდებარე აქტებთან დაკავშირებით კვლავ არსებობს პრობლემა. მინისტრის ბრძანებაში „მსჯავრდებულთა კვების ნორმების, ტანსაცმლისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესახებ“ არაა განსაზღვრული კონკრეტული პროცედურები, თუ როგორ უნდა ხდებოდეს სასჯელალსრულების დაწესებულებებისა და ცალკეული პატიმრების წყლით მომარაგება იმ დაწესებულებებში, რომლებშიც მუდმივად წყლის მიწოდება შეუძლებელია.

პრაქტიკაში არსებული პრობლემები გამოვლინდა წყალთან დაკავშირებითაც.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, მთელ რიგ დაწესებულებებს პერმანენტულად არ აქვთ მომდინარე სასმელი წყალი, რის გამოც პატიმრები იძულებულნი არიან, წყალი შეინახონ პოლიეთილენის ჭურჭელში.

წყალთან დაკავშირებით პრობლემა გამოვლინდა ქ. რუსთავის №6 საპყრობილეშიც.

ქ. რუსთავის მოსახლეობა ონკანში მომდინარე წყალს უხარისხობის გამო არ სვამს. ახლობლები პატიმრებს წყალს გარედან უგზავნიდნენ, რაც წონით იზომებოდა (30კგ). სახალხო დამცველის მიერ გაკეთებული რეკომენდაციის შემდეგ აღნიშნული შეზღუდვა მოიხსნა და დარჩა მხოლოდ გაზირებულ მინერალურ წყალზე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მასზეც გაუქმდეს ლიმიტი და შესაძლებელი იყოს გაზირებული წყლის შეუზღუდავი შეგზავნა.

რეკომენდაცია: ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასწრაფოდ მოხდეს წყლის ვარგისიანობის დადგენა, და, თუ იგი ჯანმრთელობისათვის სახიფათოა, მოხდეს პატიმრების მომარაგება სასმელად ვარგისი წყლით.

განათება, ვენტილაცია

განათება და ვენტილაცია სასჯელალსრულების დაწესებულებებში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ, პრობლემურ საკითხს წარმოადგენს.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი მსჯავრდებულის საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით 33-ე მუხლში ადგენს: „საცხოვრებელ სადგომს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას და ვენტილაციას“. აღნიშნული მუხლი ერთადერთია, რომელიც ქართულ კანონმდებლობაშია მოცემული და თითქმის მეორდება დებულებაში „სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესახებ“ სასჯელალსრულების დაწესებულებათა ვენტილაციისა და განათებასთან დაკავშირებით.

საკენების განათება და ვენტილაცია გადატვირთულობასთან ერთად სასჯელალსრულების სისტემაში ქმნის არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებს. ახლად აშენებული საპყრობილეების გარდა (რუსთავის №6 და ქუთაისის №2 საპყრობილე), არც ერთ საპყრობილეში არ არის დამონტაჟებული ბუნებრივი ვენტილაცია. 2006 წლის ზაფხულში იგი დაამონტაჟეს ქ. თბილისის №7 საპყრობილეში, მაგრამ

საკმარისი მაინც არ არის. საკნებში არსებული პატარა ფანჯრებისა და დაქსაქსული რკინის ბადის გამო, იქ არ შედის ბუნებრივი ჰაერი, ჭირს სუნთქვა და გაუსაძლის პირობებს უქმნის პატიმრებს. ამასთან, ვენტილაციის საშუალების უქონლობა იწვევს ანტისანიტარიას, რაც, თავის მხრივ, ეპიდემიის გავრცელების საშიშროებაა.

საგარეოდ, საპყრობილების გადაცვირობა და იქ სათანადო ვენტილაციის არარსებობამ ზაფხულის სიცხის პირობებში გამოიწვია პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმება და ხელი შეუწყო 2006 წლის მარტიდან სექტემბრამდე 33 პატიმრის გარდაცვალებას საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (ძირითადად ქ. თბილისის მე-5 საპყრობილეში).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიემართავთ რეკომენდაციით, დაამონტაჟოს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა ყველა საპყრობილეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდის საპყრობილესთან არსებული საზოგადოებრივი კომისიის დიდი ძალისხმევით შედეგად 2006 წლის ზაფხულში მოიხსნა გისოსები №4 საპყრობილის ფანჯრებიდან და შემდეგ 2006 წლის აგვისტოში – ქ.თბილისის №5 საპყრობილის ფანჯრებიდანაც (წლების განმავლობაში აღნიშნული იყო როგორც სახალხო დამცველის, ისე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაცია და აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მაშინ განხორციელდა, როცა აუტანელი სიცხისა და გადაცვირობის დროს დღეში ერთი პატიმარი კვდებოდა).

ჯერ კიდევ 2006 წლის 2 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №7 საპყრობილის მონახულების შემდეგ განაცხადა, რომ საპყრობილეში პრობლემური იყო **განათების საკითხი**. ზოგიერთ საკანში კი პატიმრები თითქმის სრულ სიბნელეში იმყოფებოდნენ.

2006 წლის 9 მარტს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №7 საპყრობილეში. მათ დაათვალიერეს საკნები, რომლებშიც საპყრობილის ადმინისტრაციამ შეცვალა განათება და ახალი ნათურები დააყენა. შედეგად საკნებში განათება შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც არ არის საკმარისი.

განათებასთან დაკავშირებით, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გაშიშვლებულია ელექტროსადენები.

აღსანიშნავია ის სამწუხარო ფაქტი, რომ 2006 წლის 23 ივლისს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №1 საპყრობილეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად 31 წლის მიხეილ თოხაძე გარდაიცვალა. წინასწარი ინფორმაციით, პატიმრის გარდაცვალების მიზეზი გაშიშვლებულ ელექტროსადენთან შეხება გახდა. მიხეილ თოხაძეს 3 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. იგი ქსნის №7 დაწესებულებიდან №1 საპყრობილეში ერთი კვირის წინ გადაიყვანეს. პატიმრის გარდაცვალების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, „მსჯავრდებულს უფლება აქვს მოსთხოვოს დაწესებულების ადმინისტრაციას ზომების მიღება მისი პირადი უსაფრთხოების დასაცავად“.

მსგავსი შემთხვევითი ფაქტების პრევენციის მიზნით, მიემართავთ შესაბამის სტრუქტურებს, უზრუნველყონ უსაფრთხოების წესების დაცვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ელექტროსადენებთან დაკავშირებით.

საინტერესოა საერთაშორისო სტანდარტები განათება-ვენტილაციასთან დაკავშირებით. კერძოდ,



გაეროს „მინიმალური სტანდარტული წესების“ მე-11 წესის მიხედვით: დანესებულებებში, რომლებშიც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები: (ა) ფანჯრები უნდა იყოს ისეთი ზომის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე, და ისე უნდა იყოს კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა; (ბ) ხელოვნური განათება საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობის გაუარესების საფრთხის გარეშე.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სამედიცინო მუშაკმა რეგულარულად უნდა დაათვალიეროს და აცნობოს დირექტორს დანესებულების სისუფთავისა და ვენტილაციის შესახებ, თუმცა კანონმდებლობაში აღნიშნული საკმარისად დეტალიზებული არაა. პრობლემას წარმოადგენს დანესებულებათა ფანჯრებზე (მე-7 საპრობილეში) პატარა ფანჯრების არსებობა, რომლებიც ხელს უშლის საკნების ვენტილაციას და ბუნებრივ განათებას.

ევროსაბჭოს წამების აღკვეთის კომიტეტი (CPT) ხშირად საუბრობს საკნის ფანჯრებზე ისეთი საშუალებების შესახებ, როგორცაა: მეტალის დარაბები, ჟალუზები და სხვა მონყობილობები, რომლებიც ხელს უშლიან შუქისა და სუფთა ჰაერის შესვლას საკანში. უფრო ხშირად ეს მონყობილობები არის იმ დანესებულებებში, რომლებშიც განსასჯელი პატიმრები იმყოფებიან. CPT ადგენს, რომ ჰაერისა და საკმარისი განათების უქონლობა ქმნის დამამცირებელი მოპყრობის პირობებს. ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ თითოეული პატიმრის შემთხვევა ცალ-ცალკე, რათა დადგინდეს, გამართლებულია თუ არა უსაფრთხოების ზომები ცალკეულ შემთხვევაში და თუ ასეთი ზომების მიღება საჭიროა, პატიმრები უნდა უზრუნველყონ საჭირო ჰაერთა და შუქით. და ბოლოს, ასეთი პირობების უქონლობა ისეთი დაავადების გავრცელების საფუძველია, როგორცაა ტუბერკულოზი“.

ახალი ევროპული წესები სახლმწიფოსათვის, როგორც მინიმუმს ადგენს: ყველა შენობაში, რომლებშიც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან:

- ა. ფანჯრები უნდა იყოს ისეთი ზომის, რომ პატიმრებს შეეძლოთ იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივ განათებისას ნორმალურ პირობებში, ასევე უზრუნველყოფილი იყვნენ ჰაერთ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიცირების სისტემა;
- ბ. ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს;
- გ. უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს.

კონკრეტული მინიმალური მოთხოვნები 1 და 2 პარაგრაფში მოცემული საკითხების გათვალისწინებით მოცემული უნდა იყოს ეროვნულ კანონმდებლობაში.

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 31-ე წესი ადგენს, რომ „უნდა აიკრძალოს ფიზიკური ზემოქმედება, ბნელ საკანში მოთავსება და დასჯის სასტიკი, არაადამიანური, ღირსების შემლახავი სხვა საშუალებები, როგორც დისციპლინური დარღვევის აღმკვეთი ღონისძიებები“.

საქართველოს №1 და №5 სასჯელადსრულების დანესებულებებში არსებული კარცერები სწორედ ასეთი სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი ბნელი საკნები იყო. ისინი იმდენად მინის სიღრმეში იყო, რომ სრული სიბნელე სუფევდა და არ აღწევდა ბუნებრივი განათება, არ არსებობდა ბუნებრივი ჰაერი და შესაბამისად არ ხდებოდა ვენტილაცია. სინესტე და ანტისანიტარია მწვავე პრობლემას წარმოადგენდა.

ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი საქართველოსთან დაკავშირებით თავის რეკომენდაციაში ჯერ კიდევ 2003 წელს საუბრობდა კარცერების გაუქმებაზე №1 და №5 საპრობილეებში

და აღსანიშნავია, ზემოაღნიშნულ არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდნენ პატიმრები დიდი ხნის განმავლობაში, სანამ ევროპის საბჭოს წამების საინინალმდეგო კომიტეტისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციები არ გაითვალისწინა იუსტიციის სამინისტრომ და 2006 წლის აგვისტოში გააუქმა №1 და №5 საპრობილის კარცერები.

საქართველოს სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში არსებული კარცერები შედარებით ნორმალურ მდგომარეობაშია, თუმცა უმეტეს მათგანში მაინც ანტისანიტარიაა, იგრძნობა უსიამოვნო სუნი და სინესტე (პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება, თბილისის №10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება, ზუგდიდის №4 საპრობილე).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მივმართავთ რეკომენდაციით, გააუმჯობესოს საპრობილების კარცერებში არსებული მდგომარეობა და შეუსაბამოს იქ არსებული პირობები ევროპულ სტანდარტებს.

პატიმართა ჰიგიენა

ჰიგიენისათვის ყურადღების დათმობა უპირველესად ჯანმრთელობის და შემდეგ სხვების მიმართ პატივისცემის საკითხია. პირადი ჰიგიენა შეიძლება დაკავშირებული იყოს რელიგიურ მოთხოვნებთანაც, რომლებიც პატივისცემას მოითხოვს. შხაპისა და საბანაო საშუალებების მომსახურების სწორად გამოყენება პატიმრებისა და მომსახურე პერსონალს შორის შესაძლო ავადმყოფობათა გავრცელების თავიდან აცილების საშუალებაა. საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, უზრუნველყოს დაწესებულება ისეთი ინვენტარით, რომელიც ემსახურება პირად და საერთო ჰიგიენას. აუცილებელია ქალებისათვის დამატებითი ჰიგიენური პირობების შექმნა. შხაპის მიღება დამოკიდებული უნდა იყოს კლიმატსა და პატიმართა დასაქმების დონეზე.

საქართველოს კანონმდებლობა კვლავაც არ განსაზღვრავს, თუ რა პროცედურები უნდა იქნას დაცული, რომ მსჯავრდებულები რეალურად იყვნენ უზრუნველყოფილი ჰიგიენური პირობებით. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი (34-ე მუხლი) ამბობს: „მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა ადამიანის პატივისა და ღირსების შეუღლებად. კვირაში ერთხელ მაინც მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს სუფთა თეთრეულით და საპარკმახერო მომსახურებით. ადმინისტრაციას ეკრძალება მოითხოვოს მსჯავრდებულისაგან თმების მთლიანი გადაპარსვა, თუ არ არსებობს ექიმის მოთხოვნა ან ჰიგიენური აუცილებლობა“. აღნიშნული სრულად არის გადატანილი დებულებაში „სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესახებ“ და პასუხისმგებლობა შემომწმებაზე დაკისრებული აქვს „სასჯელაღსრულებით დაწესებულებების სამედიცინო სამსახურს ან ექიმს, რომლებიც ვალდებული არიან, რეგულარულად შეამოწმონ: (ა) მსჯავრდებულთათვის მიცემული საკვების ხარისხი და ოდენობა, მათი მომზადების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები; (ბ) დაწესებულების ტერიტორიისა და ნაგებობის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა“.

რთული მდგომარეობაა პირადი ჰიგიენის თვალსაზრისით სასჯელაღსრულების უმეტეს დაწესებულებაში. უმრავლეს შემთხვევაში პატიმრები პირადი ჰიგიენის მოხმარების საგნებით უზრუნველყოფილი არიან საკუთარი ოჯახებიდან. ის პატიმრები, რომელთაც ოჯახი ვერ აწვდის პირადი ჰიგიენის საგნებს, მოკლებულნი არიან ასეთ შესაძლებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით კვლავ უნდა აღინიშნოს ქ. ზუგდიდის №4 საპრობილის შესახებ, სადაც 2006 წლის 19 აპრილის მდგომარეობით 9 არასრულწლოვან პატიმარზე მხოლოდ ერთი პირსახოცი მოდიოდა.

სახალხო დამცველი და მისი აპარატის წარმომადგენლები სისტემატურად ახორციელებენ №7 მკაცრი რეჟიმის საპრობილეში არსებული საყოფაცხოვრებო პირობებისა და პატიმართა ყოფის კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური სტანდარტების შესაბამისობის მონიტორინგს. მონიტორინგის პრო-



ცესში სახალხო დამცველმა პატიმართა მიმე მდგომარეობა და მათი უფლებების დარღვევის უამრავი ფაქტი აღმოაჩინა, კერძოდ, 2006წ. აპრილში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის №7 საპყრობილეში არ იყო პირადი ჰიგიენის დაცვის პირობები, აუცილებელი ნივთები და საშუალებები (საპონი, ტუალეტის ქაღალდი, საპარსი საშუალებები, კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, კედლის სარკე, მაკრატელი და ა.შ.), ამასთან, არ ჰქონდათ საწოლის თეთრეული. მიუხედავად იმისა, რომ საკნებში არ დგას კარადები, პატიმრებს არ აძლევენ ცელოფნის პარკების ქონის უფლებას და საჭმელი და ტანსაცმელი ერთად უწყვიათ პატარა მაგიდებზე.

პატიმრები იანვრიდან მაისის თვემდე არ დაჰყავდათ აბანოში. ამ ხნის განმავლობაში მათ ერთხელაც არ მიუღიათ შხაპი. სახალხო დამცველის რეკომენდაცია აღნიშნულთან დაკავშირებით გაზიარებული იქნა და აღდგა პატიმართა წაყვანა აბანოში. თუმცა, ნაცვლად კანონით გათვალისწინებული ყოველკვირეული შხაპისა, პატიმრები შხაპს მხოლოდ ორ-სამ კვირაში ერთხელ იღებდნენ.

2006 წლის 28 აპრილს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში მიღებული ცვლილებების შესაბამისად აიკრძალა ამანათების მიღება სასჯელადსრულების დეპარტამენტის შესაბამისი გადანაცვლების არსებობის გარეშე. ზოგიერთ დაწესებულებაში საერთოდ აიკრძალა, ზოგან კი მკაცრად შეიზღუდა სარეცხი საშუალებების, საპნის, კბილის პასტისა თუ სხვა ჰიგიენური მოხმარების საგნების შეტანა. სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ სასჯელადსრულების დაწესებულებების მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ **ჰიგიენური საშუალებების შეტანასთან დაკავშირებით დასავლეთ საქართველოს საპყრობილეებში არ არის ოფიციალური დოკუმენტი და ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს დეპარტამენტიდან მიღებული ზეპირი მითითებებით:** ბათუმის №3 საპყრობილეში აკრძალულია ყველა იმ ჰიგიენური საშუალებების შეტანა, რომლებიც მოთავსებულია ლითონის, მინის ან გაუმჭირვალე ჭურჭელში; ზუგდიდის №4 საპყრობილეში იკრძალება შეუფუთავი და ქარხნული წესით დაულუქავი ჰიგიენური საშუალებების შეტანა; ქუთაისის №2 საპყრობილეში აკრძალულია შუშის ჭურჭელში მოთავსებული, ფეთქებადი და ცეცხლსაშიში ნივთიერებების შეტანა; №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში იკრძალება სუნამოს, ოდეკოლონის და სპირტზე დამზადებული ნივთიერებების შეტანა. აღსანიშნავია, რომ არცერთი ზემოაღნიშნული დაწესებულების ადმინისტრაცია თავისი სახსრებით არ ამარაგებს პატიმრებს ჰიგიენური მოხმარების საგნებით.

სასჯელადსრულების რიგ დაწესებულებაში შხაპების რაოდენობა არაა საკმარისი, რის გამოც პატიმრები მხოლოდ თვეში ერთხელ ახერხებენ დაბანას (აღნიშნული დაკავშირებულია, როგორც წყლის მომარაგების პრობლემასთან, ასევე, ხშირად შესაბამისი ნების არარსებობასთან). იმ დაწესებულებებში, რომლებშიც აბანოები საერთოდ არ არის, პატიმრებს უწევთ საკნებში დაბანა, რაც არა მხოლოდ პირად ჰიგიენაზე ახდენს უარყოფით გავლენას, არამედ ანტისანიტარიის მიზეზი ხდება, რომელსაც ხშირად მეტად უარყოფითი შედეგი, სხვადასხვა დაავადების გამოწვევა მოჰყვება.

2006 წ. ივნისში საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ელისაბედ ჭობონელიძემ, რომელიც მიუთითებდა, რომ მისი ძმა, დავით ხეირანოვი, იმყოფება ქ. თბილისის №5 საპყრობილეში, არის შეურაცხადი და მოითხოვდა მის ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გაყვანას. საპყრობილის ადმინისტრაციამ 2006 წ. ივნისში გააგზავნა დ. ხეირანოვი ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე, მაგრამ იგი არ მიიღეს იმ მიზეზით, რომ იმყოფებოდა ანტისანიტარიულ მდგომარეობაში.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები პირადად ესაუბრნენ №5 საპყრობილის დირექტორს, თ. მელაძეს, აცნობეს აღნიშნული ვითარების შესახებ და მხოლოდ მათი ჩარევის შედეგად მოხდა დ. ხეირანოვის დაბანა, გასუფთავება და მის ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გაყვანა.

ზოგიერთ დაწესებულებაში (თბილისის მე-7 საპყრობილე, თბილისის №5 ქალთა საპყრობილე, ბათუმის №3 საპყრობილე) საერთოდ არ მოქმედებს სამრეცხაო, რის გამოც პატიმრებს უწევთ სარეცხის საკუთარ საკნებში რეცხვა (ზოგჯერ მიაქვთ რუსთავის მე-6 საპყრობილეში), აღნიშნული კი თავისთავად იწვევს სხვა დანარჩენ ზემოაღნიშნულ პრობლემას. რიგ დაწესებულებებში არ არის

უზრუნველყოფილი დალაქის მომსახურება (სამეურნეო ნაწილის პატიმრები ახორციელებენ საპარკმახერო მომსახურებას ბათუმის №3 საპრობილეში, ქუთაისის №2 საპრობილეში, №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქალთა კოლონიაში 2006 წლის გაზაფხულზე ნორვეგიის მისიის (NORLAG) დაფინანსებით გაიხსნა საპარკმახერო, მათივე დაფინანსებით სტილისტი მასწავლებლები პატიმრებს ასწავლიან სტილისტის საქმიანობას.

პატიმრებთან მოპრობის მინიმალური სტანდარტული წესების შესაბამისად: „პატიმრებს მოეთხოვებათ, რომ ყოველთვის იყვნენ სუფთად. ამისათვის საჭიროა მათი მომარაგება წყლით და პირადი ტუალეტისათვის საჭირო ისეთი ნივთებით, რომლებიც აუცილებელია სისუფთავისა და ჯანრმთელობის დასაცავად“. აღნიშნულთან დაკავშირებით ციხის ევროპული წესები განსაზღვრავს: „ყოველმა პატიმარმა უნდა შეძლოს შხაპით ან აბაზანით სარგებლობა კლიმატისადმი შესატყვისი ტემპერატურის პირობებში. თუ ეს შესაძლებელია დღიურად, ან კვირაში ორჯერ მაინც (თუ საჭიროა უფრო ხშირადც), ზოგადი ჰიგიენის ინტერესებიდან გამომდინარე“.

რეკომენდაცია: ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეწყდეს შეზღუდვები სასჯელალსრულების დაწესებულებებში ჰიგიენური საშუალებების შეგზავნაზე იმ შემთხვევაში, როცა დაწესებულების ადმინისტრაცია საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს პატიმართა ჰიგიენის სრულ დაცვას.

რეკომენდაცია: სასჯელალსრულების დაწესებულებებში ჰიგიენური საშუალებების შეტანა მოხდეს მინისტრის ბრძანების საფუძველზე და არა სასჯელალსრულების დეპარტამენტის ზეპირი მითითებით.

რეკომენდაცია: საკნებში ჰიგიენის დაცვის მიზნით თითოეულ დაწესებულებაში ამოქმედდეს სამრეცხაოები.

ტანსაცმელი და თეთრეული

მრავალ ქვეყანაში სახელმწიფოები უზრუნველყოფენ და შესაბამისად, მოითხოვენ, რომ პატიმრებმა ატარონ უნიფორმები. აღნიშნული გამართლებულია უსაფრთხოებისა და უშიშროების ნორმებით. თუმცა არ ნიშნავს, რომ ეს უნდა იყოს ტიპური ნორმა ყველა სახელმწიფოსათვის, მით უფრო ისეთი სახელმწიფოსათვის, რომლებშიც დაბალი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობაა (მაგალითად, საქართველო).

2006 წლის 28 აპრილამდე „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში არ არსებობდა მუხლი, რომელიც სახელმწიფოს დაავალდებულებდა, უზრუნველყოფდეს მსჯავრდებულები და ბრალდებულები სპეციალური უნიფორმით. აღნიშნულთან დაკავშირებით კანონში მიღებული იქნა ცვლილებები, რომლებმაც განსაზღვრა, რომ სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, მსჯავრდებულები და „პატიმრები“ უზრუნველყოს სპეციალური ფორმის ტანსაცმლით. კერძოდ, „მსჯავრდებულისა და პატიმრის სპეციალური ტანსაცმლის ფორმას ცალკეული სასჯელალსრულების დაწესებულებების მიხედვით ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი“ („პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 11 მუხლი).

საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ამ შემთხვევაში სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ადგენს: „ადამიანი უდანაშაულოა, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“. პირი, რომელიც იგულისხმება პატიმრის ქვეშ, არის ბრალდებული, განსასჯელი ან მსჯავრდებული. ბრალდებული და განსასჯელი სარგებლობს უდანაშაულობის პრეზუმფციით. კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ ბრალდებულებისა და განსასჯელებისათვის უნიფორმის ტარების დაძალევა არღვევს თითოეული ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.



რეკომენდაცია: უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე, იუსტიციის სამინისტროს მიემართავთ რეკომენდაციით, გააუქმოს უნიფორმების ტარების ვალდებულება ბრალდებულებისა და განსასჯელებისთვის.

რაც შეეხება თეთრეულით მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა მომარაგების საკითხს, დებულება „მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარული და ჰიგიენური პირობების შესახებ“ ადგენს: „პატიმარი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სანოლითა და თეთრეულით“.

პრაქტიკაში სასჯელადსრულების დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრები ტანსაცმლითა და თეთრეულით ძირითადად საკუთარი ოჯახებიდან მარაგდებიან. ხშირ შემთხვევაში ლეიბების რაოდენობა შეესაბამება სანოლების რაოდენობას და არა პატიმართა რიცხვს, რის გამოც მათ ხშირად სძინავთ რკინის ფირფიტებზე. იმ დაწესებულებებში, რომლებშიც სანოლებით ყველა პატიმარია უზრუნველყოფილი, ლოგინი და თეთრეული საჭიროებს განახლებას და გამოცვლას. ზოგიერთი სასჯელადსრულების დაწესებულება თითქმის ერთი ათეული წელია, არ მომარაგებულა თეთრეულითა და ლეიბებით (ზუგდიდის №4 საპყრობილეში, გეგუთის №8 დაწესებულებასა და ბათუმის №3 დაწესებულებაში პატიმრები თეთრეულით მარაგდებიან საკუთარი ოჯახებიდან). განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან არასრულწლოვანი პატიმრები ზუგდიდის №4 საპყრობილეში, სადაც 2006 წლის 19 აპრილს 9 პატიმართაგან მხოლოდ სამს გააჩნდა თეთრეულის სრული კომპლექტი, ხოლო დანარჩენ ექვსს საკუთარ სარგებლობაში საბნები და ბალიშებიც კი არ ჰქონდათ.

თბილისში არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში, იუსტიციის სამინისტრომ ერთხელ შეიტანა პატიმართათვის თეთრეული და მას შემდეგ სამინისტროს მიერ დაწესებულება თეთრეულით აღარ მომარაგებულა. ხელმძღვანელობა იძულებულია სხვადასხვა ორგანიზაციას სთხოვოს თეთრეულის შემოტანა დაწესებულებაში.

პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები ადგენს: „ყოველი პატიმარი, რომელსაც არა აქვს უფლება, ატაროს საკუთარი სამოსი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს კლიმატის შესაფერისი ტანსაცმელით, რომელიც შეინარჩუნებს მის კარგ ჯანმრთელობას. ასეთი ტანსაცმელი არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი და მოძველებული; ტანსაცმელი უნდა იცვლებოდეს ჰიგიენური აუცილებლობის მიხედვით“.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად: „ყოველი პატიმარი ეროვნული და ადგილობრივი ნორმების შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცალკე სანოლით, აგრეთვე ცალკე თეთრეულით, რომელიც გაცემის მომენტში უნდა იყოს სუფთა და სისუფთავის შენარჩუნების მიზნით ხშირად იცვლებოდეს“.

დასაქმება, განათლება

პატიმართა რეაბილიტაციისათვის საჭირო ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მათი დასაქმება დაწესებულებაში.

საქართველოში მსჯავრდებულთა შრომითი საქმიანობა ხორციელდება „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ცინის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას, ხოლო სამუშაოს შესრულების შედეგად მიღებული თანხა პატიმრის საკუთრებაში უნდა რჩებოდეს.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მსჯავრდებულის ხელფასის 15 პროცენტი გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, 50 პროცენტი მიეცემა მსჯავრდებულს პირადი ხარჯებისათ-

ვის, 10 პროცენტი დაირიცხება სასჯელალსრულების დაწესებულების შესანახი ხარჯების ანაზღაურებისათვის, 25 პროცენტი დაიქვითება აღმასრულებელი ფურცლებით ან აღმასრულებელი დოკუმენტებით. არასრულწლოვანი ბავშვებისათვის გადასახდელი ალიმენტები გამოიანგარიშება მსჯავრდებულის მიერ გამომუშავებული მთელი თანხიდან.

თუ მსჯავრდებულს თანხა არ დაეკვიტება აღმასრულებელი ფურცლით ან დოკუმენტით, თანხის 75 პროცენტი ინახება მსჯავრდებულის ანგარიშზე (დეპოზიტზე) და მიეცემა მას გათავისუფლებისას. მსჯავრდებულს უფლება აქვს, ეს თანხა გადაუგზავნოს ოჯახის წევრებს ან სხვა პირებს.

დასაქმება ერთგვარად ხელს უწყობს პატიმრების მიერ დროის სასარგებლოდ ხარჯვას და მეორე მხრივ, მას შემდეგ რაც თითოეულ პატიმარს გაეხსნება პირადი ანგარიში, წარმოადგენს ფულის დაგროვების საშუალებას. გარდა ამისა, პატიმრებს პროფესიული უნარ-ჩვევების შესწავლით, გათავისუფლების შემდეგ შეეძლებათ მუშაობის დაწყება და უფრო ადვილი იქნება მათი ადაპტაცია საზოგადოებაში.

საქართველოში არც ერთ სასჯელალსრულების დაწესებულებას არ აქვს სამუშაო ადგილები, გარდა ქალთა კოლონიისა, სადაც 2006წ. მარტიდან შეიქმნა შპს „თეჯაი“. იგი დააფინანსა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ტელეპროექტმა, „ფული, იდეა და ერთი შანსი“ და პატიმრები დასაქმებულნი არიან თეჯის წარმოებით. პროდუქცია უმოკლეს ხანში გააქვთ გასაყიდად, მიღებული ფული კი მათ პირად საკუთრებაში ირიცხება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პატიმართა დასაქმების საკითხმა წინა პლანზე წამოიწიოს და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების რესურსები პატიმართა დასაქმებისათვის. მითუმეტეს, რომ ეს უკანასკნელნი მზად არიან განახორციელონ დასაქმების პროგრამები სასჯელალსრულები დაწესებულებებში.

მნიშვნელოვანია პატიმართათვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 თავი ეხება სასჯელალსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთა ზოგად განათლებას და პროფესიულ სწავლებას. კანონის 44-ე მუხლის თანახმად, „სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, შექმნას პირობები, რათა მსჯავრდებულებმა მიიღონ ზოგადი და პროფესიული განათლება. ადმინისტრაცია ვალდებულია, მოაწყოს ბიბლიოთეკა, რომელშიც უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო, ასევე მსჯავრდებულთათვის გასაგებ ენაზე პატიმრობის შესახებ კანონმდებლობა, ევროპული პენიტენციური წესები. მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სპეციალური ადაპტაციის სასწავლო ჯგუფებში, რომელთა შექმნაც სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მოვალეობაა“.

სამწუხაროდ, ამ მუხლის პრაქტიკაში იმპლემენტაცია ვერ ხერხდება. არც ერთ სასჯელალსრულების დაწესებულებაში, არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების გარდა, არ მოქმედებს სკოლა ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაშიც გარკვეული პრობლემები ხვდებათ არასრულწლოვანთა მასწავლებლებს, რომლებიც განათლების სამინისტროს თანამშრომლები არიან. არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მოქმედებს 39-ე საღამოს სკოლა, რომელშიც პატიმრები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსით იღებენ განათლებას. ზემოაღნიშნული არ არის რეკომენდებული, რადგან არასრულწლოვანი პატიმრის ინტელექტუალური დონე ბევრად ჩამორჩება მის ასაკს და საშუალო სკოლის პროგრამას იგი ვერ ითვისებს.

რეკომენდაცია: რეკომენდაციით მივმართავთ განათლების სამინისტროს, შეიმუშავოს სპეციალური პროგრამა, რომელიც გათვლილი იქნება არასრულწლოვანი პატიმრების ინტელექტუალურ მაჩვენებლებზე.



საგანმანათლებლო პროგრამა არც №5 საერთო და მკაცრი რეჟიმის საპყრობილეში მოქმედებს, სადაც არასრულწლოვანი პატიმრები ზოგჯერ ერთ წელზე მეტ დროს ატარებენ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაცულია პატიმრების განათლების მიღების უფლება. კერძოდ: 136-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „...დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დანესებულებში მოთავსებულ არასრულწლოვანს აგრეთვე საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს ზოგადი განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამით“.

რეკომენდაცია: იუსტიციისა და განათლების სამინისტროებმა მაქსიმალურად მოკლე დროში უზრუნველყონ არასრულწლოვანთა განათლების მიღება №5 საერთო და მკაცრი რეჟიმის საპყრობილეში.

უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ საპყრობილეში არ ფუნქციონირებს ნორმალური ბიბლიოთეკა. სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო წიგნების შეგროვება სასჯელაღსრულების დანესებულებებისთვის და უახლოეს მომავალში გადასცემს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს.

რეკომენდაცია: სასჯელაღსრულების დანესებულებებში ბევრია წერა-კითხვის უცოდინარი პატიმარი, რომელთან მუშაობაც აუცილებელია და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, პატიმართა განათლებასთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს განათლების მინისტრის ერთობლივი ბრძანების ნორმების პრაქტიკულად ამოქმედება.

რეკომენდაცია: მნიშვნელოვანია საქართველოს სასჯელაღსრულების დანესებულებების თანამედროვე საგანმანათლებლო სახელმძღვანელოებითა და მხატვრული ლიტერატურული წიგნებით აღჭურვა. იუსტიციის სამინისტროს მივმართავთ რეკომენდაციით, გახსნას ბიბლიოთეკები საპყრობილეებში.

საერთაშორისო სტანდარტები აუცილებლად მიიჩნევენ პატიმრის რეაბილიტაციისათვის მისი განათლების დონის ამაღლებასა და შრომით საქმიანობაში ჩართვას. საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთ სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტშია მითითებული, რომ პატიმარი აუცილებლად უნდა იყოს დასაქმებული სასჯელაღსრულების დანესებულებაში.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (65,66) ადგენს, რომ პიროვნებისათვის თავისუფლების შეზღუდვისა და სხვა აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების მიზანია მისი რეაბილიტაცია, რათა იგი გახდეს კანონმორჩილი. პატიმარს უნდა აუმაღლონ ღირსება და განუვითარონ პასუხისმგებლობის გრძნობა. ამ მიზნის მისაღწევად ყველა საჭირო შესაძლებლობა უნდა იქნეს გამოყენებული, მათ შორის: განათლება და დასაქმება. ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პატიმრების შრომა არ უნდა იყოს მათთვის წამების ტოლფასი. ყველა პატიმარი უნდა მუშაობდეს ექიმის მიერ დამონებული თავისი ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემების შესაბამისად, ხოლო 77-ე წესის თანახმად,

„1. იმ ქვეყნებში, სადაც ეს დაშვებულია, პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით, რელიგიური განათლების ჩათვლით. წერა-კითხვის უცოდინართა და არასრულწლოვანთა განათლება სავალდებულო უნდა იყოს და ციხის მართვის ორგანოებმა ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.“

2. პატიმრების განათლება შეძლებისდაგვარად დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყანაში არსებულ განათლების სისტემასთან იმ მიზნით, რომ მომავალში ამ პატიმრებმა დაუბრკოლებლად შეძლონ სწავლის გაგრძელება.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით ადგენს, რომ სასჯელაღსრულების დანესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს სასჯელის სახით

გამოყენებული, ამავე დროს, „ყოველი დანესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყონ შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომელიც უპასუხებს პატიმრების ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით“.

საკუთრების უფლება სასჯელაღსრულების დანესებულებაში

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 საპყრობილეში ირღვევა პატიმრების საკუთრების უფლება. კერძოდ: სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 საპყრობილეში და შეამოწმეს პატიმრების პირადი საქმეები. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ საპყრობილეში მიღებისას პატიმრებისაგან (კაკაურიძე, გ. ენდელაძე, გ. ქართველიშვილი, ლექვთაძე, მუჯირიშვილი, ვ. ყიფიანი, მგალობლიშვილი, ბ. ჯაფარიძე, ბალოიანი, ტვილდიანი, ორეხოვი) ამოიღეს სხვადასხვა ფასეული ნივთი და ფულადი თანხა.

საქართველოს სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულების №7 საპყრობილის დირექტორისგან მოითხოვა ინფორმაცია, იმის შესახებ, თუ სად ინახებოდა პატიმრებისაგან ამოღებული ნივთები. გვეცნობა, რომ ზემოაღნიშნული ნივთები ინახება სასჯელაღსრულების დეპარტამენტში.

საპყრობილის რეჟიმის დებულების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „მსჯავრდებულებისგან ამოღებული თანხა ირიცხება მათ პირად ანგარიშზე. ფასიანი ქალაქები და სხვა ფასეულობები ინახება საპყრობილის საერთო განყოფილებაში, რომლის თაობაზე მსჯავრდებულს ეძლევა ქვითარი“. შესაბამისად, დარღვევაა ის, რომ პატიმრებისაგან ამოღებული ნივთები არ ინახება №7 საპყრობილეში.

საპატიმროთა გადატვირთულობა

სამწუხაროდ, გადატვირთულობა საქართველოს სასჯელაღსრულების დანესებულებებში, აღარ წარმოადგენს სიახლეს და საზოგადოება თანდათან ეჩვენება კიდევ, რომ ერთ ადგილზე სძინავს 2-3, ზოგჯერ კი მეტ – 4 და 5 პატიმარსაც კი. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლამ სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო და დამოუკიდებელი კომისიების მიერ აჩვენა, რომ ვითარება საგანგაშოა და სასწრაფოდ საჭიროებს ზომების მიღებას. (2006 წლის 10 ოქტომბრის) მდგომარეობა ასეთია:

- ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დანესებულება: არასრულწლოვანთა საპატიმრო განყოფილება – გათვალისწინებულია 110 პატიმარზე, იმყოფება 96; ქალთა საპყრობილე – გათვალისწინებულია 110 პატიმარზე, იმყოფება 167 პატიმარი; ქალთა სასჯელაღსრულების დანესებულება – გათვალისწინებულია 220 მსჯავრდებულზე, იმყოფება 363 მსჯავრდებული.
- ქ. თბილისი №1 საპყრობილე: გათვალისწინებულია 620 პატიმარზე, განთავსებულია 1014 პატიმარი.
- ქ. ზუგდიდის №4 საპყრობილე: გათვალისწინებულია 305 პატიმარისათვის, განთავსებულია 352 პატიმარი
- ქ. ბათუმის №3 საპყრობილეში საპყრობილე გათვალისწინებულია 250 პატიმარზე, ამჟამად იმყოფება 550 პატიმარი.
- ქ. თბილისის №5 საპყრობილე: გათვალისწინებულია 2020 მსჯავრდებულზე, განთავსებულია 3863 პატიმარი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობს, გადატვირთულობის პრობლემა მოხსნას ახალი ციხეების აშენებით. 2005-2006 წწ. გაიხსნა 2 ახალი ციხე, კერძოდ, ქუთაისის №2 საპყრობილე



და რუსთავის №6 საპყრობილე. ამჟამად, რემონტდება რუსთავის №2 დაწესებულება, ამასთან საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის თანახმად, გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელადსრულების დაწესებულებების მშენებლობა; მოქმედი სასჯელადსრულების დაწესებულების გარემონტება. კერძოდ: თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში 3000 პატიმარზე გათვალისწინებული წინასწარი საპატიმრო დაწესებულების მშენებლობა; ბათუმსა და ზუგდიდში 500 მსჯავრდებულზე გათვალისწინებული წინასწარი საპატიმრო დაწესებულების მშენებლობა; კახეთში 600 პატიმარზე გათვალისწინებული წინასწარი საპატიმრო დაწესებულების მშენებლობა; აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში 200 მსჯავრდებულზე გათვალისწინებული ღია ტიპის სასჯელადსრულების დაწესებულების მშენებლობა.

ზემოაღნიშნული მეტ-ნაკლებად მოხსნის გადატვირთულობის პრობლემას, თუმცა მარტო ეს საკმარისი არ არის და საჭიროა სასამართლო ორგანოების ძალისხმევა ადნიშნულთან დაკავშირებით, კერძოდ, მეტად იქნეს გამოყენებული ალტერნატიული, არასაპატიმრო სასჯელები.

საინტერესოა საერთაშორისო სტანდარტული წესები გადატვირთულობის პრობლემასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო სტანდარტები, როგორც მინიმუმი ადგენს: „ძილის დროს პატიმრები უნდა განაწილდნენ ინდივიდუალურ საკნებში ან ოთახებში. თუ აუცილებელი მიზეზების გამო მოხდა ამ დაწესებულების დროებითი გადატვირთვა, საქმის კურსში უნდა იყოს ციხის ცენტრალური ადმინისტრაცია. არ არის სასურველი ორი ან მეტი პატიმრის ყოლა ერთ საკანში“. ამ საკითხზე განმარტებას იძლევა აგრეთვე ციხის ევროპული წესები, სადაც მითითებულია: „პატიმრების განთავსება ღამით ჩვეულებრივ უნდა მოხდეს ინდივიდუალურ საკნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უმჯობესია, მათი მოთავსება საერთო საძინებლებში“. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნას აგრეთვე წამების აღკვეთის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციები, რომელთა მიხედვით ციხეში არსებული ყველა ქმედება და მომსახურება გაუარესდება, თუ ადმინისტრაციას მოეთხოვა მოემსახუროს უფრო მეტ პატიმარს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია. ცხოვრების საერთო დონე დაწესებულებაში მნიშვნელოვნად ქვეითდება. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში გადატვირთულობა შეიძლება გახდეს არაჰუმანური, დამამცირებელი და ღირსების შემლახავი მოპყრობა ფიზიკური თვალსაზრისით“.

CPT აცხადებს: „საპატიმროთა გადატვირთულობა საგრძნობ ზიანს აყენებს საპყრობილეთა სისტემას და ხელს უშლის დაკავებულთა პირობების გაუმჯობესების მცდელობას. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო აპატიმრებს მოქალაქეებს არაგონივრული რაოდენობით, არცთუ ისე დიდ გავლენას ახდენს დანაშაულთა შემცირებაზე. სასამართლო ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოს წევრების პასუხისმგებლობის ამაღლება არის საერთო პერსპექტივა მოცემული პრობლემის მოსაგვარებლად. ასეთ გარემოებებში მხოლოდ საპატიმროს პირობების გაუმჯობესებაში დიდი თანხების ჩადება არ არის სიტუაციიდან გამოსავალი. ამასთან ერთად, მიმდინარე კანონმდებლობა, გასამართლების პროცესი და ალტერნატიული სასჯელების გამოყენება ერთობლივად უნდა იქნას განხილული“.

სახელმწიფოს მიერ გადატვირთულობის პრობლემის მოსაგვარებლად კომიტეტი ადგენს: (CPT – პარაგრაფი 57) „წამების პრევენციის კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს საქართველოს ხელისუფლებას, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სასჯელადსრულების დაწესებულებებში გადატვირთულობის წინააღმდეგ. ამ ღონისძიებებმა უნდა მოიცვას პოლიციის დაწესებულებები, რომლებშიც უნდა დაწესდეს გარკვეული ლიმიტი იმ ადამიანებსა და ადამიანთა რიცხვზე, რომლებიც ციხეში იგზავნებიან. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ მხედველობაში უნდა მიიღოს პრინციპები, რომლებიც მოცემულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებში №R(99)22 და ეხება ციხეთა გადატვირთულობას და ციხის პოპულაციის ზრდას. აგრეთვე რეკომენდაცია (2003)22 პირობითი გათავისუფლების შესახებ“.

წინასწარ შენიშვნებსა და რეკომენდაციებში გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებზე გაიმეორა აღნიშნული რეკომენდაციები: „შეიზღუდოს წინასწარი დაკავების ზომების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში, განსაკუთრებით არაძალადობრივი, მცირე და ნაკლებად სერიოზული დარღვევებისათვის და მის სანაცვლოდ შემოტანილ იქნეს ისეთი ზომები, როგორცაა თავდებით და ხელნერილით გაშვება“ (E/CN.4/2006/6/ADD.3.).

აღნიშნულის გარდა, წამების აღკვეთის ევროპულმა კომიტეტმა 2003-2004 წლებში საქართველოში ვიზიტისას შემდეგი შენიშვნები გააკეთა:

2003 წლის 19 ნოემბერს №5 დანესებულებაში იმყოფებოდა 1,825 პატიმარი, რომელიც დაახლოებით იგივე რიცხვია, რაც 2001 წლის ვიზიტისას (1,855 პატიმარი). 2004 წელს CPT-ს დამატებითი ვიზიტისას აღნიშნულ დანესებულებაში პატიმართა რიცხვი გაზრდილი იყო 22%-ით და აღწევდა 2,222-ს 68 ქალისა და 66 არასრულწლოვანის ჩათვლით. თუმცა ოფიციალურად აქ მოთავსებული იყო 2,020 პატიმარი. ამასთან დელეგაცია წინასწარ იყო ინფორმირებული, რომ ამ დანესებულებაში შესაძლოა განთავსდეს მხოლოდ 1 500 პატიმარი.

CPT – პარაგრაფი 55: 2003 წლის შემდეგ საქართველოს ციხის მოსახლეობა გაიზარდა 700 პატიმარით, რამაც 4 თვეში პატიმართა მთლიანი რაოდენობის 10% შეადგინა. პატიმართა მთლიანი რაოდენობა გახდა დაახლოებით 7 000, საიდანაც 40% არის წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირი. შედეგად ქვეყნის უმთავრეს წინასწარ საპატიმრო დანესებულებაში (№5 დანესებულება) გადატვირთულობამ მიიღწია საგანგაშო დონეს. ამავდროულად, მცირე გამოწვევების გარდა აღნიშნული ციხის საცხოვრებელი პირობები იყო ძალზედ ცუდ მდგომარეობაში და ნაწილი ამ დანესებულებისა არც კი შეიძლება, გამოყენებული ყოფილიყო. მრავალი დანესებულების საცხოვრებელი პირობები წარმოადგენს როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო სტანდარტების პირდაპირ დარღვევას.

პატიმრების საერთო რიცხვი 2006 წლის 10 ოქტომბრის მდგომარეობით იყო 14172.

პატიმართა განთავსება

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, „სასჯელალსრულების დანესებულებაში მსჯავრდებულისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი სადგომი, უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო-ტექნიკურ და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს და უზრუნველოდეს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას“, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულთა ფართის ნორმებია: საერთო და მკაცრი რეჟიმით მსჯავრდებულნი მამაკაცებისათვის – 2 კვ/მ, საპყრობილეში – 2,5 კვ/მ, ქალი მსჯავრდებულებისათვის – 3 კვ/მ, აღმზრდელით დანესებულებაში – 3,5 კვ/მ, სამკურნალო დანესებულებაში – 3 კვ/მ.

ზემოაღნიშნული ნორმები გადატვირთულობის გამო აშკარად დარღვეულია და პატიმრებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფართი კანონით დადგენილ ფართზე ნაკლებია.

პატიმართა განთავსება და მათი საცხოვრებელი ნორმები დადგენილია საერთაშორისო სტანდარტებით. უთითებენ რა პატიმრებისათვის გონივრული ფართის ოდენობაზე, არც გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები და არც ევროპული ციხის წესები ზუსტად არ განსაზღვრავენ მსჯავრდებულთა და პატიმართა საცხოვრებელ ფართს. ევროპული ციხის წესები ადგენს: „პატიმრების განთავსება ღამით, ჩვეულებრივ, უნდა მოხდეს ინდივიდუალურ საკნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უმჯობესია მათი მოთავსება საერთო საძინებელში“.

სტანდარტს ადგენს CPT, რომელიც ზოგად კომენტარებში განსაზღვრავს, რომ გადატვირთულობის



დონის დასაძლევად გამოყოს 4კვ/მ. იქნას მიცემული საშუალება დაძლეულ იქნას გადატვირთულობის დონე, თუ დაკავება მხოლოდ ორ დღეს გრძელდება. 6კვ/მ ითვლება მცირე ფართად, 10 კვ/მ ნორმალურ ფართად, თუ მასში მხოლოდ ერთი ადამიანი ცხოვრობს. 8 ან 9 კვ/მ-იანი საკნები ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად.

პატიმართა ბადრაგირება

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განსასჯელთა სასამართლო პროცესებზე ბადრაგირებას. სახალხო დამცველს მიმართავენ როგორც პატიმართა ახლობლები, ასევე ადვოკატები და წუხილს გამოთქვამენ იმის შესახებ, რომ არ ხერხდება განსასჯელთა სასამართლო პროცესებზე გადაყვანა, რის გამოც ჭიანურდება სასამართლო განხილვის ვადები.

პრობლემას წარმოადგენს როგორც ბადრაგებისა და საბადრაგო ავტომობილების არასაკმარისი რაოდენობა, ასევე სასჯელალსრულების სისტემაში მომუშავე პირთა გულგრილი დამოკიდებულება ზემოაღნიშნული პრობლემის მიმართ.

სასჯელალსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლების განცხადებით, ბადრაგების რიცხვის მატებასთან ერთად დეპარტამენტმა შეიძინა ახალი საბადრაგო ავტომობილები, გაიზარდა ბადრაგების ხელფასებიც და მათმა შრომის მინიმალურმა ანაზღაურებამ 400 ლარს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ზემოაღნიშნული ღონისძებების გატარება საკმარისი არ იქნება საკითხის გადასაჭრელად, თუ სასჯელალსრულების სისტემის თანამშრომლები ყურადღებითა და პასუხისმგებლობით არ მოეკიდებიან პრობლემას.

იყო შემთხვევა, როცა სასამართლო პროცესი 6-ჯერ გადაიდო (31 მარტს, 10 აპრილს, 20 აპრილს, 28 აპრილს, 23 მაისსა და 8 ივნისს) იმის გამო, რომ ერთ საქმესთან დაკავშირებული 3 პატიმარი სამსხვადასხვა სასჯელალსრულების დაწესებულებაში ჰყავდათ მოთავსებული. კერძოდ, დოროთე ს. მოთავსებული იყო №6 საპყრობილეში, ბექა ს. – ქ.თბილისის №5 საპყრობილეში და კარლენ ჯ. – მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. პროცესზე 3 განსასჯელთაგან ხან 2, ხან 1 მოჰყავდათ სასამართლოზე, მაგრამ სასამართლო პროცესი ვერ დგებოდა, რადგან ყველა პატიმრის გამოცხადებას ბადრაგი ვერ ახერხებდა. შედეგად ირღვეოდა არა მხოლოდ განსასჯელთა უფლებები, არამედ მათი ოჯახის წევრებისაც, რომლებიც დასავლეთ საქართველოდან ჩამოდიოდნენ, უაზროდ კარგავდნენ დროს და ხარჯავდნენ თანხას, ამასთან უაზროდ იხარჯებოდა სახელმწიფოს რესურსებიც – თავისი მოვალეობების განხორციელებისგან ცდებოდა მოსამართლე, ბადრაგი, იხარჯებოდა თანხები პატიმრის გადაყვანა-გადმოყვანაზე და ა.შ.

ჩვენთვის გაუგებარია, ასეთ შემთხვევაში რატომ არ ათავსებენ პატიმრებს ერთ დაწესებულებაში, თუკი ეს ქმნის ბადრაგირების პრობლემას. ამ მაგალითიდანაც ნათელია სასჯელალსრულების დეპარტამენტის მხრიდან გულგრილობა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება.

წარმოგიდგინთ სტატისტიკურ მონაცემებს 2006 წლის პირველ ნახევარში ბადრაგირების მიზეზით გადაღებულ სასამართლო პროცესების შესახებ:

1. 2006 წლის 8 მაისიდან 2006 წლის 9 ივნისამდე **თბილისის საქალაქო სასამართლოს** სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში განსასჯელთა წარმოუდგენლობის გამო 170 პროცესი გადაიდო.
2. 2006 წლის პირველი მარტიდან პირველ ივნისამდე **თბილისის სააპელაციო სასამართლოში** საბადრაგო სამსახურის მიერ პატიმართა წარმოუდგენლობის გამო 101-ჯერ გადაიდო სასამართლო სხდომა, ხოლო პატიმართა დაგვიანებით წარმოდგენა 17-ჯერ გახდა სასამართლო სხდომის დაგვიანებით დაწყების მიზეზი.

3. 2006 წლის 1 მაისიდან 5 ივნისამდე **რუსთავის საქალაქო სასამართლოში** ბადრაგირების გამო გადაიდო სასამართლო 20 პროცესი გადაიდო.
4. 2006 წლის 1 იანვრიდან 31 მაისამდე **მარნეულის რაიონულ სასამართლოში** საბადრაგო სამსახურის მიზეზით სასამართლო 8 პროცესი გადაიდო.
5. 2006 წლის პირველი თებერვლიდან 1 ივლისამდე **გორის რაიონულ სასამართლოში** 30 საქმის განხილვა გადაიდო.

რეკომენდაცია: სასწრაფოდ გადაიჭრას პატიმრების ბადრაგირების პრობლემა და მოხდეს პატიმართა განთავსება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ისე, რომ სასამართლო პროცესები დროულად გაიმართოს და დაბრკოლება არ შეექმნას სასამართლო სხდომებზე პატიმართა გამოცხადებას.

პატიმრების ცემა-ნამება

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს პატიმართა ცემის, ნამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და ფიზიკური ძალის არაადეკვატური გამოყენების ფაქტებზე.

მისასალმებელია, რომ დღეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა რეალურად დაიწყო ბრძოლა ე.წ. „კანონიერი ქურდებისა“ და ზოგადად ქურდული სამყაროს წინააღმდეგ, მაგრამ აღნიშნული ხშირად უკანონოდ ხორციელდება და პატიმრების ცემა და ნამება მოჰყვება.

ამის დამადასტურებელი ნათელი მაგალითია თბილისის მე-5 საპყრობილეში 27 მარტის ამბოხის ჩასახშობად გამოყენებული ძალა, რომელსაც 7 ადამიანის სიცოცხლე შეენირა.

ამბოხი მე-5 საპყრობილეში

27 მარტს მე-5 საპყრობილეში მოხდა პატიმართა ამბოხება. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ პატიმართა მხრიდან უკმაყოფილება კარგა ხნის მანძილზე გროვდებოდა და გარკვეული საპროტესტო აქციები იგეგმებოდა კიდეც, თუმცა, იმის თქმა, თუ რა ფორმას მიიღებდა ეს უკმაყოფილება – იქნებოდა ამბოხი, მასობრივი შიმშილობა, რასაც ადგილი ჰქონდა გასული წლის ბოლოს და მიმდინარე წლის იანვარში თუ რაიმე სხვა, მაგალითად ე.წ. „ხმაური“, ძნელია.

მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ ზემოაღნიშნულ ამბოხთან დაკავშირებით მოპოვებული მასალების შესწავლის შედეგად, ვფიქრობთ, რომ, ჯერ ერთი, თავად ამბოხებას პროვოცირება გაუკეთა დეპარტამენტის ადმინისტრაციის მოქმედებამ და, მეორეც, ამბოხის ჩახშობის დროს გამოყენებული ძალა არ იყო იმ წინააღმდეგობის ადეკვატური, რაც პატიმრებმა გაუწიეს ავტონომიური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ სპეცრაზმელებს.

კერძოდ, როგორც არაერთმა პატიმარმა ჩვენთვის მოცემულ ახსნა-განმარტებებში განაცხადა, 27 მარტის ღამეს ბაჩო ახალაია სპეცრაზმთან ერთად შესული იყო ციხეში, სადაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა რამდენიმე პატიმარს. სწორედ ამან გამოიწვია ამბოხი, რაც, მიუხედავად გარკვეული წინაპირობის არსებობისა, უკვე სპონტანურად მოხდა. ამას ადასტურებს არაერთი პატიმრის თითქმის იდენტური ჩვენება. უნდა ითქვას, რომ ამ პატიმრებს საშუალება არ ჰქონდათ, წინასწარ ერთმანეთთან შეეთანხმებინათ მათი ჩვენებები). ამასვე ადასტურებს სასტიკად ნაცემი და ნაწამები სამი პატიმრის – ვიზიანის, ავალიანისა და ცინდელიანის ჩვენებები, რომლებიც ჯერ კიდევ ამბოხების დაწყებამდე გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებიდან მე-7 საპყრობილეში და სამკურნალო დაწესებულებაში დარჩენილი არაერთი პატიმრის ჩვენება.



რაც შეეხება სპეცოპერაციას, ამბოხების ჩახშობისთანავე ვნახეთ საპყრობილის დერეფანში დაგდებული ორი იარაღი. თბილისის მე-5 საპყრობილის დირექტორის, გოგა ფოლადაშვილის, განცხადებით, ამ იარაღებიდან უშუალოდ მისი მიმართულებით გაისროლეს, შედეგად დაიჭრა მისი ორი თანამშრომელი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო სროლა სპეცნაზმა. ფოლადაშვილისავე სიტყვით, თვითონ და მისი თანამშრომლები, სრულიად უიარალოდ, სპეცნაზის წინ მიდიოდნენ, რათა პატიმრებს ისინი ეცნოთ და ნაკლები წინააღმდეგობა გაენიათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ეს ასე მოხდა, ამას ადგილი ექნებოდა მხოლოდ ერთ სართულზე, სროლა კი სხვადასხვა სართულებზე მოხდა.

მეორე მხრივ, ჩვენს მიერ გამოკითხული დაჭრილი პატიმრების უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ ჭრილობები მიიღეს არა საპყრობილის დერეფანში, არამედ საკნებში. პატიმრებმა გამოანგრიეს საკნის კარები და გარეთ გამოვიდნენ. მას შემდეგ, რაც სპეცნაზმა დერეფანი დაიკავა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამბოხის ძირითადი ფაზა უკვე დამთავრდა. ის ფაქტი, რომ დაჭრილი და გარდაცვლილი პატიმრების უმრავლესობამ დაზიანებები მიიღო საკნებში, მეტყველებს, რომ სპეცნაზი ცეცხლსასროლ იარაღს მას შემდეგაც იყენებდა, როცა ამბოხება, ფაქტობრივად, დამთავრებული იყო და პატიმრები მათ წინააღმდეგობას აღარ უწევდნენ. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ პატიმრების წინააღმდეგ გამოყენებული ძალა არ იყო წინააღმდეგობის ადეკვატური და მსხვერპლის თავიდან აცილება, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც იყო შესაძლებელი. იგივე შეიძლება ვივარაუდოთ იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე პატიმარი სარკმლიდან შევარდნილი ტყვიით დაიჭრა და გარდაიცვალა.

27 მარტს, ღამის საათებში, იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებიდან (ე.წ. რეზბალნიცა), ექვსი პატიმარი: **მალხაზ ზედელაშვილი, პაატა მამარდაშვილი, ზურაბ ვიბლიანი, გიორგი ავალიანი, ლევან ცინდელიანი** და **ნიკოლოზ მახარაძე** გადაიყვანეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ქ. თბილისის №7 საპყრობილეში.

მათ აღენიშნებოდათ სხეულის მრავალჯერადი დაზიანებები, რომლებიც, მათივე განმარტებით, მორალურ შეურაცხყოფასთან ერთად, მიაყენეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და სპეცრაზმელებმა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორის ოთახში. ერთ-ერთ მათგანს (პაატა მამარდაშვილს), მისი თქმით, მაკრატლით ალაგ-ალაგ მოჭრეს თმები, რაც ცალსახად შეიძლება შეფასდეს, როგორც დამამცირებელი მოპყრობა. მონიტორინგის დროს მამარდაშვილს ნამდვილად აპარსული ჰქონდა თმის ნაწილი წინა მხარეს. გიორგი ავალიანს, მისივე თქმით, დაუსვეს დამამცირებელი შეკითხვები, რის შემდეგაც გადავიდნენ ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე – ცემაზე, როგორც ოთახში, ასევე საავადმყოფოს ეზოში და ეტაპირების დროსაც.

როგორც გ.ავალიანის, ისე სხვა პატიმრების ჩვენებებიდანაც ირკვევა, რომ ავალიანის ცემაში უშუალოდ მონაწილეობდა სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე – ბაჩო ახალაია.

პატიმრების ცემას მოჰყვა „ხმაური“ სამკურნალო დანესებულებაში, რაც შემდეგ მე-5 საპყრობილეს გადაედო და ამბოხში გადაიზარდა. ამის შემდეგ მოხდა ზემოთ ხსენებული 6 პატიმრის: მ. ზედელაშვილის, პ. მამარდაშვილის, ზ. ვიბლიანის, გ. ავალიანის, ლ. ცინდელიანისა და ნ. მახარაძის გადაყვანა თბილისის მე-7 საპყრობილეში.

სასჯელალსრულების დეპარტამენტის ქ.თბილისის №7 საპყრობილეში გადაყვანილი ნაცემი პატიმრები ინვინდ ლეიბების გარეშე რკინის ნარებზე. მათთან არ შეუშვეს ექიმები და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატები. პატიმრების გადმოცემით, მათ წაართვეს ტანსაცმელი, რომელიც დაუბრუნეს სახალხო დამცველის საპყრობილეში მისვლის შემდეგ, თუმცა, მათივე მტკიცებით, სახალხო დამცველის მიერ საპყრობილის ტერიტორიის დატოვების შემდეგ, ტანსაცმელი კვლავ წაართვეს და მხოლოდ მეორე დღეს, 28 მარტს დილას დაურიგეს.

სახალხო დამცველმა იმავე დღეს, 27 მარტის საღამოს ექვსი პატიმრის ცემის ფაქტი შეაფასა ნამებად და არაადამიანურ მოპყრობად.

ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურატურას წინასწარი გამოძიების დაწყების მიზნით, თუმცა დღემდე რეაგირება არ მომხდარა. პატიმრებს არ ჩაუტარდათ სხეულის დაზიანებებზე ექსპერტიზა და ისინი არ დაუკითხავთ გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებს. უფრო მეტიც, მათთან ყოველდღიურად შედიოდნენ მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

ზემოაღნიშნული პატიმრები ისე სასტიკად იყვნენ ნაცემი, რომ მათ ცემიდან მე-12 დღესაც კი, 7 აპრილს მკაფიოდ ეტყობოდათ დაზიანების კვალი. ამასთან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ სახალხო დამცველის მიერ დანიშნულ ექსპერტები არ შეუშვა მე-7 საპყრობილეში და მათ არ მისცა ექსპერტიზის ჩატარების საშუალება.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. თბილისის №7 საპყრობილეში გადაყვანილი ექვსი პატიმრიდან ორი მათგანი, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ მათი იქ გაჩერება ყველანაირ ნორმას ეწინააღმდეგებოდა, გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში. ერთი მათგანი პარალიზებული იყო, ფიზიკური გადაადგილება არ შეეძლო, ხოლო მეორე – სმენისუუნარო და გარდა ამისა, ჰქონდა სხვა მძიმე დაავადებათა კომპლექსი.

ა.წ. 4 აპრილს ერთ-ერთი პატიმარი, ზურაბ ვ. სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს ქ. რუსთავის №6 საპყრობილეში. იგი დაავადებული იყო ეპილეფსიით, ჰქონდა ნეიროქირურგიული ხაზის დაავადებათა კომპლექსი და საჭირო იყო მისი მოთავსება სტაციონალურ პირობებში. საპყრობილეში მისი გაჩერება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლეს.

არეულობა ქუთაისის №2 საპყრობილეში

2005 წ. 20 დეკემბერს ქუთაისის ახალ საპყრობილეში პატიმართა გადაყვანას მოულოდნელი ამბოხი მოჰყვა. პატიმრებმა ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების მიზეზით ხანძარი გააჩინეს. ვითარების გასაკონტროლებლად საპყრობილეში სპეცოპერაცია ჩატარდა, რომლის დროსაც სამმა სამართალდამცველმა და ასზე მეტმა პატიმარმა სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღეს. ერთი პატიმარი, მალხაზ სერგინავა, კი მოგვიანებით დაიღუპა.

სახალხო დამცველი ამ ფაქტის გამოძიებას მოითხოვდა. „გამოძიების მთავარი მიზანია დაადგინოს, რამდენად ადეკვატური იყო ბუნტის ჩასახშობად გამოყენებული ძალა იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც ქუთაისის ციხეში ჰქონდა ადგილი და რამაც პატიმრის დაღუპვა გამოიწვია“.

ჩხრეკა ბათუმის მე-3 საპყრობილეში

2006 წ. 24 იანვარს ბათუმის №3 საპყრობილეში ჩატარდა ჩხრეკა-დათვალიერება. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის განცხადებით, მათ მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია, რომ დაწესებულებაში იყო იარაღი. ისინი იძულებულნი იყვნენ, ოპერაცია ძალიან სწრაფად ჩატარებინათ და პატიმრები გარეთ, თოვლში გაეყვანათ.

სახალხო დამცველის აპარატისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებებში პატიმრები აცხადებდნენ, რომ სპეცნაზელები მათ ურტყამდნენ დერეფანში, ისე რომ მათი მხრიდან წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. ამის შემდეგ პატიმრები 4 საათზე მეტი ხნის განმავლობაში იდგნენ საპყრობილის ეზოში, ზამთრის სიცივეში, თოვლ-ჭყაპში ღია ცის ქვეშ, ნახევრად ჩაუცმელები, უმეტეს მათგანს ფეხსაცმელიც არ ეცვა და ჩუსტებით გაიყვანეს, რადგან შემონმება მოულოდნელად ჩატარდა.



პატიმრების განმარტებით, მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ, წაართვეს ნივთები, რომლებიც მინისტრის ბრძანების საფუძველზე, შეეძლოთ ჰქონოდათ დანესებულებაში. კერძოდ, ხის ხატები, ჯვრები, ტელევიზორები და ა.შ. ბევრმა მათგანმა მიიღო სხეულის დაზიანება. მათ შორისაა: მამია დვალისძე; გელა გაბიტაშვილი; მარლენ მეგრელიშვილი; ლაშა ხალვაში; ზვიად გელაძე; გოჩა კახაძე; ბაგრატ გიორგაძე; მამუკა ჯინჭარაძე; ნუკრი ნოზაძე; ნიკა გოგეშვილი; ტარიელ გორგილაძე; ზვიად პაქსაძე; ავთანდილ ზოიძე; გურამ პაქსაძე; მალხაზ კაკაბაძე; ზურაბ მოდებაძე; დავით შატირიშვილი; ვიტალი სიხარულიძე; გელა ლონლაძე; მიხეილ კობერიძე; ვაჟა მუხაშავერია; მამუკა გასვიანი; როლანდ ჩამბა; ავთანდილ სანიკიძე; გია ჩავლეიშვილი; ელგუჯა მელაძე; დავით ემირიძე; რევაზ ქაღიძე; რუსლან კვირიტიძე; იასონ მეტრეველი; დავით თედორაძე; ედუარდ დიგანი; რომან სურმანიძე; მინდია ბროლაძე; გოჩა მამალაძე; რაჟდენ ხალვაში; დავით ნაკაიძე; რამაზ ნულუკიძე; შოთა მეგრელიშვილი; ვაჟა რუსიძე; დავით ძნელაძე; ირაკლი დოლიძე; ასლან ემირიძე.

აღსანიშნავია, რომ ჩხრეკის შედეგად იარაღი არ უპოვიათ.

სასჯელალსრულების სისტემის თანამშრომლების ზემოაღნიშნული ქმედებები უნდა შეფასდეს როგორც ნამება, დამამცირებელი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა.

წინასწარი გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით არ დანწყებულა.



საქართველოს სახალხო დამცველს ძალიან ხშირად მიმართავენ პატიმრების ახლობლები, რომლებიც მიუთითებენ, რომ სასჯელალსრულების დანესებულებებში პატიმრები განიცდიან ფიზიკურ ზეწოლას.

გოჩა ფაცურიას საქმე

2006 წლის 17 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისის №1 საპყრობილეში პატიმარი გოჩა ფაცურია მოინახულა. პატიმარი სასტიკად იყო ნაცემი და სხეულის მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა.

გ. ფაცურია სასჯელს ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა დანესებულებაში იხდიდა, სადაც შელაპარაკება მოუვიდა დანესებულების ხელმძღვანელობასთან. მისი განცხადებით, 14 იანვარს, როდესაც შეხვედრების ოთახში დედასა და დას ხვდებოდა, სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა, ტუბზონის უფროსის მოადგილემ და სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ იგი სასტიკად სცემეს. ფაცურიას განცხადებით, ფიზიკური შეურაცხყოფა დედასაც მიაყენეს.

მისივე თქმით, ინციდენტის შემდეგ ნაცემი პატიმარი ქსნის კოლონიაში გადაიყვანეს და კარცერში ჩასვეს, სადაც კოლონიის უფროსმა და მოადგილემ ხელკეტებით სცემეს.

15 იანვარს სასტიკად ნაცემი გოჩა ფაცურია თბილისის №1 საპყრობილეში გადმოიყვანეს. სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრისას, ცემის ფაქტი გ. ფაცურიას დედამ და დამაც დაადასტურეს.

სახალხო დამცველმა იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულებს დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბაჩო ახალაიას, გ. ფაცურიას პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებაში გადაყვანის რეკომენდაციით მიმართა, თუმცა რეკომენდაცია არ გაიზიარეს.

სოზარ სუბარმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსს ირაკლი კლდიაშვილსაც, რათა პატიმარს ჩაუტარებოდა საექსპერტო გამოკვლევა ფიზიკურ დაზიანებებთან დაკავშირებით, რაც ასევე არ გაიზიარეს.

ასევე მივმართეთ გენერალურ პროკურატურას, დაეწყო გამოძიება გოჩა ფაცურიას ცემის ფაქტზე და სამწუხაროდ, არ დაწყებულა. გოჩა ფაცურია კი სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლით (წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია) გასამართლდა და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა.

ა.ნ. 2 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს, დახმარების თხოვნით მიმართეს თბილისის №7 საპყრობილეს პატიმართა ადვოკატებმა და ახლობლებმა. მათი განცხადებით, 28 თებერვლიდან 1 მარტის ღამეს საპყრობილეში ერთ-ერთ საკანში მყოფ რვა პატიმარს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

საქართველოს სახალხო დამცველი შეტყობისთანავე მივიდა №7 საპყრობილეში პატიმრები მოინახულა. ორ მათგანს სახეზე აღენიშნება ფიზიკური დაზიანებები, დანარჩენები სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე ტკივილებს უჩივოდნენ. მათ სახალხო დამცველთან შეხვედრისას კონკრეტულ ფაქტზე საუბრისაგან თავი შეიკავეს. მათივე თქმით, ციხის ექიმს პატიმრები არ მოუწახულებია.

პატიმრები აცხადებდნენ, რომ საპყრობილის რეჟიმის მცირედი დარღვევისთვისაც კი, როგორც არის თუნდაც ერთი საკანიდან მეორეში გადაძახილი, კანონით გათვალისწინებული სასჯელის ნაცვლად, მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ.

იაგო წიქვაძის საქმე

21 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ცხელ ხაზზე შემოსული ინფორმაციის თანახმად, თბილისის №1 საპყრობილეში პატიმარი იაგო წიქვაძე მოინახულეს. პატიმარს სახესა და ზურგის არეში ძლიერი ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა.

პატიმარი იმდენად ცუდად გრძნობდა თავს, რომ მისი გადაადგილება ვერ მოხერხდა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა იგი საკანშივე ინახულეს. ძლიერი თავის ტკივილების გამო წაქვადემ ვერც ახსნა-განმარტების დაწერა შესძლო. შესაბამისად მისი ახსნა-განმარტების დაწერა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს მოუწიათ და პატიმარმა მხოლოდ ხელი მოაწერა.

როგორც პატიმარი იაგო წიქვაძე აცხადებს, სიტყვიერი შეურაცხყოფისა და შეკამათების შემდეგ, მას ფიზიკური დაზიანებები საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მიაყენეს. მათ შორის ციხის უფროსმა თემურ ტაბალუამ.

პატიმრის განცხადებით, მიუხედავად მისი მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა, მასთან ექიმი არ მისულა.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა საპყრობილის ადმინისტრაციას, პატიმართან ექიმის შეყვანის აუცილებლობაზე მიუთითეს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ სახალხო დამცველი და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს უფლება არ აქვთ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეიტანონ ფოტოკამერა, აუდიო და ვიდეო აპარატურა. აღნიშნულით სახალხო დამცველს ხელი ეშლება თავისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციის – მონიტორინგის ეფექტურად განხორციელებაში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტს მივმართავთ რეკომენდაციით, საქართველოს სახალხო დამცველსა და მისი სპეციალური რწმუნებით აღჭურვილ



სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელს კანონით მიეცეთ უფლება სასჯელადსრულების ნებისმიერ დაწესებულებაში ნებართვის გარეშე შეიტანონ ფოტოკამერა, აუდიო და ვიდეო აპარატურა.

ყველა ზემოაღნიშნული საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას და არც ერთი მათგანი არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე, პატიმრების ცემა-ნამების პრევენციის მიზნით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ანგარიშში ასახული პატიმრების გაუსაძლისი მდგომარეობისა იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, სასჯელადსრულების დაწესებულებების არც ერთი თანამშრომელი არ დასჯილა პატიმრებთან ცუდად მოპყრობის გამო.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წელთან შედარებით 2006 წელს იმატა სასჯელადსრულების დაწესებულებებში პატიმართა სიკვდილიანობის რიცხვმა. კერძოდ: 2005 წელს გარდაიცვალა 49 პატიმარი, ხოლო 2006 წლის 1 იანვრიდან – 10 ოქტომბრამდე კი – 71.

ანგარიშში ჩვენ მიერ ასახული ყველა პრობლემა თანაბრად პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია და საჭიროებს სასწრაფო გადაჭრას. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მზადაა თავისი კომპეტენციის ფარგლებში დახმარებისა და თანამშრომლობისთვის.

რეკომენდაციები:

1. სასჯელადსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისია დაკომპლექტებულია მხოლოდ სასჯელადსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებით, რაც არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რადგან ამით ობიექტურობის დაცვის ნაკლები ალბათობაა. ამავე დროს, ვითვალისწინებთ რომ კომისიის დაკომპლექტება მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებითა და სხვა პირებით, რომლებსაც არანაირი შეხება არ ჰქონიათ სასჯელადსრულების სისტემასთან, არ იქნება რეკომენდებული და უფრო მეტ ქაოსს გამოიწვევს სასჯელადსრულების სისტემაში. აქიდან გამომდინარე, იუსტიციის მინისტრსა და სასჯელადსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს მივმართავ რეკომენდაციით, ჩამოყალიბდეს შერეული კომისია, სადაც თანაბრად იქნებიან წარმოდგენილი ერთი მხრივ სასჯელადსრულების დეპარტამენტისა და იუსტიციის სამინისტროს, ხოლო მეორე მხრივ სისტემის გარედან მოწვეული პირები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ამასთან რეჟიმთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტა შევიდეს კომისიის კომპეტენციაში. აღნიშნული ემსახურება პატიმრობასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების მაქსიმალურად ობიექტურად გადაწყვეტას.
2. სახელმწიფომ გაიღოს საზოგადოებრივი კომისიების ფუნქციონირებისათვის საჭირო მინიმალური რესურსები (ტელეფონი, სანვავი და ა.შ.).
3. წინადადებით მივმართავ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს პარლამენტს, შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში და პატიმრებისათვის განისაზღვროს ხანგრძლივი პაემნის უფლება ან მისი ალტერნატიული ვარიანტი, კვლავ გაიზარდოს მოკლევადიანი პაემნის დრო და გაფართოვდეს პაემნის უფლების მქონე პირთა წრე. გასაკუთრებით არასრულწლოვან პატიმრებთა მიმართ.
4. წინადადებით მივმართავ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტს, შემცირდეს კანონით დადგენილი ვადა პაემნის უფლების გაცემაზე და უფლების მისაღებად თხოვნის წარდგენის დღესვე მოხდეს ნებართვის გაცემა.
5. აიკრძალოს ადვოკატების გაჩხრეკა როგორც პატიმართან შეხვედრამდე, ისე შეხვედრის შემდეგ (მით უმეტეს, რომ პატიმარი იჩხრიკება ადვოკატთან შეხვედრამდეც და შემდეგაც).
6. მოიხსნას საპყრობილებებში ადვოკატებისა და პატიმრების შეხვედრის ოთახებში დაყენებული სათვალთვალოები და შევიდეს ცვლილებები იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28 დეკემბრის ბრძანებაში „პატიმრობის მოხდის შესახებ“ და გაუქმდეს აღნიშნული ბრძანების მე-19 მუხლის მე-9 ნაწილის ბოლო წინადადება: „საპყრობილის მოსამსახურეს უფლება აქვს ვიზუალურად, მოსმენის გარეშე, აკვირდებოდეს შეხვედრას“.

7. გაიზარდოს ადვოკატებთან შეხვედრის ოთახების რაოდენობა და მოხდეს მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან შეუზღუდავი შეხვედრის უზრუნველყოფა (გონივრულ ფარგლებში).
8. სასჯელალსრულების დეპარტამენტმა უზრუნველყოს კვება ვეგეტარიანელებისა და რელიგიური საჭიროებების (მარხვა) მქონე პატიმრებისათვის და აღნიშნული განისაზღვროს ნორმატიული აქტით.
9. თუ დაწესებულების ადმინისტრაცია თვითონ ვერ ამარაგებს პატიმრებს კანონით გათვალისწინებული საკვები ულუფებით, მაშინ პატიმრებს უფლება უნდა მიეცეთ, თვითონ შეიტანონ ეს ულუფა. სასჯელალსრულების დაწესებულებებში მალაზიების გახსნამდე კი შეიზღუდოს შეზღუდვა საკვების შეტანაზე, სანაცვლოდ კი გამკაცრდეს კონტროლი შესაგზავნ პროდუქციაზე.
10. ქ. რუსთავის მოსახლეობა ონკანში მომდინარე წყალს უხარისხობის გამო არ სვამს. ახლობლები პატიმრებს წყალს გარედან უგზავნიდნენ, რაც წონით იზომებოდა (30კგ). სახალხო დამცველის მიერ გაკეთებული რეკომენდაციის შემდეგ აღნიშნული შეზღუდვა მოიხსნა და დარჩა მხოლოდ მინერალურ წყალზე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მასზეც გაუქმდეს ლიმიტი და შესაძლებელი იყოს საპყრობილეში მინერალური წყლის შეუზღუდავი შეგზავნა. ამასთან, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სასწრაფოდ შემომხმდეს წყლის ვარგისიანობა და, თუ იგი ჯანმრთელობისათვის სახიფათოა, მოხდეს პატიმრების მომარაგება სასმელად ვარგისი წყლით.
11. სასჯელალსრულების დეპარტამენტმა სასწრაფოდ უზრუნველყოს უსაფრთხოების წესების დაცვა სასჯელალსრულების დაწესებულებებში ელექტროსადენებთან დაკავშირებით.
12. გაუმჯობესდეს საპრობილეების კარცერებში არსებული მდგომარეობა.
13. საპყრობილეების გადატვირთულობა და იქ სათანადო ვენტილაციის არარსებობა იწვევს გაუსაძლის პირობებს და პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებას. დამონტაჟდეს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა ყველა საპყრობილეში.
14. შეწყდეს შეზღუდვები სასჯელალსრულების დაწესებულებებში ჰიგიენური საშუალებების შეგზავნაზე იმ შემთხვევაში, როცა დაწესებულების ადმინისტრაცია საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს პატიმართა ჰიგიენის სრულ დაცვას.
15. საკნებში ჰიგიენის დაცვის მიზნით თითოეულ დაწესებულებაში ამოქმედდეს სამრეცხაოები.
16. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე, გაუქმდეს უნიფორმების ტარების ვალდებულება ბრალდებულებისა და განსასჯელებისთვის.
17. ეტაპობრივად განხორციელდეს პატიმართა დასაქმებისა და განათლების პროგრამები.
18. რეკომენდაციით მივმართავ განათლების სამინისტროს, შეიმუშავოს სპეციალური პროგრამა, რომელიც გათვლილი იქნება არასრულწლოვანი პატიმრების ინტელექტუალურ მარჯვენებლებზე.
19. იუსტიციისა და განათლების სამინისტროებმა მაქსიმალურად მოკლე დროში უზრუნველყონ არასრულწლოვანთა განათლების მიღება №5 საერთო და მკაცრი რეჟიმის საპყრობილეში.
20. სასჯელალსრულების დაწესებულებებში ბევრია წერა-კითხვის უცოდინარი პატიმარი, რომელთან მუშაობაც აუცილებელია. რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს იუსტიციისა და განათლების სამინისტროებს, დროულად ამოქმედდეს იუსტიციის და განათლების მინისტრების ერთობლივი ბრძანების ნორმები.
21. მნიშვნელოვანია საქართველოს სასჯელალსრულების დაწესებულებების თანამედროვე საგანმანათლებლო სახელმძღვანელოებითა და მხატვრული ლიტერატურული წიგნებით აღჭურვა. იუსტიციის სამინისტროს მივმართავთ რეკომენდაციით, გახსნას ბიბლიოთეკები საპყრობილეებში.
22. სასწრაფოდ გადაიჭრას პატიმრების ბადრაგირების პრობლემა და მოხდეს პატიმართა განთავსება სასჯელალსრულების დაწესებულებებში ისე, რომ სასამართლო პროცესები დროულად გაიმართოს და დაბრკოლება არ შეექმნას სასამართლო სხდომებზე პატიმართა გამოცხადებას.
23. რეკომენდაციით მივმართავ საქართველოს იუსტიციის მინისტრს, შევიდეს ცვლილებები იუსტიციის მინისტრის ბრძანებებში №365, №366 და №367 (1999წ. 28 დეკემბერი) და საქართველოს სახალხო დამცველსა და მისი სპეციალური რწმუნებით აღჭურვილ სახალხო დამცველის რწმუნებით აღჭურვილ პირებს მიეცეთ შეუზღუდავი უფლება, სასჯელალსრულების ნებისმიერ დაწესებულებაში ყოველგვარი ნებართვის გარეშე შეიტანონ ფოტოკამერა, აუდიო და ვიდეო აპარატურა.
24. მივმართავთ იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, გამოიძიოს შ.ხაჭაპურიძის საქმე.



სამედიცინო მომსახურება სასჯელაღსრულების სისტემაში

1999 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს სასჯელაღსრულების ორგანოთა სისტემის რეფორმებისა და ევროპის ერთიანი პენიტენციური წესების მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება №591, რომლის მიხედვითაც, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან სასჯელაღსრულების ორგანოების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გადაცემისა და ახალი პენიტენციური კანონმდებლობის ამოქმედების სამართლებრივი საფუძვლების მოწესრიგება. იმავე ბრძანებულებით, სახელმწიფო მინისტრის თავმჯდომარეობით შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალა სასჯელაღსრულების ორგანოთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გადაცემის სამართლებრივი, ორგანიზაციული, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა შესაბამისი ღონისძიებების უზრუნველყოფა, ზემოაღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად განხორციელების კოორდინაცია და კონტროლი 2000 წლის 1 იანვრამდე.

პრეზიდენტის ამ ბრძანებულების გამოსვლიდან ზუსტად 1 კვირის შემდეგ, 1999 წლის 19 სექტემბერს, გამოიცა საქართველოს შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროების ერთობლივი ბრძანება №№2/530 – სასჯელაღსრულების ორგანოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ობიექტებისა და ქონების ინვენტარიზაციის ჩატარებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსიდან იუსტიციის სამინისტროს ბალანსზე ბაზების, ობიექტებისა და ქონების გადაცემის შესახებ. ამ ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ერთობლივი კომისია, რომელსაც დაევალა 1999 წლის 1 ნოემბრამდე სასჯელაღსრულების ორგანოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ობიექტების (მათ შორის მშენებარე ობიექტების, აგრეთვე სანიტარიულ-სამედიცინო მომსახურების ინფრასტრუქტურის) და ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების უზრუნველყოფა. ამ ბრძანების მიხედვით, ქონების ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის ვადად განისაზღვრა 1999 წლის 10 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე შუალედი.

აღნიშნული პროცესების დასკვნით ეტაპად უნდა ჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 20 დეკემბრის №1551 განკარგულება – „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბალანსზე სასჯელაღსრულების ორგანოების ქონების გადაცემის შესახებ“. განკარგულებაში ჩაიდო ტექსტი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემის საბოლოო დროდ დადგინდა პერიოდი 1999 წლის 30 დეკემბრიდან ერთი თვის განმავლობაში.

2000 წლის 11 იანვარს გამოდის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №10 ბრძანება სასჯელაღსრულების დაწესებულებების შესახებ. სწორედ ამ ბრძანებით განისაზღვრა საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებები. ბრძანებაში დღემდე უამრავი ცვლილება იქნა შეტანილი. საბოლოო რედაქციაში კი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში გაერთიანებულია შემდეგი დაწესებულებები:

1. №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება (ქ. რუსთავი);
2. №6 საპრობილის, საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება /ქ. რუსთავი;
3. №3 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება (საგარეჯოს რაიონი);
4. №4 სასჯელაღსრულების დაწესებულება (საგარეჯოს რაიონი);
5. ქალთა და არასრულწლოვანთა №№5 საერთო და საპრობილის რეჟიმის დაწესებულება;
6. №6 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება (ქ. თბილისი);
7. №7 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება (მცხეთის რაიონი);
8. №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებად (წყალტუბოს რაიონი);

9. №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულება /ხონის რაიონი/;
10. №10 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულება /ავჭალა, ქ. თბილისი/;
11. არასრულწლოვანთა აღმზრდელითი დაწესებულება;
12. №1 საპრობილე (ქ. თბილისი);
13. №2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულება /ქ. ქუთაისი/;
14. №3 საპრობილე (ქ. ბათუმი);
15. №4 საპრობილე (ქ. ზუგდიდი);
16. №5 საპრობილე (ქ. თბილისი).
17. №8 საპრობილე (მცხეთის რაიონი, დაბა ქსანი);
18. სასჯელალსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება (მცხეთის რაიონი);
19. სასჯელალსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება (ქ. თბილისი).

ამგვარად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური სისტემის სახით საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგო. სასჯელალსრულების სისტემის დაწესებულებებში დღესდღეობით შექმნილია საკმაოდ მძიმე მდგომარეობა. ვარდების რევოლუციის შემდეგ ახლად მოსული მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ადამიანის უფლებათა დაცვა უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც განსაკუთრებით მაღალია ამ უფლებათა დარღვევის რისკი. სწორედ ასეთი უზანა სასჯელალსრულების სისტემის დაწესებულებები. ახალი მთავრობის საქმიანობის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ წინასწარი დაკავების ადგილებში, პოლიციაში, თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა წინა წლებში დამკვიდრებული პრაქტიკა ადამიანთა წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური მოპყრობისა თუ დასჯის ფაქტები. მიუხედავად ამ პოზიტიური მხარისა, დღეს გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებებში შექმნილია მეტად მძიმე სიტუაცია, რაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა აიხსნას პენიტენციური დაწესებულებების ზეგადატვირთულობით, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, პენიტენციური სისტემის კადრების უაღრესად დაბალი კვალიფიკაციით, სახელმწიფოს სხვა სტრუქტურების სუსტი თანამონაწილეობით, უხეში საკანონმდებლო დეფექტებითა და სხვა მრავალი ფაქტებით, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენენ ამ სისტემის მუშაობაზე. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მაინც ახერხებს შექმნილი მდგომარეობის ფონზე გარკვეული პოზიტიური ძვრების გატარებას, რაც გამოიხატება ცენტრალური ხელისუფლების მისწრაფებით, შეძლებისდაგვარად გააუმჯობესოს პირობები ციხეებში და ეს, უპირველეს ყოვლისა გამოიხატება ახალი საპრობილეების შენობათა ექსპლუატაციაში შესვლით, სოციალური პირობების გაუმჯობესების მცდელობით და სხვა გრძელვადიანი პროგრამებით. იმ სიტუაციაში, როდესაც საქართველოს პენიტენციურ სისტემაში 13.000-ზე მეტი პატიმარი იხდის სასჯელს, მთავრობის ყოველგვარი ძალისხმევა და მცდელობა პოზიტიური ძვრებისაკენ პრაქტიკულად ზღვაში წვეთია და ის ვერანაირად ვერ აბალანსებს იმ უამრავ პრობლემასა და დარღვევას, რაც რეალურად არსებობს საქართველოს ციხეებში. საერთაშორისო ორგანიზაცია „Human Right Watch“-ის მიერ 2006 წლის სექტემბერში წარმოდგენილი ვრცელი მოხსენების მიხედვით, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მყოფ პატიმართა 63 %-ის მიმართ საქართველოს სასამართლოებს ჯერ არ გამოუტანიათ განაჩენი. ისინი თვეობით და ზოგჯერ წლობითაც ელოდებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას და ამ პერიოდს ატარებენ იმ აუტანელ და გაუსაძლის პირობებში, რომელიც არათუ შეუფერებელი და ღირსების შემლახავია თითოეული პატიმრისათვის, არამედ პრაქტიკულად უნდა შეფასდეს როგორც ჯანმრთელობისათვის საშიში გარემო.

ჩვენი მონიტორინგის მიზანი იყო საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მყოფ პირთა (პატიმრების) სამედიცინო მომსახურების შესწავლა და ანალიზი. ასევე ყურადღება გამახვილდა მათ სოციალურ პირობებზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს მათ საცხოვრებელ გარემოს, კვებას, სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, სოციალურ რეაბილიტაციას და ზოგიერთ სხვა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. აღნიშნული საკითხები გაშუქებულია პატიმართა უფლებების დაცულობის კონტექსტში,



არსებული რეალური სიტუაციის ფონზე, როდესაც უხეშად ირღვევა არა მარტო საქართველოს კანონმდებლობა, არამედ საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები, ასევე საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებები.

ჩვენი მონიტორინგის შედეგების ზოგად კონტექსტში გადმოტანით შესაძლებელია, გადაჭრით ითქვას, რომ პატიმართა სამედიცინო მომსახურება და მოვლა სრულიად არაადეკვატურია; ამ მხრივ რეაბილიტაციის ცნება საერთოდ უცნობი გაგებაა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე. აღნიშნული მდგომარეობა აიხსნება მნიერი და ფაქტობრივად განადგურებული სამედიცინო რესურსებით: შენობა ნაგებობების მძიმე ფიზიკური მდგომარეობით, სამედიცინო კადრების მწვავე დეფიციტით, არსებული კადრების ხშირ შემთხვევაში დაბალი კვალიფიკაციით, სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და მედიკამენტების მომარაგების შეზღუდულობით, სადიაგნოზო საშუალებათა უქონლობით და ა.შ.

მოხსენებაში განხილულია პენიტენციური სისტემის დაწესებულებათა მიმართ წაყენებული მოთხოვნები, გამომდინარე ქვეყნის კანონმდებლობიდან, საერთაშორისო სტანდარტებიდან და ამ კონტექსტში განხილულია თითოეული კონკრეტული შემთხვევა და სიტუაცია. მონიტორინგის დროს არსებობდა მთელი რიგი ხელისშემშლელი ფაქტორებისა. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული გამოიხატება სისტემის მუშაკთა საკმაოდ არასერიოზული დამოკიდებულებით ჩვენი ჯგუფის წევრების მიმართ. ხშირ შემთხვევაში ვაწყდებოდით წინააღმდეგობებს, დაბრკოლებებს, ხელის შეშლას და სხვა სახის პრობლემებს. მონიტორინგის დროს არ გვაძლევდნენ საშუალებას, დაწესებულებებში შეგვეტანა ფოტოგადაღების საშუალებები; სამედიცინო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა ჩვენთვისაც კი ხშირად გადაულახავ პრობლემად იქცეოდა. კონკრეტულ შემთხვევებში, მიუხედავად პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებლობისა და ზოგჯერ სასიცოცხლო საფრთხის შემთხვევაშიც კი, არ გვეძლეოდა საშუალება, შეგვეყვანა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი სპეციალისტები. ავადმყოფთა გადაყვანა ქალაქის სხვადასხვა პროფილის სამკურნალო დაწესებულებაში, მათი დიაგნოსტიკისა და ადეკვატური მკურნალობის მიზნით, მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში შეეძლებოდა. პენიტენციური სისტემის ადმინისტრაცია, შეიძლება ითქვას, შეგნებულად აჭიანურებდა და ხშირად არ აკმაყოფილებდა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მოთხოვნილ სასამართლო სამედიცინო და სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას. ყოველივე აღნიშნული ნეგატიურად აისახებოდა ჩვენი საქმიანობის ხარისხზე და, უპირველეს ყოვლისა, პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

I ტაპი

პენიტენციური სისტემის სამედიცინო სამსახურის საერთაშორისო პრინციპები

სახელმწიფო თავისი იურისდიქციის ფარგლებში ახორციელებს თავისუფლების აღკვეთის აქტს. აქედან გამომდინარე, თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის ადამიანის საყოველთაო უფლებათა დაცვაზე პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ სახელმწიფოს! ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრინციპების გატარება, დაცვა და შელახული უფლების დაუყოვნებელი აღდგენა სასჯელადსრულების სისტემის დაწესებულებებში სახელმწიფოს მოვალეობაა. თავად პენიტენციური სისტემა უკვე გარკვეულ რისკის ფაქტორებს ქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, რის გამოც სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მკვეთრად გაზრდილი უნდა იყოს. ასევე საჭიროა შემუშავდეს ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციული მექანიზმები და შელახული უფლების დაუყოვნებელი აღდგენის სწრაფი და ეფექტური საშუალებები. სწორედ ამ ძირითად პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს ნებისმიერი ეროვნული თუ საკანონმდებლო დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს თავისუფლებააღკვეთილ პირებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ჯანმრთელობის უფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. მისი ნებისმიერი ფორმით და ხარისხით შეზღუდვა დაუშვებელია! აქედან გამომდინარე, საერთაშორისო და ეროვნული კანონმ-

დებლობის მიხედვით, პენიტენციური სისტემის სამედიცინო მომსახურება უნდა იქცეს იმ ქმედით მექანიზმად რომელიც უზრუნველყოფს პატიმრებისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, რაც გამოიხატება ექიმთან შეუზღუდავი კონტაქტის უფლებით; მეორე ძირითადი პრინციპი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს რეალიზებული არის ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურების განწესება, რაც იმით გამოიხატება, რომ სამედიცინო მომსახურების ხარისხი და მოცულობა პენიტენციურ სისტემაში არ უნდა ჩამორჩებოდეს ქვეყანაში ზოგადად აღიარებულ და დამკვიდრებულ სტანდარტებსა და ნორმებს. პაციენტთა უფლებები დაცული უნდა იყოს ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც, როდესაც პიროვნების მიმართ აღმკვეთი ღონისძიება გამოყენებული. პაციენტის უფლებების დაცვა კი ზოგადად გულისხმობს: უფლებას პრევენციულ ღონისძიებებზე, უფლებას ხელმისაწვდომობაზე, უფლებას ინფორმაციის მიღებაზე, უფლებას თანხმობის განცხადებაზე, უფლებას თავისუფალ არჩევანზე, უფლებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და კონფიდენციალურობაზე, უფლებას ხარისხის სტანდარტების დაცვაზე, უფლებას უსაფრთხოებაზე, უფლებას არასაჭირო ტანჯვისა და ტკივილის აცილებაზე, უფლებას საჩივრის წარდგენაზე და ყველა იმ უფლებით სარგებლობს, რაც გათვალისწინებულია ეროვნული და საერთაშორისო ნორმატივებით. პენიტენციური სისტემის სამედიცინო სამსახურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა არა მარტო ავადმყოფთა მკურნალობისა და მოვლის ჩატარება, არამედ პრევენციული მუშაობა, რაც გულისხმობს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას და საკითხების სოციალურ-პროფილაქტიკურ გადანაცვლებას. სამედიცინო სამსახურის ერთ-ერთი ასევე მნიშვნელოვანი ფუნქციაა გამოიხატება ჰუმანიტარული თანადგომით. პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში არსებობს მაღალი რისკი, დაირღვეს არა მარტო პატიმართა, არამედ სამედიცინო პერსონალის უფლებებიც, ანუ ექიმთა პროფესიული საქმიანობა ციხეებში განიხილება როგორც „ექიმები რისკის ზონაში“. ექიმებზე ხშირია ზენოლა, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უხეში ჩარევა, ექიმთა იძულება, მონაწილეობა მიიღონ არაჰუმანურ აქციებზე და საქმიანობებში. აღნიშნულის პრევენციის მიზნით, მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის მიერ მიღებულია არაერთი დეკლარაცია და რეზოლუცია. მათ შორის აუცილებლად უნდა გამოვყოთ მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის ტოკიოსა და ჰამბურგის დეკლარაციები (The World Medical Association Declaration of Tokyo. Guidelines for Physicians Concerning Torture and other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment in Relation to Detention and Imprisonment (Adopted by the 29th World Medical Assembly, Tokyo, Japan, October 1975, and editorially revised at the 170th Council Session, Divonne-les-Bains, France, May 2005 and the 173rd Council Session, Divonne-les-Bains, France, May 2006); World Medical Association Declaration Concerning Support for Medical Doctors Refusing to Participate in, or to Condone, the Use of Torture or Other Forms of Cruel, Inhuman or Degrading Treatment (Adopted by the 49th WMA General Assembly Hamburg, Germany, November 1997), ასევე მნიშვნელოვანია მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის დეკლარაცია ექიმთა დამოუკიდებლობისა და პროფესიული თავისუფლების შესახებ (მიღებულია მსოფლიოს 38-ე სამედიცინო ასამბლეის მიერ რანჩო მირაჟში (კალიფორნია, აშშ). ძალადაკარგულადაა გამოცხადებული მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის გენერალური ასამბლეის მიერ სანტი-აგოში, ჩილე 2005 წელს.). მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის უკანასკნელი განცხადება წამებასთან დაკავშირებით 2006 წლის 22 მაისს გაკეთდა (Latest releases: 22 May 2006).

ევროპის ყველაზე გავლენიანი და ავტორიტეტული პროფესიული სამედიცინო გაერთიანება – ევროპის ექიმთა მუდმივმოქმედი კომიტეტი – 1986 წლის 23 აგვისტოს კოპენჰაგენში ჩატარებულ საერთაშორისო შეხვედრაზე – „ექიმები, ეთიკა და წამება“ – მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, 1989 წლის 24-25 ნოემბრის მადრიდის პლენარული სხდომაზე განიხილავს იმ პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან ექიმები და ზოგადად სამედიცინო დარგის მუშაკები სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებშიც წამების პრაქტიკა არსებობს ან არსებობდა, განსაკუთრებით პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში. ევროპის თანამეგობრობის ექიმთა მუდმივმოქმედი კომიტეტის პლენარული სხდომა თანხმდება და მოუწოდებს ყველა იმ ქვეყნის ექიმთა ნაციონალურ ასოციაციებს, რომლებსაც ჯერ არ მოუხდენიათ მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის 1975 წლის ტოკიოს დეკლარაციის (ექიმთათვის განკუთვნილი გაიდლაინები დაკავებასა და პატიმრობასთან დაკავშირებული წამებისა და სხვა სასტიკი, ღირსების შემლახავი და არაადამიანური მოპყრობისა თუ დასჯის შესახებ) რატიფი-



ცირება და გამოქვეყნება, დაუყოვნებლივ გააკეთონ ეს, როგორც ფუძემდებლური დებულებისა სამედიცინო პროფესიის დამოკიდებულების განსასაზღვრავად აღნიშნული საკითხების მიმართ;

ასევე მოუწოდებს, მოხდეს სამედიცინო განათლების სასწავლო გეგმებში ამ პრობლემის არსებობისა და ინსტრუქციების ჩართვა და ინტეგრირება; აგრეთვე იმ ეთიკური მოვალეობების რეგულაციების გათვალისწინება, რომლებიც ექიმთა ვალდებულებაა და რომლებსაც უნდა მიმართავდნენ ექიმები, როდესაც მათზე შესაძლოა განხორციელდეს ზენოლა – იმოქმედონ სამედიცინო პროფესიის ეთიკური პრინციპების სანინააღმდეგოდ; მოუწოდებს ყველა ნაციონალურ მთავრობებს, რომლებსაც ჯერ არ განუხორციელებიათ აღნიშნული, მოახდინონ გაეროს 1982 წლის დეკლარაციისა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყველა სხვა საერთაშორისო დოკუმენტის რატიფიცირება და იმპლემენტაცია; მოუწოდებს ყველა სამეცნიერო და პროფესიულ სტრუქტურასა და პროფესიას ყველა ქვეყანაში, მოახდინონ ტოკიოს დეკლარაციის პრონციპების ჩადება თავიანთ დებულებებში, წესდებებსა და სხვა სახის მარეგულირებელ დოკუმენტებში, მათ შორის აუცილებელი ძირითადი პრინციპის რეალიზებას, რომ – ექიმი არასოდეს არ უნდა მონაწილეობდეს პირდაპირ ან არაპირდაპირ, ან თუნდაც დასწრების სახით, ისეთ ქმედებებში ან პროცედურაში, რომლებიც თავისი ბუნებით უთანაბრდება ადამიანის ფიზიკური ან ფსიქიკური ერთიანობის დარღვევას, ან ლახავს ადამიანის ღირსებას; მოუწოდებს ამ მიმართებით დაარსდეს პროფესიული ეთიკური დარღვევების საერთაშორისო შეტყობინების სისტემა და გამოქვეყნდეს ინფორმაცია წამების აღმოჩენის შესახებ; ამასთან, დაფუძნდეს მსგავსი საგანმანათლებლო საშუალებები ჯანდაცვის ყველა პროფესიონალისათვის, პოლიტიკოსებისა და სამხედრო პირებისათვის, გაფართოვდეს და მხარი დაეჭიროს წამების სანინააღმდეგო და წამების მსხვერპლთა მკურნალობასთან დაკავშირებულ სამეცნიერო საქმიანობას; მოუწოდებს, მიეცეთ საერთაშორისო პროფესიული მხარდაჭერა იმ კოლეგებს, რომლებიც იღებენ ზომებს, რათა ებრძოდნენ ექიმთა მონაწილეობას ამგვარ ქმედებებში და გამოხატონ საერთაშორისო პროტესტი იმ ნებისმიერი ძალისხმევის წინააღმდეგ, რომელიც უბიძგებს პროფესიას, დაარღვიოს ექიმთა უზენაესი ეთიკური პრინციპები.

მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის მიერ ასევე გარკვეული საქმიანობაა ჩატარებული იმ ექიმთა მხარდასაჭერად, რომლებსაც რისკის ზონებში უწევთ მუშაობა. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული შეეხებათ ციხის ექიმებს. 2004 წელს ნორვეგიის ექიმთა ასოციაციის მიერ მომზადდა ძალზე მნიშვნელოვანი ინტერნეტ – პროექტი, რომლის მხარდაჭერას დღემდე ახორციელებს მსოფლიოს ექიმთა ასოციაცია. აღნიშნული პროექტი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება და სრულყოფილად მოიცავს ყველა იმ ასპექტსა და სფეროს, რომელშიც უწევთ მოღვაწეობა პენიტენციური სისტემის სამედიცინო სამსახურის მუშაკებს. პროექტი ხელმისაწვდომია ინგლისურ, ესპანურ ენებზე და ასევე ივრითზე. მოგიწოდებთ ყველას, ნახოთ პროექტის ელექტრონული ვერსია, ხოლო დაინტერესებულ პირებს – გაიაროთ ტრენინგი ონლაინ რეჟიმში, რითაც შეიძენთ საკმარის ცოდნას და მიიღებთ დიდ ინფორმაციას ექიმთა საქმიანობის შესახებ რისკის ზონებში.

აღნიშნული პრინციპების დაცვას სასჯელადსრულების სისტემის მონიტორინგის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რაც ასევე განსაზღვრულია ევროპის წამებისა და არაადამიანური ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის კომიტეტის (CPT) რეკომენდაციებით.

პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ძირითადი პრინციპები და სტანდარტები არაერთ საერთაშორისო დოკუმენტშია ასახული, მათ შორის უმნიშვნელოვანესია:

- ევროპის წამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის კომიტეტის (CPT) რეკომენდაციები (მე-3 გენერალური ანგარიში, 1992);
- ევროპული ციხის წესები, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (განახლებული ევროპული ვერსია);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიმართვა (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R (98) 7) წევრი სახელმწიფოების ქვეყნებისათვის ციხეებში სამედიცინო სამსახურის ორგანიზაციული და ეთიკური ასპექტების შესახებ;

- გაეროს პატიმრობის მინიმალური სტანდარტები (მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების პირველ კონგრესზე, რომელიც მიეძღვნა დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის საკითხებს ჟენევაში 1955 წელს და რატიფიცირებულ იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ რეზოლუციებში 663 C (XXIC) 1957 წლის 31 ივლისსა და 2076 (LXII) 1997 წ. 13 მაისს;
- გაერთიანებული ერების რეზოლუცია 43/173 – ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა ან პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა ერთობლიობა (მიღებულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 76-ე პლენარულ სხდომაზე, 1988 წლის 9 დეკემბერს).

როგორც მოყვანილი დოკუმენტებიდან ჩანს, პატიმართა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა ციხეში პატიმართა ყოფნის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტია. პატიმართა ფსიქოფიზიკური ჯანმრთელობის არსებით წინაპირობები არის სამართლიანი სასამართლო პროცესი, იურიდიული დახმარების მოცულობა და ხარისხი, საპატიმრო წესები, ცხოვრების პირობები. ნებისმიერ შემთხვევაში პატიმრებმა უნდა მიიღონ უტყუარი ინფორმაცია ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის შენარჩუნების პირობებისა და მათი ხელმისაწვდომი პროცედურების, გამოწერილი სამედიცინო პრეპარატების, საკუთარი სამედიცინო ჩანაწერების შესახებ.

სასჯელალსრულების დაწესებულებათა სამედიცინო სამსახურის საქმიანობაში, როგორც უკვე აღინიშნა, რისკის ჯგუფებს ქმნიან არა მარტო პატიმრები, არამედ ექიმები და ჯანდაცვის სხვა პროფესიონალები. საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, ციხის ექიმს აკისრია სამი მნიშვნელოვანი ფუნქცია, შესაბამის მოვალეობებთან ერთად. უპირველეს ყოვლისა, ციხის ექიმი უნდა განვიხილოთ როგორც პატიმრის პირადი ექიმი; იგი ასევე არის სასჯელალსრულების კონკრეტული დაწესებულების ხელმძღვანელის მრჩეველი მეტად სპეციფიკურ და მნიშვნელოვან საკითხებში და, ბოლოს, ექიმი უნდა განვიხილოთ როგორც ციხის თანამშრომელი, რომელიც პასუხს აგებს ჯანმრთელობასა და ჰიგიენაზე, ახორციელებს კონტროლს და ანგარიშვალდებულება დაწესებულების ხელმძღვანელის მიმართ ციხეში ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობასა და სანიტარიულ პირობებზე.

„სასჯელალსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახურები უნდა ააშკარავებდნენ ყველა ფიზიკურ და ფსიქიკურ დაავადებას ან ნაკლოვანებას, რომლებსაც შეუძლიათ, ხელი შეუშალონ პატიმართა ხელახალ აღზრდას და უნდა იზრუნონ მათ განკურნებაზე. ამ მიზნით, დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ უზრუნველყონ ყოველნაირი თერაპიული, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება“ (მსნ, 62 წესი).

ციხის ექიმის პროფესიულ პასუხისმგებლობას მეტად ნათლად წარმოაჩენს ციხის სამედიცინო სამსახურის საერთაშორისო საბჭო და 1979 წლის 10 სექტემბერს მიღებული „ათენის ფიცი“.

ციხეში მოღვაწე სამედიცინო პერსონალი განსაკუთრებით უნდა იცავდეს პროფესიული ეთიკის წესებს. გარდა ექიმებზე ზენოლისა, შესაძლო სირთულე შესაძლებელია წარმოშვას თვით ავადმყოფთა კონტინგენტმა. ამ მხრივ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ციხეებში განსაკუთრებით ხშირია შემთხვევები, როდესაც ვხვდებით ე.წ. სიმულაციისა და აგრავაციის ფაქტებს პაციენტთა მხრიდან. ექიმი ყოველთვის უნდა აცნობიერებდეს, რომ სიმულაციის მიზეზი შეიძლება იყოს არა მხოლოდ წინასწარ განზრახვა, არამედ პატიმრის გამოუვალი მდგომარეობა, რაც განპირობებულია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით ან გარემომცველი სიტუაციიდან გამომდინარე რეალური პრობლემებით.

მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ექიმმა მოიპოვოს პატიმართა ნდობა და სიმპათია. დაკავებული პირი სისტემატიურად უნდა გადიოდეს სამედიცინო შემოწმებას, განსაკუთრებით მისი მოძრაობის დროს (შემოსვლა, ზადრაგირება სხვა ადგილებში). სამედიცინო დათვალიერების შედეგები უნდა გაფორმდეს დოკუმენტურად. ექიმი უნდა ახდენდეს ასევე დაზიანების ნებისმიერი შემთხვევის აღწერას და დაფიქსირებას სპეციალურ დოკუმენტაციაში.

სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის შემდეგ არანაკლები მნიშვნელობის ფაქტორია სამედიცინო აღჭურვილობა და სამედიცინო დანიშნულების საგნებითა და წამლებით მომარაგება. ასევე



მნიშვნელოვანი ფაქტორია საშუალო მედპერსონალის საქმიანობა. მედდის პროფესიული დამოუკიდებლობის საკითხი პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში უფრო დაბალია, ვიდრე ექიმისა, თუმცა ამ ფაქტორმა ხელი არ უნდა შეუშალოს მკურნალობას, დიაგნოსტიკას და სხვა სამედიცინო პრობლემების გადაწყვეტას.

საერთაშორისო სტანდარტები სამედიცინო პერსონალს ავალდებულებს, აწარმოონ ჩანაწერები. სამედიცინო ჩანაწერების კონფიდენციალობა და პაციენტისათვის მათი ხელმისაწვდომობის უფლების დაცვა აუცილებელია პაციენტის განთავისუფლების შემდეგაც. პაციმარს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს გაეცნოს მის შესახებ წარმოებულ ნებისმიერ სამედიცინო ხასიათის ჩანაწერს. პაციმარს ასევე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიმართონ პროფესიულ სამედიცინო ორგანიზაციებს.

ექიმთა პროფესიული ინტერესების დაცვა განუზომლად დიდი მნიშვნელობის პრინციპია, განსაკუთრებით პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში. ექიმთა პროფესიული ავტონომია, უპირველეს ყოვლისა, გამიზნულია პაციენტთა უფლებების დასაცავად. პროფესიული ავტონომია გულისხმობს იმას, რომ ექიმებს უფლება აქვთ, გადაუხვიონ პროფესიულ გაიდლაინებს ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში და, ამასთან, ისინი მზად არიან, იყვნენ ანგარიშვალდებულნი ამ გადახვევასთან დაკავშირებით; ექიმები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი, რათა ყოველთვის იმოქმედონ პაციენტის საუკეთესო სამედიცინო ინტერესებიდან გამომდინარე; ექიმებმა თავი უნდა შეიკავონ იმ კონტაქტებისაგან, ალიანსებისა და ასოციაციებისაგან, რომლებმაც შესაძლოა წარმოშვან კონფლიქტი მათ პროფესიულ მოვალეობებთან დაკავშირებით; საერთაშორისო დოკუმენტები ასევე მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეს, რომელთაც რაიმე გავლენის მოხდენა შეუძლიათ, თავი შეიკავონ ექიმებისათვის ისეთი სტიმულების მონოდებისგან, რომლებიც გარკვეულწილად შეძლებენ გავლენის მოხდენას ექიმთა პროფესიული გადაწყვეტილების მიღებაზე.

II ტაპი

მონიტორინგის საფუძველი და დაბაზმვა

მონიტორინგის საფუძველი:

მონიტორინგის ჩატარება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებაში ინიცირებულია საქართველოს სახალხო დამცველ ბატონ სოზარ სუბარის მიერ. მონიტორინგს საფუძვლად დაედო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებში ასახულ თითოეულ კონკრეტულ ფაქტზე რეაგირება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ დადგენილი ფორმატით, აპარატის თანამშრომლებისა და სხვა მონვეული ექსპერტისპეციალისტების ერთობლივი თანამშრომლობით. მონიტორინგის გაგრძელება და სხვა არაერთი ფაქტის გამოვლენა მოხდა მონიტორინგის ჯგუფის წევრების უშუალოდ ადგილზე შესწავლილი სიტუაციის დროს. მუშაობის პროცესში, სახალხო დამცველის მონვევითა და თხოვნით, მონიტორინგის ჩატარებაში ხშირად მონაწილეობდნენ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“ წარმომადგენლები პროექტის – „წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამა საქართველოში“ მიმდინარეობის ფარგლებში (ფინანსური მხარდაჭერა ევროკომისია და გაეროს წამების მსხვერპლთა დახმარების მოხალისეთა ფონდი).

მონიტორინგის ჯგუფის ძირითადი შემადგენლობა:

ლანა გალდავა
ოთარ კვაჭაძე
სერგო კეკელაშვილი
ამირან ნიკოლაიშვილი
გიორგი მშვენიერაძე
თამუნა კემულარია

ექიმ-სპეციალისტთა ჯგუფი:

- ექიმი-ქირურგი – ლევან ლაბაური
- ექიმი-ფსიქიატრი (საერთაშორისო ექსპერტი) – მარიამ ჯიშკარიანი
- ექიმი-ფსიქიატრი – გიორგი ბერულავა
- ექიმი-ნევროლოგი – თამარ ნიორაძე
- ექიმი-თერაპევტი – ანა კაკაბაძე.

ყველა წარმოდგენილი პიროვნება არის შესაბამისად ლიცენზირებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, ასევე აქვთ საერთაშორისო სერტიფიკატები, „სტამბოლის პროტოკოლის“ მიხედვით, წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირების დარგში.

საჭიროების შემთხვევაში მონიტორინგის პროცესში ხდებოდა სხვა ექიმსპეციალისტთა ჩართვა, თუმცა აღნიშნული მცდელობა მეტად სერიოზულ სირთულეებს უკავშირდებოდა, ვინაიდან სასჯელ-აღსრულების დეპარტამენტის მხრიდან ამ სპეციალისტთა საპყრობილებებში დაშვებისათვის „კეთილი ნება“, უმრავლეს შემთხვევაში არ არსებობდა.

მონიტორინგისა და სამედიცინო კონსულტაციის მიზნით, აღნიშნული ექიმ-ექსპერტთა ჯგუფი მონიტორინგს ატარებდა სახალხო დამცველის აპარატის სხვა თანამშრომლებთან ერთად.

III თავი მონიტორინგის მეთოდოლოგია

მიზანი:

სამედიცინო მონიტორინგის პროცესი მიმდინარეობდა ეტაპობრივად: თავდაპირველად ჩვენი მიზანი იყო არსებული მდგომარეობის აღწერა და მისი შესაბამისობის დადგენა საერთაშორისო სტანდარტებთან და ეროვნულ ნორმებთან.

ამოცანები:

- სასჯელაღსრულების დანესებულებებში არსებული სოციალური ფონის მონიტორინგი (საცხოვრებელი პირობები, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, გარემოფაქტორები, კვება, პირადი ჰიგიენის თავისებურებები);
- სამედიცინო მომსახურების მონიტორინგი (გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია, ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობის თავისებურებები, მძიმე და განუკურნებელი დაავადებებით ავადმყოფთა მოვლის თავისებურებები);
- წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრეცედენტების აღწერა, მათი თავისებურება, პრევენციული ღონისძიებების რეალობა და პერსპექტივები; საერთაშორისო სტანდარტებისა და არსებული სიტუაციის შედარებითი ანალიზი;
- ცალკეულ პატიმართა პირველადი სამედიცინო-ფსიქოლოგიური და სოციალური შემოწმება – კონსულტირება;

მეთოდოლოგია:

მონიტორინგი განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტების – ჯანმრთელობის დაცვა ციხეებში, CPT-ის მე-3 გენერალური ანგარიშის; გაეროს პატიმრობის მინიმალური სტანდარტების; ევროპული ციხის წესების; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NR(98) 7-ის; CPT-ის რეკო-



მენდაციები საქართველოსათვის, 2001 წლის ანგარიშისა და სხვ. შესაბამისად. ასევე ეროვნული სტანდარტების: პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის, (2000 წელი), საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის (2001 წელი), ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის (1997 წელი); პატიმრობის შესახებ კანონის (1999), საქართველოს კონსტიტუციისა და 1994 წელს საქართველოს მიერ რატიფიცირებული გაეროს ნამების სანინაალმდეგო კონვენციის გათვალისწინებით.


მონიტორინგის ფარგლებში ზემოთ აღნიშნული პერსონალური შემადგენლობის გარკვეული ვარიაციებით ჯგუფის მიერ სულ განხორციელდა 69 ვიზიტი სასჯელადსრულების დაწესებულებებსა და ქალაქის სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებაში. მათ შორის:

№	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	სულ
1 საქ. იუსტ. სამინისტროს სად №6 საპრობილე	2	3	2	1	2	1	11
2 საქ. იუსტ. სამინისტროს სად №5 საპრობილე	1	-	1	2	4	1	9
3 საქ. იუსტ. სამინისტროს სად №7 საპრობილე	2	1	-	1	1	-	5
4 საქ. იუსტ. სამინისტროს სად რუსთავის №1 დაწესებულება	-	-	-	-	2	1	3
5 საქ. იუსტ. სამინისტროს სად №1 საპრობილე	1	-	1	1	2	2	7
6 საქ. იუსტ. სამინისტროს სად ქალთა და არასრულწლოვანთა №5 დაწესებულება	1	1	1	1	5	2	11
7 საქ. იუსტ. სამინისტ. სად პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება	2	1	2	3	3	2	13
8 ქალაქის სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულება	-	4	3	1	1	1	10
	9	10	10	10	20	11	69


აღნიშნული მონაცემების მიხედვით, მონიტორინგის ჯგუფის აქტივობა მაქსიმალური იყო აგვისტოს თვეში, ხოლო სასჯელადსრულების დაწესებულებათა შორის ვიზიტების მაქსიმალური რაოდენობა განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში.

მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტების რაოდენობა თვეებისა და სასჯელადსრულების დაწესებულებების მიხედვით ასახულია დიაგრამებზე:

სასჯელსრულებით დასაბულებებში
განხორციელებული ვიზიტები



ვიზიტების რაოდენობა თვეების მიხედვით



მონიტორინგის დროს პარალელურად ვახორციელებდით თავისუფლებადაკვეთილ პირთათვის სამედიცინო მომსახურების ცალკეული სახეების მიწოდებას. ჩვენ მიერ პირველად კონსულტირებულ იქნა 90-ზე მეტი ავადმყოფი პატიმარი. ზოგიერთი მათგანი არაერთხელ იქნა განმეორებით მონახულებული მკურნალობის შედეგების შეფასების ან დამატებითი კონსულტაციების მიზნით.



IV თავი
პენიტენციური სისტემის დანახაშულებების
სამედიცინო მომსახურების მონიტორინგი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის დანახაშულებებში დღეისათვის 13.000 პატიმარზე მეტი იმყოფება. პატიმართა აბსოლუტურ უმრავლესობას ამა თუ იმ ფორმით აუცილებლად ესაჭიროება სამედიცინო მომსახურება, თუნდაც მინიმალური საბაზისო დონით. მიუხედავად ამისა, საპრობლემა გადატვირთულობის, სამედიცინო პერსონალის მწვავე ნაკლებობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თითქმის არარსებობის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პასუხისმგებელ პირთა არაადეკვატური მუშაობის გამო შეიძლება ითქვას, რომ პენიტენციურ სისტემაში შექმნილი სამედიცინო მდგომარეობა უკვე კარგა ხანია გადასცდა კრიტიკულ დონეს და საერთოდ ძნელია, შეფასდეს მისი ამჟამინდელი მდგომარეობა. აღნიშნული შეეხება როგორც სამედიცინო, ისე იურიდიულ, ეთიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა ასპექტებს. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებებსა და მისი ღირსების პატივისცემაზე საუბარი აბსტრაქტულ სფეროს განეკუთვნება.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მე-40 მუხლი, 1 პუნქტი, „სასჯელადსრულების დანახაშულებებში, სადაც არანაკლებ ასი მსჯავრდებული იმყოფება, უნდა მოეწყოს სტაციონარული სამკურნალო პუნქტი სადღეღამისო სამედიცინო დახმარების გასანევად“.

2003 წლის 27 მარტს, „პატიმრობის შესახებ“, საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №72/ნ ბრძანების შესაბამისად, განისაზღვრა იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალი, რომლებიც ხდება სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველი. 2006 წლის 9 მარტს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, № 78/ნ ბრძანების მეშვეობით შეიტანა ცვლილებები კანონქვემდებარე აქტში და დანართის მე-6 მუხლიდან (ნერვული სისტემისა და გრძნობათა ორგანოების დაავადებანი) ამოღებულ იქნა პირველი და მე-4 პუნქტები. ამოღებულ დაავადებათა სია მოცემულია ქვევით:

1. თავისა და ზურგის ტვინის სისხლძარღვოვანი დაავადებანი ტვინის მყარად გამოხატული კეროვანი დაზიანების მოვლენებით (ჰემი – პარაპლეგიები; ღრმა ჰემი – პარაპარეზები; სივრცესა და დროში ორიენტაციის დარღვევა; აკინეტიკო-რიგიდული სინდრომი):
 - ა) თავის ტვინში ჰემორაგიული, იშემიური ან შერეული ტიპის მწვავე სისხლის მიმოქცევის მოშლა;
 - ბ) თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის ქრონიკული უკმარისობა – დისცირკულაციური ენცეფალოპათია III სტადიაში;
 - გ) პირველადი (არატრავმული) სუბარაქნოიდური სისხლჩაქცევა, ინსტრუმენტული გამოკვლევებით დადასტურებული.
2. ცენტრალური ნერვული სისტემის ტრავმული დაავადებანი ტვინის კეროვანი დაზიანების მყარად გამოხატული მოვლენებით (ჰემი – პარაპლეგიები; ღრმა ჰემი – პარაპარეზები).

როგორც ჩანს, დანართიდან ამოღებულ იქნა ფაქტობრივად ყველაზე უმძიმესი და არაკეთილსაიმედო პროგნოზის მქონე დაავადებები, რომლებსაც კლინიკური ნევროლოგია იცნობს. ასეთ შემთხვევაში ჩნდება კითხვა, თუ საერთოდ რატომ არ არის ამოღებული ნევროლოგიური დაავადებები ჩამონათვალიდან?

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ბატონ ვლადიმერ ჭიპაშვილს ზემოთ ჩამოთვლილი ნევროლოგიური დაავადებების სიაში დაბრუნებასთან დაკავშირებით, თუმცა ჯერჯერობით რეკო-

მენდაცია არ არის გათვალისწინებული და უფრო მეტიც, ჯანდაცვის სამინისტროდან პასუხიც კი არ მოსულა.

სწორედ ზემოთ აღწერილ პრობლემას უკავშირდებოდა პატიმარ შარაშენიძის საქმე, რომლის განდევნა საქართველოს სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ მოხერხდა. პატიმარი შარაშენიძე მკურნალობდა პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, მისი მდგომარეობა იყო უმძიმესი. მას პრაქტიკულად არ მიეწოდებოდა ადეკვატური სამედიცინო დახმარება და მოვლა. მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ საავადმყოფოს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით პალატაში დაშვებულ იქნა პატიმრის მეუღლე, რომელიც უვლიდა მას. აღნიშნული მდგომარეობა თვეობით გაგრძელდა, რაც საკმაოდ მკაფიოდ აისახა საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენებაში 2006 წლის ზაფხულში. მოხსენების შემდეგ შარაშენიძე წარდგენილ იქნა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სარეკომენდაციო სიაში და მისი მოთხოვნა საბოლოოდ დაკმაყოფილდა.

ა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 საპყრობილე

როგორც რუსთავის ახლად გახსნილ №6 საპყრობილეში ექიმებთან გასაუბრებით ირკვევა, სტაციონარი გათვალისწინებულია 27 საწოლზე. მათგან ავადმყოფთა მოსათავსებელი საკნების უმრავლესობა 3-საწოლიანია, ხოლო მცირე ნაწილი – 2-საწოლიანი. სამედიცინო პუნქტი, გარდა ავადმყოფთა მოსათავსებელი საკნებისა, შედგება შემდეგი ოთახებისაგან: საორდინატორო, რომელშიც იმყოფება მედპერსონალი, სამედიცინო ნაწილის უფროსის კაბინეტი, სანყოფი, დამხმარე სათავსო და საპროცედურო/შესახვევი. სამედიცინო ნაწილის კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს ასევე კარანტინის ოთახი, რომელშიც აღმოჩნდა, რომ მედპერსონალი საერთოდ არ არის ნამყოფი. ამჟამად სამედიცინო ნაწილს ფაქტობრივად არ ჰყავს უფროსი.

სამედიცინო ნაწილის მედპერსონალი შედგება ორი ექიმისა და 7 ექთნისაგან (4 ღამის ექთანი და 3 დღის ექთანი). ექთნები ღამით მორიგეობენ ყოველ მე-4 დღეს, ხოლო ექიმების სამუშაო დღე გრძელდება 10 საათიდან 17 საათამდე. სამედიცინო ნაწილში არ არის სპეციალური ოთახი სანდამუშავებისათვის, შესაბამისად, ნაწილში მოთავსებულ ავადმყოფებს სანდამუშავება არ უტარდებათ. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (მე-3 მუხლი, ჩ' პუნქტი განმარტავს, რომ: „საექიმო საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასა და რეაბილიტაციასთან და შეესაბამება ქვეყანაში აღიარებულ სამედიცინო მომსახურების პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს“. ჩვენი მონიტორინგის ჯგუფების მიერ დაფიქსირებულია არაერთი უხეში სამართალდარღვევა, კერძოდ, სტაციონარზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არ არის გაცემული სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია არც ერთი სპეციალობით. შესაბამისად, სამედიცინო ნაწილში წარმართული ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ავადმყოფის მიმართ ტარდება, ფაქტობრივად ინსტიტუციურად უკანონო სამედიცინო საქმიანობაა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად: „სამედიცინო დაწესებულებას ეკრძალება სამედიცინო საქმიანობა სათანადო ლიცენზიის გარეშე. იმავე კანონის 154-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „უკანონო (სახელმწიფო ნებართვის, ლიცენზიის, სერტიფიკატის გარეშე) სამედიცინო – საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობისათვის“ კანონმდებლობა ადგენს ადმინისტრაციულ სახდელს ჯარმის სახით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 246-ე მუხლის მიხედვით (უკანონო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა):

„1. უკანონო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის დაზიანება,



- ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.
- 2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა,
 - ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.“

ჯგუფმა დათვალა ავადმყოფთა საკნები (შერჩევითად) და სამედიცინო დანიშნულების სხვა სათავსოები.

სამანიპულაციოს სამედიცინო ინვენტარი მოიცავს: შესახვევ მაგიდას, სანოლს, პირსაბანს, დამხმარე მაგიდას, მასალის მაგიდას (2), იარაღების გასაშლელ მაგიდას და კარადას. ოთახში არ არის დამონტაჟებული უჩრდილო განათება ან ქირურგიული მანიპულაციისათვის აუცილებელი გვერდითი განათების დანადგარები. იარაღების მაგიდაზე მოიპოვება ერთი ყუთი, რომელშიც, (ასევე მის გვერდით განთავსებულ თასში) ჩანცობილია შემდეგი ქირურგიული ინსტრუმენტები: რიხტერის მაკრატელი – 1, თაბაშირის ნახვევის მოსახსნელი მაკრატელი – 1, ქირურგიული პინცეტი – 3, ანატომიური პინცეტი – 1, ბრტყელი ზონდი – 1, ღარიანი ზონდი – 1, ბილროთი მომჭერი (სწორი) – 1, მოხრილი მომჭერი – 1. ექთნის განმარტებით, მხოლოდ ეს არის მათ ხელთ არსებული ქირურგიული ინსტრუმენტები. შესახვევში არ არის ისეთი აუცილებელი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: პეანის მომჭერები, სკალპელი და მისი პირები, საკერავი მასალა და ნემსები, კავები, ჭრილობის გამაფართოებლები, ნაკერის მოსახსნელი მაკრატელები, ღილაკიანი ზონდები და ა.შ. მედპერსონალის ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ იარაღებისა და მასალის სტერილიზაცია ადგილზე არ ხდება, სტერილიზატორის გადანვის გამო, ხოლო ექთანი ასევე აღნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი „პლიტაზე“ ახდენენ სტერილიზაციას. მაგალითად, 2006 წლის 3 ივნისს სამედიცინო ნაწილის ექიმმა ვერ შეძლო სტერილური პინცეტის მოწოდება, რომელიც საჭირო გახდა ავადმყოფის შარდის ბუშტის კათეტერიზაციის ჩატარებისათვის, იმ მიზეზით, რომ იარაღები არ იყო გასტერილბული. შესახვევი მასალა, ექთნის განმარტებით, ჰუმანიტარული ნარმოშობისაა. აღნიშნულ მასალას ნარმოადგენს: არასტერილური ტამპონები, რომლებიც შეფუთულია ქალაღდის პაკეტებში; ე.წ. სტერილური ბინტები (Chesebrough-Pound's Inc-ის მიერ წარმოებული – INTERSORB), რომლებსაც გამოშვების, ასევე სტერილიზაციის ან ვარგისიანობის ვადა არ აწერია; ასევე აღნიშნული თარიღები არ არის მითითებული ქალაღდის შეფუთვით წარმოდგენილ სტერილურ ბინტებზე (Absentee Shawnee). აღნიშნულის გამო, ამ შესახვევი მასალის სტერილობა და ვარგისიანობა ეჭვს იწვევს და მათი სტერილური მასალის სახით გამოყენება დაუშვებელია. შესახვევში არ მზადდება ქირურგიული მანიპულაციებისათვის აუცილებელი მარლის ბურთულები და მცირე ტამპონები, აქიდან გამომდინარე, მათი სტერილიზაციაც ბიქსებში არ ხდება. ასეპტიკურობის წესების ასეთი უგულებელყოფა და დაუცველობა მკვეთრად ზრდის ისედაც რისკის ზონაში (საპატიმრო) ქირურგიული ინფექციის გავრცელების აშკარა საფრთხეს. განსაკუთრებით საშიშია ამ მხრივ სისხლის გზით გადამდები ისეთი ვირუსული ინფექციების გავრცელება, როგორიცაა: ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (HIV), B ჰეპატიტი, C ჰეპატიტი და ა.შ. ამდენად, უხეშად ირღვევა ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ნორმები, რომლებიც წაყენება ასეპტიკურობის დაცვას სამედიცინო საქმიანობის დროს. ექთნის განმარტებით მათ ხშირად არ აქვთ ასევე სტერილური ხელთათმანები, რის გამოც აღნიშნულს ისინი ხშირად თავად ყიდულობენ. მანიპულაციის ჩატარების მიზნით, 2006 წლის 3 ივნისს ექიმის მიერ საპყრობილეში მისულ კონსულტანტ ექიმს შესთავაზეს, ჩაეცვა მრავალჯერ გარეცხილი რეზინის ხელთათმანი. როგორც ჩანს, მსგავსი პრაქტიკა ამ დაწესებულებაში არცთუ იშვიათია. თანმხლები ექთნის განმარტებით, ამჟამად მათ აქვთ ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებები: ლიდოკაინი და ნოვოკაინი, თუმცა მათ გამოყენებას წინ არ უძღვის ამ საშუალებებზე ალერგიული სინჯების ჩატარება, რაც ზრდის ანაფილაქსიური შოკის განვითარების რისკს. არსებული პირობების გათვალისწინებით კი, ანაფილაქსიური შოკის განვითარება აუცილებლად დამთავრდება ავადმყოფის სიკვდილით. იგივე შეიძლება ითქვას ანტიბიოტიკების პარენტერულ მოხმარებასთან დაკავშირებით. ამ კატეგორიის საშუალებებიდან მარაგის სახით დანესებულებაში მოიპო-

ვება რამდენიმე დასახელების ანტიბიოტიკი. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ნაწილში არ არის სუნთქვის აპარატი. ჩვენ ვერ ვნახეთ ელემენტარული ამბუს სასუნთქი პარკიც კი. საინტერესოა, ამ პირობებში როგორ მოახდენს სამედიცინო პერსონალი ადეკვატურ რეაგირებას ავადმყოფის მიერ სუნთქვის შესაძლო გაჩერების შემთხვევაში.

ჩვენ დავათვალიერეთ სათავსო-აფთიაქი, რომელშიც იატაკზე აწყვია გადასასხმელი საინფუზიო საშუალებები (ნატრიუმის ქლორიდის, გლუკოზისა და რინგერის ხსნარები). ოთახში არ არის მაცივარი, რომელიც აუცილებელია ზოგიერთი სამკურნალო საშუალების შესანახად. არ არის ანტიტეტანური შრატი და ანატოქსინი. ოთახი საკმაოდ განათებულია და სამკურნალო პრეპარატების გარკვეული ნაწილი არ არის დაცული სინათლის მოქმედებისაგან, რაც მათ ხარისხს აქვეითებს. წამლების ნაწილი აწყვია იატაკზე, ნაწილი მაგიდაზე. არ არის სპეციალური თაროები და განყოფილებები, წამლების ჯგუფებად დასახარისხებლად, რაც დაუშვებელია პაციენტის უსაფრთხოების პრინციპებიდან გამომდინარე. მედპერსონალის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოამარაგეს გადასასხმელი კრისტალოიდური ხსნარებით, მათ არ აქვთ ვენის კათეტერები ან გადასასხმელი სისტემები, რის გამოც საეჭვოა, შეძლებენ თუ არა ჩაატარონ ინტრავენური გადასხმები. მედპერსონალის განმარტებით მათ არ აქვთ მკაცრი აღრიცხვის პრეპარატები, შესაბამისად, არ არსებობს შესაბამისი დაცვის საშუალებები. ასევე დადგინდა, რომ დაწესებულებას ჰყავს ფარმაცევტი, რომელიც პასუხისმგებელია სამკურნალო საშუალებების მიღების, შენახვის, დაცვის, მოხმარებისა და აღრიცხვის საკითხებზე. ფარმაცევტი შემონებისას, ადგილზე არ დავგვხვდა, თუმცა მედპერსონალმა წარმოგვიდგინა 2006 წლის 4 ივნისის მიღებული სამკურნალო პრეპარატების სია (79 დასახელება).

მედიკამენტების სპექტრი მეტად მრავალმხრივია, თუმცა დაწესებულებაში არ არის გამოყოფილი ცალკე შოკის კარადა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას. ჩვენ ასევე ვერ ვნახეთ პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი ისეთი საგნები, როგორებიცაა: სასუნთქი ნიღბები, ამბუს პარკი, სასუნთქი მილები, ლარინგოსკოპი, პირის გამლები, ენის დამჭერი, დეფიბრილატორი, ტრაქეოტომიის კომპლექტი. არ არსებობს არანაირი სუნთქვის აპარატი ან მონიტორი. აქედან გამომდინარე, ამკარაა, რომ პაციენტის მდგომარეობის კრიტიკული მოშლის შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა სამედიცინო ნაწილში შეუძლებელია! სამედიცინო ნაწილს არ აქვს აგრეთვე ისეთი აუცილებელი საგნები, როგორებიცაა: სამედიცინო სასწორი, როსტომერი, ელექტროკარდიოგრაფი. სამედიცინო ნაწილში შეუძლებელია ელემენტარული ლაბორატორიული გამოკვლევების წარმოება, არ არსებობს ლაბორატორია, შესაბამისად, ვერ მოხერხდება ისეთი ელემენტარული გამოკვლევების ჩატარება, როგორიცაა, თუნდაც, სისხლის საერთო ანალიზი ან შარდის კლინიკური ანალიზი.

ექთანმა აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში მცირე ქირურგიული მანიპულაციების ჩატარებაში არ მონაწილეობს ქირურგი, რომელიც ფაქტობრივად მათ არც ჰყავთ. მაგალითად, დაახლოებით 15-20 დღის წინ ერთ-ერთ პაციენტს ქირურგიული დახმარება აღმოუჩინა ექთანმა და ფსიქოლოგმა, რომლებმაც გაკერეს ჭრილობა. ასეთ პირობებში ეჭვქვეშ დგება ჩატარებული სამედიცინო ოპერაციის – ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავების – ჩვენება, მოცულობა, ადეკვატურობა. პაციენტი, რომელსაც აღნიშნული მანიპულაცია ჩაუტარდა, ამჟამად იმყოფება საკანში. არ მოიპოვება ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის ოქმი, ან რაიმე ჩანაწერი. მედპერსონალს თავისუფლად შეუძლია, შევიდეს მხოლოდ საპროცედუროში, საორდინატოროში და საწყობ სათავსოში.

საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (43-ე მუხლი) ავალდებულებს ექიმს, და სხვა სამედიცინო პერსონალს, „დადგენილი წესით აწარმოონ ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში“. საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ (VII თავი) ითვალისწინებს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ სამედიცინო ჩანაწერების წარმოების მოვალეობას. კერძოდ, 56-ე მუხლი განმარტავს, რომ: „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, თითოეულ პაციენტისათვის აწარმოოს სამედიცინო ჩანაწერები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“, ამასთან, „სამედიცინო ჩანაწერებში ინფორმაცია უნდა



დაფიქსირდეს დროულად და განსაზღვრულ ვადებში, იგი ადეკვატურად უნდა ასახავდეს პაციენტის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს, ... დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, დაიცვას სამედიცინო ჩანაწერების შენახვის არსებული წესი“. კანონით გათვალისწინებული ეს მოთხოვნები დანესებულებაში აბსოლუტურადაა იგნორირებული და დარღვეული. სამედიცინო ნაწილში საერთოდ არ იწარმოება სტაციონარული ავადმყოფის სამედიცინო ბარათი (ავადმყოფობის ისტორია). სამედიცინო დოკუმენტაციის სახით, ისიც არასრულყოფილი ფორმით, არსებობს მხოლოდ:

1. ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათები;
2. მედნაწილში მოთავსებულ მსჯავრდებულთა სია;
3. ამბულატორიული მიღების ჟურნალი;
4. დანიშნულების ჟურნალი;
5. შემოვლების ჟურნალი.

სამედიცინო ბარათები გახსნილია მხოლოდ დანესებულების 28 (სულ 800-მდე პატიმარია) პატიმარზე. მათგან, ზოგიერთ პატიმარზე რატომღაც გახსნილია სამი ბარათი. გაურკვეველია, რატომ არის მათი რაოდენობა სამი, ან რომელი მათგანია საბოლოო ან სრულყოფილი ვარიანტი. დანესებულებაში არ მოიპოვება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული არანაირი ფორმა, არ არსებობს დანიშნულების ფურცლები. არსებობს დავთარი, სადაც წარმოდგენილია საკმაოდ არასრულყოფილი ინფორმაცია ავადმყოფთა დანიშნულების შესახებ. ამ ჟურნალიდან შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ ვინ დანიშნა პრეპარატი, ვინ მოხსნა, რა წესით და ფორმით უნდა მოხდეს ავადმყოფის მიერ პრეპარატის მიღება, ვინ უნდა შეასრულოს დანიშნულება და ასე შემდეგ. დაუშვებელია ასევე ის უხეში დარღვევა, რომ პრეპარატის დანიშვნა, მოხსნა ან მკურნალობის რეჟიმის (დოზა, ინტენსიობა და ა.შ.) შეცვლა არ დასტურდება ექიმის ხელმოწერით! ამ კონკრეტული მაგალითის შესწავლით უხეშადაა დარღვეული საქართველოს კანონმდებლობა, და არსებობს საკმაოდ რეალური რისკი, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის მოუნესრიგებლობით, შესაძლებელია დადგეს არასასურველი შედეგი, მათ შორის, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის კრიტიკული მოშლა ან სასიკვდილო გამოსავალი. ასევე უცნობია, არსებობს თუ არა ვინმე, ვისაც დაეკისრება იურიდიული პასუხისმგებლობა დამდგარი ფაქტის გამო.

სამედიცინო პერსონალის გადმოცემით, მათი საშტატო განრიგი ითვალისწინებს სტომატოლოგის საქმიანობას, თუმცა სტომატოლოგიური კაბინეტი არ არსებობს, და ექიმი, რომელიც ამ თანამდებობაზეა დანიშნული, სამსახურში დადის გარკვეული პერიოდულობით. მათივე გადმოცემით, დანესებულებას უნდა გადაეცეს სტომატოლოგიური სავარძელი და სათანადო მოწყობილობა, რომელიც ამჟამად ქუთაისში შეფუთულ მდგომარეობაშია, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო ვერ ხერხდება მისი დანიშნულების ადგილზე ჩამოტანა და მონტაჟი.

ექიმის განმარტებით და ჩვენ მიერ ჩატარებული შემოწმებით ირკვევა, რომ წყალი დანესებულებაში ხშირად წყდება, თუმცა იგი, როცა მოდის, სასმელად მაინც უვარგისია, ხშირად ჟანგანია და მოჭყვება ქვიშა. აქედან გამომდინარე საშიშია მისი სასმელად გამოყენება. პატიმართა ნაწილისათვის წყალი გარედან შემოაქვთ, ხოლო მათი უმრავლესობა მას სასმელად მაინც მოიხმარს. თვითონ მედპერსონალი ამ წყალს სასმელად არ იყენებს.

სამედიცინო ნაწილში ჩატარებული შემოწმებით, ამჟამად მკურნალობის კურსს გადის (ანუ სამედიცინო ნაწილში ჰოსპიტალიზებულია) 18 ავადმყოფი. მათი უმრავლესობის მედპუნქტში მოთავსების მიზეზი სამედიცინო პერსონალისათვის უცნობია. ავადმყოფთა ნახევარზე მეტს დადგენილი არ აქვს დიაგნოზი. ზოგიერთ შემთხვევაში დიაგნოსტიკა ემყარება ვარაუდს ან გადმოცემას. დასმულ დიაგნოზთაგან, რამდენიმე არაკორექტულია და შედგენილია სამედიცინო ტერმინოლოგიის არაზუსტი მითითებითა და გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ავადმყოფი სამედიცინო ნაწილში გადმოყვანილ იქნა გაურკვეველი მითითებებით. მათი დიაგნოზები, გადმოყვანის მიზეზი,

მკურნალობა ან დანიშნულება სამედიცინო პერსონალისათვის უცნობია. ისინი სამედიცინო ნაწილში უდიაგნოზოდ ირიცხებიან.

ასევე უდიაგნოზოდაა ზოგიერთ ე.წ. პალატა-საკანში მყოფი ავადმყოფი.

ავადმყოფი გიორგი ნ. პაციენტი გასინჯულ იქნა ექიმის მიერ. როგორც ირკვევა, პაციმარი არასრულწლოვანია (17 წლის). უჩივის ძლიერ ტკივილებს გულმკერდის მარჯვენა ნახევარში. პაციმარი რამდენიმე დღის წინაა გადმოყვანილი სასჯელალსრულების №- დაწესებულებიდან. დათვალერე-ბით აღნიშნება პოსტოპერაციული დიდი ნაწიბურები მუცლის შუა ხაზსა და გულმკერდის მარჯვენა ნახევარზე. ასევე ღრენაჟების კვალი ზურგისა და მარჯვენა ლატერალურ მიდამოში. ავადმყოფი აღნიშნავს, რომ იგი წარსულში იყო დაჭრილი, რის გამოც გაუკეთდა ოპერაციები. პაციმრობის პირობებში მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. უჩივის ძლიერ ტკივილებს, განსაკუთრებით საღამოობით. ექიმების მიერ მიცემული ნაშლები ტკივილს არ აყუჩებს. ავადმყოფი ხმამალა ტირის, მოუწოდებს დერეფანში გამვლელებს დახმარებისაკენ, ითხოვს მშობელთან დაკავშირებას, რომელმაც იცის, თუ რა ნაშალი მიანოდოს. ავადმყოფი გავსინჯეთ: აუსკულტაციით სუნთქვა ტარდება ორივე ფილტვში. მარჯვნივ, ქვემო წილში სუნთქვა ძლიერ შესუსტებულია. დიაგნოზის დადგენა ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევების გარეშე შეუძლებელია. პაციენტი რამდენჯერმე იყო მონახულებული განმეორებით, თუმცა ჩვენი მითითების მიუხედავად არანაირი ქმედითი ზომები არ იქნა მიღებული.

ჩვენ მიერ ჩატარებული შემონმების შედეგად გამოვლენილ იქნა საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მოქმედი ყველა ძირითადი კანონის უამრავი მუხლის უხეში დარღვევა. უპირველეს ყოვლისა, ირღვევა საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ჯანმრთელობაზე.

საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ:

დარღვეულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი (მე-4 მუხლი): სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ (ბ); ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, პაციენტის პატივის, ღირსებისა და მისი ავტონომიურობის უზრუნველყოფა (გ); პაციმარ პაციენტთა დისკრიმინაციისაგან დაცვა სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას (ე); სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მოცულობასა და ხარისხზე;

დარღვეულია მოქალაქის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში (II თავი). კერძოდ: საქართველოს მოქალაქეთა უფლება, ისარგებლონ დადგენილი წესით დამტკიცებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარებით (მე-5 მუხლი); პაციენტის უფლება, აირჩიოს ან შეცვალოს სამედიცინო პერსონალი და/ან სამედიცინო დაწესებულება (მე-14 მუხლი); დარღვეულია V თავი (30-ე მუხლი), რომლის მიხედვითაც სამედიცინო მომსახურების განწვევის დროს პაციენტის ინტერესებთან დაკავშირებული პროფესიული გადანყვეტილების მიღებისას ექიმი იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი; 32-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ექიმს ან ექთანს დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლება აქვს მხოლოდ სახელმწიფო სერტიფიკატში აღნიშნულ სპეციალობებში. დაწესებულებას არ გააჩნია სამედიცინო დაწესებულების პასპორტი. დარღვეულია ჯანდაცვის მომსახურების მინოდების უმნიშვნელოვანესი პრინციპი – უწყვეტობა (38-ე მუხლი); ასევე დახმარების რიგითობა (40-ე მუხლი), რომელიც მხოლოდ სამედიცინო ჩვენების მიხედვით უნდა გადანყდეს. დარღვეულია სამედიცინო ჩანაწერების წარმოდების წესი (43-ე მუხლი). უხეშად ირღვევა კანონის 45-ე მუხლი, რომლის თანახმადაც „სამედიცინო პერსონალი ვალდებულია, დადგენილი წესით გადასცეს ინფორმაცია“. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ არ არის



გაცემული კანონის 54-ე მუხლით გათვალისწინებული სამედიცინო საქმიანობის დამადასტურებელი ლიცენზია დაწესებულებისადმი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის 56-ე მუხლის დარღვევით დაწესებულება მაინც ახორციელებს გარკვეულ სამედიცინო საქმიანობის ელემენტებს. საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტრო არ აწარმოებს ამ დაწესებულების სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლს, რაც კანონის 63-ე მუხლით სავალდებულოა. კანონის X თავში გათვალისწინებული მოთხოვნების მიუხედავად, არ არის უზრუნველყოფილი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო და არანაირი ზედამხედველობა არ ხორციელდება სანიტარიული წესების, ნორმებისა და ეპიდლონისძიებების მხრივ. დარღვეულია ასევე კანონის მე-80, 81-ე, 82-ე, 83-ე მუხლები, რომლებიც განსაზღვრავს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ტუბერკულოზთან ბრძოლის, ჰეპატიტების პროფილაქტიკის, სქესობრივი გზით გადადებელი დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლისათვის საჭირო ღონისძიებათა წარმართვას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ:

დაწესებულებაში დარღვეულია საქართველოს საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის მე-6 მუხლი, რომელიც ექიმს ანიჭებს თავისუფლებას პროფესიული გადაწყვეტილების მიღების დროს. მიუხედავად კანონის მიერ დაწესებული აკრძალვისა, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვერ იღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებას სამედიცინო მომსახურების დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით. კანონის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის საპირისპიროდ, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვერ ხელმძღვანელობს მხოლოდ პროფესიული სტანდარტებით, ვინაიდან მისი საქმიანობა იზღუდება არსებული სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე. 39-ე მუხლის შესაბამისად, ექიმი პაციენტს მისთვის გასაგები ფორმით უნდა აწვდიდეს ინფორმაციას მისი სამედიცინო მომსახურების შესახებ, რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის არ ხორციელდება.

ავადმყოფთა უმრავლესობამ არ იცის, თუ რა სახის მკურნალობა ან გამოკვლევები უტარდებათ, ან რა შედეგს გამოიღებს იგი. კანონის 41-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნისაგან განსხვავებით, პაციენტს თითქმის არასოდეს არ აცნობენ ინფორმაციას, რომელიც მის სამედიცინო ჩანაწერებში არსებობს, მიუხედავად მოთხოვნისა. ხშირად ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმ მარტივი მიზეზით, რომ სამედიცინო დოკუმენტაცია საერთოდ არ არსებობს. პაციენტს არავინ ათმევეს ინფორმირებულ თანხმობას, რითაც უხეშად ირღვევა კანონის 44-ე მუხლი. 48-ე მუხლის მოთხოვნა ხშირად ირღვევა და ინფორმაციის კონფიდენციაურობა დაუცველია. ინფორმაცია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ხშირად საჯარო განხილვის საგანი ხდება, რაც არცთუ იშვიათად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხორციელდება. საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის 50-ე მუხლი ითვალისწინებს სამედიცინო საქმიანობის გადაბარებას სხვა სამედიცინო პერსონალისათვის, რაც ამ შემთხვევაში ფაქტობრივად შეუძლებელია, არსებული ადამიანური რესურსების დეფიციტისა და არსებული სიტუაციის ფონზე. 51-ე მუხლის მოთხოვნასთან შეუსაბამოდ, დაწესებულების ხელმძღვანელს არ აწვდიან წერილობით ინფორმაციას (პატაკი) პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების რისკისა და მისი მიზეზების შესახებ.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის VI თავი განსაზღვრავს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მოვალეობებს პაციენტის მიმართ სამედიცინო მომსახურების განვცისას. 53-ე მუხლის მიხედვით, პაციენტის სამედიცინო მომსახურება უნდა იყოს ანალოგიური იმ ადამიანების სამედიცინო მომსახურებისა, რომლებიც არ არიან პაციენტები, რაც საკმაოდ აშკარაა, რომ ასე არ ხდება. 54-ე მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს ეკრძალება პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი ისეთ ქმედებასთან, რომელიც დაკავშირებულია არაადამიანურ მოპყრობასთან. მიუხედავად ამისა, სამედიცინო პერსონალის უმოქმედობა და პასიურობა ასეთი ფაქტების მიმართ მათ პრაქტიკულად ამ პროცესის თანამონაწილეებად აქცევს.

დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი არღვევს კანონის 56-ე მუხლს სამედიცინო ჩანაწერების აუცილებლობისა და ფორმის შესახებ. კონკრეტულ სამედიცინო ნაწილში პრაქტიკულად არანაირი ფორმით არ ხდება სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება მომსახურების ხარისხის კონტროლზე და დოკუმენტაციის წარმოებაზე, რის გამოც ირღვევა კანონის 66-ე და 67-ე მუხლები.

საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ:

ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, პაციენტს უფლება აქვს მეორე აზრის მოსაძიებლად დაუბრკოლებლივ მიმართოს სხვა ექიმს ან სამედიცინო დაწესებულებას, ხოლო მე-8 მუხლის მიხედვით, აირჩიოს და ნებისმიერ დროს შეცვალოს სამედიცინო მომსახურების გამწვევი. აღნიშნული უფლებები პრაქტიკულად იგნორირებულია, მიუხედავად იმისა, რომ ამავე კანონის X თავი, რომელიც განსაზღვრავს წინასწარ პატიმრობაში ან სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი პირის უფლებებს, ამბობს: წინასწარ პატიმრობაში ან სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი პირი სარგებლობს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით (46-ე მუხლი), თუმცა 47-ე მუხლი გადმოსცემს, რომ ერთადერთი უფლება, რომელიც შესაძლებელია შეზღუდოს სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ, ეს არის პაციენტის უფლება – აირჩიოს სამედიცინო მომსახურების გამწვევი. ამასთან, ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში (მუხლი 47). მიუხედავად ამისა, არც საპყრობილის ადმინისტრაციას, არც შესაბამისი დეპარტამენტის წარმომადგენლებს წარმოდგენაც კი არ გააჩნიათ, რომ საქართველოს კანონმდებლობა ასეთ უფლებებს ანიჭებს პაციენტებს, მიუხედავად მათი სოციალური და ნებისმიერი სხვა მდგომარეობისა. სასჯელალსრულების დაწესებულების სამედიცინო ნაწილში, როგორც წინა ნაწილებიდან ჩანს, შეუძლებელია პატიმრისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა. აღნიშნული კვლავ კანონდარღვევაა, ვინაიდან საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ (მე-12 მუხლი) განსაზღვრავს, რომ: „1. სახელმწიფო იცავს პაციენტის უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე, რომლის გადაუდებლად განხორციელების გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება. 2. თუ პაციენტი გადაუდებლად საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, რომლის გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, ხოლო სამედიცინო მომსახურების გამწვევს არა აქვს შესაძლებლობა, აღმოუჩინოს პაციენტს ასეთი მომსახურება, იგი ვალდებულია, მიანოდოს პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს სრული ინფორმაცია, თუ სად შეიძლება გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღება“. სამედიცინო ნაწილში აზრდაც კი არავის მოსდის, მათ მიერ დახმარების გაუწევლობის შემთხვევაში (ვინაიდან აღნიშნული აღემატება მათ შესაძლებლობებს), ინფორმაცია მიანოდოს პაციენტის ნათესავებს ან კანონიერ წარმომადგენლებს. ამ მხრივ საქმე გვაქვს ადამიანის დისკრიმინაციასთან მხოლოდ იმ ნიშნით, რომ იგი პატიმარია.

პაციენტის უფლებების შესახებ კანონის მე-18 მუხლი პაციენტს უფლებას აძლევს, სამედიცინო მომსახურების გამწვევისაგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია სამედიცინო მომსახურების არსებული რესურსებისა და მათი მიღების სახეების, ასევე სამედიცინო გამოკვლევების შედეგების, განზრახული სამედიცინო მომსახურების სხვა, ალტერნატიული ვარიანტების, მათი თანხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ. მიუხედავად საკანონმდებლო მოთხოვნისა, ამ საკითხის დასმაც კი ალბათ მხოლოდ ღიმილს გამოიწვევს სასჯელალსრულების დაწესებულების პასუხისმგებელ პირებს შორის. სამედიცინო ნაწილში ასევე იგნორირებულია პაციენტის უფლება ინფორმირებულ თანხმობაზე (22-ე მუხლი). არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციაში მსგავსი სახის არანაირი ჩანაწერი არ არსებობს. როგორც ჩანს, პაციენტთა გადმოცემით, არც სიტყვიერი ფორმით ხდება ან ხდებოდა როდისმე თანხმობის განცხადება. მეტად აღმაშფოთებელი ფაქტია ის, რომ სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომლები უხეშად ცდი-



ლობენ ჩაერიონ სამედიცინო მომსახურების განვეის პროცესში. პაციენტის უფლებების შესახებ კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების განვეისას დასაშვებია მხოლოდ მასში უშუალოდ მონაწილე პირთა დასწრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პაციენტი თანახმაა, მოითხოვოს სხვა პირთა დასწრება. ამ მუხლის არაერთხელ დარღვევის მოწმე ჩვენ პირადად გავხედით. სასჯელალსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები, უფრო მეტიც, ნილბიანი „სპეცნაზელები“ ხშირად დაჟინებით ცდილობდნენ და პრაქტიკულად ახორციელებდნენ კიდევაც სამედიცინო საქმიანობის კონტროლზე აყვანას. საერთაშორისო სტანდარტებით, არავის, და მით უფრო სასჯელალსრულების ან საბადრაგო სამსახურის წარმომადგენლებს, უფლება არ აქვთ, ფარულად ან აშკარად მოუსმინონ ექიმ-პაციენტის საუბარს, ვინაიდან ეს ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციაურია. სასჯელალსრულების დაწესებულების წარმომადგენლები ამას აკეთებდნენ ვითომდა ექიმის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, თუმცა თავისთავად აღნიშნულ ქმედებას ვერანაირი გამართლება ვერ მოეძებნება. მიუხედავად იმისა, რომ ასე ირღვევა და ფეხქვეშ ითელება პაციენტის უფლებები, პაციენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არც კი იცის, რომ ამავე კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად: „პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს:

- ა) კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია:
 - ა.ა) პაციენტის უფლებების დარღვევით;
 - ა.ბ) მცდარი სამედიცინო ქმედებით;
 - ა.გ) სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების სხვა ხარვეზებით;
 - ა.დ) სახელმწიფოს მიერ არასწორად განხორციელებული ზედამხედველობითა და რეგულირებით;
- ბ) სამედიცინო პერსონალის საქმიანობის ლიცენზიის შეჩერება ან გაუქმება;
- გ) სახელმწიფო სამედიცინო და სანიტარიული სტანდარტების შეცვლა“.

ასევე დარღვეულია 45-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც:

- „1. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა წინასწარ პატიმრობაში ან სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი პირისათვის ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით.
- 2. სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსებისთანავე პირს უფლება აქვს მოითხოვოს სათანადო სამედიცინო გამოკვლევა, დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და საჭიროებისას – სამედიცინო მომსახურება“. აღმაშფოთებელია, რომ დაწესებულებაში კვლავ არ არსებობს დაზიანების ყურნალი! ხშირად ირღვევა ასევე საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ 86-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: „საპყრობილეში მიღების დროს პირმა უნდა გაიაროს სამედიცინო კონტროლი, რომელსაც ატარებს საპყრობილის ექიმი“.

საყურადღებოა იმავე კანონის 38-ე მუხლი, რომელიც მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლს შეეხება:

- 1. სასჯელალსრულების დაწესებულებაში მისვლისთანავე მსჯავრდებულის გადის სამედიცინო შემოწმებას.
- 2. მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მონმდება წელიწადში ერთხელ მაინც. დაავადებულ მსჯავრდებულს უტარდება გადაუდებელი მკურნალობა“.

ამგვარად, სასჯელალსრულების დაწესებულების სამედიცინო ნაწილში პაციენტთა მკურნალობა და მოვლა შეუძლებელია, სათანადო დონეზე იყოს წარმართული. უფრო მეტიც, ამ სტრუქტურაში შექმნილია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გარემო. არსებული სიტუაცია, ჩვენი ინფორმაციით გახდა იმის უშუალო მიზეზი, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში სამედიცინო ნაწილის ხელმძღვანელებმა და ზოგიერთმა თანამშრომელმა დაწერეს განცხადებები სამსახურიდან წასვლის

შესახებ. მიუხედავად ამისა, არსებული პერსონალის პირობებში ჩვენ ვერ ვნახეთ ვერც ერთი დოკუმენტი (პატაკის სახით), რომლითაც სასჯელალსრულების დაწესებულების სამედიცინო ნაწილის პერსონალი წერილობით აცნობებს ადმინისტრაციას შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მედპერსონალმა არაერთხელ აცნობა ადმინისტრაციას წერილობით არსებული სიტუაციის შესახებ. მათ შორის ჩვენი უშუალო თანდასწრებითაც. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაცია კვლავ აგრძელებს გაურკვეველ პოზიციაში ყოფნას, და გვპირდება რომ უახლოეს მომავალში, ჩვენი მომდევნო სტუმრობის შემდეგ იმდენად გააუმჯობესებს მდგომარეობას, რომ ჩვენ სამედიცინო ნაწილებს „ველარც ვიცნობთ“. ამგვარი დაპირება არაერთხელ მოვისმინეთ უკვე ჩატარებული მონიტორინგის დროს. დანაპირებიდან ასრულდა მხოლოდ ერთ-ერთი საპრობილის სამედიცინო ნაწილის ყოფილი უფროსის (ექიმის) სიტყვები: – „აქ თუ არაფერი გამოსწორდა, მე თვითონ ნავალ და შემდეგ ვიზიტის დროს ალბათ უკვე აღარ დაგხვდებით“.

საქართველოს კანონი პაციენტობის შესახებ, კერძოდ მისი 41-ე მუხლი ითვალისწინებს: „2. ექიმი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება დაწესებულებას, ვალდებულია განახორციელოს მუდმივი კონტროლი მსჯავრდებულთა ჯანმრთელობაზე, უმკურნალოს მათ შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს მისი გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში. 3. ექიმი ვალდებულია დადგინდეს ვადებში მოახდინოს მსჯავრდებულთა სამედიცინო შემოწმება და რომელიმე მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის საშიში პირობების შესახებ აცნობოს სასჯელალსრულების დაწესებულების დირექტორს“. შემდგომ მუხლში (42-ე მუხლი) დაფიქსირებულია ექიმის პასუხისმგებლობა ასევე სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო:

1. სასჯელალსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახური ან ექიმი ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს:
 - ა) მსჯავრდებულთათვის მიცემული საკვების ხარისხი და ოდენობა, მათი მომზადების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები;
 - ბ) დაწესებულების ტერიტორიისა და ნაგებობის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
 - გ) მსჯავრდებულთა ტანსაცმლისა და სანოლის თეთრეულის მდგომარეობა და სეზონის პირობებთან შესაბამისობა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევათა აღმოჩენის შემთხვევაში სამედიცინო სამსახური ან ექიმი წერილობით აცნობებს დაწესებულების ადმინისტრაციას.
3. თუ დაწესებულების ადმინისტრაცია ჩათვლის, რომ ექიმის მიერ გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრა დაწესებულების შესაძლებლობებს აღემატება, იგი ვალდებულია მოხსენებითი ბარათით მიმართოს დეპარტამენტის ადმინისტრაციას. მოხსენებით ბარათს უნდა დაერთოს სამედიცინო სამსახურის ან ექიმის წერილი“.

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საინტერესოა, თუ რა იურიდიულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა:

მუხლი 247. სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება

1. იმ გარემოების, ფაქტის ან მოვლენის შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან გარემოს, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ვალდებული იყო მიეწოდებინა ეს ინფორმაცია მოსახლეობისათვის,
 - ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი მოხელის მიერ, ან რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი,



– ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

სასჯელალსრულების დაწესებულების სამედიცინო ნაწილში, როგორც უკვე აღინიშნა უხეშადაა დარღვეული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესები. საყურადღებოა, რომ ზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით, რაც ტემპერატურული რეჟიმის მკვეთრ მომატებას გამოიწვევს, წყლის, ჰიგიენური პირობებისა და სხვა პრობლემების მოუგვარებლობის გამო ალბათ მაღალი რისკით გარდაუვალი იქნება ინფექციურ დაავადებათა (განსაკუთრებით ნაწლავური პათოლოგია) გავრცელება, რაც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობას. მიუხედავად ამისა არ არსებობს რაიმე ეპიდემიოლოგიური პროგნოზირება ან შესაძლო ღონისძიებათა გეგმა, რაც უნდა ჩატარდეს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით შემდეგ განმარტებას იძლევა:

მუხლი 248. სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესის დარღვევა

1. სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანთა მასობრივი დაავადება ან მოწამვლა,
 - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.
2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა,
 - ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ჩვენ მიერ სხვადასხვა დაწესებულებაში არაერთი ვიზიტის დროს ვნახეთ, რომ დაწესებულებას არ აქვს არც ერთი პრეპარატის ამპულირებული ფორმა, რომელიც ექვემდებარება მკაცრ აღრიცხვას. მიუხედავად ამისა, ავადმყოფთა გარკვეული ნაწილი, მკურნალობის მიზნით, მოიხმარს ფსიქოტროპულ საშუალებებს, ანტიდეპრესანტებს და სხვა საშუალებებს, რომლებიც არსებული კანონმდებლობით მკაცრ აღრიცხვას. ცნობისათვის: თითოეული ასეთი ამპულის გატეხვისა და გამოყენების შემდეგ, მისი რეგისტრაცია უნდა ხდებოდეს როგორც სამედიცინო ისტორიაში/ბარათში, ასევე სპეციალურ დავთარში, რომელიც დანომრილია, ზონარგაყრილია და დაბეჭდილია, რასაც უნდა ადასტურებდეს დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერა. ზოგიერთ შემთხვევაში ასევე გათვალისწინებულია გამოყენებული წამლის გატეხილი ამპულის ჩაბარება. მიუხედავად ამისა, ამ წესს აქ საერთოდ არ იცნობენ, ხოლო ავადმყოფთა გარკვეულ კატეგორიას მკურნალობის მიზნით აღნიშნული საშუალებები ინტრავენურადაც უკეთდებათ. ანუ საქმე გვაქვს კიდევ ერთ სერიოზულ დარღვევასთან, რაც სისხლის სამართლის კანონმდებლობით ასევე დასჯადი ქმედებაა:

მუხლი 261. ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება

1. ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო დამზადება, წარმოება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება,
 - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.
2. ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება,
 - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

- ა) დიდი ოდენობით;
 - ბ) წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ;
 - გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
 - დ) არაერთგზის;
 - ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული,
 - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.
4. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:
- ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;
 - ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ,
 - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

მუხლი 270. ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა

1. ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა, რამაც მისი უკანონო ბრუნვაში მოქცევა გამოიწვია,
 - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ.
2. იგივე ქმედება, რამაც დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო ბრუნვაში მოქცევა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია,
 - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ბ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილე

გაცილებით მძიმე მდგომარეობაა შექმნილი პენიტენციური სისტემის სხვა დაწესებულებებში, სამედიცინო მომსახურების მხრივ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-5 საპყრობილე საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში ყველაზე უფრო გადატვირთულ დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს. აქ საკმაოდ ხშირია ისეთი ფაქტები, როდესაც 18-20 ადგილიან საკანში 100-ზე მეტი პატიმარი იმყოფება. არაადეკვატურია სანიტარიული მდგომარეობა. მნიშვნელოვანი პრობლემებია კვების მხრივ. სამედიცინო მომსახურების დაბალი დონე აღნიშნულ საპყრობილეში შესამჩნევი გახდა პირველი ვიზიტის დროიდან. №5 საპყრობილის მთავარი ექიმის განცხადებით, ამჟამად დაწესებულებაში 45-მდე პატიმარია, რომლებსაც დასმული აქვთ დიაგნოზი „ეპილეფსია“. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პატიმრები უმძიმეს სოციალურ პირობებში იმყოფებიან – მორიგეობით სძინავთ სანოლზე, რაც უმწვავესად აისახება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. საპყრობილის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული 45 პატიმარი განეთავსებინათ ისეთ საკნებში, სადაც მათ ექნებათ საკუთარი სანოლები და შეექმნებათ მინიმალური პირობები მაინც ძილის რეჟიმის დასაცავად. მიუხედავად ამისა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მოსული წერილის შესაბამისად, საპყრობილის გადატვირთულობის გამო, უარი გვეთქვა აღნიშნულზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ №5 საპყრობილის სამედიცინო ნაწილში ღამით საკნები იკვებება, რაც დაუშვებელი და გაუმართლებელი ქმედებაა. ამით, ფაქტობრივად ღამის საათებში იზღუდება ავადმყოფის კონტაქტი სამედიცინო პერსონალთან. საპყრობილის ადმინისტრაციას მიეცა ასევე



რეკომენდაცია, სხვა საპრობლემების ანალოგიური სამსახურების მსგავსად უზრუნველყონ სამედიცინო ნაწილში უსაფრთხოების ზომები (?) იმგვარად, რომ აუცილებელი არ გახდეს სამედიცინო საკნების დაკეტვა დილის საათებამდე.

როგორც არაერთი პატიმარი აღნიშნავს, საქართველოს იუსტიციისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების ერთობლივი სამედიცინო კომისიის წევრები ხშირად არღვევენ სამედიცინო ეთიკისა და დეონტოლოგიის ნორმებს. ექიმ-პაციენტის ურთიერთობა კონფიდენციურ ხასიათს არ ატარებს. ექიმი ხშირად ირონიულად განიხილავს პაციენტის პრობლემებს, უგულსყუროდ ისმენს მის ჩივილებს, რის გამოც პაციენტთა უმრავლესობა ბოლომდე არ უყვება სამედიცინო კომისიის წევრებს დაავადების დეტალებსა და მიმდინარეობის თავისებურებებს.

№5 საპრობლემში ჩვენი მონიტორინგის დროს გამოვლენილ იქნა არაერთი ფსიქიკურად დაავადებული პაციენტი, რომლებიც, მიუხედავად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა იმყოფებიან საპრობლემში და ვერ იღებენ ადეკვატურ ფსიქიატრიულ დახმარებას. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში დარღვეულია იურიდიული ნორმები მათი სასამართლო სხდომებზე მონაწილეობის, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა-ჩატარების და სხვა მრავალ საკითხში. იმის ნათლად წარმოსადგენად, თუ რა პირობებში იმყოფებიან ავადმყოფი პატიმრები, წარმოგიდგენთ ერთ-ერთი შემთხვევის აღწერას:

ავადმყოფი იმედო ნ. იმყოფებოდა სამედიცინო ნაწილში. მისი გადმოცემით ე.წ. „ციხის ბუნტის“ ღამეს მიიღო სხეულის მრავლობითი ცეცხლნასროლი დაზიანება, რის გამოც მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ჩაუტარდა საკმაოდ რთული და მოცულობითი ოპერაცია: გასტრორაფია, ჰეპატორაფია, იეიუნორაფია, სიგმოსტომია, მუცლის ღრუს სანაცია, დრენირება. ამჟამად მას მუცლის მარცხენა წინა კედელზე გამოტანილი აქვს სიგმოსტომა, რომლის ლიკვიდაცია, სავარაუდოდ დაგეგმილია 1-2 თვეში. სიგმოსტომა ფუნქციობს, ავადმყოფი იყენებს პოლიეთილენის ერთჯერად პარკებს განავლის მიმღების ნაცვლად. ავადმყოფი განლევულია, ანემიური. მისი გადმოცემით, ძალზე უჭირს ამ პირობებში (თუნდაც სამედიცინო ნაწილში) სტომის ადეკვატური მოვლა. როგორც გაირკვა, სამედიცინო ნაწილში იკეტება ყველა ის საკანი, რომლებშიც ავადმყოფები იმყოფებიან და გასაღები დილამდე ხელმიუწვდომელია, თუ არ ჩავთვლით განსაკუთრებით საგანგაშო შემთხვევებს, რომლის დროსაც კი საკნის გაღება და ავადმყოფთან შესვლა, სავარაუდოდ, დაგვიანებით უნდა ხორციელდებოდეს. აღსანიშნავია, რომ საკნებში არ არის სველი წერტილები ან ტუალეტები, რის გამოც ავადმყოფები მოკლებულნი არიან „კომფორტის“ ამ საშუალებებით სარგებლობასაც კარების გაღებამდე. ავადმყოფი აღნიშნავს, რომ განავლის მიმღები, რომელიც მას სტომაზე აქვს მორგებული, ღამით ხშირად ივსება, და იმის გამო, რომ შეცვლის საშუალება არ აქვს, ხშირად საკანში დგება არასასიამოვნო, გაუსაძლისი სუნი, რაც აწუხებს ასევე სხვა ავადმყოფ პატიმრებსაც. ავადმყოფი ი.წ. ამით ძლიერ შეწუხებულია და, როგორც იგი გადმოგვცემს, ფაქტობრივად შეზღუდა საკვების მიღება, რათა კუჭის მოქმედების შედეგად ღამის საათებში არ გაივსოს მის სტომაზე მიმაგრებული განავლის მიმღები. იგი ძლიერ განიცდის იმ ფაქტს, რომ სტომის მოქმედებას ვერ აკონტროლებს და ამით დისკომფორტს უქმნის ასევე ირგვლივ სხვა ავადმყოფ პატიმრებსაც.

როგორც ჩანს, ავადმყოფი ი.წ. ადეკვატურად ვერ უვლის სტომას. გარდა ამისა, სამკურნალო დაწესებულების საკნის კარების ჩაკეტვის გამო ყოველ ღამე იგი უმძიმეს მდგომარეობაშია. აღნიშნული ფაქტი, გარდა სამედიცინო თვალსაზრისით დაუშვებლობისა, უნდა შეფასდეს როგორც წამება და ღირსების შემლახველი მოპყრობა. მიზანშეწონილია, ავადმყოფს დაუყოვნებლად შეექმნას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის ადეკვატური პირობები და დაჩქარდეს მისი გადაყვანა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ოპერაციის (სიგმოსტომის ლიკვიდაცია) ჩატარების მიზნით. გასათვალისწინებელია, რომ, მიუხედავად მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ქირურგიული განყოფილების გამგის საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციისა, განმეორებითი ოპერაციის საოპერაციოს, ანესთეზიოლოგიური სამსახურისა და პოსტოპე-

რაციული პალატის მოუწესრიგებლობის გამო მეტად მაღალ რისკთანაა დაკავშირებული, რის გამოც ოპერაციის დაგეგმვისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული (განსაკუთრებით ოპერაციის მეთოდიდან გამომდინარე) ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები.

2006 წლის ზაფხულის თვეებში, ტემპერატურის მკვეთრი მომატების გამო, ავადმყოფთა ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. იმატა ფილტვებისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა სიხშირემ, გაიზარდა სიკვდილობისა და ავადობის მაჩვენებლები.

№5 საპრობილემში, განსხვავებით პენტენციური სისტემის სხვა დაწესებულებების სამედიცინო ნაწილებისაგან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების თვალსაზრისით. იმ პაციენტებზე, რომლებიც სამედიცინო ნაწილში გადიან მკურნალობის კურსს, ინარმოება სტაციონარის სამედიცინო ბარათები. სამედიცინო ნაწილში არსებობს რენტგენის აპარატი და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში პაციენტებს უტარდებათ გულმკერდის რენტგენოლოგიური გამოკვლევები. გადაღებული ფირები ინახება და ხელმისაწვდომი გახდა ჩვენი მონიტორინგის ჯგუფისათვის. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ნაწილში ექიმთა რაოდენობა გაცილებით მეტია სხვა საპრობილემების ფონზე, თუმცა, №5 საპრობილის გადატვირთულობის გათვალისწინებით, სამედიცინო პერსონალის კრიტიკული დეფიციტი აშკარად შესამჩნევი ფაქტორია. პაციენტები ხშირად აღნიშნავენ სამედიცინო პერსონალის მხრიდან უყურადღებობის შემთხვევებს. აღნიშნულის მაგალითად მოგვყავს რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა:

ავადმყოფი გიორგი ჟ. № წლის. მე-№ თვეა, იმყოფება პაციენტობაში. მის საკანში, სადაც 25 ადგილია, რეალურად იმყოფება 85 პაციენტი. უჩივის ტკივილს გულის არეში. ჩაკეტილ სივრცეში ბევრი ხალხის არსებობის გამო ხშირად უვითარდება მწვავე ფსიქიკური შეტევები, რაც გამოიხატება ხმამაღალი ტირილითა და ყვირით. მე-5 საპრობილემში შემოსვლის შემდეგ იგი ერთი თვე იყო კარანტინში, რის შემდეგაც გადმოყვანილია ამჟამინდელ საკანში. პირობები გაუსაძლისია, არის საშინელი უჰაერობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ავადმყოფი აღნიშნავს, რომ „გრძნობს პრობლემას ფილტვებში“. ექიმს ხშირად მიმართავს, თუმცა სამედიცინო პერსონალი მას მხოლოდ ანალგინსა და ვალიდოლს აწვდის. ავადმყოფი აღნიშნავს, რომ დაახლოებით 2 კვირის წინ, როდესაც მისი მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა, იგი ჩაიყვანეს სამედიცინო ნაწილში, სადაც გადაუღეს გულმკერდის რენტგენოგრამა, არ გაუსინჯავთ და სურათის საფუძველზე მოახსენეს, რომ არაფერი სჭირდა. მისივე გადმოცემით, ექიმს გულმკერდი არ გამოუკვლევიან, თუმცა, რომ დაახლოებით ერთი თვეა, რაც გრძნობს ტკივილს გულმკერდის მიდამოში. იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივ სამედიცინო კომისიაზე იგი არ გაუყვანიათ, მიუხედავად მისი არაერთი მოთხოვნისა, ელექტროკარდიოგრამა არ აქვს გადაღებული. ხშირად გრძნობს, რომ უჩქარდება გული, აქვს ტაქიკარდიული შეტევები. ასეთი რამ თვეში დაახლოებით 2-ჯერ ემართება. ავადმყოფი ასევე უჩივის ხველასაც, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიური იყო 1 თვის წინ. ამჟამად ნარჩენი მოვლენები კვლავ აღნიშნება. ავადმყოფი აღნიშნავს, რომ ჰაერზე გაჰყავთ კვირაში ერთხელ. გ.ჟ. ითხოვს, რომ ყურადღებით იქნეს გასინჯული ექიმის მიერ და ჩაუტარდეს ადეკვატური სამედიცინო მომსახურება.

საპრობილის სამედიცინო ნაწილში ყოფნისას ჩვენ გავესაუბრეთ ექიმებს, რომლებიც მას ვერ იხსენებენ. შემდეგ მოვთხოვეთ რენტგენოგრამა და მივუთითეთ გადაღების სავარაუდო თარიღი. იგი აღმოჩნდა მარკირებული, დათარიღებული. ფილტვის დიფუზიური ან მნიშვნელოვანი კეროვანი დაზიანების ნიშნები არ აღინიშნება. აღინიშნება ბრონქული სურათის მკვეთრი გაძლიერება, უპირატესად მარჯვენა მხარეს. ექიმი შეუძლებლად მიიჩნევს, რომ არ გაესინჯა ავადმყოფი და არ მოესმინა ფილტვები.

ავადმყოფი ნუკრი კ. იმყოფებოდა სამედიცინო ნაწილში. მისი გადმოცემით, რამდენიმე თვეა უჩივის ტემპერატურის მკვეთრ მომატებას (ცხელებას). მაგალითად, წინა დღეს აღნიშნებოდა 39,6 – 40 C°. ხოლო დღეისათვის ტემპერატურა 37,8 – 38 C°-ის ფარგლებში მერყეობს. ამასთან, ტემპერა-



ტურას თან ერთვის ხველა. მარჯვენა მხარეს, ბეჭის მიდამოში აქვს მჩხვლეტავი ხასიათის ტკივილი, რის გამოც ვერ წვება ამ მხარეს. ავადმყოფი რამდენიმე დღე, ჯანმრთელობის გაუარესების გამო მოითხოვდა სამედიცინო ნაწილში გადაყვანას, რაც მხოლოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ დაკმაყოფილდა. ამჟამად დანყებული მკურნალობის ფონზე მიაჩნია, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა, ტემპერატურამ მოუკლო. როგორც ანამნეზური მონაცემებიდან ირკვევა, ნ.კ. ნითელი ჯვრის პროგრამით ორჯერ არის ნამკურნალევი ტუბერკულოზზე – პირველად 9 თვე, ხოლო განმეორებით 8 თვე. ბოლო პერიოდში, ი.მ. უკეთდებოდა სტრეპტომიცინი (20 ამპულა). როგორც სამედიცინო ნაწილის ექიმი განმარტავს, მათი დიაგნოზი ნ.კ.-ს მიმართ არის „გრიპოზული მდგომარეობა“, თუმცა ამ ფონზე გაურკვეველია, რატომ არის მკურნალობის ერთადერთი ღონისძიება ანტიბიოტიკის (გენტამიცინი, ი.მ. ყოველ 8 საათში ერთხელ) დანიშვნა. მიუხედავად იმისა, რომ მე-3 ინიექციის შემდეგ სასურველი შედეგის დადგომის ტენდენცია უკვე გამოჩნდა. ექიმის გადმოცემით, გუშინ ავადმყოფი კონსულტირებულ იქნა ოტორინოლარინგოლოგის მიერ, რომელმაც დაათვალიერა ხახა და აღნიშნა, რომ სიცხის მიზეზი აქედან არ უნდა მოდიოდეს. ჩვენი მისვლის მომენტში ავადმყოფს უტარებდნენ რენტგენოლოგიურ კვლევას. რენტგენოგრაფიაზე მოჩანს გადატანილი სპეციფიკური პროცესის კვალი. ბრონქული სურათი მკვეთრადაა გაძლიერებული. აუსკულტაციით მოისმინება ვეზიკულური სუნთქვა, მცირედი ბრონქული ელფერით, გარდა მარჯვენა ფილტვის შუა წილისა, სადაც აშკარად მოისმინება ხიხინი. რენტგენოლოგიური და კლინიკური მონაცემების საფუძველზე აშკარაა რომ საქმე გვაქვს მარჯვენამხრივ ბრონქოპნევმონიასთან (ფილტვების ანთება).

№5 საპრობილეში არაერთგზის მოვინახულეთ **პაციენტი გივი გ, 78 წლის**. პაციენტთან შეხვედრამდე გავესაუბრეთ ადგილობრივი სამედიცინო ნაწილის მთავარ ექიმს, რომელმაც განგვიმარტა, რომ ავადმყოფი გივი გ. გატარებულია სამედიცინო კომისიაზე. პატრონის მიერ მას გარედან მონეობდა სამკურნალო პრეპარატები. დღეს აუღეს სისხლი ღვიძლის ფუნქციებზე და გადასცეს პატრონს ლაბორატორიულ კვლევაზე წასაღებად. მთავარი ექიმის განმარტებით, სწორედ ამ ტესტის პასუხებზე იქნება დამოკიდებული განმეორებითი კომისიის მიზანშეწონილობის საკითხი. დამატებითი ინფორმაციისათვის კვლავ გვიჩნია, მიგვემართა სამედიცინო კომისიის ხელმძღვანელ ბატონ ბადრი ბალავაძისათვის.

პაციმართან შეხვედრის დროს მან გვიპასუხა, რომ მოუვიდა კონფლიქტი გარეშე პირებთან, რომლებიც მას ფულს სძალავდნენ. ამ ინციდენტის დროს მას მიაღვა სხეულის მძიმე დაზიანებები. კერძოდ: დაკარგა მარცხენა თვალი, აქვს ჭრილობები გულმკერდის მიდამოში და თავის არეში. იგი საპრობილეში არ იმყოფებოდა ბოლო პერიოდის განმავლობაში. ზუსტად უჭირს იმ თარიღის გახსენება, როდესაც V საპრობილეში გადმოიყვანეს. სავარაუდოდ ასახელებს 1 კვირას. იგი ასევე ვარაუდობს, რომ დაკავებულია დაახლოებით 2 კვირის წინ. ვერ იხსენებს ასევე საკუთარი ადვოკატის სახელს, ასახელებს სავარაუდოდ. ავადმყოფი დროსა და სივრცეში ადეკვატურად ვერ ორიენტირდება, კითხვებზე დამაჯერებლად ყოველთვის ვერ პასუხობს.

იგი გადმოგვცემს, რომ მისი შვილი სისტემატიურად უგზავნის წამლებს, რომლის მიღებისას თავს უკეთ გრძნობს. აღნიშნული წამლები მას პერანგის ჯიბეში ჰქონდა. ავადმყოფი აღნიშნავს, რომ ეს წამლები მისმა ვაჟმა შეუზღუდავი რაოდენობით მოაწოდა, რის გამოც გამოხატავს კმაყოფილებას და არ ეშინია დაავადების გამწვავების. ავადმყოფისაგან ანამნეზის შეგროვება გაძნელებულია, ზუსტად ვერ ასახელებს თარიღებს, თუმცა პერიოდულად ადეკვატურ პასუხებს იძლევა. მისი გადმოცემით, 2 წლის წინ დაემართა ღვიძლის დაავადება და წარსულში ასევე აღენიშნებოდა საჭმლის მომნელებელი სისტემის ზედა ნაწილებიდან სისხლდენა. იგი ასევე აფიქსირებს, რომ მას სუსტი ფილტვები აქვს, ხშირად აღენიშნება ცხელება. ასევე პერიოდულად უჩივის ხელებისა და ფეხების კრუნჩხვებს. მას „წნევა ან გული არ ანუხებს“, სწორედ ამ ფაქტორს მიიჩნევს ავადმყოფი გადამწყვეტად იმაში, რომ „აქაურობას უძლებს“. როგორც აღნიშნავს მას ინციდენტის დროს ქვედა ყბის მოტეხილობა არ ჰქონია, თუმცა, სავარაუდოდ ჩაემტვრა ზედა მარცხენა საჭრელი და ეშვი. პაციენტი აღნიშნავს, რომ მას ექიმი არასოდეს (აქ ყოფნის პერიოდში) არ მოუთხოვია. 2 დღის წინ გაატარეს კომისიაზე, ხოლო დღეს დილით აუღეს სისხლი.

როგორც წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის ასლებიდან ირკვევა, ავადმყოფი რამდენჯერმე მკურნალობდა რაიონულ საავადმყოფოში. უკანასკნელად, დაპატიმრებამდე დაახლოებით 2 თვის წინ, მკურნალობდა თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში. მისი დიაგნოზია: ღვიძლის ციროზი, პორტული ჰიპერტენზია, საყლაპავის ვენების ვარიკოზული გაგანიერება, თორმეტგოჯა ნაწლავის მწვავე წყლული გართულებული სისხლდენით, მწვავე პოსტჰემორაგიული ანემია, ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია. წარმოდგენილი ლაბორატორიული კვლევის ასლებიდან ირკვევა, რომ ავადმყოფს დადგენილი აქვს ვირუსული „C“ ჰეპატიტი. საკმაოდ სერიოზული ცვლილებებია მის სხვა ანალიზებში.

ამგვარად, პაციენტი გივი გ. მეტად მძიმე პათოლოგიებით დაავადებული პირია. მისი ფსიქიკური მდგომარეობის შეცვლა და ცნობიერების დარღვევა საფიქრებელია, რომ უკავშირდება პორტული ჰიპერტენზიის გამო განვითარებულ ენცეფალოპათიას და ასაკობრივ თავისებურებებს. მიუხედავად მისი ზოგადი საერთო მდგომარეობისა, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ პაციენტს განუმეორდეს სისხლდენა საჭმლის მომნელებელი სისტემის ზედა ნაწილებიდან, რისი პრეცედენტიც უკვე დაფიქსირებულია 2 თვის წინ და რისი საფუძველიც არსებობს საყლაპავი მილის ვენების ვარიკოზული გაგანიერების სახით. ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ასაკის გათვალისწინებით მისი „მკურნალობა“ აღნიშნულ პირობებში არ ტარდება. იგი არ იმყოფება, სულ მცირე, სამედიცინო ნაწილშიც კი ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რაიმე წერილობითი სამედიცინო დოკუმენტი, რომელიც ასახავს მის ჯანმრთელობის მდგომარეობას. საფიქრებელია, რომ მსგავს პირობებში სისხლდენის ხელმეორედ განახლება გარდაუვლად გამოიწვევს ავადმყოფის სიკვდილს. ჩვენ მიერ გაიცა

რეკომენდაცია: ავადმყოფი დაუყოვნებლივ უნდა მოთავსდეს სამედიცინო ნაწილში; დაისვას მისი გადაყვანის საკითხი შესაფერის სამედიცინო დანესებულებაში; საჭიროა ექიმ ჰეპატოლოგის კონსულტაცია. ერთ-ერთი შემდგომი ვიზიტის დროს ავადმყოფი მართლაც იყო გადაყვანილი სამედიცინო ნაწილში, თუმცა სამედიცინო ასპექტებზე და მათ ადეკვატურობაზე საუბარი ამ შემთხვევაში კვლავ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძღვება.

მონიტორინგის დროს ჩვენ ასევე ვნახულობდით ისეთ ავადმყოფებსაც, რომელთა გასინჯვისათვის ადგილობრივი ექიმი მოგვმართავდა. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა:

ავადმყოფი თემურ რ. წარმოგვიდგინა სამედიცინო ნაწილის უფროსმა, რომელიც მის მიერ გატარებულ იქნა კომისიაზე და გადაიყვანეს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებაში. მიუხედავად ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობისა, პატიმარი წინა შაბათს გამოწერეს უკან და დააბრუნეს მე-5 საპყრობილეში. როგორც სამედიცინო ნაწილის მთავარმა ექიმმა განგვიმარტა, მას შეატყობინეს, რომ აღნიშნული მოხდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რასაც, სამწუხაროდ, უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან შედარებით. ავადმყოფს წარსულში გადატანილი აქვს ოპერაცია მუცლის ღრუზე, რომლის ტიპისა და მოცულობის დადგენა ვერ ხერხდება. მას შემდეგ ჩამოუყალიბდა ფისტულა, მუცელში ჩადებული აქვს დრენაჟი, რომლითაც უკვე ერთ წელიწადზე მეტია, გამოიყოფა ჩირქი. პერიოდულად აღენიშნება ტემპერატურა. კომისიის მიერ შეფასებულია ავადმყოფის მდგომარეობა და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ავადმყოფის გადაყვანა სამკურნალო დანესებულებაში. მიუხედავად ამისა, ჩირქის დენის მიზეზი არ დადგენილა და ავადმყოფი უკან დააბრუნეს.

საყურადღებოა, რომ ავადმყოფი ბოლო პერიოდში აღნიშნავს ჩირქოვანი გამონადენის ფერის შეცვლას. იგი აღნიშნავს, რომ ხელთათმანის თითები (რაშიც ჩადებულია დრენაჟი) ივსება მომწვანო ფერის სითხით. საფიქრებელია, რომ აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს მიკრობის – მამწვანებელი დაჩირქების ჩხირის (*Ps. aeruginosa*) ზედდართვა ინფექციაზე. აღნიშნული ტენდენცია კი კატასტროფული შეიძლება აღმოჩნდეს შიდაჰოსპიტალური ინფექციის გავრცელების თვალსაზრისით და საფრთხე შეუქმნას სამედიცინო ნაწილში მყოფი ყველა ავადმყოფის ჯანმრთელობას, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, რომელშიც იმყოფებიან ავადმყოფები. მეორე მხრივ,



მეტად საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომელშიც თავად თემურ რ. იმყოფება. საფიქრებელია, რომ ჩირქის დენა გამონვეულია წინა პერიოდში ჩატარებული არაადეკვატური ოპერაციული ჩარევით, პოსტოპერაციული გართულებით ან პოსტოპერაციულ პერიოდში ავადმყოფის უყურადღებოდ და უმკურნალოდ დატოვებით.

მსგავსი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება. მიუხედავად ამისა, დასაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ჩვენს ვიზიტებს შორის პერიოდში დადებითად არაფერი იცვლება.

გ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 საპრობილე

სამედიცინო მომსახურების მხრივ ყველაზე საყურადღებო მდგომარეობაა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 საპრობილეში. მდგომარეობის სიმძიმეზე უკეთ შესაძლებელია ამ შემთხვევაში გამოვიყენოთ ტერმინი – სამედიცინო მომსახურების სრული არარსებობა, რაც ალბათ უფრო ზუსტად ასახავს შექმნილ მდგომარეობას.

საპრობილეში სულ ერთი ექიმი, რომელსაც ჩვენნი რამდენიმე ვიზიტის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შევხვდით, იმ მიზეზით, რომ უხშირესად ექიმი არ იმყოფება დაწესებულებაში. ე.წ. ექიმის კაბინეტი მდებარეობს დაწესებულების II სართულზე. მასში განთავსებულია 1 მაგიდა, 2 სკამი, 1 კარადა, 1 ექიმის მოსასვენებელი ტახტი და ხელსაბანი. ოთახი დაახლოებით 10 კვადრატული მეტრი სიდიდისაა. ოთახს აქვს ერთი მცირე ფანჯარა, საიდანაც ჰაერი თითქმის არ შემოდის და, შესაბამისად, განათებულობა საკმაოდ დაბალია. კარადაში ინახება რამდენიმე მედიკამენტი. რაიმე ქირურგიული იარაღი (პინცეტები და ა.შ.) არ არსებობს. ანტისეპტიკური ხსნარები, ასევე პირველადი ქირურგიული დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მასალა და იარაღები არ არის. საინექციო და გადასასხმელი საშუალებები ფაქტობრივად არ არსებობს. ექთანი არ არის გათვალისწინებული საშტატო განრიგით. ამ პირობებში ცხადია, სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, მით უფრო გადაუდებელი აუცილებლობისას, პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩვენ მიერ ნანახი პაციენტები გასაუბრებისას სწორედ ამ დეტალებზე ამახვილებენ ყურადღებას. სიტუაციის უფრო ნათლად წარმოსადგენად მოგვყავს რამდენიმე შემთხვევა:

ავადმყოფი რეზო ლ., 48 წლის. გასინჯულ იქნა №7 საპრობილის ექიმის კაბინეტში. აღსანიშნავია, რომ ავადმყოფი ჩვენ მიერ მონახულებულ იქნა წარსულშიც, როდესაც იგი იმყოფებოდა რუსთავში, №6 საპრობილეში. პაციენტი დახედვით ძლიერ ფერმკრთალია, კანის სპეციფიკური ელფერის მოთეთრო, მორუხო შეფერილობით. ადეკვატურია, დროსა და სივრცეში ორიენტირდება, კითხვებზე დამაჯერებლად პასუხობს. ანამნეზის შეკრებით ირკვევა, რომ პაციენტი წარსულში მკურნალობდა ჰეპატოლოგის დანიშნულებით. ამჟამად უჩივის ტკივილს ნაღვლის ბუშტის საპროექციო მიდამოში. აღნიშნავს, რომ ნაღვლის ბუშტი თითქმის ყოველ დღე ტკივა. აღნიშნულის გამო იღებს ნო-შპა-ს, რომელსაც მისთვის შვება მოაქვს.

აღსანიშნავია, რომ პრეპარატის მიღება მას უწევს ტაბლეტირებული ფორმით, ვინაიდან **სამედიცინო პერსონალის ხელმიუწვდომლობის გამო საპრობილეში ინექციის კუნთში გაკეთებაც კი შეუძლებელია.** (საპრობილეს ოფიციალურად არ ჰყავს ექთანი, ხოლო საშტატო განრიგით გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი ექიმის სამუშაო ადგილი). აღნიშნულის გამო, პაციენტები პრაქტიკულად ვერ იღებენ ვერანაირ სამედიცინო დახმარებას. ავადმყოფი აღნიშნავს, რომ დიდი ხნის განმავლობაში იყო ნარკოტიკული საშუალებების ინტრავენური მომხმარებელი; აქვს ვირუსული ჰეპატიტი. ღვიძლის პათოლოგიის გამო მას ესაჭიროება ინფუზიური თერაპია (გადასხმები), თუმცა მისი ვენების მდგომარეობის გამო შეუძლებელია პერიფერიული ვენების კათეტერიზაცია, რაც დღის წესრიგში აყენებს ცენტრალური ვენის კათეტერიზაციის საკითხს. ცენტრალური ვენის (ლავინქვეშა ან საულღე) კათეტერიზაცია არამარტივი სამედიცინო მანიპულაციაა, რომელიც უნდა

ჩატარდეს ანესთეზიოლოგის ან ექიმ-რეანიმატოლოგის მიერ. მას ესაჭიროება სპეციალური მონ-
ყობილობა-კომპლექტი და ასეპტიკის წესების დაცვა.

აღნიშნული მანიპულაციის ჩატარება, სპეციალისტის მოყვანის შემთხვევაშიც კი შეუძლებელია განხორციელდეს არსებულ პირობებში, თუნდაც მოსალოდნელი გართულებების (ჰაეროვანი ემბო-
ლია, სისხლდენა, სხვა ანატომიური წარმონაქმნების დაზიანების რისკი) გამო, ამდენად, ცენტრა-
ლური ვენის კათეტერიზაცია მიზანშეწონილია მხოლოდ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებუ-
ლებაში. ავადმყოფი აღნიშნავს, რომ აღენიშნება მხედველობის მკვეთრი გაუარესება. განსაკუთ-
რებით გაუჭირდა ახლოს ხედვა. როგორც პაციენტი გადმოგვცემს დაახლოებით 3 წლის წინ ჩა-
უტარდა ექოსკოპიური კვლევა, რომელმაც დაადგინა ღვიძლის დაზიანების ხარისხი. წარსულში
ასევე ავადმყოფს გადატანილი აქვს ფილტვების ტუბერკულოზი. მას შემდეგ, როგორც თვითონ
აღნიშნავს, ჰქონდა ჩაკირული კავერნები. 80-იანი წლების შემდეგ მას ფილტვებზე აღარ უმკურ-
ნალია. პერიოდულად აწუხებს სუნთქვის უკმარისობა, ხველა. ხველა იმდენად ძლიერია, რომ ზოგ-
ჯერ ღამით იღვიძებს. მას ასევე აწუხებს ყაბზობა, გულძმარვა და პერიოდულად ტემპერატურის
მომატება 37 გრადუსამდე. ჩვენი აზრით, ავადმყოფი საჭიროებს, უპირველეს ყოვლისა ჰეპატო-
ლოგის კონსულტაციას, რის შემდეგაც უნდა განისაზღვროს გამოკვლევის გეგმა და მკურნალობის
ტაქტიკა, რაც უნდა განხორციელდეს სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.

პაციენტი გიორგი ა., წარსულში არაერთხელ იქნა მონახულებული და კონსულტირებული ჩვენ
მიერ. 2 თვის წინ გაყვანილ იქნა ქალაქის ერთ-ერთ სამკურნალო დაწესებულებაში ოპერაციული
მკურნალობის მიზნით. გაუკეთდა ქოლეცისტექტომია, აპენდექტომია და ჰერნიოპლასტიკა ბადის
ჩაკერებით (პოსტოპერაციული ვენტრალური თიაქრის გამო), დრენირება. ოპერაციიდან მე-5 - მე-
6 დღეს განვითარდა ქრილობის სუპურაცია, რის გამოც კლინიკაში ყოფნის პერიოდში მოეხსნა
რამდენიმე ნაკერი და მოხდა ქრილობის დრენირება. ავადმყოფის გადმოცემით, დრენაჟები მოხ-
სნილ იქნა დაახლოებით მე-10 – მე-15 დღეს ოპერაციიდან. ამ პერიოდში გამონადენი ქრილობიდან
შენწყდა. კლინიკაში სულ დაყო 27 დღე. მე-7 საპრობილეში დაბრუნების შემდგომ მან შეასრულა
მკვეთრი ფიზიკური მოძრაობა, რის გამოც აღნიშნავს, რომ განუვითარდა ტკივილი ნაოპერაციევი
ქრილობის არეში. რამდენიმე დღეში ავადმყოფს აღენიშნა შემცივნება. ობიექტურად: მუცელი რბი-
ლია, უმტკივნეულო, სუნთქვაში მონაწილეობს. პერიტონეუმის გაღიზიანების სიმპტომატიკა არ
აღენიშნება. მუცლის შუაში მოჩანს პოსტოპერაციული ლაპაროტომიული განაკვეთის შემდგომ გან-
ვითარებული ნაწიბური (ლაპაროტომია მახვილისებრი მორჩიდან ბოქვენამდე, ჭიპის მარცხნივ შე-
მოვლით). მოჩანს ასევე დრენაჟის ამოღების შემდგომ დარჩენილი ნაწიბური. ჭიპის ქვემოთ, და-
ახლოებით 4,5-5 სანტიმეტრით ლატერალურად ლაპაროტომიული ნაწიბურიდან მუცლის წინა კე-
დელზე ისახება მცირე დიამეტრის მქონე ხვრელი, რომლის კიდეები ჰიპერემიულია. მიმდებარე
ტერიტორიაზე ხელით ზომიერი ზენოლისას ხვრელიდან გამოიყოფა სქელი, მოყვითალო ფერის
ჩირქოვანი გამონადენი. ნაწიბურის ლატერალური კიდეების ზედაპირული პალპაციით შეიგრძნობა
სუპრამუსკულურად განთავსებული უცხო სხეულის (ბადე) რელიეფი, რომლის დისტალური მხარე
მცირედ პასტოზურია და ისახება ფლუქტუაცია. სავარაუდოდ, აღნიშნული უნდა იყოს ბადის ჩაკე-
რების შემდგომ განვითარებული სერომა. გამოყოფილი ჩირქოვანი გამონადენი მოინწინდა ბინტის
სახელდახელოდ მომზადებული ბურთულით (სტერილური მასალა და ანტისეპტიკური საშუალებები
ადგილზე არ მოიპოვება), დამუშავდა წყალბადის ზეჟანგის ხსნარით. დაედო ნახვევი, რომელიც
დაფიქსირდა მუცლის წინა კედელზე. აღნიშნული ქმედება არაადეკვატურად უნდა ჩაითვალოს,
მიუხედავად ამისა, რომ მისი ჩატარების აუცილებლობიდან გამომდინარე, ვისარგებლეთ ჩვენს
ხელთ არსებული მწირი რესურსებით. გაურკვეველია, ჩვენი ნასვლის შემდეგ ავადმყოფს ვინ ან
როგორ ჩაუტარებს შეხვევებსა და სხვა მანიპულაციებს. მიზანშეწონილია, ავადმყოფს ჩაუტარდეს
ადეკვატური მკურნალობა, ყოველდღიური შეხვევები, ანტიბიოტიკოთერაპია. აღნიშნულის შესრუ-
ლება კი მე-7 საპრობილეში შეუძლებელია, რის გამოც ავადმყოფი გადაყვანილ უნდა იქნეს სამკურ-
ნალო დაწესებულებაში.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი ფაქტების შემდეგ, ალბათ, რაიმე კომენტარის გაკეთება ზედმეტია.



დ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის რუსთავის №1 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულება

რუსთავის №1 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულებაში ჩვენ მიერ მონახულებულ იქნა სამედიცინო პერსონალი და რამდენიმე ავადმყოფი პატიმარი. სამედიცინო ნაწილის შენობა შედგება ერთი სართულისაგან, განთავსებულია დაწესებულების ეზოში, სადაც პატიმართა ნაწილი თავისუფლად გადაადგილდება და მათ არსებული სამედიცინო რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ფაქტობრივად არ გააჩნიათ. მთავარი ექიმის განმარტებით, სამკურნალო დაწესებულებაში სამი ექიმი და რამდენიმე ექთანი მუშაობს. მიუხედავად ამისა, მაინც იგრძნობა სამედიცინო კადრების მწვავე დეფიციტი. მთავარი ექიმის განმარტებით, დაწესებულება ერთ-ერთი გამოწვევისაა, პენიტენციური სისტემის ფონზე, სადაც სამედიცინო პერსონალი ღამით მორიგეობს. სამედიცინო ნაწილში მისვლისა, და მასში ყოფნის დროს თვალში საცემია პატიმართა რიგი, რომელიც ექიმის კაბინეტთან არის. ისინი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოცდის შემდეგ ახერხებენ საბოლოოდ ექიმთან შესვლას და გასაუბრებას.

დაწესებულების მთავარი ექიმი გვესაუბრა არსებული პრობლემების შესახებ. მათ გარკვეულწილად აქვთ დეფიციტი მედიკამენტების მხრივ. სამედიცინო ნაწილში არ არის შესაძლებლობა, ჩატარდეს ისეთი ელემენტარული კლინიკურ-ინსტრუმენტული გამოკვლევები, როგორებიცაა: სისხლის საერთო ანალიზი, შარდის ანალიზი, რენტგენოსკოპია, ექოსკოპია, ელექტროკარდიოგრაფია. საპრობილის სამედიცინო ნაწილში აღრიცხვაზე იმყოფება გულის იშემიური დაავადების მქონე პაციენტი, რომელსაც პერიოდულად ესაჭიროება ელექტროკარდიოგრაფიული კვლევის ჩატარება, მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით. აღნიშნული ელემენტარული კვლევის ხელმიუწვდომლობის გამო ხშირად იქმნება გამოუვალი მდგომარეობები, როგორც პაციენტისათვის, ისე სამედიცინო პერსონალისათვისაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ალბათ, დღის წესრიგში უნდა დადგეს მსგავსი პროფილის ავადმყოფების ყოფნის მიზანშეწონილობა ამ კონკრეტულ დაწესებულებაში. საპრობილის მთავარი ექიმის განმარტებით, მათ დაწესებულებაში იმყოფება საკმაოდ რაოდენობით ავადმყოფი, რომლებსაც აქვთ სერიოზული ფსიქიკური პრობლემები. რამდენიმე მათგანს უშუალოდ შევხვდით და გავესაუბრეთ ექიმ ფსიქიატრთან ერთად. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საპრობილებში ფსიქიკური ავადმყოფების გამოვლენა ჩვენი სამომავლო საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებად უნდა იქცეს. ადგილობრივი მედპერსონალის განმარტებით, არსებული საკანონმდებლო აქტებისა და რეგულაციების მიხედვით, მათ ეკრძალებთ ფსიქოტროპული პრეპარატების შემოტანა, შენახვა და ავადმყოფებისათვის მიწოდება, მიუხედავად ამ კონტინგენტის ავადმყოფთა სიჭარბისა. სამედიცინო პერსონალს, ხშირად უწევს კონკრეტული პატიმრებისათვის ე.წ. „ფსიქოთერაპიული“ სესიების ჩატარება, მათ დამშვიდება და სრულიად განსხვავებული სამედიცინო სპეციალობის საქმიანობის შესრულება. აღნიშნული ქმედება ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია გადაუდებელი აუცილებლობით. მიზანშეწონილია, სასჯელადსრულების ყველა დაწესებულებაში მუშაობდეს ერთი ფსიქიატრი მაინც. გარდა ამისა საჭიროა, განხილულ იქნეს და დამუშავდეს ფსიქოტროპული პრეპარატების დაშვების მიზანშეწონილობის იურიდიული ასპექტები ისეთ დაწესებულებებში, სადაც მათი ავადმყოფებისათვის მიწოდება აუცილებელია.

ე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის №1 საპრობილე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის №1 საპრობილეში, ისევე როგორც პენიტენციური სისტემის სხვა დაწესებულებებში, შექმნილია მძიმე მდგომარეობა, როგორც პატიმართა სოციალური მდგომარეობის კუთხით, ასევე სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით. სამედიცინო მომსახურების ხარისხი დაწესებულებაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული განპირობებულია სამედიცინო პერსონალის სიმცირით. დაწესებულებაში მუშაობს 1 ექიმი, 2 ექთანი და 1 ფარმაცევტი. დაწესებულების ახალი ადმინისტრაციის

ტრაცია საპყრობილეში შექმნილ სამედიცინო სიტუაციას ჯეროვნად ვერ აცნობიერებს. საპყრობილის დირექტორს მონიტორინგის ჯგუფის მიერ არაერთგზის განემარტა (9 სექტემბერი, 2006 წ.), რომ ექიმი და ექთანი – ეს სხვადასხვა პროფესიებია, თუმცა შეგვექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მისთვის ეს ორი ცნება აბსოლუტურად ერთსა და იმივეს ნიშნავდა; მისთვის სამედიცინო პერსონალისათვის წაყენებული ძირითადი კრიტერიუმია მხოლოდ მორიგეობა ლამის საათებში. საპყრობილის ერთადერთი ექიმი ვერც ერთხელ ვერ ვნახეთ, იმ მიზეზით, რომ ჩვენი ვიზიტის პერიოდებში იგი არასოდეს იმყოფებოდა სამსახურში. ჩვენი არაერთი მცდელობა, ავსულობით სამედიცინო ნაწილში და მედპერსონალთან ერთად გვესაუბრა არსებულ პრობლემებზე და განგვეხილა დახმარების საკითხები სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ნარუმატებლად მთავრდება. ერთ-ერთი ვიზიტის დროს, როდესაც შევეცადეთ შეგვემონებინა სამედიცინო დოკუმენტაცია, უშუალოდ დავათვალიერეთ მედპერსონალის ადგილსამყოფელი. სამედიცინო ნაწილში სანიტარიული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ადგილზე დავგვხვდა რამდენიმე თანამშრომელი. მათ შორის ჩვენს კითხვებზე პასუხობდა ფერშლის მოვალეობის შემსრულებელი რიტა ბექაური. ქალბატონ რიტა ბექაურს დავუსვით შეკითხვა კონკრეტული ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მოვთხოვეთ შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობა. მისი განმარტებით, იგი ვერ გვეტყვის 1 თვის წინ აქ რა ხდებოდა, იმიტომ, რომ „...ძველი დოკუმენტაცია არ არსებობს, ყველაფერი მათ აანყვეს, აქ იყო სრული ქაოსი და განუკითხაობა; ძველ ექიმს დოკუმენტაცია არ გადმოუბარებია, რის გამოც უფლება არ გვაქვს, ვახლოთ ხელი. ეს ციხეა და არა ქალაქის საავადმყოფო“. ჩვენს კითხვაზე – კონკრეტულად თუ რა სახის ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა ერთ-ერთ პაციმარს (გიორგი ჩ.), ქალბატონმა რიტა ბექაურმა გვიპასუხა, რომ „...ვინაიდან ჩვენთვის არ მოუმართავს, თქვენ უნდა მოუგვაროთ პრობლემა, ჩვენ არაფერ შუაში არა ვართ, ამიტომ მოუგვარეთ თქვენ“. როგორც ირკვევა სამედიცინო ნაწილში ჩანაწერები ინარმოება 10 ივლისიდან. რაც შეეხება შეკითხვას, გასული იყო თუ არა სამედიცინო კომისიაზე ავადმყოფი გიორგი ჩ., ქალბატონმა რიტამ გვიპასუხა, რომ „არც კომისიაზე არ გასულა, რადგან რომ არ მოუმართავს ჩვენთვის“. ალბათ, კომენტარი ზედმეტია ასეთ სიტუაციაში, როდესაც ექიმი მუდმივად ხელმიუწვდომელია, ხოლო საშუალო სამედიცინო პერსონალი ვერანაირ განმარტებას ვერ იძლევა.

ერთი თვის შემდეგ, საპყრობილეში განმეორებითი ვიზიტის დროს იქ ახალი ადმინისტრაცია დავგვხვდა. როგორც ჩანს, შეიცვალა მთავარი ექიმიც, რომელიც კვლავ არ იმყოფებოდა ადგილზე. სამედიცინო ნაწილში იგივე პრობლემებია. როგორც ერთ-ერთი ექთანი აღნიშნავს, საპყრობილის ახალმა ადმინისტრაციამ მათ მოსთხოვა მორიგეობა ლამით. მიუხედავად ამისა, მორიგეობის საფასური არ ანაზღაურდება. მისი განმარტებით, მას 160 ლარი აქვს ხელფასი, ცხოვრობენ ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში და ეს თანხა მას ყოველდღიური სატრანსპორტო ხარჯების დასაფარადაც კი არ ეყოფა. აღნიშნული პროტესტი სამედიცინო ნაწილის თანამშრომელმა გამოთქვა სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბატონ ბაჩო ახალაიას, თანდასწრებით, რაზეც დეპარტამენტის უფროსმა ფინანსური სიძნელების მოშველიებით სცადა ახსნა-განმარტების მიცემა ექთნისათვის.

ჩვენი ვიზიტის დროს №1 საპყრობილეში შევხვდით ერთ-ერთ პაციმარ ავადმყოფს, გიორგი დ.-ს. ავადმყოფს აღენიშნება ეპილეფსია და ბრონქული ასთმა (გადმოცემით). იგი № თვეა, რაც იმყოფება პაციმრობაში. ამ პერიოდში მას ექიმი საერთოდ არ უნახავს. უკიდურეს შემთხვევაში მასთან მიყავთ (მისი გადმოცემით) ექიმი, რომლის სახელია ზურა და იგი ამავე დაწესებულების პაციმარია. ანამნეზური მონაცემების შეგროვებით ირკვევა, რომ ავადმყოფს ეპილეფსიური გულყრა პირველად აღენიშნა № წლის წინ, ქალა-ტვინის მძიმე ტრავმის გადატანის შემდგომ. როგორც ავადმყოფი აღნიშნავს, მას ენციფალოგრამა გადაღებული აქვს. მას გულყრები ხშირად უვითარდება, საშუალოდ კვირაში 2-ჯერ ინტენსივობით. საკანში მყოფი სხვა პაციმრები აღნიშნავენ, რომ იგი საწოლის მეორევე სართულზე იძინებს. გულყრები უვითარდება როგორც გაღვიძებულ მდგომარეობაში, ისე უხშირესად ძილში. ამ დროს ავადმყოფი ხშირად ვარდება მაღალი საწოლიდან და იღებს სხვადასხვა ხასიათის ტრავმებს. სხვა პაციმრები აღწერენ გიორგი დ.-ს კრუნჩხვებს. სავარაუდოდ, კრუნჩხვები როგორც ტონური, ისე კლონური ხასიათისაა. პირიდან გადმოსდის ქაფი. აღნიშნულის შემდეგ კი



ავადმყოფი გადადის ძილის მდგომარეობაში. ბოლოს გულყრა აღენიშნა 2 დღის წინ. როგორც პატიმარი ავადმყოფი აღნიშნავს, ექთანს პერიოდულად შემოაქვს მასთან კეტანოვი, ფინლეპსინი და ეუფილინი, თუმცა ბოლო 7 დღის განმავლობაში, მისთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, მას შეუწყვიტეს წამლის მიტანა და იგი ვეღარ იღებს ამ ელემენტარულ პრეპარატებსაც კი. ჩვენ სამედიცინო ნაწილში ყოფნისას მოვთხოვეთ ახსნა-განმარტება ექთანს, თუ რატომ ვეღარ იღებს ავადმყოფი გიროგი დ. 1 კვირის განმავლობაში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის აუცილებელ პრეპარატებს. როგორც ექთანმა განმარტა, დაწესებულების ყოფილმა ექიმმა წამლები სეიფში ჩაკეტა და გასაღები არ დაუტოვებია. ერთ კვირიანი ლოდინის შემდეგ მათ სეიფი გატეხეს, რაზეც შედეგენილია შესაბამისი აქტი. სწორედ სეიფის გატეხვის შემდეგ ავადმყოფებს წამლების მიწოდება აღუდგათ. ალბათ ამ საკითხზეც კომენტარი ზედმეტია. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბატონ ბაჩო ახალაიას, თანდასწრებით, სამედიცინო ნაწილში მყოფ პირებს (ექთანი და ფარმაცევტი) ვთხოვეთ, წარმოედგინათ სამედიცინო დოკუმენტაცია. როგორც აღმოჩნდა, სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათები აქ არ არსებობს. არის რამდენიმე ჟურნალი. მათ შორის ჩვენ განსაკუთრებული დაინტერესება გამოვხატეთ სხეულის დაზიანებათა აღსანიშნავი ჟურნალის მიმართ, რაც ვერ ვნახეთ. ბოლოს, დაწესებულების ექთანმა წარმოგვიდგინა ჟურნალი, რომელსაც ეწერა 'საყოფაცხოვრებო ტრავმების ჟურნალი'. ჟურნალში გატარებული იყო 1 შემთხვევა, კერძოდ 2 თვის წინანდელი რეგისტრაცია, პატიმრის მიერ თავის ჩამოხრჩობის შესახებ. თვითონ ის ფაქტი, თუ რამდენად მიეკუთვნება სუიციდი (ამ შემთხვევაში თავის ჩამოხრჩობა) საყოფაცხოვრებო ტრავმას, ალბათ, განხილვას არ საჭიროებს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღშფოთება ვერ დამალა ბატონმა ბაჩო ახალაიამ.

2006 წლის 6 სექტემბერს, სასჯელალსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულებაში რამდენიმე პატიმარმა მიიღო სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, აღნიშნულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად მონიტორინგის ჯგუფი საპრობილში მივიდა 3 დღის შემდეგ.

პატიმარი **თამაზ შ.** მონახულებულ იქნა საპრობილის №- საკანში. საკანში განთავსებულია 18 ლოგინი, რეალურად კი მასში 30 პატიმარი იმყოფება. თამაზ შ.-ს გადმოცემით, დაახლოებით 4 დღის წინ, საღამოს, უკრაინა-საქართველოს საფეხბურთო მატჩის მიმდინარეობის პერიოდში გაიყვანეს დერეფანში, საკნის კარებიდან დაახლოებით 5-6 ნაბიჯით მარჯვნივ, სადაც იგი სრულიად გააშიშვლეს და დაუნყეს სასტიკი ცემა. როგორც თამაზ შ. აღნიშნავს, გაყავდათ 2-2 პატიმარი ერთად. ცემდნენ ხელკეტებით, ურტყამდნენ ხელებს და ფეხებს. ისინი, ვინც მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ, იყვნენ დაახლოებით 10-დან 15 პირი. ურტყამდნენ თავზე, ზურგისა და გულმკერდის მიდამოში, ქვემო კიდურებზე. იგი ცემის დროს ერთხელ წაიქცა. გასინჯვის მომენტში ავადმყოფი უჩივის თავის ტკივილს, მხედველობის დაბინდვას, გულისრევის შეგრძნებას. დილით ჰქონდა პირღებინება. სუნთქვისა და მოძრაობის დროს აქვს ტკივილი გულმკერდის მიდამოში, ასევე წელ-ზურგის არეში. გამოხატულია ნისტაგმი. ავადმყოფს თავის, გულმკერდის, წელ-ზურგისა და ზედა კიდურების მიდამოში აღენიშნება სხვადასხვა ხასიათის დაზიანება (სისხლნაჟღერებები, ნაჭდევები). ავადმყოფის გადმოცემით, ცემის შემდეგ, პირველ საათებში, მას აღენიშნებოდა მაკროჰემატურია (სისხლის შემცველობა შარდში), რომელიც 2-3 დღეს თანდათან ალაგდა და ამჟამად იგი სისხლნარევ შარდს ვერ აფიქსირებს. ავადმყოფი დაზიანებების მიღების შემდეგ ექიმს ან ექთანს არ უნახავს, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა. ჭრილობები არ არის დამუშავებული და შეხვეული, ავადმყოფს არანაირი სამედიცინო დახმარება არ აღმოჩენია არც უშუალოდ ტრავმის მიღების შემდეგ, არც შემდგომ პერიოდში, ჩვენი ვიზიტის პერიოდის ჩათვლით. (დიაგნოზი – ქალა-ტვინის დაზურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, გულმკერდის დაზურული ტრავმა, სხეულის სხვადასხვა მიდამოს ექსკორიაციები და სისხლნაჟღერებები, სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა).

პატიმარი **გურამ ვ.** საკანში მოვიხილეთ. გურამ ვ.-ს გადმოცემით, იგი 4 დღის წინ, საღამოს, გაიყვანეს დერეფანში, სადაც მთლიანად გააშიშვლეს და მიაყენეს სხვადასხვა ხასიათისა და ხარისხის ფიზიკური დაზიანებები. მას სცემდნენ ხელკეტებით, ურტყამდნენ ხელებს და ფეხებს. ცემის

დროს იგი დერეფანში წაიქცა, ცდილობდა, გონება არ დაეკარგა. გასინჯვის მომენტში ავადმყოფი უჩივის თავის ტკივილს, თავბრუსხვევას, გულისრევის შეგრძნებას. ცემიდან დაახლოებით სამი საათის შემდეგ ორჯერ აღენიშნა პირღებინება. პირღებინება კვლავ განმეორდა გუშინ (ერთჯერადად). სუნთქვისა და მოძრაობის დროს აქვს ტკივილი გულმკერდის მიდამოში, განსაკუთრებით მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში.

ამჟამად გულისრევის შეგრძნება კვლავ აქვს. გამოხატულია ნისტაგმი. ავადმყოფი აღნიშნავს, რომ მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა – ექიმი არ მოუყვანეს. ავადმყოფს სხეულის სხვადასხვა მიდამოში აღენიშნება სხვადასხვა ხასიათის დაზიანებები. ობიექტურად: მუცელი რბილია, პალპაციით მტკივნეულია, უპირატესად მარჯვენა ნახევარი. სუნთქვისას ზოგავს ამავე ნახევარს. ილეოცეკალური მიდამო პალპაციით განსაკუთრებით მტკივნეულია. ძლიერ მტკივნეულია ასევე ნეკნთარკალი (ზერელე შეხებითაც კი). სუნთქვითი მოძრაობები ასევე უკავშირდება ტკივილს. ავადმყოფი აღნიშნავს, რომ ცემის შემდეგ აღენიშნა მაკროჰემატურია (სისხლიანი შარდი). ავადმყოფი დაზიანებების მიღების შემდეგ ექიმს ან ექთანს არ უნახავს, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა. ქრილობები არ არის დამუშავებული და შეხვეული, ავადმყოფს არანაირი სამედიცინო დახმარება არ აღმოჩენია არც უშუალოდ ტრავმის მიღების შემდეგ, არც შემდგომ პერიოდში, ჩვენი ვიზიტის პერიოდის ჩათვლით. დიაგნოზი: ქალა ტვინის დახურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, გულმკერდის დახურული ტრავმა, სხეულის სხვადასხვა მიდამოს ექსკორიაციები და სისხლნაჟღერებები, სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა.

პაციმარი **ოთარ ბ.** ჩვენ მიერ მონახულებულ იქნა №1 საპრობილის №–საკანში. ოთარ ბ.-ს გადმოცემით, მისი ცემა მოხდა 6 სექტემბრის საღამოს, უკრაინა-საქართველოს საფეხბურთო მატჩის მიმდინარეობის პერიოდში. იგი გაიყვანეს დერეფანში, სადაც გააშინველეს და მიაყენეს ფიზიკური დაზიანებები. იგი დერეფანში გაიყვანეს მარტო. მას სცემდნენ ხელკეტებით, ურტყამდნენ ხელებსა და ფეხებს. პაციმარის გადმოცემით, მას 3 პიროვნება სცემდა, დანარჩენები კი უყურებდნენ ცემის ფაქტს. ისინი მას აგინებდნენ, გინების დროს ასევე ახსენებდნენ მის ეროვნებას და ამ ნიშნით, განსაკუთრებული სისასტიკით ურტყამდნენ. ოთარ ბ. აღნიშნავს, რომ ხელკეტი, რომელიც მას ხვდებოდა იყო ხის. ცემის დროს პერიოდულად წიხლებს ურტყავდნენ სასქესო ორგანოების მიდამოში, რის გამოც იგი ტკივილისაგან თითქმის გონებას კარგავდა. პერიოდულად ძირს ეცემოდა, შემდეგ კვლავ ფეხზე აყენებდნენ და აგრძელებდნენ ცემას.

ოთარ ბ. აღნიშნავს, რომ თავის მიდამოში დაარტყეს მხოლოდ ერთხელ, ისიც გაშლილი ხელის მოქნევით. ცემის მომენტში მან წამიერად დაკარგა გონება. პაციმარი აღნიშნავს, რომ ერთი პირი ურტყამდა ზურგის მხრიდან, ერთი მის პირისპირ იდგა, ხოლო მესამე ურტყავდა სასქესო ორგანოების არეში. სახეზე პერიორბიტული მიდამოები გამუქებულია, თუმცა საკანში არსებული განათების ფონზე გაძნელებულია აღნიშნულის შეფასება. გასინჯვის მომენტში ავადმყოფი უჩივის თავის ტკივილს, სუნთქვისა და მოძრაობის დროს აქვს ტკივილი გულმკერდის და მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში. ავადმყოფს თავზე, დაზიანების ნიშნები არ აღენიშნება. ანამნეზში, ავადმყოფი აღნიშნავს, რომ ბავშვობიდან აქვს ქრონიკული პიელონეფრიტი. ცემის შემდეგ მას ჰემატურია არ ჰქონია, თუმცა პირველი მოშარდვის შემდეგ იგრძნო ძლიერი სიმხურვალე და წვის შეგრძნება, ასევე დღემდე აღენიშნება ტკივილი სასქესო ორგანოების მიდამოში.

ავადმყოფი აღნიშნავს რომ მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა ექიმს ჯერჯერობით არ უნახავს. ავადმყოფს სხეულის სხვადასხვა მიდამოში აღენიშნება სხვადასხვა ხასიათის დაზიანება. ზურგის მიდამოში აღენიშნება სამი პოსტოპერაციული ქრილობის შეხორცების ნაწიბური, რომლებიც ამკარად გამოირჩევა დიდი ხანდაზმულობით. ავადმყოფის განმარტებით აღნიშნული შედეგია რამდენიმე წლის წინ ზურგის მიდამოში არსებული ნაკვეთი ქრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავებისა. ავადმყოფს ყველაზე უფრო შესამჩნევი დაზიანება სავარაუდო ცემის შემდეგ მიღებული აქვს ზურგის მიდამოს მარცხენა ნახევარში, კისრის VII მალის ნაზიდული მორჩიდან დაახლოებით 15-16 სმ-ით ქვემოთ, უპირატესად მარცხნივ აღნიშნება დაახლოებით 10-11 სმ სიგრძის ქრილობა.



ჭრილობა პირლია, კიდები შეცილებულია. სისხლდენა გასინჯვის მომენტში არ აღინიშნება. მიმდებარე ქსოვილებზე აღინიშნება შედედებული სისხლისა და კოლტების კვალი. ჭრილობა დამუშავებული არ არის, დაბინძურებულია. პალპატორულად ძლიერ მტკივნეულია წელ-ზურგის მიდამო, ორივე თირკმლის საპროექციო არეში, სადაც, როგორც ავადმყოფი აღნიშნავს ყველაზე უფრო მეტად ურტყამდნენ. ობიექტურად: მუცელი სუნთქვისას შეზღუდულია, განსაკუთრებით ზოგავს მარჯვენა ნახევარს. ავადმყოფს ილეოცეკალურ არეში აღინიშნება აპენდექტომიის შემდგომი ნანიბური; ასევე მარცხენა საზარდულის მიდამოში გადატანილი თიაქარპლასტიკის შედეგად ჩამოყალიბებული ნანიბური. მარჯვენა ფერდქვემა მიდამო შეხებისას და განსაკუთრებით პალპაციისას ძლიერ მტკივნეულია.

ავადმყოფი დაზიანებების მიღების შემდეგ ექიმს ან ექთანს არ უნახავს, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა. ჭრილობები არ არის დამუშავებული და შეხვეული, ავადმყოფს არანაირი სამედიცინო დახმარება არ აღმოჩენია, არც უშუალოდ ტრავმის მიღების შემდეგ, არც შემდგომ პერიოდში, ჩვენი ვიზიტის პერიოდის ჩათვლით. დიაგნოზი: გულმკერდის დაზურული ტრავმა, სხეულის სხვადასხვა მიდამოს ექსკორიაციები და სისხლნაჟღენთები, ზურგის მიდამოს მარჯვენა ნახევრის ნაფლეთოვანი ჭრილობა, სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა.

პატიმარი მიხეილ კ. მოვინახულეთ №1 საპრობილის №- საკანში. მიხეილ კ.-ს გადმოცემით, 6 სექტემბერს, საღამოს საათებში გაიყვანეს სხვა პატიმართან ერთად დერეფანში და ფიზიკური შეურაცხოვა მიაყენეს. სხვა, უკვე ნაცემი, პატიმრები იქვე იყვნენ მიყუდებული კედლებზე და მათ აყურებინებდნენ მორიგი ცემის ფაქტებს. აღნიშნულ პერიოდში, ავადმყოფის გადმოცემით, მას მოხვდა კეფის მიდამოში, ასევე უკნიდან მარჯვენა ბეჭისა და ზურგის მიდამოში. სავარაუდოდ, მას სცემდნენ გაშლილი ხელის მტევნით. იგი ცემის დროს არ ნაქცეულა, გონება არ დაუკარგავს. ამჟამად ტკივილი მცირე ინტენსივობისაა ზემოაღნიშნულ მიდამოებში. როგორც პატიმარი აღნიშნავს, სხვებთან შედარებით მისი დაზიანებები თითქმის უმნიშვნელოა და რაიმე კვალი მას უკვე აღარ აღინიშნება, რის გამოც იგი არ მიიჩნევს მიზანშეწონილად, დაგვათავალიერებინოს სხეულის დაზიანებული მიდამოები. სუნთქვისა და მოძრაობის დროს მას ტკივილი არ აღინიშნება. თავბრუსხვევა, გულისრევის შეგრძნება ან სხვა რაიმე მსგავსი ნიშანი არ განვითარებია. პატიმარს მარცხენა ლოყაზე აღინიშნება სიმსივნური წარმონაქმნი. პალპატორულად იგი უნდა იყოს შედარებით ზედაპირულად განთავსებული ცისტა. წარმონაქმნი რბილია, სავარაუდოდ, შეიცავს სითხეს. მიხეილ კ.-ს გადმოცემით, აღნიშნული წარმონაქმნი პირველად 1 წლის წინ შენიშნა; მას შემდეგ იგი ზომამში იმატებდა და მიიღო ამჟამინდელი ფორმა. ობიექტურად: მუცელი – რბილია, უმტკივნეულო. სუნთქვაში მონანილეობს თანაბრად, სიმეტრიულია. პერიტონეუმის გაღიზიანების ნიშნები არ აღინიშნება. გასინჯვის მომენტში ქირურგიულ დახმარებას არ საჭიროებს. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე არ მოუხახულებია არც ექიმს და არც ექთანს.

მიუხედავად აღნიშნული მდგომარეობისა, საპრობილის ადმინისტრაციას არ მიუღია ადეკვატური ზომები. დაზიანებების გამო პატიმრებს არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, არ აღწერილა დაზიანებების ფორმა, ხარისხი და ხანდაზმულობა დაზიანების ყურნალში, არ დანიშნულა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა და არ დაწყებულა გამოძიება მომხდართან დაკავშირებით. უფრო მეტიც, საპრობილის დირექტორმა რამდენჯერმე შეხვედრის დროს კატეგორიულად უარყო აღნიშნული ფაქტი და საუბრობდა საერთოდ, დაზიანებების არარსებობაზე. გავეცით რეკომენდაცია, რომ უნდა დაინიშნოს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა და სასამართლო სამედიცინო ექსპერტებს უმოკლეს ვადაში უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მოინახულონ ავადმყოფი, მის სხეულზე არსებული დაზიანებების ხასიათის, ხარისხისა და ხანდაზმულობის შესაფასებლად; ავადმყოფს უნდა მიენდოს ადეკვატური მოცულობის სამედიცინო დახმარება! საპრობილის ექიმმა მოინახულოს ავადმყოფი და მისი მდგომარეობა აღწეროს სამედიცინო დოკუმენტაციაში, ასევე, საჭროების შემთხვევაში გაუწიოს ადეკვატური სამედიცინო დახმარება; ავადმყოფი გადაყვანილ უნდა იქნეს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც უნდა ჩაუტარდეს გამოკვლევები.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის №5 დაწესებულება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის №5 დაწესებულება გამორჩეულ ადგილს იკავებს პენიტენციური სისტემის სხვა დაწესებულებებს შორის. სამედიცინო მომსახურების დონე ამ დაწესებულებაში მკვეთრად მაღალია ყველა სხვა დაწესებულებასთან შედარებით. საბოლოო ჯამში, არასრულწლოვანთა და ქალთა მიმართ აღმოჩენილი სამედიცინო მომსახურება შესაძლებელია, დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. დაწესებულების სამედიცინო ნაწილი განთავსებულია ცალკე შენობაში, რომელიც გარემონტებულია და სუფთად გამოიყურება. მასში სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სამედიცინო ნაწილში არის ცალკე განყოფილება ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტებისათვის. გარდა ამისა, დაწესებულების ყველა კორპუსში არსებობს სამედიცინო კაბინეტები, სადაც ხდება ავადმყოფების გასინჯვა და მცირე მანიპულაციების ჩატარება საჭიროების შემთხვევაში. ასეთ ტიპურ სამედიცინო ოთახში მოიპოვება სამედიცინო კარადა, მაგიდა, გასასინჯი ტახტი და ექიმის მაგიდა. სამედიცინო ნაწილში მუშაობს რამდენიმე ექიმი: ნაწილის უფროსი, პროფესიით ექიმი ფსიქიატრი, ასევე თერაპევტი, ქირურგი და საშუალო სამედიცინო პერსონალი. ექიმი სისტემატურად მორიგეობს ღამით. სამედიცინო პერსონალი აწარმოებს რეგულარულ შემოვლებს დაწესებულების ტერიტორიაზე და საჭიროების შემთხვევაში უწევს დახმარებას ქალთა და არასრულწლოვანთა კონტინგენტს.

ექიმი ამონმებს საკვების ხარისხს, განსაზღვრავს დისციპლინური სასჯელის მიზანშეწონილობის საკითხს, კონკრეტული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. დაწესებულებას აქვს მყარი კონტაქტები სასჯელაღსრულების სისტემის გარეთ მყოფ სამედიცინო დაწესებულებებთან. დაწესებულებაში მუშაობს ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“ პროექტი, რომლის ფარგლებშიც ავადმყოფებს უტარდებათ ადეკვატური სამედიცინო მომსახურება. კერძოდ, სამედიცინო ნაწილის უფროსის მოთხოვნით, დაწესებულებაში შემოდის ნებისმიერი საქართველოში რეგისტრირებული სამკურნალო პრეპარატი.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ცენტრ „ემპათიას“ კონსულტანტები, მედიცინის თითოეული დარგიდან შედიან დაწესებულებაში, სინჯავენ ავადმყოფებს, უტარებენ კონსულტაციას, უნიშნავენ მკურნალობას და მონაწილეობენ მკურნალობის პროცესში. საჭიროების შემთხვევაში, ამავე პროექტის ფარგლებში ავადმყოფებს უტარდებათ სრულყოფილი სადიაგნოზო გამოკვლევები. ადგილზე ტარდება ექოსკოპიური და რენტგენოსკოპიული კვლევები. სამედიცინო ნაწილის უფროსის და შესული ექიმ-კონსულტანტის დასკვნის საფუძველზე. ხშირია შემთხვევა, როდესაც ავადმყოფი გამოყავთ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან და მას უტარდება ისეთი მაღალტექნოლოგიური კვლევები, როგორცაა: კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, დოპლეროგრაფია, ენცეფალოგრაფია და ა.შ. ცენტრ „ემპათიას“ მიერ ავადმყოფებს ასევე უტარდებათ სხვადასხვა სახის ლაბორატორიული გამოკვლევები.

ბოლო პერიოდის მონაცემებით, არის შემთხვევები, როდესაც ავადმყოფი გაყავთ ქალაქის რომელიმე სამკურნალო დაწესებულებაში, და ცენტრი „ემპათია“ სრულად ან ნაწილობრივ ფარავს მკურნალობის საფასურს. იმავე პროექტის ფარგლებში სამედიცინო ნაწილის შენობაში გახსნილია ფსიქოთერაპიისა და არტ თერაპიის კაბინეტები. ემპათიას ფსიქოთერაპევტები სისტემატურად (ყველა საშუალო დღეს) ატარებენ ინდივიდურ და ჯგუფურ ფსიქოთერაპიულ სესიებს. მიმდინარეობს ასევე არტ თერაპიის კაბინეტის საქმიანობაც, რაც მეტად აუცილებელი მომენტია პატიმართა რეაბილიტაციის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნვა დაწესებულების ადმინისტრაციის ერთ-ერთ პრიორიტეტად არის დასახული, რის გამოც მოხერხდა აღნიშნული სისტემის აწყობა და მისი ეფექტური ფუნქციონა.



ზ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულება პენიტენციური სისტემის ცენტრალური სამედიცინო დანესებულება. იგი განთავსებულია 3-სართულიან შენობაში და შედგება, ძირითადად, ქირურგიული, თერაპიული და ფსიქიატრიული განყოფილებებისაგან. შენობაში შექმნილია სამკურნალო დანესებულებისათვის შეუფერებელი პირობები. დერეფნებში, პალატებსა და სხვა სათავსოებში სუფევს საშინელი ანტისანიტარია. ზოგიერთ მონაკვეთში შეუძლებელია გაჩერება სპეციფიკური სიბინძურის სუნის გამო. ქირურგიული დანესებულება განთავსებულია III სართულზე. აქვე მდებარეობს ეგრეთ წოდებული საოპერაციო ბლოკიც, რომელსაც ეს სახელწოდება მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს.

საოპერაციო ოთახი პირდაპირ უკავშირდება ე.წ. წინასაოპერაციოს, რომლის დანიშნულებაც, ალბათ, იდეაში ხელის დაბანა უნდა იყოს, თუმცა ჩვენი მონიტორინგის დროს განხორციელებული ვიზიტებისას აქ წყალი ან საერთოდ არ მოდიოდა, ან წვეთწვეთობით ჩამოედინებოდა ონკანიდან. ხელსაბან ოთახში არ მოიპოვება საპონი. ავადმყოფთა გასინჯვის შემდეგ ხშირად შეუძლებელია ხელის დაბანა. არ მოიპოვება არანაირი ანტისეპტიკური საშუალება ხელების დასამუშავებლად. საოპერაციოში დგას საშინელი სუნი. არ არის არც ერთი მონიტორი ან რაიმე სახის აპარატურა, თუ არ ჩავთვლით ერთადერთ სასუნთქ აპარატს — "ფშ-6", რომელიც აუცილებელია ენდოტრაქეული ნარკოზის ჩასატარებლად. როგორც საავადმყოფოს თანამშრომლები გადმოგვცემენ, საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც აღნიშნული სუნთქვის აპარატი არ ირთვება. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, თუ რა პირობებში მიმდინარეობს აქ ქირურგიული ოპერაციები.

ქირურგიულ განყოფილებაში განთავსებულია ასევე ე.წ. „რეანიმაცია“. ამ სახელწოდების წარმოთქმაც, საკმაოდ პირობითია, ვინაიდან იგი ვერ აკმაყოფილებს ამ პროფილის განყოფილებისათვის აუცილებელ ვერც ერთ მინიმალურ მოთხოვნას. „რეანიმაციის“ პალატა გადატვირთულია. მასში, როგორც წესი 12 ან მეტი ავადმყოფია. ზოგიერთი, სანოლების ნაკლოვანების გამო, წევს საკაცე-საგორებელზეც კი. რეანიმაციაში არ არსებობს არც ერთი მონიტორი და არც ერთი სუნთქვის აპარატი. ოთახში სუფევს საშინელი ანტისანიტარია, აუტანელი სუნი, სიბინძურე და ხმაური. სუფთა ოპერაციიდან გამოყვანილი პაციენტები წვანან იმათ გვერდში, რომლებსაც ჭრილობებიდან ჩირქი გადმოსდით. ზოგიერთი ავადმყოფი უგონოდაა, მათ აღენიშნებათ უნებლიე შარდვა და ნაწლავთა მოქმედება, რის შემდეგაც მხოლოდ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ თუ მიხედავს ვინმე. შეიძლება ითქვას, რომ აქ ავადმყოფები იმდენად მოუვლელნი და ბინძურები არიან, რომ შესული სპეციალისტის მიერ მათი გასინჯვაც კი ზოგჯერ შეუძლებელია. ჩვენ ვნახეთ შემთხვევა, როდესაც რეანიმაციაში მწოლიარე პაციენტებს აღენიშნებოდათ დატილიანება. ამ დანესებულებაში ავადმყოფთა მკურნალობისა და მოვლის ხარისხზე ელემენტარული შთაბეჭდილების შესაქმნელად მოგვყავს ერთი კონკრეტული მაგალითი:

პაციენტი ნასყიდა ხ. ავადმყოფი, ჩვილებს ვერ ადგენს, მრავალჯერადი ჩაკითხვისას ფრაგმენტულად აცხადებს, რომ აქვს პირის სიმშრალე, სუნთქვის გაძნელება, ტკივილები, რომლის ხასიათსა და კონკრეტულ ლოკალიზაციას ვერ აზუსტებს. **მოკლე ანამნეზი:** წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციისა და ანამნეზური ინფორმაციის შეგროვებით პატიმარს მიღებული აქვს მრავლობითი დაზიანება სხეულის სხვადასხვა მიდამოში ცემისა და თერმული ზემოქმედებების შედეგად. პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულების მიერ მონოდებული ფორმა №27 (გაცემულია --- 2006) მიხედვით ირკვევა, რომ ავადმყოფს დაესვა დიაგნოზი: თავის ტვინის დაჟეჟილობა, II ხარისხის შეშუპება, დამწვრობა მარჯვენა ბარძაყის გარეთა ზედაპირზე, გულმკერდის დაჟეჟილობა, მუცლის დახურული ტრავმა, მცირე ჰემატომა მენჯის ღრუში, ექსკორიაციები და სისხლნაჟღერებები სახესა და მთელს სხეულზე. 2006 წელს ავადმყოფი გადაყვანილი იქნა ქალაქის №- კლინიკურ საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში, საიდანაც პაციენტი დაბრუნებულ

იქნა უკან, პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულების რეანიმაციულ განყოფილებაში. მკურნალობა უტარდებოდა ლუცეტამით, დონორმილით, კავინტონით, ნეირორუბინით, კლაფორანით, ჰალოპერიდოლით, ციკლოდოლით, ტიბერალით, ამპიოქსითა და საინფუზიო ხსნარებით.

2006 წლის -- მიღებულ იქნა შეტყობინება პაციენტის გამოკვლევების ჩატარებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. აღნიშნული შეტყობინების საპასუხოდ მოხილვებულ იქნა ექიმ სპეციალისტთა მულტიდისციპლინური ჯგუფი. შესწავლას საფუძვლად დაედო ფორმა №27, კომპიუტერული ტომოგრაფიის დასკვნა. პაციენტი კონსულტირებულ იქნა კონსილიუმის წესით.

ობიექტური მონაცემები: ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა მძიმეა. გამოხატულია სხეულის ზოგადი შეშუპება. სანოლში მდებარეობა იძულებითი (თავი წამოწეულია, ორივე ქვემო კიდური მოხრილია მენჯ-ბარდაყისა და მუხლის სახსრებში), გამოხატულია ტრემორი, რომლის ინტენსიობა პერიოდულად იმატებს. დახედვით: კანი ფერმკრთალი, უსუფთაო (!); სახის, კიდურებისა და სხეულის სხვა მიდამოებში აღინიშნება მრავლობითი სისხლნაჟღენთი და ექსკორიაცია, რომლებიც დაფარულია კოლტებით და შეიმჩნევა „ბრილიანტის მწვანეთი“ დამუშავების კვალი. სხეული დაფარულია ცივი ოფლით, აღინიშნება ცხელება. მარცხენა ბარდაყის ლატერალურ ზედაპირზე აღინიშნება დიდი ზომის გავრცელებული დეფექტი, რომელიც ნაწილობრივ დაფარულია ნახვევით. ნახვევის ზედა კიდიდან მოჩანს ნეკროზული ქსოვილები. ჭრილობაზე ნახვევი მოიხსნა და დათვალიერდა. ჭრილობის კიდეები ანთებითი. ფსკერი და კიდეები დაფარულია უხვი ფიბრინული ნადებით. ნახვევი მთლიანად გაუღვნილია მძაფრი სუნის მოყვითალო ჩირქოვანი გამონადენით. ნახვევის მოხსნის შემდეგ მოჩანს უხვი ჩირქოვანი გამონადენი, სუსტად განვითარებული გრანულაციური ქსოვილი. დეფექტის ფორმა მოგრძო ოვალურია. იგი განთავსებულია მარცხენა ბარდაყის ლატერალურ ზედაპირზე ზედა და შუა მესამედების პროექციაზე. დეფექტის კიდეები შექმნილია კანით, კანქვეშა ქსოვილით, განიერი ფასციით და თეძო-წვივის ტრაქტით; ხოლო დეფექტის ფსკერს წარმოადგენს განიერი ფასციის გამჭიმავი კუნთის ნეკროზული ბოჭკოები, რომელიც დაფარულია ფიბრინის ნადებით და სუსტად წამოსული გრანულაციური ქსოვილით.

ჭრილობაში ასევე ისახება ბარდაყის წინა და უკანა ჯგუფის კუნთების (განსაკუთრებით ლატერალური განიერი კუნთი) ლატერალური კიდეების დაზიანებული ბოჭკოები. კანქვეშა ქსოვილი განლევულია, ტენდენცია კახექსიისაკენ. ხილული ლორწოვანი გარსები ფერმკრთალი. ძვალსახსროვანი სისტემის მხრივ აღინიშნება მსხვილი სახსრების (მუხლის, იდაყვის) აშკარა შეშუპება. მარჯვენა მტევანი იძულებით ფლექსორულ მდგომარეობაშია. ნებ-ფალანგთა შესახსრების მიდამოში, მტევანის დორსალურ ზედაპირზე რამდენიმე დამწვრობა (I ხარისხი), რომლის ირგვლივ მოჩანს „ბრილიანტის მწვანეთი“ დამუშავების კვალი. ამავე მტევანის საფრჩხილე ფალანგზე აღინიშნება ფრჩხილის ტრავმული მოცილება.

მტევანის სხვა საფრჩხილე ფალანგები დაჟეჟილია, ალაგ-ალაგ რბილი ქსოვილების მთლიანობა დარღვეულია, მოჩანს სისხლის კვალი. გულ-მკერდი დეფორმირებულია. დახედვით მკაფიოდ ისახება ნეკნები, მკერდის ძვალი და ნეკნთა რკალები, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის განლევვის გამო ძვლოვანი ელემენტები აბსოლუტურადაა გამოხატული დახედვით. მკერდის ძვლის ტარსა და სხეულს შორის შესახსრების ადგილი შეხებით ძლიერად მტკივნეულია. საფიქრებელია, რომ ადგილი აქვს გულმკერდის ყაფაზის შემადგენელი ელემენტების ტრავმას, რომლის საიდენტიფიკაციოდ აუცილებელია რენტგენოლოგიური კვლევა სხვადასხვა პროექციაში. სუნთქვა გახშირებულია, გამოხატულია მკვეთრი ტაქიპნოე (R'40).

გამოხატულია შერეული ტიპის მსტვენავი ქოშინი. მარცხენა ფილტივი აუსკულტაციით გაშლილია, ქვემო წილში სუნთქვა შესუსტებულია. მარჯვენა მხარეს სუნთქვა მოისმის მხოლოდ მწვერვალთან, რომლის ქვემოთ სუნთქვა არ მოისმინება. გულმკერდის მარჯვენა გვერდით ზედაპირზე აღინიშნება პლევრის ღრუს პუნქციის შემდგომი კვალი. Cor: ტონები აქცენტირებული, საძვერი გაძლიერებული,



მწვერვალზე მოისმინება სისტოლური შუილი. P-104, რითმული, საშუალო ავსებისა და დაჭიმულობის. T/A – 120/70 mmHg. ენა მომშრალი, დაფარულია მოთეთრო-მოყვითალო ნადებით. მუცელი ზომიერად შებერილია. მარჯვენა ფერდქვეშა მიდამო პალპაციით მტკივნეულია. პერიტონეუმის გაღიზიანების ნიშნები გასინჯვის მომენტისათვის არ ვლინდება. ნაწლავთა პერისტალტიკა მოისმინება. დეფეკაცია აქვს ყოველდღიურად. თირკმლები ბიმანუური პალპაციით არ იხილება, მათი საპროექციო მიდამო შეხებით მტკივნეულია. შარდის ბუშტში ჩადგმულია კათეტერი, შარდის მიმღებში დაახლოებით 100 მლ-მდე მუქი ფერის შარდი. ამჟამად ჰემატურია არ აღინიშნება.

ფსიქიკური სტატუსი: ავადმყოფის გამომეტყველება შეშინებული, გაოგნებული. კონტაქტში ერთვება გაჭირვებით, კითხვებზე პასუხობს დაყოვნებით, მოკლედ, ადეკვატურობა დარღვეულია. დროში, ადგილსა და გარემოში ორიენტაცია დარღვეულია. აღინიშნება ცნობიერების ტრანზისტორული დარღვევა; სხვა პაციმრებისა და თავისი გადმოცემით რომ „უსვამს ტომატი“ და ღამით, აღნიშნულის გამო, პერიოდულად ცდილობს ტანსაცმლის გახდას და მოშორებას; ხედავს, როგორ „დაფრინავენ ბუზები“ მის გარშემო; აცხადებს, რომ ხედავს „როგორ კვდება“, ჩაცემის ხმა, რომელიც პერიოდულად ეუბნება „ადექი“. აუტო და ალოფსიქიკური ორიენტაცია შენახული; ფიქსაციური და ანტეროგრადული (ფსიქო-ფიზიკური ტრავმის შემდგომი) მეხსიერება დარღვეულია; რეტროგრადული – შენარჩუნებულია. ყურადღების კონცენტრაციის მოკრების უნარი მკვეთრად დაქვეითებულია. სააზროვნო პროცესები შეყოვნებულია. სახეზეა შიშისა და დაზარალების განცდა და შესაბამისი რეაქციები. კრიტიკა საკუთარი მდგომარეობის მიმართ აქვს.

ნევროლოგიური სტატუსი: ცენტრალური ნერვული სისტემა: ცნობიერება დაბინდულია, თუმცა კონტაქტის დამყარება ნაწილობრივ შესაძლებელია. მარტივ დავალებებს ასრულებს. მეტყველება-დიზართრიული. კრანიალური ნერვები მნიშვნელოვანი პათოლოგიის გარეშე. მოტორული დეფიციტი არ აღინიშნება. ზედა და ქვედა კიდურებში მომხრელი ჯგუფის კუნთთა ტონუსი მომატებულია. სახის გამომეტყველება – ჰიპომიმური. მყესთა და მყეს-ძვალთა რეფლექსების საერთო ფონი ცოცხალი, ასიმეტრიული, მხარეობის გარეშე. აქსიალური რეფლექსები გაცხოველებული. ორმხრივ ინვევა კერერის ნიშანი. შარდვა კათეტერით.

დასკვნა: ანამნეზში საყურადღებოა გადატანილი სხვადასხვა ხასიათის ფსიქოფიზიკური ტრავმა, ტრავმის შედეგად განვითარებული თავის ტვინის დაჟეჟილობა, გულმკერდისა და სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, დამწვრობა; ყოველივე ჩამოთვლილს შედეგად მოჰყვა პნევმოთორაქსის განვითარება, ჭრილობის სუპურაცია და სხეულის სხვადასხვა მიდამოში ჰემატომის ფორმირება. ამჟამად ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ საყურადღებოა ქალა-ტვინის დაზარალებული ტრავმული დაზიანება (თავის ტვინის დაჟეჟილობა) ამიოსტატიკური სინდრომის ნიშნები. ფსიქიკური სფეროს მხრივ საყურადღებოა გაბრუების მდგომარეობა, ცნობიერების ტრანზისტორული აშლა, ფიქსაციური და ანტეროგრადული მეხსიერების მოშლა, რაც ანამნეზზე, ცნს-ის, სომატურ მდგომარეობასა და ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოწვეულია ქალა-ტვინის ტრავმისა და ინტოქსიკაციური ფონის შედეგად. გამოვლენილი ფსიქიკური აშლილობანი მიუთითებს ქალა-ტვინის გამოსატულ დაზიანებაზე (თავის ტვინის დაჟეჟილობა) და ასევე შესაძლოა მას ამძიმებდეს ინტოქსიკაციური ფონი (სავარაუდოდ, აციდოზი), რაც შესაძლოა, განპირობებულია რესპირაციული მექანიზმით. აღსანიშნავია, რომ პაციენტს არ უტარდება ადეკვატური მკურნალობა და იმყოფება შეუსაბამო ჰიგიენურ და მოვლის პირობებში. **პროგნოზი:** ინტენსიური თერაპიის დაუყოვნებლივ დაწყების გარეშე გარდაუვალია ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის კრიტიკული მოშლა და შემდგომი ლეტალური (სასიკვდილო) გამოსავალი. **დიაგნოზი:** სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, გულმკერდისა და მუცლის დაზარალებული ტრავმა, სხეულის სხვადასხვა მიდამოს ექსკორიაციები და სისხლნაჟღენთები; მარჯვენამხრივი პნევმოთორაქსი, მარცხენა ბარძაყის ლატერალური მიდამოს დამწვრობის შემდგომი სუპურაცია. ქალა-ტვინის დაზარალებული ტრავმა (თავის ტვინის დაჟეჟილობა), ამიოსტატიკური სინდრომის ნიშნები. გაბრუების მდგომარეობა, ტრანზისტორული დელირიოზული ჩართვებით (გამონვეული თავის ტვინის ორგანული დაზიანებით და ინტოქსიკაციური ფონით).

რეკომენდაციები: 1) ავადმყოფი სასწრაფო წესით უნდა იქნეს გადაყვანილი მრავალპროფილიან სტაციონარში ინტენსიური თერაპიის დანყოფინისა და დიაგნოზის შემდგომი სრულყოფის მიზნით (ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე); 2) ადეკვატური მულტიპროფილური მკურნალობისა და რეაბილიტაციის კურსის განსაზღვრა; 3) ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მუდმივი მონიტორინგი.

როგორც მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, ავადმყოფის მკურნალობის პროცესში ჩაურევლობა გარდაუვლად დამთავრდებოდა მისი სიკვდილით. საყურადღებოა, რომ მსგავსი ფაქტები არცთუ იშვიათად გვხვდება, რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანში ჩარევა და მათი მონიტორინგი, ჩვენი რესურსების გათვალისწინებით შეუძლებელია.

საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში ავადმყოფთა რაოდენობის გარკვევა ვერ მოვახერხებთ. აქ ხშირია შემთხვევა, როდესაც ექიმისა და ექთნის მოძიება შეუძლებელია. ავადმყოფთა უმრავლესობა ფეხით მოსიარულეა, ერთი შეხედვით, მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში მოვითხოვეთ სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათი, რომლის მოძიება შეუძლებელი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში შენობაში იმყოფებოდა განყოფილების გამგე. როგორც მან განგვიმარტა, მორიგე პერსონალს არანაირი შეხება არ აქვს ავადმყოფობის ისტორიებთან და ეს მას სრულიად ბუნებრივ და დასაშვებ ქცევად მიაჩნია. ჩვენი კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ განყოფილების გამგე შეტევაზე გადმოვიდა და ტონს აუწია. მოგვთხოვა დაგვეტოვებინა მისი განყოფილება. დამატებითი შეკითხვების შემდეგ განგვიმარტა, რომ ისტორიები სეიფშია ჩაკეტილი და თუ მისი ნახვა გვინდა, წინასწარ უნდა დავრეკოთ და შევუთანხმოთ მას, რომ დავგახვედროს დოკუმენტაცია. ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ არის დოკუმენტები ხელმიუწვდომელი მორიგე სამედიცინო პერსონალისათვის, მან განგვიმარტა: ისტორიები რომ დაიტოვოს, მას ავადმყოფები მოპარავენ; გარდა ამისა, შეუძლებელია ყველა ავადმყოფის ისტორია ჩაიბაროს და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საქმის კურსში იყოს. ჩვენი მორიგი შეკითხვის შემდეგ თერაპიული განყოფილების გამგე დაგვემუქრა კიდევც. ამის შემდეგ ჩვენ შევეცადეთ, ურთიერთობები საავადმყოფოს მთავარ ექიმთან გაგვერკვია, რომელმაც შეძლებისდაგვარად სიტუაცია განმუხტა და განგვიმარტა: „თქვენ რასაც ითხოვთ, ეგ კანონით დადგენილი ნორმაა და სხვა რომელი კანონი სრულდება, ეს რომ შესრულდესო?“ ალბათ, ამ შემთხვევაშიც კომენტარი ზედმეტია.

საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში ამჟამად მუშაობს 2 ექიმი – ფსიქიატრი და ექთანი. სანიტარი განყოფილებაში არ არის. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ფსიქიატრიული განყოფილებისათვის აუცილებელია სპეციალური კვალიფიკაციის მქონე სანიტრების ყოლა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ დანიშნულების შესრულების უზრუნველსაყოფად. ფსიქიატრიული განყოფილება მთლიანად ღიაა, ნებისმიერი ავადმყოფი თავისუფლად გადაადგილდება დერეფნებში, პალატებში, ეზოში. არაერთი ფაქტია ცნობილი, როდესაც მსგავსი თავისუფალი გადაადგილების შეუზღუდაობის დროს, ფსიქიკურად დაავადებულები ფიზიკურ ზიანს აყენებენ დანესებულებაში მყოფ სხვა პირებს. ჩვენი ვიზიტების დროს საკმაოდ ხშირად ჩნდება იმის ეჭვი, რომ ფსიქიატრიულ განყოფილებაში ზოგიერთი ავადმყოფის მოთავსება მიზანმიმართულად, და არა სამედიცინო დიაგნოზის გამო, ხდება. აღნიშნულს ხშირად ხელს უწყობს საკმაოდ გაუმართავი სასამართლო ფსიქიატრიული სამსახური და მის მიერ გაცემული, ზოგჯერ გასაოცარი დასკვნები. ყოველივე ამის გამო, სამკურნალო დანესებულებაში საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როდესაც ნამდვილად ფსიქიკურ ავადმყოფებს საიზოლაცია საკნებში ამწყვედვენ (ე.წ. კარცერი), ხოლო მსუბუქი ფორმების მქონე, ან საერთოდ რემისიის ფაზაში მყოფი პაციენტები თავისუფლად დადიან და ცხოვრობენ საავადმყოფოს პალატებში.

2006 წლის 18, 19 და 20 ივლისს ვიმყოფებოდით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებაში, ავადმყოფი პატიმრის – გიორგი მ.-ს მოსანახულებლად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით.



პატიმარი გიორგი მ., პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში პირველად მოთავსებულ იქნა 2005 წლის --. მიუხედავად ცენტრ 'ემპათის' ექსპერტთა არაერთი გაფრთხილებისა და წერილობითი დასკვნისა იმის შესახებ, რომ ავადმყოფი საჭიროებდა სრულყოფილ გამოკვლევას და შემდგომ მკურნალობას, 2006 წლის -- ავადმყოფი სტაციონარიდან განერილ იქნა. განერის შემდეგ, მდგომარეობის გაუარესების გამო, იგი სამ დღეში კვლავ იქნა დაბრუნებული პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში.

2006 წლის --დან, გიორგი მ.-ს დაავადების პროგრესირების ფონზე მდგომარეობა გამწვავდა, რის შემდეგ შეიქმნა არაერთი კონფლიქტური მდგომარეობა. აღნიშნულთან დაკავშირებით 2006 წლის -- პატიმარი მონახულვებულ იქნა ექიმ-ფსიქიატრის მიერ. ავადმყოფს გარეგანი დათვალეობით აღნიშნებოდა დაზიანებები სახის მიდამოში, მარცხენა თვალბუდის გავრცელებული ჰემატომა. უჩიოდა ტკივილს, მარცხენა თვალიდან მხედველობის გაუარესებას, სისხლჩაქცევებს.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, 2006 წლის -- გიორგი მ-ს მოუვიდა კონფლიქტი მედპერსონალთანაც და განყოფილებაში მყოფ სხვა ავადმყოფებთან, რის გამოც მან დამატებით მიიღო სხეულის დაზიანებები. მისი მდგომარეობის გამწვავებასთან დაკავშირებით, ავადმყოფი საჭიროებდა დაუყოვნებლივ გადაყვანას ფსიქიატრიულ სტაციონარში და ადეკვატურ მკურნალობას. აღნიშნულის შესახებ პირადად რამდენჯერმე ეცნობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ბ-ნ ლადო ჭიპაშვილს და მის მოადგილეს, ბ-ნ ირაკლი გიორგობიანს. საქმის კურსში იყვნენ ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურები. მიუხედავად ამისა, ავადმყოფის გადაყვანა ფსიქიატრიულ სტაციონარში არ მომხდარა და ნაცვლად ამისა, იგი მოთავსებულ იქნა ე.წ. „საიზოლაციო საკანში“ (კარცერი). ავადმყოფი ორჯერ მოვინახულეთ „საიზოლაციო საკანში“, სადაც არის გაუსაძლისი გარემო, ანტისანიტარია და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო პირობები. აღნიშნულ საკანში ავადმყოფის ყოფნა არის სასტიკი, არაადამიანური მოპყრობა და დასჯა. ფსიქიატრიული ავადმყოფის აგრესიული სტატუსის კუპირების მიზნით, მას რამდენჯერმე გაუკეთდა ინექცია, რის გამოც იმყოფებოდა ძილის მდგომარეობაში.

ავადმყოფ გიორგი მ-ს სამედიცინო ჩანაწერების ასლების მისაღებად წერილობით მივმართეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დირექტორს, ბ-ნ ალ. მუხაძეს. წერილი ჩაბარებულ იქნა კანცელარიაში. წერილის ასლზე კანცელარიამ გააკეთა მინაწერი და დაასვა დაწესებულების ბეჭედი.

განყოფილების გამგის მითითებით და პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილის ინფორმირებით, საავადმყოფოს ერთ-ერთი თანამშრომელი გაგზავნილ იქნა ქსეროასლების გადასაღებად. ჩვენს მას წინასწარ ავუნახლაურეთ ასლების გადაღების ღირებულება (10 ლარი). მიუხედავად 4 საათიანი ლოდინისა, ბატონმა ა. მუხაძემ სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლებს აუკრძალა ასლების გაცემა, იმ მოტივით, რომ მას ჯერ არ ჰქონდა განხილული სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსული წერილი.

2006 წლის -- ჩვენი ვიზიტის დროს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მქონდა შეხვედრა და საუბარი ბატონ ა. მუხაძესთან. ჩვენ შორის წარმართული საუბარი საბოლოოდ მწვავე კამათში გადაიზარდა იმის გამო, რომ ბატონი მუხაძე ცინიკურად მოიხსენიებდა საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენების ფრაგმენტებს, ხოლო ჩვენ შორის წარმოშობილი კამათის კულმინაცია გამოიწვია იმან, რომ ჩვენ და ბატონი მუხაძე „ვერ შევთანხმდით“ ზოგიერთი ქირურგიული დაავადების მკურნალობის, დიაგნოსტიკისა და პათოლოგიური მდგომარეობის კლასიფიკაციის სამედიცინო (ქირურგიულ) ასპექტებზე. აღნიშნული ფაქტი უნდა შეფასდეს როგორც პროფესიულ საქმიანობაზე ზენოლა, რაც საქართველოს კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აქედან გამომდინარე, გვიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ ბატონი მუხაძე ნშირად ერევა პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მომუშავე ექიმების

საქმიანობაში, მათ მიერ პროფესიული მოვალეობების შესრულებისა და სამედიცინო გადანაცვლების მიღების დროს. იმავე დღეს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა ფსიქიატრიული განყოფილების ექიმს, ქ. იმერლიშვილს; შედგა ასევე ოქმი, სადაც დამატებით დაფიქსირდა ქეთევან იმერლიშვილის მოსაზრებები პაციენტ გიორგი მ.-ს მკურნალობისა და შექმნილი მდგომარეობის თაობაზე (სტენოგრაფიული ჩანაწერის ფრაგმენტები მოყვანილია ქვემოთ).

საუბარი შედგა განყოფილების ექიმსა და ჩვენ შორის. ჩანაწერი მოიცავს იმ დეტალებს, როდესაც ექიმი ცდილობს, გაარკვიოს ურთიერთობები პაციენტის ოჯახის წევრებთან.

19 ივლისი 2006 წელი. 12:45

საუბარი შედგა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილის კაბინეტში.

- ქ.ი. — პატიმარ გ.მ.-ს, დიახ, მე მას ავადმყოფს ვერ ვუწოდებ! ჰქონდა რეაქტიული ფსიქოზი, ჩაუტარდა ექსპერტიზა, დაექვემდებარა მკურნალობას;
- ქ.ი. — მე მაგის დონეზე არ დავალ, რომ მოძახილებს ავყვე. ბიჭი არის ადეკვატური, ჯანმრთელია!
- ქ.ი. — გუშინწინ შემოვიდა ჩემს ოთახში. მე ვუთხარი, რომ მისი მკურნალი ექიმი არ ვარ. გადი აქედან! ცდილობდა, რომ გამოვეწვიე. თავის დროზე რომ შემხვდა მაგისი და, ქსეროასლის გადასაღებად მივდიოდი. ჩვენს საუბარს შეესწრო თქვენი (სახალხო დამცველის) წარმომადგენელი, მაღალი ბიჭია, ქერა, ისიც დამიდასტურებს!
- (იხსენებს ადრე მომხდარ ერთ-ერთ კონფლიქტურ საუბარს მასსა და ნ.მ.—ს შორის)
აი, გარეთ, ჩასახვევში შემხვდა ნ.მ. (გ.მ. — ს და)
- ნ.მ. — როგორ არის ჩემი ძმა?
- ქ.ი. — თქვენი ძმა დამაკმაყოფილებელია, გამოჯანმრთელებულია, ალაგდა რეაქტიული მდგომარეობა.
- ნ.მ. — ჩემი ძმა ნავა და შენც ზედ მიჰყვები! აქ წამლების გაყიდვა არ გაგივით! ეს თქვა ზოგადად საავადმყოფოზე და არა პირადად ჩემი მისამართით
- ქ.ი. — მე არ ავყვე, მაგათსავით ქუჩაში გაზრდილი ხომ არ ვარ?!
- ქ.ი. — ჩვენ გ.მ. გამოჯანმრთელებული გავწერეთ, ამის შემდეგ დაინყეს ნივილ-კვილი და მუქარები, მაგრამ მე ხომ არ ავყვებოდი?
- ქ.ი. — სულ ასეთი წამოძახილები იყო, მე ხომ არ ავყვებოდი? გ.მ-სნაირ გარეწარს ხომ არ ავყვებოდი?
- ქ.ი. — მე ვუთხარი გ.მ. — ს — „ნადი თენგიზთან (საუბარია ფსიქიატრიული განყოფილების გამგეზე) და ის გაგარკვევს“.
- გ.მ. — მე აქ ვერავინ ვერ გამწერს!
- ქ.ი. — განერიდან რამდენიმე დღეში გ.მ. უკან შემოაბრუნეს, რის საფუძველზე, მე არ ვიცი. არც წარიადია, ვინ გადმოიყვანა არ ვიცი. ამის შემდეგ მისი მკურნალი ექიმი გახდა ა.ქ. გ.მ. ასე მეპყრობა, გრძნობს დის ზურგს და გაგულავებულია. ისიც მემუქრება, ჟურნალისტია და მემუქრება! თუმცა მე პირადად არ მემუქრება, სხვისი პირით მითვლის მუქარებს.
- ქ.ი. — რაც შეეხება ბოლო კონფლიქტს, მე და ა.ქ. ვიყავით ექიმების ოთახში, უცებ შემოვიდა გ.მ. და მომაცხა:
- გ.მ. — შენ რა თქვი ჩემზე?
- ქ.ი. — შენ კი არა — „თქვენ“ შევეუსწორე მე.
- გ.მ.— არა შენ რა თქვი?!
- გ.მ. — გოგო ეხლა დაგამტვრევ ძვლებში.
- ქ.ი. — გადი და წესიერად ილაპარაკე, შენობით ნუ მომმართავ! შემდეგ გაიხურა კარი.



- ქ.ი. — ამას აკეთებს აბსოლუტურად ადეკვატურად. ეს არ არის ავადმყოფის საქციელი, იმიტომ, რომ აცნობიერებს.
- ქ.ი. — გ.მ. არ არის ის ავადმყოფი, რომელიც იძულებით მკურნალობას საჭიროებს. ვეყრდნობი იუსტიციის სამინისტროს ფსიქიატრიულ ექსპერტიზას.
- ქ.ი. — აქ თანამშრომლებს სჭირდებათ ამისთანა გარეწებისაგან დაცვა, პატიმრები კარგად არიან დაცული
- ქ.ი. — (აგრძელებს კონფლიქტის შესახებ თხრობას) ისევ შემობრუნდა ოთახში და მე ვუთხარი — გადი!
- გ.მ. — რას ქვია!
- ქ.ი. — გადი მეთქი.
- ქ.ი. — გადი!!!
- ქ.ი. — შემდეგ უნმანური სიტყვების კორიანტელი დააყენა.
- ქ.ი. — მე ვუთხარი – მაგისტანები სახლში მოიკითხე ოჯახში, რასაც მე მეძახი!
- ქ.ი. — შემდეგ გამოინია ჩემზე
- ქ.ი. — ატყდა ამბავი, კივილი
- ქ.ი. — ფარული აგრესია მანამდეც იყო, მისი დის ნაქეზებით გამონვეული. ეუბნებოდა „მაგან გაგ-ნერაო!“
- გ.მ. — მე ფეხებს ვერ მომჭამთო!
- ქ.ი. — მუშტი დამარტყა! მერე ბიჭები, პატიმრები დამეხმარნენ და ეს ხდებოდა ოთახის შესასვ-ლელთან. მაქვს ჰემატომა მარცხენა თხემის მიდამოში და სისხლნაჟღერებები მარცხენა მკლავზე.
- ქ.ი. — ადრე მედპერსონალის მიმართ არ ჰქონია აგრესია. როდესაც აგრესიული იყო, მხოლოდ ჩემს მიმართ იყო. შემდეგ ბოდიშიც მომიხადა, როცა იმყოფებოდა ავადმყოფურ მდგომარე-ობაში, საერთოდ, ზოგადად მედპერსონალს მოგვიხადა.
- ქ.ი. — ჩვენ მოვეფერეთ, რა მოხდა მერე რა...
- გ.მ. — მე ვერაფერს ვერ მიზამთ!
- ქ.ი. — რატომღაც ყოველთვის განერას აწვებოდა, ეს იმისმა დამ იცოდა. ალბათ, დას ტელეფონით ესაუბრებოდა. საიდან ან როგორ რეკავდა, ჩემთვის უცნობია, მაგრამ ესაუბრებოდა ტელე-ფონით,
- ქ.ი. — დაც მე მემუქრებოდა სხვისი გადმოცემებით,
- ქ.ი. — არ ვიცი რატომ მემუქრებოდა!
- ქ.ი. — მეორედ რომ გადმოიყვანეს აქ სპეც ეტაპით მოიყვანეს, მედ ბარათის გარეშე, ორშაბათს, კომისიის გარეშე.
- ქ.ი. — აშკარად ზურგი აქვს მის დას,
- ქ.ი. — არასამთავროების არაკოლევიალობა რომ დავინახე, პირდაღებული ვარ!
- ქ.ი. — რაც დაზიანებები მაქვს, ექსპერტიზას იმიტომ არ ვიტარებ, რომ ოფიციალური მიმართვა უნდა.
- ქ.ი. — მე ინტრიგანი არა ვარ, რომ ექსპერტიზა მოვინდომო,
- ქ.ი. — მე იმდენი შეგნება გამაჩნია, რომ არ ავყვე ამ კაცს.

2006 წლის —, კვლავ ვიმყოფებოდი პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარ გიორგი მ.-ს მოსანახულებლად. პატიმრის მდგომარეობა წინა დღეებთან შედარებით სტა-ბილურია. ცენტრ „ემპათიის“ მიერ საავადმყოფოში შეყვანილ იქნა ნეიროქირურგი, ნევროლოგი და ფსიქიატრი, რომლებიც სინჯავდნენ ავადმყოფს. მე კვლავ მივმართე დაწესებულების კანცელა-რიას და ადმინისტრაციას – ივლისს ჩაბარებული წერილის თაობაზე, რაზეც მივიღე პასუხი, რომ ასლებს ვერ გასცემდნენ რადგან დირექტორს წერილი კვლავ არ განუხილია. მე მოვითხოვე, რომ წერილი შეეტანათ დირექტორისათვის, თუმცა ამაზე მივიღე პასუხი: „მას სძინავს და ვერ გააღვი-ძებნ“.

ამგვარად, რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ მივიღეთ ინფორმაცია (თანხმობა ან უარი) და, შესაბამისად, ვერ მოვიპოვეთ ავადმყოფ გიორგი მ.-ს სამედიცინო ჩანაწერები, რაც აფერხებს სა-

კითხის შესწავლას და, გარდა ამისა, ავადმყოფი კვლავ ვერ იღებს ადეკვატურ სამედიცინო დახმარებას, უფრო მეტიც იგი აქამდე იმყოფება ე.წ. „კარცერში“.

ფსიქიატრიულ ავადმყოფთა გამოვლენა და მათი მკურნალობის მონიტორინგი, ჩვენ ერთი თვის წინ დავიწყეთ. ალბათ, აღმაშფოთებელი ფაქტია, როდესაც საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში უამრავი ფსიქიკურად დაავადებული ავადმყოფი იხდის სასჯელს, ხოლო მათი გადმოყვანა სამკურნალო ანდა სპეციალიზებულ დაწესებულებებში არ ხდება.

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ავადმყოფთა მკურნალობისა და მოვლის ხარისხზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად მოგვყავს კიდევ რამდენიმე მაგალითი:

ავადმყოფი ზვიად ო. ჩვენი ჯგუფის მიერ 2006 წლის -- შემონმდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეცვლილა. უჩივის ტკივილებს წელის მიდამოში, სიარულისა და ფიზიკური დატვირთვის შეზღუდვას, შრომის უნარის დაქვეითებას. როგორც ცნობილია, პატიმრობაში მყოფი ზვიად ო-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად მონვეული იყო კონსულტანტი ექიმი-ნეიროქირურგი, რომელიც გამოყო ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრის პრეზიდენტმა მარიამ ჯიშკარიანმა. მიუხედავად ამისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ექიმი საავადმყოფოში არ იქნა შეშვებული, შედგა შესაბამისი ოქმი.

სასჯელალსრულების დეპარტამენტის მხრიდან მიღებულია სიტყვიერი შეთანხმება, რომ ისინი დაუშვებენ ნეიროქირურგს ავადმყოფის მოსანახულებლად, თუმცა, ვინაიდან ჯერჯერობით დეპარტამენტიდან არ მოსულა ოფიციალური თამხმობა წერილობითი ფორმით, ნეიროქირურგის მიყვანა სამკურნალო დაწესებულებაში არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, ვინაიდან არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, საპრობილემების ადმინისტრაციები ყოველთვის არღვევენ ასეთ შეთანხმებებს და იქმნება უხერხული სიტუაციები როგორც მონვეული სპეციალისტის, ისე ავადმყოფის მხრივ. პატიმრობაში მყოფ ზვიად ო.-ს, ჩვენი მისვლის პერიოდში შესაძლებლობა მიეცა, აელო -- სასამართლოს განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე №-, რომლის თანახმადაც მას მიესაჯა მიესაჯა -- თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი თვალყურს ადევნებდა აღნიშნული პროცესის მიმდინარეობას, შეგროვილია საკმარისი მასალა, დაფიქსირებულია არაერთი სამართალდარღვევის ფაქტი, რომელთა შეჯამების შედეგად მომზადდება შესაბამისი რეკომენდაცია.

ავადმყოფი მალხაზ ზ.: მოვინახულეთ საიზოლაციო პალატაში. ავადმყოფმა მიიღო ცეცხლნასროლი დაზიანება თავის არეში ე.წ. „ბუნტის“ დროს. ინცინდენტის შემდეგ მას გაუკეთდა ნეიროქირურგიული ოპერაცია -- კლინიკაში. ტრავმის შემდეგ ავადმყოფს აღნიშნება ქვედა პარაპლეგია, ეპილფისიური გულყრები. არ უტარდება სათანადო მკურნალობისა და რეაბილიტაციის კურსი. იგი მოითხოვს სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას, რაც არ კმაყოფილდება; პროტესტის ნიშნად ავადმყოფი 21 აგვისტოდან შიმშილობს. მისი გადმოცემით, იღებს მხოლოდ მცირე რაოდენობით წყალს. შეწყვეტა ყოველგვარი წამლის მიღება. მისი თქმით, ოთხშაბათს გაიყვანეს იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივ სამედიცინო კომისიაზე. იგი ოთახში გადაიყვანეს ეტლით. მიუხედავად ამისა, კომისიის წევრთაგან არავის გაუსინჯავს. იგი ვერ იხსენებს აქვს თუ არა ჩატარებული თავის კომპიუტერული ტომოგრაფია. მისი ინფორმაციით, კომისიამ მიიჩნია, რომ მისი მკურნალობა ადეკვატურია და იგი არ საჭიროებს ნეიროქირურგიულ სტაციონარში გადაყვანას.

ცნობისათვის, პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას არც ნეიროქირურგიული განყოფილება აქვს და არც ნეიროქირურგი ჰყავს, შესაბამისად, მალხაზ ზ.-ს „მკურნალობა“ ამ დაწესებულებაში არანაირად არ არის გამართლებული. ავადმყოფი აღნიშნავს, რომ ძალზე ხშირად უჯითარდება გულყრები, საშუალოდ კვირაში სამჯერ. გულყრები იწყება ძირითადად ძილის



დროს. ავადმყოფი დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება დამბლის გამო. აღენიშნება ცხელება (38.0 გრადუსი). ავადმყოფს თავის ქალაზე, თხემის ძვლების საპროექციო მიდამოში, საგიტალური ნაკერიდან ოდნავ ლატერალურად აღენიშნება ნაწიბურით შემოფარგლული ხვრელი, რომელიც, სავარაუდოდ, უნდა იყოს ცეცხლნასროლი დაზიანების კვალი. ავადმყოფს ანუხებებს ძლიერი თავის ტკივილები, რომლებიც ხშირად აუტანელია. ტკივილი იწყება სპონტანურად, ხშირად აქვს დენის დარტყმის მსგავსი შეგრძნება, რასაც თან ახლავს სხეულის სხვადასხვა მიდამოს დაბუყება. ანალ-გეზიური პრეპარატები ტკივილის კუპირებას არ იწვევს. ვინაიდან მან შიმშილობასთან ერთად უარი განაცხადა წამლების მიღებაზეც, შეწყვეტილი აქვს ეპილეფსიის სანინაალმდეგო პრეპარატების მიღებაც.

ავადმყოფის გადმოცემით, მას იშვიათად ნახულობს ექიმი. თუმცა ხშირად დაჰპირებია მთავარი ექიმი დ. ასათიანი, რომ მოინახულებდა და გაარკვევდა მის მდგომარეობას, იგი პრაქტიკულად არ ნახულობს ავადმყოფს. აღსანიშნავია, რომ იმ იზოლირებულ პალატებში, სადაც ავადმყოფები არიან მოთავსებულნი, შექმნილია კატასტროფული სანიტარიული მდგომარეობა. ოთახის ტემპერატურა ძალიან მაღალია, თითქმის შეუძლებელია სუნთქვა. ირგვლივ სიბინძურეა, სპეციფიკური სუნი, კედლები, ჭერი და იატაკი თითქმის სრულადაა დაზიანებული. კედლებსა და ჭერში ბუდობენ ვირ-თხები, თავგები, მწერები და ქვეწარმავლები. განუწყვეტლივ ისმის კედლებიდან ვირთხების ხმა. შეიძლება ითქვას, რომ შექმნილია გაუსაძლისი პირობები და ამ სიტუაციაში პაციმრებისა და, მით უფრო, უმძიმესი ავადმყოფების ჩამწყვდევა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც მათი მკურნალობა აშკარად არაადეკვატურია ან საერთოდ არ ტარდება, არის სასტიკი, არაადამიანური მოპყრობა და დასჯა.

როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, პაციმარს გამოცხადებული აქვს შიმშილობა იმ მოტივით, რომ მოითხოვს ადეკვატურ სამედიცინო დახმარებაზე ხელმისაწვდომობას. ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით, შიმშილობამ შესაძლოა, გამოიწვიოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის კრიტიკული მოშლა. აღნიშნული ჩვენ განვუმარტეთ პაციენტს, მიუხედავად ამისა, იგი არ ცვლის გადაწყვეტილებას. პაციენტს ვთხოვეთ არ შეეწყვიტა წყლის მიღება მაინც და უარი არ ეთქვა მედიკამენტების მიღებაზე, რაზეც ნაწილობრივ დაგვთანხმდა. ადგილობრივი მედპერსონალი, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით დიდად არ იწუხებს თავს.

საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“, 55-ე მუხლის (დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის დამოკიდებულება მოშიმშილე პაციმრის ან დაკავებულის მიმართ), 2-ე პუნქტის შესაბამისად, „პაციმრის ან დაკავებულის მიერ საკვების მიღებაზე უარის განცხადების შემთხვევაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია აცნობოს პაციმარს ან დაკავებულს საკვების მიღებაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგების შესახებ, აგრეთვე აცნობოს მას, გაუწევს თუ არა იგი სამედიცინო მომსახურებას შიმშილობის შედეგად უგონო მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში“. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, კანონით გათვალისწინებული ეს ვალდებულება არ სრულდება.

ავადმყოფი ჯემალ შ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დანესებულებაში ყოფნისას ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ე.წ. იზოლაციურ პალატებში მყოფ პაციმარ ჯ.შ.-ს მიღებული ჰქონდა ზედა კიდურის ტრავმა. პაციმარს პარალიზებული აქვს მარჯვენა ზედა კიდური. მეტყველება დიზართრიული. მისი და სხვა იქ მყოფი ავადმყოფების გადმოცემით, ავადმყოფი გადმოვარდა სანოლიდან და დაეცა იატაკზე მარჯვენა ხელით. უკვე მეორე დღეა, ავადმყოფი უყურადღებოდ იმყოფება. იგი წამომჯდარია ლოგინზე. მგრძობელობის მოსპობის გამო ტკივილის ინტენსიობა არასაკმარისია, კიდური დეფორმირებულია. მოძრაობა მხრის სახსარში მოსპობილია (თუმცა საფიქრებელია, რომ პარეზის გამო ეს ნიშანი ტრავმამდეც იქნებოდა გამოხატული).

მარჯვენა მხრის ლატერალური და დელტისებური მიდამო დეფორმირებულია, მოზიდულია შიგნით და წინ. ლავინის ძვლის საპროექციო მიდამო ასევე დეფორმულია. შეხებით აღინიშნება კრეპიტა-

ციის შეგრძნება. გამოხატულია მხრის სარტყლის მცირე შეშუპება. ავადმყოფს ტრავმის შემდეგ გადაუღეს რენტგენოგრაფია. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, რომელიც ავადმყოფობის ისტორიას ეყრდნობა, რენტგენოლოგიურად გამოხატულია მარჯვენა ლავინის აკრომიული ნაწილის მოტეხილობა, ცდომით. მიუხედავად ამისა, ავადმყოფს უკვე მეორე დღეა, არანაირი სამედიცინო დახმარება არ უტარდება. არ არის გაკეთებული ფიქსაცია კი. ვინაიდან ავადმყოფს მანამდეც უჭირდა დამოუკიდებლად გადაადგილება, ასეთ პირობებში მისმა ნებისმიერმა უეცარმა მოძრაობამ ან განმეორებითმა ტრავმამ შესაძლებელია, მოტეხილი ფრაგმენტებით გამოიწვიოს მაგისტრალური სისხლძარღვების ან ნერვების დაზიანება, რაც უმძიმეს შედეგებს გამოიწვევს. ავადმყოფს პირველი დახმარება უნდა გაეწიოს ქირურგიული განყოფილების ექიმის მიერ. მოწვეულ უნდა იქნეს ექიმი-ტრავმატოლოგი, რომელიც განსაზღვრავს შემდგომი მკურნალობის ტაქტიკას. აღნიშნული რეკომენდაციაც სამწუხაროდ არ შესრულებულა.

2006 წლის ----, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგისა და გამოძიების დეპარტამენტის დავალებით ვიმყოფებოდი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, ავადმყოფ **ალან ვ.**-ს (30 წლის) ჯანმრთელობის მდგომარეობის გასარკვევად.

ავადმყოფი ა. ვ. 2006 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში სამჯერ მოვინახულებეთ. 26 სექტემბერს ვენეციეტ მას მეოთხედ, რის გამოც შესაძლებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის დინამიკის შესახებ მსჯელობა.

ავადმყოფი ა.ვ. მსჯავრდებულთა და პატიმართა სამედიცინო დაწესებულებაში შემოყვანილია სასწრაფო დახმარების მანქანა „03“-ის მიერ, სად მე-5 საპყრობილიდან. ამ უკანასკნელში კი ა.ვ. მიყვანილ იქნა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან, სადაც ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, რაც მისი დაკავებით დასრულდა, ა.ვ.-მ მიიღო ქვემო კიდურების ცეცხლნასროლი დაზიანებები.

როგორც სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათიდან №- ირკვევა, ა.ვ. მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მიყვანილ იქნა 2006 წლის 11 ივნისს, 00 სთ-ზე. **შემოსვლის დიაგნოზი:** ორივე ქვემო კიდურის მრავლობითი ცეცხლნასროლი ჭრილობები, მარცხენა წვივის ძვლების ღია, დამსხვრეული მოტეხილობა, ტერფის I-II თითების ტრავმული ამჟღავნება, პოსტჰემორაგიული ანემია, ტრავმული და ჰემორაგიული შოკი I.

სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათში **კლინიკური დიაგნოზის** სახით გამოტანილია: მარცხენა წვივის ძვლების მოტეხილობა შუა მესამედში, ტერფის I-II თითების მოტეხილობა, ნ. პერონეუს-ის (წვივის ნერვი) ტრავმული დაზიანება.

ავადმყოფი შემოსვლისას იმყოფებოდა უმძიმეს მდგომარეობაში. როგორც ჩანანერიდან ირკვევა, არტერიული წნევა ჰქონია **120/80 mmHg**. 12 ივნისს ჩატარებული სისხლის საერთო ანალიზის მიხედვით – **Hb-50, Er-1,8**, ანუ სახეზეა მძიმე ანემია, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეული უნდა ყოფილიყო სისხლის დიდი რაოდენობით დანაკარგით. ჩვენ მიერ ავადმყოფის პირველად მონახულების დროს იგი იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში, შემდგომი ვიზიტის დროს შემოვიდა კონტაქტში (რუსულ ენაზე). ჩვენი პირველი ორი ვიზიტის დროს ავადმყოფი იმყოფებოდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ე.წ. რეანიმაციულ განყოფილებაში. ჭრილობებიდან მოდიოდა მოყვითალო, მძაფრი სუნის მქონე ჩირქოვანი გამონადენი. კიდური იმყოფებოდა ჩონჩხოვან დაჭიმვაზე. ნახვევები შეუცვლელი, ავადმყოფი მოუვლელი. უჩიოდა ტკივილს, მაღალ ცხელებას. ამ მდგომარეობაში ავადმყოფი საკმაო ხანს იმყოფებოდა.

ისტორიაში მოიპოვება 20/VI დათარიღებული ნევროპათოლოგის ჩანანერი, რომელმაც, სავარაუდოდ, ავადმყოფი მოინახულა ე.წ. რეანიმაციულ განყოფილებაში. ნევროპათოლოგის ჩანანერი შესრულებულია ნახევარ ფურცელზე, რომელიც შემდგომ ჩაკრულია ისტორიაში. ალბათ, უნდა



ვივარაუდოთ, რომ ნევროპათოლოგის ვიზიტის დროს ისტორია ხელმიუწვდომელი იყო, რის გამოც ჩანანერი სხვა ფურცელზე გაკეთდა. თვითონ ჩანანერი საკმაოდ მწირია და თითქმის არაფრის მთქმელი – მარჯვენა ტერფის პარეზი, მარცხნივ მოტეხილობა. საჭიროა ნეიროქირურგის კონსულტაცია. ნევროპათოლოგი დანიშნულების სახით წერს ნეირომიდინს, ნეირორუბინინს და პლაზმოლს. ამით ამოიწურება, სამწუხაროდ, ნევროპათოლოგის კავშირი პაციენტთან (ყოველ შემთხვევაში, დოკუმენტურად მხოლოდ აღნიშნულის დადასტურებაა შესაძლებელი). ქირურგიული განყოფილების ექიმის, --ის განმარტებით, 2006 წლის 27 ივნისს მათ დაწესებულებაში იმყოფებოდა ექიმი ანგიოლოგი ს.ვ., რომელიც სხვა ავადმყოფთან იყო მოწვეული კონსულტანტის სახით. ანგიოლოგის ვიზიტით ისარგებლეს ადგილობრივმა ექიმებმაც და გაასინჯეს ავადმყოფი ა.ვ.. როგორც ისტორიიდან ირკვევა, ანგიოლოგის ჩანანერი მოიცავს შემდეგ ტექსტს: „ავადმყოფს აღენიშნება მარჯვენა წვივის ზედა მესამედის ცეცხლნასროლი გამჭოლი ჭრილობა, რომელიც მიიღო 3 კვირის წინ. აღნიშნავს თითებში მგრძნობელობის დაქვეითებას, ტერფში გამშლელი მოძრაობა არ ხერხდება. შემავალი ჭრილობა კანჭის გარე (არ იკითხება) ნერვის განშტოების მიდამოშია. პალპაციით აღინიშნება ტკივილი, დენის დარტყმის შეგრძნება. არ არის გამორიცხული ნ. პერონეუს-ის ტრავმული დაზიანება, რაც შეიძლება დაისვას ელექტრომიოგრაფიის მეშვეობით. შეიძლება სიმპტომური მკურნალობა ნერვის კონტურის პროექციაზე (არ იკითხება). დიაგნოზი – ნ. პერონეუს-ის კონტუზიო?, ტრავმული დაზიანება?!“

ანგიოლოგის ჩანანერის შემდეგ ავადმყოფის დიაგნოზში ჩნდება უკვე რომ საქმე გვაქვს ასევე ნ. პერონეუს-ის დაზიანებასთანაც. თუმცა ნერვის დაზიანების ხასიათსა და ხარისხზე არანაირი ცნობები არ მოიპოვება. აღსანიშნავია, რომ ადამიანის ანატომია საერთოდ არ იცნობს წარმონაქმნს (ნერვს) ნ. პერონეუს-ის სახით. საფიქრებელია, რომ ექიმები გულისხმობენ იმ ოთხი ნერვიდან ერთ-ერთს, რომელთა დასახელება შეიცავს სიტყვა „პერონეუს“-ს (ნ. პერონეუს ცომპუნის, ნ. პერონეუს პროფუნდუს, ნ. პერონეუს პროფუნდუს აცცესსორიუს, ნ. პერონეუს სუპერფიციალის), ანუ შეიძლება ითქვას, რომ კვლავ გაურკვეველია, რომელი ნერვის დაზიანებასთან გვაქვს საქმე.

სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათში მოიპოვება მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმის მიმართვა ლუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრის დირექტორის სახელზე (№10/31/3-1789), რომელიც 11 ივლისის რიცხვითაა დათარიღებული. როგორც ამ დოკუმენტის შინაარსიდან ირკვევა მთავარი ექიმი მიმართავს თხოვნით ლუდუშაურის სახ. კლინიკის ხელმძღვანელს, რათა მან მისდამი რწმუნებული დაწესებულებიდან „მოავლინოს შესაბამისი სპეციალისტები“ პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ავადმყოფ ა.ვ-ს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით. მიუხედავად ამისა, როგორც მთავარ ექიმთან პირადი გასაუბრებით და ისტორიის დეტალური შემოწმებით ირკვევა, აღნიშნულ წერილზე არანაირი რეაგირება არ მომხდარა და იგი არ ქცეულა რაიმე ქმედით მექანიზმად ადეკვატური მკურნალობის დასაწყებად.

ავადმყოფ ა.ვ-ს სამედიცინო ჩანანერებს შორის ასევე საინტერესოა 2006 წლის 26 ივლისს ჩატარებული ოპერაციის ოქმი, რომელიც მიერ სრულიად ამოვწერეთ:

თარიღი – 26/VII – 2006 1100-1200.

ოპერაციის ოქმი №59

წინასაოპერაციო დიაგნოზი: ორივე ქვედა კიდურის ღია ცეცხლნასროლი მოტეხილობა

ოპერაციის შემდგომი დიაგნოზი: იგივე

ოპერატიო: მარცხენა წვივის დიდი ძვლის ოსტეოსინთეზი ლითონის ფირფიტით

გაუტკივარება: ენდოტრაქეული ნარკოზი

„ენდოტრაქეული ნარკოზის პირობებში მარჯვენა ქვედა კიდურზე გამოიცივალა თაბაშირის ნახვევი. მარცხენა ქვედა კიდური მოიხსნა დაჭიმვიდან. გაკეთდა განაკვეთი წვივის ლატერალურ ზედაპირზე, ზომით 12 სმ. რასპატორით გაითიშა ქსოვილები, აღინიშნება რბილი ქსოვილების ინტერპოზიცია მოტეხილ ფრაგმენტებს შორის, რომელიც მოცილდა. გაკეთდა ფრაგმენტების რეპოზიცია. ოსტეოსინთეზი ლითონის ფირფიტით. ჰემოსტაზი სრული, ჭრილობაში ჩატოვებულ იქნა რეზინის ფილთა, დაედო თაბაშირის უკანა ლაროვანი ნაკერი“.

აღსანიშნავია, რომ ანესთეზიოლოგის ჩანაწერი ისტორიაში გაკეთებულია მხოლოდ ერთჯერადად და ისიც **რუსულ** ენაზე. მისი ნაკითხვა თითქმის შეუძლებელია.

ისტორიაში მოიპოვება ასევე პერიოდული კურსუსები, რომლებიც, სავარაუდოდ, ასახავს ავადმყოფის მდგომარეობას და ასევე უნდა ასახავდეს მკურნალობის დეტალებს. მეტად საყურადღებო და, ამასთან, საგანგაშო ფაქტია ის, რომ ისტორიაში ბოლო ჩანაწერი თარიღდება 2006 წლის 31 აგვისტოს რიცხვით. ესე იგი, თითქმის ერთი თვის განმავლობაში სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათი პრაქტიკულად არავის მოუკითხავს.

საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, VII თავი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს **ავალდებულებს** აწარმოოს სამედიცინო ჩანაწერები. 56-ე მუხლი – „1. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია თითოეული პაციენტისათვის აწარმოოს სამედიცინო ჩანაწერები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. გარდა აღნიშნულისა, იმავე მუხლის მე-2 პუნქტი, სხვა მოთხოვნების გათვალისწინებასთან ერთად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს ჩანაწერების წარმოებისას აუცილებელ პირობად უდგენს, რომ:

- „ა) სამედიცინო ჩანაწერები შესრულდეს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად“. როგორც უკვე მოყვანილი ფაქტიდან ჩანს, ისტორიაში არსებობს ჩანაწერის რუსულ ენაზე შესრულების პრეცედენტი.
- ბ) სამედიცინო ჩანაწერები იყოს სრულყოფილი. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტმა სამედიცინო ჩანაწერების თითოეული ნაწილი (პაციენტის პიროვნული, სოციალური, სამედიცინო და სხვა მონაცემები) სრულად უნდა შეავსოს“ ამ მხრივ კვლავ დიდ პრობლემებთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ჩანაწერთა უმრავლესობაზე ვერ ითქმევა რომ ისინი სრულყოფილია, ან რეალურად ასახავს ჩატარებულ ღონისძიებებსა თუ ავადმყოფის მდგომარეობას. მაგალითად არ განირჩევა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც მოტეხილობის შემდეგ ავადმყოფს ჩაუტარდა ჩონჩხოვანი დაჭიმვა.
- გ) სამედიცინო ჩანაწერებში ინფორმაცია დაფიქსირდეს დროულად და განსაზღვრულ ვადებში ინფორმაციის დროულობაზე საუბარი ალბათ საერთოდ არამართებულია ამ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც ავადმყოფ ა.ვ.-ს, ასევე ამ სამკურნალო დაწესებულების სხვა პაციენტთა ისტორიებში ჩვენ ხშირად შევხვდებით ასეთი სახის ჩანაწერს: „დასვენების დღეები“. საფიქრებელია, რომ ამ ფრაზის დანერგვას ექიმები ალბათ შაბათ-კვირას გულისხმობენ, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ავადმყოფთან, მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან ამგვარი მიდგომა საკითხისადმი ალბათ სულ მცირე უპასუხისმგებლობას ნიშნავს და თვით ეს ფაქტი აღმაშფოთებელია (!).
- დ) სამედიცინო ჩანაწერები ადეკვატურად ასახავდეს პაციენტის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს; ამ პუნქტის კომენტარი ალბათ სავსებით ზედმეტია.
- ე) სამედიცინო ჩანაწერების ყოველი ახალი ნაწილი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტმა დაამონტაჟა მკაფიო ხელმოწერით, არსებული წესის მიხედვით.“ (კომენტარი ზედმეტია).

რაც შეეხება 56-ე მუხლის ბოლო მე-3 პუნქტს, ამ მხრივაც კანონის სრულ დარღვევასთან გვაქვს საქმე. კანონის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ, „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო ჩანაწერების შენახვის არსებული წესი. იგი ვალდებულია



სამედიცინო ჩანაწერები გააცნოს მესამე პირს მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“. სამედიცინო დოკუმენტაციის შენახვის წესი, ალბათ, საერთოდ უცნობი ცნებაა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამედიცინო დანესებულებისათვის. არაერთხელ იქნა დავაფიქსირეთ ის ფაქტი, რომ სამედიცინო დოკუმენტები პრაქტიკულად მიუწვდომელია დღე-ღამის ნებისმიერ მომენტში, მათ შორის სამუშაო საათებშიც კი. კონკრეტულ შემთხვევაში, ავადმყოფ ვაზაევის ავადმყოფობის ისტორია ჩვენ ვერ წარმოგვიდგინეს მოთხოვნის შესაბამისად.

არც განყოფილების გამგეს, არც დანესებულების მთავარ ექიმს ხელი არ მიუწვდებოდათ ამ დოკუმენტაციაზე. მათივე განმარტებით ისტორიები ჩაკეტილია სეიფში, სეიფის გასაღები კი გაურკვეველ პირებს აქვთ, რომელთა მოძიება შეუძლებელია. მთავარი ექიმის, დ. ასათიანის განმარტებით, ისტორია უნდა ჰქონოდა ექიმ თ.ჯ.-ს, რომელიც არ იმყოფებოდა საავადმყოფოში. მასთან მობილური ტელეფონით დაკავშირება შეუძლებელი იყო. მთ. ექიმის განმარტებით, იგი გუშინ იყო მორიგე და დღეს, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო მცხეთაში. განმეორებითი დარეკვის შემდეგ, თ.ჯ.-მ განაცხადა, რომ იგი სადაცაა გამოჩნდებოდა სამკურნალო დანესებულებაში. თუმცა აღნიშნულის შემდეგ ჩვენ მას დაახლოებით 1 სთ-სა და 40 წუთის ველოდეთ. განყოფილების გამგემ აგვისხნა, რომ ისტორია სეიფშია ჩაკეტილი და მკურნალ ექიმს აქვს, ვინაიდან მათ ახლო წარსულში დაკარგეს ისტორია და მათზე საქმეა აღძრული. ამიტომ, ისინი ისტორიების კვლავ დაკარგვის პრევენციას ამ მეთოდებით აღწევენ.

აღსანიშნავია, რომ ავადმყოფობის ისტორია უნდა ინახებოდეს სამედიცინო პერსონალთან სამუშაო საათებში, ხოლო შემდეგ ისინი უნდა გადაბარდეს მორიგე პერსონალს, იმგვარად, რომ ნებისმიერ დროს იყოს ხელმისაწვდომი და არსებობდეს იმის საშუალება, რომ ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული გეგმური თუ ექსტრემალური სიტუაციის დროს არსებული ჩანაწერი შესრულდეს დაუყოვნებლივ, რათა არ დაირღვეს მკურნალობის უწყვეტობა. მკურნალობის უწყვეტობის სავალდებულოება კი მკაფიოდ არის მოთხოვნილი საქართველოს კანონებში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ და „პაციენტის უფლებების შესახებ“. ჩვენს კონკრეტულ სიტუაციაში სამკურნალო დანესებულების ეზოში თითქმის ორსაათიანი ლოდინის შემდეგ, ერთ-ერთი შესასვლელიდან უეცრად გამოვიდა ექიმი მჭედლიძე, რომელსაც ხელში ეჭირა ავადმყოფ ვაზაევის ისტორია და გვითხრა: „თუ ამ ისტორიას ეძებდით, არ ვიცოდი, ის ჩემთან არისო“. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ექიმი თ.ჯ. საავადმყოფოს ტერიტორიაზე არ შემოსულა, ხოლო ვინ აცნობა ექიმ დ.მ.-ს, რომ ჩვენთვის ისტორია გამოეჩინა უცნობია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიების „მოპოვების“ და გაცნობის ამგვარი წესი ამ დანესებულებისათვის პირველი შემთხვევა არ არის და იგი ხშირად წარუმატებლადაც კი მთავრდება.

ქირურგიული განყოფილების გამგესთან ერთად, შენობის II სართულზე განთავსებულ პალატაში მონახულებულ იქნა ავადმყოფი ა.ვ.. ავადმყოფის სანოლში მდებარეობა გარკვეულწილად შეზღუდულია, ცნობიერება ნათელი, ადეკვატური. კონტაქტში შემოდის. კითხვებზე დამაჯერებლად პასუხობს. მარცხენა ქვემო კიდურზე ადევს თაბაშირის ნახვევი, რომლის წინაგვერდითი მიდამო გახსნილია და მოჩანს პოსტოპერაციული ნაწიბური. მარცხენა ტერფის I ამპუტირებული თითის ტაკვიდან აღინიშნება საშუალო რაოდენობით სეროზულ-ჩირქოვანი გამონადენი. არ არის გამორიცხული, ამ კიდურზე იყოს ოსტეომიელიტური პროცესი. კიდურების დათვალიერება ან სრულყოფილი გასინჯვა ამ პირობებში შეუძლებელია. მარჯვენა ქვემო კიდური იმყოფება ნაწილობრივ ფლექსორულ მდგომარეობაში.

წვივის კუნთები ატროფიულია, პრაქტიკულად განლესულია. მუხლის სახსარში მოძრაობა ნაწილობრივ შეზღუდულია. აღინიშნება მგრძობელობის სრული არარსებობა. ავადმყოფს ტემპერატურული რეაქცია არ აღვნიშნავთ. როგორც შემდგომში დ. მ-საგან შევიტყვეთ, მისი მკურნალობა შემოიფარგლება მხოლოდ პრეპარატ ინდომეტაციინით, თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ. ამგვარად, ავადმყოფს მკურნალობა პრაქტიკულად არ უტარდება. მისი მდგომარეობა საყურადღებოა, თუმცა მოცემულ მომენტში მისი სიცოცხლისათვის საშიში ვითარება არ აღინიშნება. ავადმყოფს

ესაჭიროება სხვადასხვა პროფილის ექიმსპეციალისტთა კონსულტაციები (ნეიროქირურგი, ნევროლოგი, ტრავმატოლოგი, მიკროქირურგი). მკურნალობის ტაქტიკა გადაწყდება კონსულტაციებისა და საბოლოო კონსილიუმის შემდეგ, თუმცა ამ ეტაპზე დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ პაციმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში პაციენტის შემდგომი მკურნალობა ვერ ჩატარდება პირობების, სპეციალისტების არარსებობისა და ადეკვატური მკურნალობისა და მოვლის შეუძლებლობის გამო.

ზემოთ აღწერილი შემთხვევები და კომენტარები ასახავს პენიტენციური სისტემის ცენტრალური სამედიცინო დაწესებულების მდგომარეობას და მასში მიმდინარე სამედიცინო საქმიანობას. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია შეგვექმნას წარმოდგენა სისტემის სხვა სამკურნალო ერთეულებსა და სტრუქტურებში მიმდინარე სამედიცინო საქმიანობის შესახებ.

საქართველოს კანონის „პაციმრობის შესახებ“ (37-ე მუხლი) განსაზღვრულია, რომ „სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახური საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ნაწილია. სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის დონე არ უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის საერთო სისტემის დონეზე ნაკლები“. აქედან გამომდინარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები მდგომარეობის კრიზისიდან გამოსაყვანად.

წარმოდგენილი ფაქტებისა და გამოვლენილი სამართალდარღვევების ფონზე, ალბათ, შეიძლება ნათელი წარმოდგენის შექმნა პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ავადმყოფთა მკურნალობის ხარისხისა და საერთოდ მიზანშეწონილობის შესახებ. მიუხედავად ამისა, სტაციონარული „სამედიცინო“ დახმარება ავადმყოფებს კვლავ „მიეწოდება“...



მონიტორინგის სამედიცინო სპექტრი

№	საიდენტიფიკაციო ინფორმაცია	თარიღი	საკურობილე	სქესი	დიაგნოზი	შენიშვნა
1	ს.	6/IV	რ6	მ	ბრონქული ასთმა, ხშირი შეტევებით;	კონსულტაცია
2	გიორგი ნ.	6/IV	რ6	მ	უცნობია ჰეპატოქოლესტიტი	კონსულტაცია
3	ზურაბ ვ.	6/IV	რ6	მ	ეპილეფსია, მარცხენა მხრივი ჰემიპარეზი, მარცხენა თვალის კერატოკონუსი	კონსულტაცია დიაგნოსტიკა მკურნალობა გადაყვანა სპეციალისტის შეყვანა
4	მ.	6/IV	რ6	მ	კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება ხშირი გამწვავებებით; ობსტრუქციული ბრონქიტი	კონსულტაცია
5	დავით კ.	6/IV	რ6	მ	დებრესიული მდგომარეობა, აგარაფობია	კონსულტაცია
6	ვაჟა ლ.	6/IV	რ6	მ	მარცხენა თვალის კაკლის პოსტტრავმული ატროფია, მარჯვენა თვალის კერატოკონუსი და მაღალი ხარისხის მიოპია	კონსულტაცია
7	ვაკო დ.	6/IV	რ6	მ	ეპილეფსია	კონსულტაცია
8	თემურ ო.	6/IV	რ6	მ	ეპილეფსია, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება	კონსულტაცია მკურნალობა
9	მ.	6/IV	რ6	მ	სისხლმდენი ბუასილი	კონსულტაცია
10	ც.	6/IV	რ6	მ	სისხლმდენი ბუასილი	კონსულტაცია
11	სპარტაკ კ.	6/IV	რ6	მ	შიმშილობის შემდგომი მდგომარეობა	კონსულტაცია
12	ზაზა ნ.	13/IV	რ6	მ	ქრონიკული ჰეპატიტის გამწვავება	კონსულტაცია
13	რევაზ ლ.	13/IV	რ6	მ	ჰეპატიტი	კონსულტაცია მკურნალობა კონსულტანტის შეყვანა
14	ჯ.	13/IV	რ6	მ		კონსულტაცია
15	გ.	13/IV	რ6	მ	ჰეპატიტი	კონსულტაცია
16	ბ.	13/IV	რ6	მ	ჰეპატიტი	კონსულტაცია
17	ტარიელ ფ.	13/IV	რ6	მ	ჰეპატიტი	კონსულტაცია

№	საიდენტიფიკაციო ინფორმაცია	თარიღი	საკურობილე	სქესი	დიაგნოზი	შენიშვნა
18	ქ.	13/IV	რ6	მ	ჰეპატიტი	კონსულტაცია
19	გიორგი მ.	9/IX	რ6	მ	მწვავე ფსიქოზური მდგომარეობა	კონსულტაცია
20	ნ.	20/IV	რ6	მ		კონსულტაცია გადაყვანა
21	მიხეილ ო.	9/IX	რ6	მ	მეზოტიტის შემდგომი ნარჩენი მოვლენები	კონსულტაცია მკურნალობა
22	გელა ს	20/IV	რ6	მ		კონსულტაცია
23	დავით ა	6/IV	რ6	მ	მარცხენა წინამხრის ცეცხლნასროლი ჭრილობა, ზურგის მიდამოს ნამსხვრევ. იარ. მიყენ. ჭრილობა	კონსულტაცია მკურნალობა
24	რომან კ.	6/IV	რ6	მ	ცეცხლნასროლი ჭრილობა მარცხენა წვივის ზედა მესამედში	კონსულტაცია მკურნალობა
25	დათო კ.	20/IV	რ6	მ	ეპილეფსიური გულყრები	კონსულტაცია
26	კ.	20/IV	რ6	მ	ასთმური მოვლენები	კონსულტაცია
27	ა.	20/IV	რ6	მ		კონსულტაცია
28	კ.	6/IV	რ6	მ	ოვალური ფორმის, დაახლოებით 0,7-1,0 სმ დიამეტრის ორი დაზიანება მარჯვენა ბარძაყის ქვემო მესამედში	კონსულტაცია მკურნალობა
29	ა.	6/IV	რ6	მ	მარჯვენა ბარძაყის დორსალურ ზედაპირზე ოვალური ფორმის ჭრილობა	კონსულტაცია მკურნალობა
30	ლ.	6/IV	რ6	მ	0,7-1,0 სმ დიამეტრის დაზიანება, რომელიც მდებარეობს მარჯვენა ბარძაყის მედიალურ ზედაპირზე ზედა კიდეში, შორისის მიდამოს მიმდ რევ	კონსულტაცია მკურნალობა
31	ა.	6/IV	რ6	მ	დაზიანება მარცხენა ტერფისძირის მიდამოში	კონსულტაცია მკურნალობა
32	ს.	6/IV	რ6	მ	მარჯვენა ბარძაყის ქვემო მესამედის ჭრილობა	კონსულტაცია მკურნალობა
33	ს.	6/IV	რ6	მ	ოვალური ფორმის, დაახლოებით 0,8-1,2 სმ დიამეტრი ჭრილობა მარცხენა დუნდულოს მიდამოში	კონსულტაცია მკურნალობა



№	საიდენტიფიკაციო ინფორმაცია	თარიღი	საპრობოილე	სქესი	დიაგნოზი	შენიშვნა
34	გ.	6/IV	რ6	მ	ოვალური ფორმის, დაახლოებით 0,8-1,0 სმ დიამეტრი ჭრილობა მარცხენა ბარძაყის შუა მესამედის ლატერალურ მიდამოში	კონსულტაცია მკურნალობა
35	ჯ.	6/IV	რ6	მ	დაჟეჟილი ჭრილობა და ექსკორიაციები მარჯვენა თხემის ძვლის მიდამოში თავის თმიან ნაწილში	კონსულტაცია მკურნალობა
36	ს.	6/IV	რ6	მ	გულმკერდის მარჯვენა ნახევრის დაჟეჟილობა, გავრცელებული ექსკორიაციები	კონსულტაცია მკურნალობა
37	ხ.	6/IV	რ6	მ	დაზიანება თირკმლების საპროექციო არეში, ჰემატურია	კონსულტაცია
38	ო.	6/IV	რ6	მ	ოვალური ფორმის, დაახლოებით 0,7-1,0 სმ დიამეტრის ჭრილობა მარჯვენა წვივის ქვედა მესამედში, ლატერალურ ზედაპირზე	კონსულტაცია მკურნალობა
39	ბ.				ენდოგენური ტოქსემია. შოკი. მარცხ. ბარძაყის დამწვრობის შემდგომი ჭრილობის სუპურაცია, სხეულის სხვადასხვა მიდმოს დაზიანება (ნამების შემდგომი)	კონსულტაცია დიაგნოსტიკა მკურნალობა გადაყვანა ექსპერტიზა
40	ა.				ქოლეცისტიტი, ქოლელითიაზი, აპენდიციტი, პოსტოპერატ. ვენტრალური თიაქარი	კონსულტაცია დიაგნოსტიკა მკურნალობა გადაყვანა ექსპერტიზა
41	მ.				ფსიქიკური აშლილობა	კონსულტაცია დიაგნოსტიკა მკურნალობა გადაყვანა ექსპერტიზა
42	მალხაზ ზ.				შიმშილობის შემდგომი პერიოდი. ქვემო პარაპლეგია. თავის მიდამოს ცეცხლნასროლი ჭრილობის შემდგომი პერიოდი. ეპილეფსია	კონსულტაცია დიაგნოსტიკა მკურნალობა
43	ჯემალ შ.				მარჯვენა ლავინის ძვლის მოტეხილობა, მარჯვენა ზედა კიდურის პარეზი	კონსულტაცია
44	ზვიად ო.				წელის IV მალის თიაქარი, რადიკულიტი	კონსულტაცია

№	საიდენტიფიკაციო ინფორმაცია	თარიღი	საპრობოილე	სქესი	დიაგნოზი	შენიშვნა
45	ალან ვ.				ქვემო კიდურების ცეცხლნასროლი ჭრილობები, ტერფის დამსხვრეული მოტეხილობა. წვივის მოტეხილობა	კონსულტაცია
46	კ.					კონსულტაცია
47	ი.				ეპიცისტოსტომიის შემდგომი პერიოდი	კონსულტაცია
48	გიორგი დ.		5		ეპილეფსია	კონსულტაცია დიაგნოსტიკა კონსულტანტის შეყვანა
49	გივი გ.		5		პორტული ჰიპერტენზია, საყლაპავის ვარიკოზებიდან სისხლდენის შემდგომი პერიოდი. ენცეფალოპათია	კონსულტაცია დიაგნოსტიკა მკურნალობა ექსპერტიზა კონსულტანტის შეყვანა
50	ირაკლი ე.		5			კონსულტაცია
51	ნუკრი კ.		5			კონსულტაცია
52	იმედო წ.		5			კონსულტაცია გადაყვანა
53	ოთარი მ.		5		ფსიქიკური აშლილობა	კონსულტაცია კონსულტანტის შეყვანა
54	კახა ო.		5		ფსიქიკური აშლილობა	კონსულტაცია კონსულტანტის შეყვანა
55	ისაკ ა.		5		ფსიქიკური აშლილობა	კონსულტაცია კონსულტანტის შეყვანა
56	გიორგი ჟ.		5			კონსულტაცია კონსულტანტის შეყვანა
57	ანდრო ჩ.		5			კონსულტაცია
58	რობერტ ბ.		5		ფსიქიკური აშლილობა	კონსულტაცია ექსპერტიზა კონსულტანტის შეყვანა
59	რ.		5			კონსულტაცია




№	საიდენტიფიკაციო ინფორმაცია	თარიღი	საპყრობილე	სქესი	დიაგნოზი	შენიშვნა
60	თამაზ გ.		5		გულის იშემიური დაავადება. არასტაბილური სტენოკარდია. შუნტირების და ვიტრექტომიის შემდგომი პერიოდი. შაქრიანი დიაბეტი II	კონსულტაცია
61	სპარტაკ ც.		5			კონსულტაცია
62	გიორგი ბ.		5		სახის მიდამოს ტრავმის შემდგომი პერიოდი. დაფის აპკის პერფორაცია	კონსულტაცია
63	ლევან ჩ.		5			კონსულტაცია
64	რეზო ლ.		7		ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B	კონსულტაცია
65	გიორგი ა.		7		ქოლეცისტექტომიის, აპენდექტომიის და ჰერნიოპლასტიკის შემდგომი პერიოდი. ოპერაციის ჭრილობის სუპურაცია	კონსულტაცია დიაგნოსტიკა მკურნალობა კონსულტანტის შეყვანა გადაყვანა
66	ლევან ც.		7	მ	B+ C ჰეპატიტის; პიოდერმია, ბრონქული ასთმა თ ჩ	კონსულტაცია დიაგნოსტიკა კონსულტანტის შეყვანა გადაყვანა
67	ქ.		7	მ		კონსულტაცია
68	ჭ.		7	მ		კონსულტაცია
69	დ.		7	მ		კონსულტაცია
70	ჯ.		7	მ		კონსულტაცია
71	ნუგზარ შ.		1			კონსულტაცია
72	თენგიზ მ.		1		ტუბერკულოზი	კონსულტაცია
73	ალი ნ		1			კონსულტაცია
74	გიორგი ჩ.		1		მარცხენამხრივი ჰემიკასტრაციის შემდგომი პერიოდი. მარჯვენა სათესლის ტერატომლასტომა. გულის იშემიური დაავადება	კონსულტაცია
75	თამაზ შ.	9/IX	1	მ	ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, გულმკერდის დახურული ტრავმა, სხეულის სხვადასხვა მიდამოს ექსკორიაციები და სისხლნაჟღენთები, სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა	კონსულტაცია ექსპერტიზა

№	საიდენტიფიკაციო ინფორმაცია	თარიღი	საპრობოილე	სქესი	დიაგნოზი	შენიშვნა
76	გურამი ვ.	9/IX	1	მ	ქალა ტვინის დახურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, გულმკერდის დახურული ტრავმა, სხეულის სხვადასხვა მიდამოს ექსკორიაციები და სისხლნაჟღენთები, სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა.	კონსულტაცია ექსპერტიზა
77	ოთარ ბ.	9/IX	1	მ	გულმკერდის დახურული ტრავმა, სხეულის სხვადასხვა მიდამოს ექსკორიაციები და სისხლნაჟღენთები, ზურგის მიდამოს მარჯვენა ნახევრის ნაფლეთოვანი ჭრილობა, სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა.	კონსულტაცია ექსპერტიზა
78	მიხეილ კ.	9/IX	1	მ	სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, მარცხენა ლოყის მიდამოს კისტური წარმონაქმნი.	ექსპერტიზა
79	რატი კ.	9/IX	1		პეპტიკური წყლულოვანი დაავადება. ვირუსული C ჰეპატიტი	კონსულტაცია
80	გიორგი გ.	9/IX	1	მ	ეპილეფსია. ბრონქული ასთმა	კონსულტაცია
81	გიორგი გ.		1	მ		კონსულტაცია
82	ზაირა კ.		ქ6	ქ	სექტორული მასტექტომიის შემდგომი პერიოდი. მარცხენამხრივი მასტოპათია (?)	კონსულტაცია
83	ნინო ლ.		ქ6	ქ	გულის იშემიური დაავადება. ქვემო ჰემიპარეზი (გარდამავალი), ნევროზულ-დეპრესიული მდგომარეობა, სუიციდის მცდელობა (2 ჯერ)	კონსულტაცია დიაგნოსტიკა მკურნალობა
84	გიორგი შ.			მ		კონსულტაცია
85	ირაკლი ც.	10/IX	5	მ	მარჯვენა სათესლის ტუბერკულოზური დაზიანება, პოსტტრავმული მდგომარეობა	კონსულტაცია
86	თემურ გ.	10/IX	5	მ	პარანაზალური წიაღების ქრონიკული ანთებითი მდგომარეობა	კონსულტაცია
87	დიმიტრი შ.	13/IX	რ1	მ	ფსიქიკური აშლილობა	კონსულტაცია
88	გიორგი ლ.	13/IX	რ1	მ	ფსიქიკური აშლილობა	კონსულტაცია
89	დავითი ი.	13/IX	რ1	მ	ქრონიკული ვირუსული B ჰეპატიტი	კონსულტაცია
90	ნუგზარ შ.	13/IX	რ1	მ	გულის იშემიური დაავადება, პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი, ჰეპატომეგალია, ასციტი.	კონსულტაცია



ამგვარად, ჩვენ მიერ წარმოებული სარეგისტრაციო სტატისტიკის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში ჩვენ სამედიცინო კონსულტაცია და დახმარება გავუწიეთ სულ 147 ავადმყოფ პაციმარს, მათ შორის ავადმყოფთან პირველადი კონტაქტების რაოდენობამ 90 შეადგინა.

სამედიცინო დახმარება



ჩვენ მიერ რეგისტრირებულ ავადმყოფთაგან, პირველადი კონტაქტების მიხედვით, კონსულტაცია ჩატარდა 90 პაციენტს, მკურნალობა ჩატარდა 22-ს, სპეციალისტის შეყვანა განხორციელდა 11 შემთხვევაში, ქალაქის სხვადასხვა კლინიკაში ჩვენი რეკომენდაციით გადაყვანა განხორციელდა 8 შემთხვევაში, რთულ შემთხვევათა დიაგნოსტიკა და დიფერენციული დიაგნოსტიკა გატარდა 10 შემთხვევაში, ხოლო სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მოთხოვნილ იქნა 9 პაციენტი-პაციმარის მიმართ.

VI თავი

სიკვდილობის მაჩვენებლები და მიზეზები პენიტენციური სისტემის დაწესებულებაში

2006 წლის იანვარ-სექტემბერში განვახორციელეთ პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დაწესებულებაში პაციმართა სიკვდილობის სპექტრის შესწავლა და მონიტორინგი. საანგარიშო პერიოდში, ოფიციალური მონაცემებით, სულ მოკვდა 67 პაციმარი, რომელთა გადანაწილება (აბსოლუტურ რიცხვებში) თვეების მოხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი
6	3	10	6	3	5	8	12	14

აღნიშნული ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია (www.justice.gov.ge), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია (www.dop.gov.ge) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური განყოფილების უფროსის, ა. ქელბაქიანის მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაცია (10/8-8883 05-09-2006), რომელიც გამოიგზავნა თანახმად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან გავზავნილი მოთხოვნისა (№1010/03-11 5 სექტემბერი, 2006). გარდა ამისა,


ცალკეულ შემთხვევებში, ინფორმაცია მოვიპოვეთ უშუალოდ ჩვენ, მათ შორის გვამის დათვალიერების გზით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებული წყაროებიდან მიღებული ცნობები ხშირ შემთხვევაში არ ემთხვეოდა ერთმანეთს, ასახავდა სხვადასხვა სტატისტიკას და ამდენად, ერთ-ერთ რომელიმე მათგანზე დაყრდნობა მონიტორინგისა და ანალიზისათვის გამოუსადეგარ მიდგომად იქნა მიჩნეული. სამივე წყაროს ინფორმაციის შეჯერებითა და დამუშავებით მოხდა გარკვეული კონსოლიდაცია და ერთიანი დასკვნის გამოტანა.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის არც ერთ წყაროში არ იყო გათვალისწინებული 2006 წლის მარტში, ე.წ. „ბუნტის“ შედეგად გარდაცვლილი 7 პატიმრის მონაცემები.

საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში, პატიმართა სიკვდილობის მაჩვენებლის ასახვა თვეების მიხედვით ასახულია დიაგრამაზე:

2006 წელს (I-IX თვეები) გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობა თვეების მიხედვით




2006 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა რამდენიმე სტატისტიკური მაჩვენებელი, მათ შორის, 2001 წლიდან 2006 წლის ოქტომბრამდე საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში გარდაცვლილ პატიმართა საერთო რაოდენობა. როგორც აღნიშნული წყაროდან ჩანს, 2006 წლის 1 იანვრიდან, 10 ოქტომბრის ჩათვლით დაფიქსირებულია პატიმართა სიკვდილობის 71 შემთხვევა. ჩვენი მონაცემებით, რომელიც ზემოაღნიშნული სამი წყაროს შეჯერების საფუძველზე მოხდა, ეს მაჩვენებელი არის 69 (მათ შორის, მარტის თვეში დაღუპული და ვინაობა გამოუქვეყნებელი პატიმრებიც). აქედან გამომდინარე, არსებობს რეალური საფუძველი იმისა, რომ პატიმართა გარდაცვალების ყველა შემთხვევა ოფიციალურ საერთო სტატისტიკაში არ აისახება და ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები, გარკვეულ ფარგლებში, არაზუსტია. მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი მინიმალურ რიცხვს ასახავს და სიკვდილობის მასზე ნაკლები მაჩვენებელი არც ერთი წყაროდან არ გამომდინარეობს.



იუსტიციის სამინისტროს მიერ 13 ოქტომბერს გამოქვეყნებული სტატისტიკა მოცემულია ცხრილში (პირდაპირი კოპირება):

პატიმართა სიკვდილიანობის დინამიკა
2001-2006/10/10 პერიოდში



აღნიშნული მონაცემები გასული წლების მონაცემებთან შედარების საშუალებას გვაძლევს. როგორც ვხედავთ, 2005 წლის 12 თვის მონაცემებით, სულ მოკვდა 46 პატიმარი, რაც საქართველოში მყოფ პატიმართა საერთო რაოდენობის 0,52%-ს შეადგენს. არსებული პირობების და პატიმართა რეალური პირობების გათვალისწინებით, ასევე პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სისტემის სრული კრახისა და არამდგრადობის პირობებში ძალზე ძნელია დარჩენილი სამი თვის პროგნოზის გაკეთება, ანუ სიკვდილობის მაჩვენებლის ცვლილება დარჩენილი სამი თვის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ცალსახაა, რომ გასული წლის 12 თვის და წლევანდელი 9 თვისა და 10 დღის მონაცემები არაშეედარებადი სიდიდეებია. აღსანიშნავია ასევე პატიმართა რაოდენობის მკვეთრი ზრდის ტენდენცია 2006 წლის განმავლობაში. კერძოდ, 2005 წელთან შედარებით, პატიმართა რაოდენობა, სულ მცირე 5.000-ით გაიზარდა, ანუ 2002-2004 წლებში არსებულ რაოდენობასთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა. მეტად საგანგაშოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი წყაროს მონაცემებით, 14172 პირის 60%-ზე მეტი ჯერ მხოლოდ წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან და მათ მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში ჯერ არ შესულა. აღნიშნული ფაქტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ სიკვდილობის მაჩვენებელი განსასჯელებს შორის საკმაოდ მაღალია და თითქმის 50%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ 27 პატიმარი გარდაიცვალა პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებაში, ხოლო 25 პატიმარი – ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოში, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. 3 პატიმარი გარდაიცვალა ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებაში; საპრობილეებში განვითარებული სიკვდილობის მაჩვენებლების მიხედვით კი აღსანიშნავია №5 და №1 საპრობილეები.

№	პენიტენციური სისტემის დაწესებულება / სამედიცინო დაწესებულება	გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობა
1.	მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებ.	27
2.	ტუბერკულოზით დაავად. მსჯავრდ. სამკ. დაწესებ.	3
3.	ქალაქის სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებებში	25
4.	№1 საპყრობილე (თბილისი)	3
5.	№1 დაწესებულება (რუსთავი)	1
6.	№2 საპყრობილე (ქუთაისი)	1
7.	№3 საპყრობილე (ბათუმი)	1
8.	№5 საპყრობილე (თბილისი)	4
9.	№6 საპყრობილე (რუსთავი)	1
10.	№7 დაწესებულება (ქსანი)	1
სულ		67

სიკვდილობისა და ზოგადად ავადობის მაჩვენებლებზე მსჯელობა გაძნელებულია იმის გამო, რომ შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში დიაგნოზები გამოტანილია მეტად არაზუსტად. ზოგიერთ შემთხვევაში აბსურდამდეც მივიღვართ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ან სისტემის სამედიცინო სამსახურის წარმომადგენელთა პროფესიული კვალიფიკაციაა უკიდურესად დაბალი, ან საქმე გვაქვს გარდაცვალების დიაგნოზების შეგნებულ გაყალბებასთან. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში გვხვდება თვითმკვლელობის 4 შემთხვევა. ოთხივე შემთხვევაში აღინიშნებოდა მექანიკური ასფიქსია (ჩამოხრჩობა). აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილთა ასაკი მერყეობს 24-36 წლამდე. ორი შემთხვევა მოხდა №1 საპყრობილეში, ხოლო თითო-თითო №5 და №6 საპყრობილეებში. 3 შემთხვევაში ჩამოხრჩობა მოხდა ზენრით, ხოლო 1 შემთხვევაში პატიმარმა თავი საკუთარ მაისურზე ჩამოხრჩო. ოთხივე შემთხვევა განვითარდა ზაფხულის თვეებში (უკანასკნელი 4 სექტემბერს).

2006 წლის 23 ივლისს თბილისის №1 საპყრობილეში უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა ასევე 31 წლის პატიმარი. სიკვდილი გაშიშვლებულ ელექტრო-სადენებთან შეხებამ გამოიწვია. ამ შემთხვევაში ძნელია მსჯელობა სადენებთან შეხების მოტივაციაზე (თუ ასეთი არსებობდა), ან თუ რატომ მოხდა უსაფრთხოების წესების დარღვევა საპყრობილეში.

საანგარიშო პერიოდში ცეცხლნასროლი ჭრილობებით გამოწვეული სიკვდილობა 9 შემთხვევით შემოიფარგლება. 2006 წლის 3 იანვარს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გულმკერდის მარცხენა ნახევრის შემავალი ცეცხლნასროლი ჭრილობით გარდაიცვალა 20 წლის პატიმარი; 2006 წლის 4 აგვისტოს კი, ქალაქის ერთ-ერთ სამკურნალო დაწესებულებაში, ასევე ფილტვის არეში მიყენებული ცეცხლნასროლი ჭრილობით 16 წლის პატიმარი გარდაიცვალა. სავარაუდოდ, ცეცხლნასროლი დაზიანებების გამო დადგა ასევე სიკვდილი ყველა იმ შემთხვევაში (7), რომელიც აღინიშნა 2006 წლის მარტში, ე.წ. „ბუნტის“ დამეს.

პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა აივ/შიდსით გარდაცვალების 3 შემთხვევა. მათგან ორი ავადმყოფი გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც გადმოყვანილ იქნა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში (ერთ-ერთი გადმოყვანილია ბათუმის №3 საპყრობილიდან), ხოლო ერთი ავადმყოფი მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა. გარდაცვლილთა ასაკი 30-38 წლებს შორის მერყეობს. ამ შემთხვევებში გარდაცვალების დიაგნოზები შემდეგი სახით იყო ფორმულირებული:



- აივ ინფექცია – შიდსი „ც-3“ კატეგორიის, განლევის სინდრომი, პნევმოციტური პნევმონია, ქრონიკული C ჰეპატიტის ტერმინალური მდგომარეობა
- შიდსი, ფილტვ-გულის მწვავე უკმარისობა
- აივ/ინფექცია შიდსი „ც-3“ კატეგორიის, განლევის სინდრომი, მარცხენა, მხრივი ჰემიპარეზი, თავის ტვინის მალაცია, თავის ტვინის ქერქის ატროფიული ცვლილებები, შუბლის ძვლის მთლიანობის დარღვევა, ეპილეფსია, ტერმინალური სტადია და C ჰეპატიტი. გარდაცვალების სავარაუდო მიზეზი თავის ტვინის შეშუპება გახდა.

აღბათ, კომენტარის გაკეთება აღნიშნულ შემთხვევებზე სრულიად ზედმეტია.

საანგარიშო პერიოდში გვხვდება 11 შემთხვევა, როდესაც პატიმართა გარდაცვალების უშუალო მიზეზი გახდა ფილტვის ტუბერკულოზი და მისი სხვადასხვა გართულება. მოცემული ოფიციალური დიაგნოზებიდან ირკვევა, რომ 3 პატიმარი გარდაცვლილია გასტრო-დუოდენური სისხლდენით საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ზემო ნაწილებიდან. 1 შემთხვევაში კი სიკვდილის მიზეზად სახელდება დიფუზიური პერიტონიტი. ასეთ ფონზე, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ქირურგიული სამსახური თითქმის არ არსებობს და შემოიფარგლება მხოლოდ პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მომუშავე რამდენიმე კვალიფიციური პირით (2-3), რომელთა მიერაც 14.000-მდე პატიმრის მოცვა, რა თქმა უნდა შეუძლებელია.

5 პატიმრის სიკვდილის უშუალო მიზეზი გახდა IV სტადიის სიმსივნის ფონზე განვითარებული ინტოქსიკაცია. ასეთ დროს მეტად საინტერესოა, თუ რატომ არ მოხდა IV სტადიის სიმსივნით დაავადებულთა (უკურნებელი სენით დაავადებულთა) აქტირების საკითხი, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. უკურნებელი სენით დაავადებული კიდევ 2 პაციენტი გარდაიცვალა ლვიძლის ციროზით. 4 შემთხვევაში სიკვდილი დადგა ფილტვის სხვადასხვა დაავადების შედეგად; იმავე რაოდენობის შემთხვევებში მიზეზად გამოცხადდა თირკმლის პათოლოგია; 5 შემთხვევაში – ცენტრალური ნერვული სისტემის უმძიმესი დაავადებები, რომლებიც განპირობებულია ცენტრალური ნერვული სისტემის სისხლის მიმოქცევის მოშლით.

3 შემთხვევაში გარდაცვალების მიზეზად დასახელებულია ინტოქსიკაცია (სავარაუდოდ, უცნობი ეტიოლოგიის). ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სიკვდილი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისას გადამეტებული დოზის გამო დადგა, ანუ პენიტენციური სისტემის ბოლოდროინდელი განცხადებები, საპრობილევში ნარკოტიკული ნივთიერებების შეტანის მინიმუმამდე დაყვანის ან სულაც მოსპობის შესახებ, კვლავ ილუზიად რჩება. აღნიშნულის დასადასტურებლად შესაძლებელია მოვიყვანოთ ერთი კონკრეტული შემთხვევა, რომელიც მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 29 წლის პატიმრის სიკვდილით დამთავრდა.

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ჩვენი ერთ-ერთი ვიზიტის მიზანი იყო გაგვეჩვენა ის გარემოებები, რომლებიც უკავშირდებოდა 2006 წლის 22 აგვისტოს, თსსუ-ის ცენტრალურ კლინიკაში გადაყვანიდან მოკლე დროში გარდაცვლილი პატიმარ ო. მ.-ის მკურნალობისა და დიაგნოზის საკითხებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2006 წლის 23 აგვისტოს გაავრცელა ინფორმაცია, რომ თსსუ-ის ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ კლინიკაში 22 აგვისტოს პატიმარი, **29 წლის ოთარ მ.** გარდაიცვალა. იგი 4 ივლისს რუსთავის №6 საპრობილიდან გადმოიყვანეს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო 22 აგვისტოს ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო გადაყვანილ იქნა თსსუ-ის ცენტრალურ კლინიკაში, სადაც გარდაიცვალა. იუსტიციის სამინისტრომ ოფიციალურად გამოაქვეყნა ასევე **დიაგნოზი**: ნეიროციტოპათოლოგიური დისტონია, კარდიალური ტიპის დეპრესიული მდგომარეობა, უცნობი ეტიოლოგიის მედიკამენტოზური

კომა, ასფიქსია, მენდელსონის სინდრომი და სუნთქვის მწვავე უკმარისობა. აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნებული დიაგნოზის გარკვეული ფრაგმენტები არარეალურია და მედიცინა ასეთ ცნებებს საერთოდ არ იცნობს, გარდა ამისა, გარდაცვლილ ავადმყოფთა დიაგნოზების აბსოლუტური უმრავლესობა შეიცავს სიტყვებს „უცნობი ეტიოლოგიის“, რაც მრავალ კითხვას ბადებს და იმავდროულად საკითხისადმი არასერიოზულ მიდგომად უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნულ კონკრეტულ მაგალითთან დაკავშირებით, სამკურნალო დანესებულების მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელს მოვთხოვეთ, წარმოედგინა გარდაცვლილის სამედიცინო ჩანაწერები. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფის გარდაცვალების შემდეგ დანიშნულ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით, ავადმყოფობის ისტორია ამოღებულ უნდა ყოფილიყო, დანესებულებამ მაინც წარმოგვიდგინა დოკუმენტის დედანი.

როგორც ისტორიიდან (№–) ირკვევა: ოთარ მ, დაბადებული 1977 წელს (ბრალი წარედგინა საქართველოს სსკ 260 მუხლით, მიუსჯელი, სასჯელი დაიწყო 2006 წლის 21 თებერვალს), პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებაში შემოვიდა 2006 წლის 4 ივლისს, 22 საათსა და 30 წუთზე, რუსთავის №6 საპყრობილიდან. როგორც ირკვევა, ავადმყოფს გამოცხადებული ჰქონდა შიმშილობა და მე-7 დღეს, მდგომარეობის გაუარესების გამო, მოათავსეს თერაპიულ განყოფილებაში (შემოსვლის დიაგნოზი – შიმშილობის მე-7 დღე). როგორც მიმღების ექიმის ჩანაწერიდან ირკვევა ავადმყოფი უჩიოდა ძლიერ საერთო სისუსტეს, თავბრუხვევას, კოორდინაციის დარღვევას. გულმკერდის მარჯვენა ნახევარზე აღენიშნებოდა პოსტოპერაციული ნაწიბური, რომლის მიზეზსაც ვერ საზღვრავდა. პულსი – 84, რითმული, საშუალო ავსებისა და დაჭიმულობის. აუსკულტაციით – გულის ტონები მოყრუებულია. წნევა – 100/80. მუცელი – პალპაციით მგრძობიარეა მარჯვენა ფერდქვეშა მიდამო. ღვიძლი და ელენთა არ სცილდება ნეკნთა რკალს, პასტერნაცკის ნიშანი – უარყოფითი (რიცხვი – 5 VII). ისტორიაში მოიპოვება 2006 წლის 23 აგვისტოს რიცხვით დათარიღებული გარდაცვლილი პატიმრის ინტერესების დამცველი ადვოკატის – დ.ხ-ს წერილობითი მიმართვა დანესებულების დირექტორ ა. მუხაძისადმი, სადაც იგი მოითხოვს: „გთხოვთ გვაცნობოთ, რა ვითარებაში და რა დიაგნოზით იქნა გადაყვანილი ოთარ მ. ზემოთ ხსენებულ საავადმყოფოში“.

შემდეგ გვერდზე ისტორიაში დართულია დანიშნულების ფურცელი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 20/VII მას მკურნალობდნენ შემდეგი სქემით:

ისტორიაში მოიპოვება ორი კარდიოგრამა:

1. გადაღებულია 4/VII
2. გადაღებულია 20/VII

არის სისხლის საერთო ანალიზი, გაკეთებული 10 ივლისს, რომლის მიხედვითაც:

შარდის კლინიკური ანალიზი (11 ივლისი)
ნორმის ფარგლებში

აღნიშნულის შემდეგ მოდის კურსუსები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ავადმყოფს 6 ივლისს დაენიშნა ტრანსფუზიოთერაპია (T/A- 110/75 mmHg, P'-88).

10 ივლისი – T/A- 100/70 mmHg, P'-80, ToC.

11 ივლისი – ჩნდება ტემპერატურული რეაქცია (ToC – 37,5), T/A- 110/70 mmHg, P'-90. მდგომარეობას ემატება გულისრევის შეგრძნება.

12 ივლისი – T/A- 110/75 mmHg, P'-86, ToC – 36,7.

13 ივლისი – ჩნდება ყრუ ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში. ობიექტურად – ორივე ზედა კიდურის მტევნის არეში მცირედ პასტოზური. T/A- 100/60 mmHg, P'-86, ToC –37,3 – 37,5. ფილტვებში გამოჩნდა მშრალი ხიხინი, გულის ტონები – მოყრუებული.



- 14 ივლისი – ფილტვებში კვლავ ისმის ერთეული მშრალი ხიხინი, T/A- 100/60 mmHg, P'-86, ToC – 37,5.
- 17 ივლისი – ავადმყოფს ჩაუტარდა მუცლის ღრუს ორგანოების ექოსკოპიური კვლევა, რომლის ჩანაწერის მიხედვითაც: ღვიძლი, ელენთას, ნაღვლის ბუშტის, პანკრეასი, თირკმლები – ფორმა, ზომა და ექოსტრუქტურა ნორმულია. იმავე დღის ჩანაწერების მიხედვით – ავადმყოფს აღენიშნება პერიოდული გულისრევა, ჰაერის უკმარისობა საკვების მიღებისთანავე, ჩნდება ტკივილი ეპიგასტრიუმის მიდამოში, გულისრევის შეგრძნება. T/A - 100/60 mmHg, P'-90, ToC – 37,6.
- 19 ივლისი – ჩნდება ქოშინი, ყრუ ტკივილი ეპიგასტრიუმის მიდამოში. T/A - 100/65 mmHg, P'-90, ToC – 37,2.
- 20 ივლისი – T/A - 100/60 mmHg, P'-84, ToC – 37,4.
- 24 ივლისი – ჩნდება გულის ფრიალი, უსიამოვნო შეგრძნება გულმკერდის არეში. ტკივილი მკერდის ძვლის უკან. ყრუ ტკივილი ეპიგასტრიუმის მიდამოში. T/A - 100/60 mmHg, P'-86, ToC – 37,2.
- 31 ივლისი – აღენიშნება ჩხვლეტა გულის არეში.
- 1 აგვისტო – ისტორიაში ჩნდება **ფსიქიატრის კონსულტაცია**:
 ავადმყოფი კონტაქტში შემოდის უხალისოდ, შეკითხვებზე გვპასუხობს მოკლედ. საუბრისას ადვილად იღლება, სვენებ-სვენებით გვესაუბრება. აღენიშნება უძილობა. გუნება-განწყობის ფონის მკვეთრი დაწევა. აღენიშნება ხმაური. ძირითადად წევს თავისთვის და არ ეკონტაქტება არავის. საკვებს ძალიან მცირე რაოდენობით იღებს, ისიც ძალდატანებით. ფს. ავლენს (გაურკვეველია) შეძლებისდაგვარად. მიეცა დანიშნულება:
 დიაგნოზი – ასტენო-დეპრესიული სინდრომი
 ქსანაქსი – 0 25 მგ 2X-ჯერ
 დიაზეპამი – 10 (ძილის წინ ორი კვირა)
 ხელმოწერა – ქეთინო იმერლიშვილი

აღნიშნულის შემდეგ ისტორიაში ჩანს კარდიოლოგის კონსულტაცია, თუმცა კონსულტაციის ჩატარების რიცხვი გაურკვეველია.

T/A- 100/65 mmHg, P'-100, ძაფისებური, საშუალო ავსების. ელექტროკარდიოგრამაზე – T (-) V2, V3, III) განხრებში

დიაგნოზი – ნეიროციკლულატორული დისტონია (კარდიალური ტიპის). კარდიოლოგი იძლევა დანიშნულებას – ვიტამინი B6, C, კოკარბოქსილაზა, ფიზიოლოგიური ხსნარი.

3 აგვისტო – გულმკერდის არეში უსიამოვნო შეგრძნება, გულისრევა, წონასწორობის დაცვის გაძნელება, ქოშინი, ჰაერის უკმარისობა. იძულებითი შინაგანი დაძაბულობა, მშრალი ხიხინი.

6 აგვისტო – სისუსტე, თავის ტკივილი, თავბრუ, გულისრევა, უსიამოვნო შეგრძნება, შინაგანი დაძაბულობა. T/A- 100/60 mmHg, P'-90.

7 აგვისტო – ფსიქიატრის კონსულტაცია: კონტაქტში შემოდის უხალისოდ. შეკითხვებზე პასუხობს უხალისოდ. გვპასუხობს ძალიან მოკლედ და უხალისოდ. აღენიშნება უძილობა, უხალისობა, გაღიზიანებულობა, საერთო სისუსტე. გუნება-განწყობა (არ იკითხება) ... დათრგუნულია, ცრემლიანია, უიმედოდ არის. საჭიროებს ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადმოყვანას შემდგომი მკურნალობის მიზნით.

დიაგნოზი – დეპრესიული მდგომარეობა

7 აგვისტო – გადაყვანის ეპიკრიზი: ამ ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ავადმყოფმა სტაციონარში შემოსვლისას შეწყვიტა შიმშილობა. დიაგნოზი: დეპრესიული მდგომარეობა, ნეიროციკლულატორული დისტონია კარდიალური ტიპის, შიმშილობის შემდგომი დისტროფიული ცვლილებები. ავადმყოფი საჭიროებს მკურნალობის გაგრძელებას ფსიქიატრიულ განყოფილებაში.

7 აგვისტოს ასევე შედგენილია აქტი – გადაყვანილ იქნას ფსიქიატრიულ განყოფილებაში (დანიშნულება – დიაზეპამი, ტიზერცინი)

8 აგვისტოს ავადმყოფს უტარდება ფსიქოლოგის კონსულტაცია:

- ალქმა – საგნობრივი, სწორი
- ყურადღება – განლევადი
- მეხსიერება – შენახული
- აზროვნება – ასარმოვანი (არ იკითხება)
- ემოციური სფერო – შფოთვა
- გუნებ-განწყობა – ფსიქიკური ფუნქციები განლევადი

10 აგვისტოს ფსიქიატრი ჩანანერში აღნიშნავს, რომ ავადმყოფის ფსიქოფიზიკური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი.

16 აგვისტო – კვლავ არ არის დამაკმაყოფილებელი, აღნიშნება ძილის დარღვევა, ცრემლიანობა. მთელი დღის განმავლობაში ოთახიდან არ გამოდის. რეჟიმს ემორჩილება.

22 აგვისტო – **მორიგე ექიმის ჩანანერი:**

ავადმყოფთან გამოძახებული ვიყავი 09 სთ-სა 45 წთ-ზე. გარეგან გაღიზიანებაზე არ რეაგირებდა, ფოტორეაქციები იწვეოდა დაუნდ. აღნიშნებოდა ლებინება, სუნთქავდა ხრიალით, პერიოდულად სუნთქვა ჩერდებოდა. ავადმყოფს დაენყო ხელოვნური სუნთქვა, ჯერ პირიდან პირში, შემდეგ ამბუს აპარატით. **ნარკანის ინტრავენური ინექციის შემდეგ სუნთქვა აღდგა. ამდენად, სავარაუდოა ნარკოტიკული ინტოქსიკაცია. T/A- 110/60 mmHg.** ავადმყოფი გადაყვანილ იქნა რეანიმაციულ განყოფილებაში.

ხელმონერა – ცისმარ ლ. (თერაპევტი)

22 აგვისტო – გადაყვანის ეპიკრიზი (ადევს რეზოლუცია – გადაყვანეთ ქირურგიულ განყოფილებაში. ვის ეკუთვნის ხელმონერა, ვერ ვარკვევ).

... 22 აგვისტოს, 09:30 სთ-ზე ავადმყოფის მდგომარეობა დამძიმდა. მასთან გამოძახებული იყო მორიგე ექიმი. ავადმყოფი იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში. ავადმყოფი გადაყვანილ იქნა რეანიმაციის განყოფილებაში, ამასთან, გადაყვანილ იქნა ქირურგიულ განყოფილებაში (???)

22 აგვისტო – **ქირურგის ჩანანერი:**

გადმოყვანილ იქნა ფსიქიატრიული განყოფილებიდან ქირურგიულ განყოფილებაში. **ძილში აღებინა, მოხდა სასუნთქი გზების ასპირაცია.** ავადმყოფი ხრიალებს. კანი – ძლიერ ციანოზური. მოხდა პირ-ხახის და ზემო სასუნთქი გზების განთავისუფლება პირნალები მასებისაგან, პირხახის სანაცია, რის შემდგომაც სუნთქვა ტარდება ორივე მხარეს. ნუთში – 14, საშუალო ავსების. მიეცა ჟანგბადი. არტერიული წნევა – 70/30. პერიფერიაზე პულსი არ ისინჯება. ცენტრალურ ვენაში კათეტერის ნაკადით დაედგა რინგერი – 500.0, „კოფეინი“ – 4.0, „კორდამინი“ – 6.0, სუნთქვა – 18-20 ნუთში. დაედგა ფიზიოლოგიური ხსნარი, „დოფამინი“. საერთო ჯამში გადაესხა რინგერი – 1500, ფიზიოლოგიური – 1000. ნატრიუმის ჰიდროკარბონატი – 100. „პრედნიზოლონი“ – 125 მგ. „ზანტაკი“ – 2.0, „პანანგინი“ 1, „ეუფილინი“, „პოლიგლუკინი“. ნაზოგასტრული ზონდით კუჭი რამდენჯერმე ამოირეცხა სუფთა წყლამდე. ჰემოდინამიკა სტაბილურია – 100/50 – 120/60. სუნთქვა თანაბარი, საშუალო ავსების – 20. ბრონქული ელფერით. კონტაქტში არ შემოდის. რქოვანას და გუგის რეფლექსები ინვევა. მტკივნეულ გაღიზიანებაზე არ რეაგირებს. დიურეზი კათეტერით, ადეკვატური. ავადმყოფი გადაყვანილ იქნა რეანიმაციიდან თსსუ-ის ცენტრალურ კლინიკაში.

დიაგნოზი – უცნობი ეტიოლოგიის მედიკამენტოზური კომა, მენდელსონის სინდრომი. სუნთქვის მწვავე უკმარისობის შემდგომი პერიოდი.

აღნიშნულის შემდეგ ავადმყოფი სდმ 03-ის მიერ გადაყვანილ იქნა თსსუ-ის ცენტრალურ კლინიკაში, რომლის სარეგისტრაციო ჟურნალში დაფიქსირებულია რომ 15:00 სთ-ზე შემოყვანილ იქნა ავადმყოფი დიაგნოზით – ასპირაციული სინდრომი, სუნთქვის მწვავე უკმარისობა (ექ. ლ. გეგეშიძე – მიმღები სამსახურის თერაპევტი), რის შემდეგაც ავადმყოფი შეყვანილ იქნა კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში.

ამ კონკრეტული შემთხვევის გაცნობისას ჩნდება აზრი, რომ გარდაცვალების მიზეზი უნდა ყოფილიყო ნარკოტიკული ნივთიერების გადამეტებული დოზის მოხმარება. აღწერილი კლინიკური ნიშნების მიხედვით, შესაძლებელია განისაზღვროს კიდევ, თუ რომელი საშუალების მოხმარებასთან



გვაქვს საქმე, თუმცა აღნიშნულს ლაბორატორიული დადასტურება ესაჭიროება. ასეთ პირობებში საჭიროა დაისვას რამდენიმე კითხვა: თუ საიდან მოხვდა დახურულ დაწესებულებაში ნარკოტიკული ნივთიერება; რატომ არ მოინახულა ავადმყოფი სამედიცინო პერსონალმა მისი კომაში ჩავარდნიდან დიდი ხნის განმავლობაში, და ბოლოს, რატომ ფარავს შესაბამისი ორგანოები ავადმყოფის გარდაცვალების სავარაუდო დიაგნოზს? უფრო მეტიც, გამოქვეყნებული დიაგნოზი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, აბსურდულია და უკეთეს შემთხვევაში გვაფიქრებინებს, რომ მის ჩამოყალიბებასთან სამედიცინო პერსონალს არანაირი კავშირი არ ჰქონია.

შემთხვევათა უმრავლესობაში, ავადმყოფთა სიკვდილის მიზეზად სახელდება „გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა“. კერძოდ, თუ გადავხედავთ 67-ვე შემთხვევას, ვნახავთ, რომ 28 შემთხვევაში (ანუ საერთო შემთხვევების 42%-ში) თურმე სიკვდილი გამოუწვევია გულ-სისხლძარღვთა უკმარისობას. ზოგიერთ შემთხვევაში „გულ-სისხლძარღვთა“ უკმარისობას ცვლის ტერმინი – „ფილტვ-გულის“ ან „გულ-ფილტვის“ უკმარისობა. საყურადღებოა, რომ რამდენიმე შემთხვევაში, როდესაც მიოკარდიუმის ინფარქტზეა საუბარი, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობაზე საერთოდ არ არის საუბარი. დიაგნოზების გამოქვეყნებისას უფრო შორსაც მიდიან, ერთ-ერთ შემთხვევაში ჩვენ გვხვდება შემდეგი სახის ჩანაწერი – „ექსპერტ-კრიმინალისტიკის წინასწარი დასკვნით, პათიმრის გარდაცვალების მიზეზი გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა იყო“. აქ მეტად საინტერესო ტენდენციასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ჩვენი ცოდნითა და ინფორმაციით გარდაცვალების დიაგნოზი უნდა დაისვას ან ექიმ-კლინიკისტი, ან გაკვეთის შემთხვევაში – ექიმ-პათოლოგანატომის/სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მიერ. რაც შეეხება ექსპერტ-კრიმინალისტთა დასკვნებს ადამიანის სიკვდილის დიაგნოზებთან კონტექსტში, ალბათ, კატასტროფამდე შეუძლიათ საქმის მიყვანა. ალბათ იგივე ექსპერტ-კრიმინალისტი იყო ინიციატორი, როდესაც ერთ-ერთ შემთხვევაში, გარდაცვალების მიზეზად ვკითხულობთ – „მწვავე მუცლის და სტენოკარდიული შეტევა“. ეს ფაქტი მეტად აღმაშფოთებელია და დამატებით კომენტარს არ საჭიროებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია გარდაცვლილ პატიმართა შესახებ. ინფორმაციის გაცნობით შესაძლებელია არა მარტო პირის იდენტიფიკაცია, არამედ მის შესახებ დანვრილებითი მონაცემების მოპოვება, მათ შორის სამედიცინო ხასიათის. ამ შემთხვევებში საქმე გვაქვს საქართველოს კანონების – ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, საექიმო საქმიანობის შესახებ და პაციენტის უფლებების შესახებ – უხეშ დარღვევასთან. გარდა ამისა, აღნიშნული ქმედებით ირღვევა ადამიანის უფლებათა ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტების საბაზისო პრინციპები და კონცეფციები პიროვნების ხელშეუხებლობისა და პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის შესახებ. სამედიცინო ხასიათის ინფორმაცია კონფიდენციური უნდა დარჩეს როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ასევე მისი სიკვდილის შემდეგ.

■ საქართველოს სახალხო დამცველმა კითხვით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ჰქონდა თუ არა ნებართვა ამ ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ. შეკითხვის გაგზავნის შემდეგ, მიმდინარე წლის ოქტომბრიდან, სამინისტრო გვარებს უკვე აღარ აქვეყნებს.

პენიტენციურ დაწესებულებებში გარდაცვლილ პატიმართა შესახებ გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაციის ანალიზის მიხედვით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამედიცინო დიაგნოზების სპექტრი და მათი ფორმულირების მეთოდი. ხშირად პაციენტის გარდაცვალების მიზეზის აღქმა შეუძლებელია; შემთხვევათა ნაწილში საქმე გვაქვს უხეშ სამედიცინო ხასიათის შეცდომებთან. ჩვენ შევეცადეთ, პირობითად დაგვეჯგუფებინა გარდაცვლილ პირთა დიაგნოზები, სისტემატიზაციის გარკვეული პრინციპების დაცვით.

1. გულ-სისხლძარღვთა დაავადებები
 პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი
 ზოგადი ათეროსკლეროზი
 კარდიალური ტიპის დეპრესია
 სტენოკარდია
 ჰიპერტონული დაავადება
 მწვავე ინფარქტი
 გულის იშემიური დაავადება
 გულ-სისხლძარღვთა (გ/ფ) მწვ. უკმარისობა

2. საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები
 ჰეპატიტი C
 გასტროდუოდენური სისხლდენა
 ლეიქოსის ჰემანგიომა
 ციროზი
 ალიმენტარული დისტროფია
 ქრონიკ. დეკომპენსირებული ტონზილიტი

3. სასუნთქი სისტემის დაავადებები
 ჰიპოსტატიური პნევმონიასუნთქვის
 მწვავე უკმარისობა
 ფილტვების შეშუპება
 პნევმონია
 ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება
 ბრონქოექტაზია

4. საზარდე სისტემის დაავადებები
 შარდკენჭოვანი დაავადება
 ქრონიკული პიელონეფრიტი
 ქრონიკული გლომერულონეფრიტი
 რენული ჰიპერტენზია

5. ნერვული სისტემის დაავადებები
 იშემიური ინსულტი
 ჰემიპარეზი
 ენცეფალომალაცია
 პარაპლეგია
 თავის ტვინის ქერქის ატროფია
 თავის ტვინის შეშუპება
 ეპილეფსია
 ნეიროინფექცია
 ენცეფალოპათია

6. ტრავმატიზმი/სუიციდი
 მექანიკური ასფიქსია (ჩამოხრჩობა)
 ცეცხლნასროლი ჭრილობა
 ტრავმული ინტრაკრანიალური ჰემატომა
 უბედური შემთხვევა

7. ენდოკრინული სისტემის დაავადებები
 დიაბეტი
 სიმსუქნე

8. სიმსივნეები
 ფილტვის
 მალიგნიზებული წყლული
 სიმსივნე



9. ტუბერკულოზი

მწვავე დისიმინირებული ინფილტრაციული ტუბერკულოზური მენინგიტი
ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია
მეზოადენიტი

10. ინტოქსიკაცია

მედიკამენტური უცნობი ეტიოლოგიის

11. შიდსი


12. სხვა

ჰემორაგიული შოკი
კომა
ნეიროცირკულარული დისტონია
ასფიქსია
ფილტვის არტერიის პოსტოპერ. ემბოლია
მწვავე ნაწლავური ინფექცია
უცნობი ეტიოლოგიის ცხელება
პოლიორგანული უკმარისობა
პერფორაცია, პერიტონიტი
ასციტი
სეფსისური ინტოქსიკაცია
მენინგიტი

თუ ამ მონაცემთა მარტივ არითმეტიკულ დამუშავებას მოვახდენთ იქმნება იმის ნათელი სურათი, თითქოს სასჯელალსრულების დაწესებულებებში, პატიმართა სიკვდილობის ძირითადი მიზეზია გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა! საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება, მით უმეტეს, რომ იგი ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ეხება, მსუბუქად რომ ითქვას, უპასუხისმგებლობაა, ხოლო უფრო კონკრეტულად, იგი უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც გარდაცვალების მიზეზების დაფარვა ან მათი განზრახ გაყალბება. პატიმართა გარდაცვალების შემთხვევების ფონზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ე.წ. „გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობის ისტერიამ“ პიკს მიაღწია აგვისტოს პირველ დეკადაში, როდესაც ისედაც გაუსაძლისი სიცხეების პერიოდში ციხეებში კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა. 2006 წლის 10 აგვისტოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აქვეყნებს განცხადებას – „ცხელ დღეებთან დაკავშირებით საპატიმროებში განსაკუთრებული ზომები მიიღება“, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გაა ქავთარაძემ, მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძემ და სასჯელალსრულების რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დღეს გამართულ თათბირზე ციხეებში შექმნილი მდგომარეობა განიხილეს. შეხვედრაზე იმსჯელეს ცხელ დღეებთან დაკავშირებით საპატიმრო დაწესებულებებში დამატებითი, განსაკუთრებული ზომების მიღების საკითხზე; განიხილეს პატიმართა სიკვდილიანობის ზრდის მიზეზები. იუსტიციის მინისტრმა სასჯელალსრულების რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტს დაავალა, დამატებით შეისწავლოს შექმნილი მდგომარეობა, შეაფასოს უკვე გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობა და დაუყოვნებლივ შეიმუშაოს დამატებით ღონისძიებებთან დაკავშირებული წინადადებები. მსგავსი შეხვედრები იუსტიციის სამინისტროში ყოველდღიურად გაიმართება მანამ, სანამ ტემპერატურა არ დაიკლებს და არ მოხდება პატიმართა სიკვდილიანობის ზრდის გამომწვევი მიზეზის სრული ანალიზი“. როგორც ჩანს, პატიმართა სიკვდილიანობის ზრდის სრული ანალიზი იმავე დღეს გამოქვეყნდა. იმავე საინფორმაციო წყაროს ცნობით, „გარდაცვლილ პატიმართა უმეტესობას გულ-სისხლძარღვთა დაავადება აწუხებდა“. აღნიშნულ მოსაზრებასთან სრულ შესაბამისობაში მოდის დიაგნოზთა სპექტრის ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში და დიაგრამაზე:

1.	გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები	36
2.	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	10
3.	სასუნთქი სისტემის დაავადებები	6
4.	საშარდე სისტემის დაავადებები	4
5.	ნერვული სისტემის დაავადებები	15
6.	ტრავმატიზმი/სუიციდი	8
7.	ენდოკრინული სისტემის დაავადებები	3
8.	სიმსივნეები	3
9.	ტუბერკულოზი	15
10.	ინტოქსიკაცია	3
11.	შიდსი	3
12.	სხვა	21

სიკვდილობის ძირითადი მიზეზები



ამისდა მიუხედავად, სამედიცინო თვალსაზრისით, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის გამოცხადება გარდაცვალების მიზეზებად გაუმართლებელია. მიუხედავად ამისა, იუსტიციის სამინისტრომ იმავე პრეს-რელიზში გამოაცხადა შემდეგი: „იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აგვისტოს თვეში 9 პატიმარია გარდაცვლილი. მათ უმეტესობას აწუხებდა გულ-სისხლძარღვთა დაავადება, – განაცხადა დღეს გამართულ ბრიფინგზე იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძემ. მისი ინფორმაციით, გარდაცვლილ პატიმართა ასაკი 40-დან 50 წლამდე მერყეობს. „იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი დეტალურად სწავლობს პატიმართა გარდაცვალების ყველა ფაქტს. ამასთან, მიმდინარეობს სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზა. ზო-



გიერთი განცხადების საპასუხოდ მინდა აღვნიშნო, რომ არ არის მიზანშეწონილი ადამიანის სიცოცხლესთან დაკავშირებული ინფორმაციით მანიპულირება“, – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ. გივი მიქანაძის თქმით, ტემპერატურის მატებასთან დაკავშირებით საგანგებო რეჟიმში მუშაობს იუსტიციის სამინისტრო და სასჯელადსრულების დეპარტამენტი. თბილისის N1 და N5 საპყრობილეების თითოეულ საკანში შეტანილია 2-2 ცალი ვენტილატორი. მორიგეობს ექიმთა ჯგუფები. საპატიმროებში არის 24-საათიანი წყალმომარაგება. სველდება საპყრობილეების კორიდორები. ძირითადად დასრულებულია საკნებიდან რკინის უალუზების ჩამოხსნის პროცესი“. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი არ არის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა რომელიმე შემთხვევაში მაინც, ან თუნდაც საგამოძიებო კომისიის მიერ მოკვლეული რაიმე მასალა.

ამგვარად, პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში, პატიმართა სიკვდილობის მიზეზები შეიძლება ითქვას, შეუსწავლელია, რის პარალელურადაც ვრცელდება არაზუსტი, გაუმართლებელი და მცდარი ინფორმაცია. საკითხისადმი ასეთი მიდგომა მრავალ შეკითხვას ბადებს, პირველ რიგში კი, შეუძლებელს ხდის, დაინყოს ჯანმრთელობისათვის საშიში ფაქტორების აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებები, რათა სიკვდილობისა და ავადობის მაჩვენებლებმა კვლავ აღარ მიაღწიონ კრიტიკულ ნიშნულს.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში, რომლებიც ჩვენ მიერ იქნა მონახულებული მონიტორინგის დროს. შექმნილია მეტად კრიტიკული მდგომარეობა. უპირველეს ყოვლისა, ამ მხრივ საყურადღებოა საპყრობილეთა გადატვირთულობის პრობლემა, რაც, გარდა მძიმე სოციალური ფაქტორისა, არის მეტად სერიოზული საფრთხე იქ მყოფ პირთა ჯანმრთელობისათვის, ანუ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ პენიტენციური სისტემის დაწესებულებათა უმრავლესობაში **შექმნილია ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში მდგომარეობა**. ასეთ პირობებში, განსაკუთრებით სამედიცინო პერსონალის უმწვავესი დეფიციტის (ან ზოგჯერ საერთოდ არარსებობის) ფონზე, **ავადმყოფთა ადეკვატური დიაგნოსტიკა, მკურნალობა და მოვლა შეუძლებელია და არც ხდება**; უფრო მეტიც, დაავადებულ პირთა დიდი ნაწილი საერთოდ გამოუვლენელია და მათ მიმართ არანაირი სამედიცინო დახმარება არც კი დგას დღის წესრიგში. ჩვენ მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცესის დროს საკმაოდ ხშირად ჩვენ ვერ ვხვდებოდით ადგილზე ციხის ექიმებს, მათი სამსახურში არყოფნის გამო. აღნიშნულის მიზეზად ასახელებდნენ ექიმის დაკავებულობას სამინისტროში, დეპარტამენტში ან სხვა ადგილებზე, თუმცა გაუგებარია, თუ რას აკეთებს დაწესებულების ერთადერთი ექიმი ადმინისტრაციულ სტრუქტურებში, როდესაც მას ადგილზე ათასობით მოუვლელი და ჯანმრთელობაშელახული ადამიანი შეჰყურებს იმედის თვალით. პატიმართა უმრავლესობა საკმაოდ აგრესიული ხდებოდა, როდესაც ჩვენ სამედიცინო პერსონალს ვახსენებდით. მათი უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ექიმი საერთოდ არ უნახავთ თვალით. პატიმართა ასევე დიდი ნაწილი კი ვერ არჩევს, რომელია ექიმი და რომელი – ექთანი, ვინაიდან სამედიცინო მომსახურების პრობლემა იმდენად მწვავეა, რომ ამას უკვე მათთვის არსებითი მნიშვნელობა აღარც აქვს.

გამოვლენილი სერიოზული პრობლემები და რეკომენდაციები:

- საპყრობილეში არ არსებობს სამედიცინო პერსონალი მუდმივად;
- დარღვეულია საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ექიმის ხელმისაწვდომობის უფლება (CPT-ის მე-3 გენერალური ანგარიში, სამედიცინო მომსახურება ციხეებში, 1992 წელი, თავი A; ევროპული ციხის წესები – ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, კომიტეტის რეკომენდაცია №R (87)3, ნაწილი 2 (სამედიცინო მომსახურება); ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი – რეკომენდაცია №R (98) 7, სტრასბურგი, 1998 წ. 20 აპრილი, თავი A; გაეროს პატიმრობის მინიმალური სტანდარტები, პუნქტი 22, 24, 25; ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა ან პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა ერთობლიობა – გაეროს რეზოლუცია 43/173 – პრინციპი

24,25,26), საპრობილეში არ არის ექიმი ან სხვა სამედიცინო პერსონალი მუდმივად; პაციმრებს არ აქვთ ექიმთან თავისუფალი კონტაქტის საშუალება და ისინი არ არიან ინფორმირებული საკუთარი ჯანმრთელობისა და ციხეში არსებული სამედიცინო სერვისების შესაძლებლობების შესახებ; არ არსებობს მათზე სპეციალური სამედიცინო დოკუმენტაცია;

- დარღვეულია ეკვივალენტური და ადეკვატური სამედიცინო დახმარების უფლება (CPT, მე-3 გენერალური ანგარიში, თავი B, ევრო-საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია №R(98) 7, თავი B; პაციმრობის მინიმალური სტანდარტები, პუნქტი 22; პაციმართა მოპყრობის ძირითადი პრინციპები (გაეროს რეზოლუცია №45/111) პრინციპი 9);
- დარღვეულია პაციენტის ინფორმირებული თანხმობისა და, განსაკუთრებით, კონფიდენციალურობის უფლება, პაციმრებს არა აქვთ ექიმთან კონფიდენციალური საუბრის საშუალება; არ არსებობს ციხეში ექიმის მიერ წარმოებული დაზიანებათა ამსახველი დოკუმენტაცია (ჟურნალი); პაციმრის შემოსვლისას ექიმი მას უმრავლეს შემთხვევაში არ ესაუბრება კონფიდენციალურად, მხედველობისა და სმენადობის არის მიღმა, როგორც ეს მოთხოვნილია CPT-ის რეკომენდაციებში საქართველოს მიმართ (2001 წელი); ოქმზე დაფიქსირებულია ექიმის გვარი სხვა ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიმართ, დაზიანებათა ოქმში ასახული ინფორმაცია არასრულია და არ მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებით პირველადი სამედიცინო შემონმებისათვის აუცილებელ ინფორმაციას და არღვევს CPT-ის რეკომენდაციას საქართველოსათვის (2001 წელი), ასევე სხვა საერთაშორისო სტანდარტებს „სტამბოლის პროტოკოლი“ და სხვა; ამგვარად, დარღვეულია: CPT-ის მე-3 გენერალური ანგარიშის მიხედვით, პუნქტი 45, 49, 50; ევროპული ციხის წესები, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(87)3 ნაწილი 2; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(98)7, თავი C; თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი მართლ-წესრიგის დაცვაში ხელშეწყობისათვის (გაეროს რეზოლუცია №34/169, 1979 წელი);
- შესაბამისად, დარღვეულია ყველა საერთაშორისო სტანდარტი პროფილაქტიკურ მუშაობასთან დაკავშირებით – CPT-ის მე-3 გენერალური ანგარიში, თავი „D“ – პროფილაქტიკური სამუშაო; ქვეთავი – ჰიგიენა, პუნქტი 52; ქვეთავი 4 – ძალადობის აღკვეთა – პუნქტი 59; 60; 61; ქვეთავი 5 – სოციალური და ოჯახური კავშირები; ევროპული ციხის წესები – ნაწილი 2; თავი 1: პუნქტები: ა, ბ, გ, დ. ასევე თავი – დისციპლინა და სასჯელი, პუნქტები 37, 38; ნაწილი IV – პაციმართა მოპყრობის მიზნები და რეჟიმი: პუნქტი 74, პუნქტი 85; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია №R(98)7, თავი II, ქვეთავები: B ინფორმაცია, პროფილაქტიკა და განათლება ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში; თავი C – პათოლოგიის განსაკუთრებული ფორმები და პროფილაქტიკური ღონისძიებები ციხეებში, თავი III: ციხეებში სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია, ზოგიერთი გავრცელებული პრობლემების კონკრეტული მაგალითებით: ქვეთავი F – ძალადობა ციხეში; ქვეთავი C – პაციმართა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალური პროგრამები: სოციალურ-თერაპიული პროგრამები, კავშირი ოჯახთან და გარესამყაროსთან, დედისა და ბავშვის ინტერესების დაცვა. პაციმრობის მინიმალური სტანდარტები – პუნქტები 12, 13, 14, 15, 16; ქვეთავი 25, 26;
- მთლიანად არის დარღვეული საერთაშორისო სტანდარტები წამებისა და სხვა სასტიკი, ადამიანის ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის შესახებ (CPT-ის რეკომენდაციები 2001 წელი, საქართველოს შესახებ ანგარიში; ასევე „სტამბოლის პროტოკოლი“ – გაერო, ნიუ-იორკი, ჟენევა 2001 წელი – სახელმძღვანელო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირებისათვის), კერძოდ: 2006 წლის 27 მარტს პაციმართა სამკურნალო დაწესებულებაში მომხდარი ფაქტის შემდეგ დაზიანებების მქონე პაციმრებს დღემდე არ ჩატარებიათ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ/ფსიქიატრიული ექსპერტიზა „სტამბოლის პროტოკოლის“ შესაბამისად; მსგავსი ექსპერტიზა არ ჩატარებით არც სხვა პაციმრებსაც, რომლებიც აღნიშნავენ დაზიანებას ცემისა და შეურაცხყოფის შედეგად; ყოველივე ზრდის წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ალბათობას და ამყარებს ეჭვს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სისტემატიური ხასიათის შესახებ;
- პაციმართა ფსიქოლოგიური მდგომარეობა და აფექტური განცდები, აღწერილი მეთოდები, განსაკუთრებით კი „თმების შეჭრისა“ და შემდეგ „გადაპარსვის“ ფაქტი, პაციმრების ცემის დროს მათი სრული გაშიშვლება, ასევე სხვა პაციმრების იძულება, დააკვირდნენ მათი თანამოსაკნეების



სასტიკ ცემას, ყველა ზემომოყვანილ დარღვევასთან ერთად, ამყარებს შეხედულებას, რომ ხორციელდება წამებისა და სასტიკი არაადამიანური, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი, მოპყრობა და დასჯა პატიმართა მიმართ;

- ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე იმ დაძაბული ატმოსფეროსა და დაპირისპირების ფონის გათვალისწინებით, რაც შეინიშნება პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის, მდგომარეობა საჭიროებს დაუყოვნებლივ ცვლილებას და აუცილებელ ზომად მიმაჩნია საპყრობილეთა ადმინისტრაციულ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხის აღძვრა;
- ასევე აუცილებელია არაჰუმანური მოპყრობის (სამედიცინო მომსახურების არარსებობა და სხვა ზემოთ აღწერილი დარღვევები) სასწრაფოდ აღკვეთა;
- აუცილებელია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს გენერალური პროკურატურა დაინტერესდნენ ექიმთა, საპყრობილის პასუხისმგებელ პირთა და დირექტორთა საქმიანობით. აუცილებელია, კონკრეტულ შემთხვევებში დაისვას ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი, ხოლო ზოგიერთ ფაქტზე აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა. აღმაშფოთებელია ექიმთა დუმილი წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის ფაქტებთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში სამედიცინო პერსონალის დუმილი ამკარად უნდა ჩაითვალოს ამ არაჰუმანურ აქტებში თანამონაწილეობად!
- სამედიცინო მომსახურების სრული კრიზისის გამო, უნდა გამოცხადდეს ჰუმანიტარული კატასტროფა და სასწრაფოდ იქნას მიღებული დროებითი ზომები: სამედიცინო პერსონალის დამატება; სამედიცინო კომისიების რეგულარული ვიზიტები და მონიტორინგის განხორციელება;
- ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის განხორციელებისას (მაგალითად, VII საპყრობილეში) ვხვდებით ნიღბიან და შეიარაღებულ მოსამსახურეებს, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია, განსაკუთრებით, როდესაც არ იქნა დაფიქსირებული ამის აუცილებლობის სიტუაცია; მსგავსი მოვლენა ფსიქოლოგიურ ზენოლას ახდენს როგორც მონიტორინგის განმასხვრციელებელ პირებზე, ასევე ექიმებზე, სხვა მოსამსახურე პერსონალსა და პატიმრებზე; უკიდურეს შემთხვევაში ნიღბოსანს უნდა ჰქონდეს საიდენტიფიკაციო კოდი, წინააღმდეგ შემთხვევაში იზრდება წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის რისკი;
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საპყრობილეში დარღვეულია ადამიანის ორი ფუნდამენტური და შეუზღუდავი უფლება – წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცულობის შესახებ; ასევე დარღვეულია პატიმართა უსაფრთხოების გარანტირებული უფლებები;
- ასევე ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ირღვევა შემდეგი ეროვნული სტანდარტებიც: საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ, საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ; საქართველოს კანონი საქმიანობის შესახებ; საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ;
- მთლიანობაში სამედიცინო მომსახურება აღნიშნულ დაწესებულებაში არ შეესაბამება არც ეროვნულ და არც საერთაშორისო სტანდარტებს; „სამედიცინო ნაწილს“, რომელიც პრაქტიკულად არ არსებობს, არ გააჩნია საქმიანობის დამადასტურებელი სამედიცინო ლიცენზია. იგივე ითქმის სტაციონარულ დაწესებულებებზე, რის გამოც ისინი პრაქტიკულად ეწვეიან უკანონო სამედიცინო საქმიანობას, რაც დასჯადი ქმედებაა. ამდენად, პენიტენციური სისტემის სამედიცინო სამსახური, გარდა პროფესიული არასრულფასოვნებისა, იურიდიულადაც გაუმართავი და არამართლზომიერია, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, თვითონ უქმნის საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.
- რეკომენდაციის სახით აუცილებლად უნდა იქნეს გაცემული, 2007 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას ლობირება გაენიოს პენიტენციური სისტემის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ზრდას, რაც მცირედით მაინც შეამსუბუქებს ავადმყოფი პატიმრების ყოფას აღნიშნულ პირობებში და მათ ნაწილს შეუნარჩუნებს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების მიზნით შექმნილია სააღსრულებო დეპარტამენტი, რომელიც წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს, ხოლო დეპარტამენტში ფუნქციონირებს სააღსრულებო დაწესებულებები – სააღსრულებო ბიუროები.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება ევალება სასამართლო აღმასრულებელს.

საქართველოს კონსტიტუციით და სხვა კანონებით აღიარებულია, რომ „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისთვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“. შესაბამისად, როდესაც არ სრულდება სასამართლოს გადაწყვეტილება, იწყება იძულებითი საქმის აღსრულების წარმოება.

საანგარიშო პერიოდისათვის სახალხო დამცველის აპარატში განხილულია 15 განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების არაღსრულების ან აღსრულების გაჭიანურების თაობაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროდან პასუხის მიღება თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან, როგორც თანამშრომლები აცხადებენ, მათ არა აქვთ სათანადო სამუშაო პირობები, მაგალითად, კომპიუტერების არარსებობის გამო, არის წერილების ბეჭდვის პრობლემა, გადაადგილების პრობლემა, ვინაიდან არ აქვთ სატრანსპორტო საშუალებები, არ მუშაობს ტელეფონები, შესაბამისად, მათთან დაკავშირება თითქმის შეუძლებელია. ამ მხრივ, უკეთესი

სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება

მდგომარეობაა დეპარტამენტში, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ბიუროში, სადაც ძირითადად ხდება საქმეების წარმოება არის არასათანადო სამუშაო გარემო. ამასთან, უნდა აღვნიშნოს, რომ აგრეთვე, სუსტია სააღსრულებო პოლიცია, რომელსაც არა აქვს სათანადო აღჭურვა საქმეების აღსრულებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეების აღსრულების პროცენტული მაჩვენებლებიც ძალიან დაბალია. ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებით, 2005 წლის სექტემბრიდან 2006 წლის 1 ივლისის მდგომარეობით აღსრულების მაჩვენებელი პროცენტებში შეადგენს 46%-ს, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ აღსრულებულია საქმეების მხოლოდ 2,3%.

ლევან სახამბერიძის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით



მომართა მოქალაქე ლევან სახამბერიძემ მიუღებელი სახელფასო დავალიანების გადახდის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების არაღსრულების თაობაზე.

საქმეში არსებული დოკუმენტების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2005 წლის 26 სექტემბერს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი (საქმე №3/1680-05), რომლის თანახმადაც, მოქალაქის სარჩელი დაკმაყოფილდა და ქ. თბილისის შსს მთავარ სამმართველოს დაეკისრა სახელფასო დავალიანების 1624 ლარის და 10 თეთრის გადახდა.

სააღსრულებო ფურცელი დადგენილი წესის თანახმად, წარდგენილ იქნა სააღსრულებო ბიუროში, თუმცა აღსრულება დიდი ხნის განმავლობაში ქიანურდებოდა.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დაირღვა ადამიანის შრომითი და სოციალური უზრუნველყოფის უფლება და რეკომენდაციით მიმართა სააღსრულებო დეპარტამენტს სათანადო რეაგირებისათვის, საიდანაც გვაცნობეს, რომ აღნიშნული საქმე წარმოებაში აქვს სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს, რომელსაც მიეცა შესაბამისი მითითება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის და სააღსრულებო მოქმედებების დროულად გატარების მიზნით.

ელმირა ბაკიროვას საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მოქალაქე ელმირა ბაკიროვამ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურების თაობაზე.

როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, მოქალაქე ელმირა ბაკიროვასა და ელშაბ ემინოვს შორის არსებობდა დავა მათი მცირეწლოვანი შვილის რომან ემინოვის საცხოვრებელი ადგილის შესახებ. 2004 წლის 30 სექტემბრის გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით რომან ემინოვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის – ელმირა ბაკიროვას საცხოვრებელი ადგილი. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე ამოინერა სააღსრულებო ფურცელი №2-177-04, რომელიც აღსასრულებლად გადაეცა ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს. ამდენად, ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მივმართეთ ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს უფროსს, ბატონ დავით ჯაჭვაძეს, რომელმაც განგვიმარტა, რომ საქმის აღსასრულებლად მიღებული იყო ყველა ზომა, მაგრამ მცირეწლოვანი რომან ემინოვის წინააღმდეგობის გამო ის ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი, ამდენად, აღნიშნული საქმე 2005 წლის 26 დეკემბერს გადაეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს, რომელმაც, თავის მხრივ, მიმდინარე წლის 9 იანვარს საქმე გადასცა იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

მიუხედავად ყველაფრისა, საქმე დღემდე აღუსრულებელია (იხ.დანვრილებით ბავშვთა უფლებების თავში).

ლალი პატარკაციშვილის საქმე

2005 წლის 22 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ლალი პატარკაციშვილი. მოქალაქემ მიუთითა ალიმენტის გადახდის შესახებ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურების თაობაზე.

საქმის მასალებიდან ცნობილი გახდა, რომ განმცხადებლის მამას, ვასილ პატარკაციშვილს, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2002 წლის 25 თებერვლიდან დაეკისრა შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურად ალიმენტის გადახდა 25 ლარის ოდენობით.

გადანყვეტილებაზე გაცემული იქნა სააღსრულებო ფურცელი №2/485-2002 (30.07.2002), რომელიც წარდგენილი იქნა ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროში. მოქალაქის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ სასამართლო გადანყვეტილების აღსრულება ჭიანჭურდება გაურკვეველი მიზეზების გამო.

სასამართლო გადანყვეტილების აღსრულების და შესაბამისი სააღსრულებო ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების მოთხოვნით მივმართეთ სააღსრულებო ბიუროს, თუმცა აღნიშნულ საკითხზე პასუხი გაცემული არ არის, ბიუროდან მიღებულ წერილში მითითებულია მხოლოდ სასამართლო აღმასრულებლის ვინაობა. მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა და გაფრთხილებისა, სააღსრულებო დეპარტამენტიდან პატარკაციშვილის საქმესთან დაკავშირებით არაფერია ცნობილი, ამდენად, სამართლიანია მოვალაის პრეტენზია იმის შესახებ, რომ საქმის აღსრულება ხელოვნურად ჭიანჭურდება.

2009

5

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება

საქართველოში სააღსრულებო სისტემის ნაკლოვანებების საერთო ფონზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი საკმაოდ მაღალია. დღემდე საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილია მხოლოდ 8 გადაწყვეტილება:

1. ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ (2004 წლის 8 აპრილი)
2. შამაგვი და თორმეტი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ (2005 წლის 27 დეკემბერი)
3. შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ (2005 წლის 27 დეკემბერი)
4. შპს „ამატ-ჯი“ და მეზალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2005 წლის 27 დეკემბერი)
5. დონაძე საქართველოს წინააღმდეგ (2006 წლის 7 მარტი)
6. დავთიანი საქართველოს წინააღმდეგ (2006 წლის 27 ივლისი)

7. გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ (2006 წლის 17 ოქტომბერი)
8. დანელია საქართველოს წინააღმდეგ (2006 წლის 17 ოქტომბერი)

ბოლო სამი გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ შესულა კანონიერ ძალაში¹.

სიტუაცია ევროსასამართლოს განაჩენების აღსრულებასთან დაკავშირებით

იუსტიციის სამინისტროს მიერ მონოდებული ინფორმაციის მიხედვით, ასანიძის, შამაგვის და დონაძის გადაწყვეტილებებში სრულად აღსრულებულია – გადაწყვეტილების მეორე დღესვე ბ-ნი ასანიძე გათავისუფლდა უკანონო პატიმრობიდან, ხოლო მოგვიანებით მიიღო ზარალის ასანაზღაურებლად ევროსასამართლოს მიერ მისთვის მიკუთვნებული თანხა 155.000 ლარი პროცენტებითურთ, რამაც მთლიანობაში შეადგინა 370.000 ლარი.

იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, შამაგვის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ ევროსაბჭოს წარუდგინა სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქმე ეხება ექსტრადიციის პროცედურაში შეტანილ ცვლილებებს. შამაგვის საქმის ინდივიდუალური აღსრულების პროცესიც დასრულებულია.

ამჟამად მიმდინარეობს შპს

„იზა“-ს და შპს „ამატ-ჯი“-ს გადაწყვეტილებების აღსრულება. იუსტიციის სამინისტროს მტკიცებით, განმცხადებლებმა უკვე მიიღეს გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული თანხები.

აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება არ ხდება ამისთვის კონვენციით განსაზღვრულ დროში, რაც, როგორც ვიხილეთ ასანიძის შემთხვევაში, დაგვიანებასთან დაკავშირებით დარიცხული პროცენტების სახით დამატებით ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს.

როგორც იუსტიციის სამინისტრომ განგვიმარტა, ასანიძის საქმეში დაგვიანება გამონვეული იყო საკანონმდებლო ცვლილებებით აღსრულებისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნისთვის, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ იმავე იუსტიციის სასამართლოს ცნობით, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება მიმდინარეობს 1999 წლის 16 აპრილის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის საფუძველზე და დღემდე არ არსებობს სპეციფიკური საკანონმდებლო ბაზა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისა და მათი შედეგების მონიტორინგისათვის, გაუგებარია, რომელმა ცვლილებებმა განაპირობა აღსრულების დაყოვნება.

ზემოხსენებული სპეციალური საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ჩვენი აზრით, არა მარტო დააჩქარებს და გააადვილებს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას, არამედ უზრუნველყოფს კანონის საფუძველზე მსგავსი გადაწყვეტილებების გავრცელებას და მათ ფარგლებში მისაღები ზომების ადეკვატურობას.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნების პროცესიც არასათანადოა. მივესალმებით გადაწყვეტილებების ქართულად თარგმნას, თუმცა ეს თარგმანები ზოგჯერ არასათანადოა შესრულებული, რაც სასამართლოს გადაწყვეტილების შემთხვევაში დაუშვებელია. მაგალითად, შამაგვის გადაწყვეტილების ორიგინალურ ვერსიაში ნათქვამია, რომ თავად მთავრობის დადგენილების მიღების ფაქტი თავად განიხილება, როგორც გამცხადებლის უფლების შელახვა² მაშინ, როცა ქართულ თარგმანში ვკითხულობთ, რომ „მთავრობის დადგენილების მიღებას შედეგად მოჰყვა ხელისუფლების მეორე მცდელობა, ჩარეულიყო გამცხადებელი კომპანიის უფლებებში“. შამაგვის გადაწყვეტილების §254-ში მოყვანილია არა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები, როგორც ამას ქართულ თარგმანში ვკითხულობთ, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დისპოზიციები.

თვითონ გადაწყვეტილებების გამოქვეყნების პროცესიც არათანმიმდევრულია – ასანიძის, შამაგვის შპს „იზა“-ს და შპს „ამატ-ჯი“-ს შესახებ გადაწყვეტილებები გამოქვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, ასანიძის გადაწყვეტილება გამოქვეყნდა ცალკე, ევროსაბჭოს მხარდაჭერით. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რა ეტაპზე ხდება გადაწყვეტილებების გამოქვეყნება და გამოქვეყნდა თუ არა გადაწყვეტილება დონაძე საქართველოს წინააღმდეგ. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია მხოლოდ სამი გადაწყვეტილება, რამაც დაინტერესებული პირი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს. ჩვენი აზრით, ქართული თარგმანის შესრულებამდე უნდა დაიდოს გადაწყვეტილების ორიგინალი, შესაბამისი ბმული ევროსასამართლოს ვებგვერდისკენ ან მოკლე ინფორმაცია ამგვარი გადაწყვეტილების არსებობის შესახებ.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინება

ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება გულისხმობს არა მხოლოდ ინდივიდუალური ზომების მიღებას მომჩივანის დასაკმაყოფილებლად, არამედ საერთო ზომების გატარებასაც მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად.



დანელიას და დავთიანის საქმეებში, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნებმა ვერ შეძლეს სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის დამტკიცება, ევროსასამართლომ მაინც დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, პროცედურული თვალსაზრისით, სახელმწიფო ორგანოების მიერ სათანადო გამოძიების არჩატარების გამო. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო უწყებებს აკისრიათ ვალდებულება, სერიოზულად და ზედმინევენით განიხილონ ყველა საჩივარი სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის შესახებ და სათანადო გამოძიება ჩაატარონ ყველა მსგავს ფაქტზე.

რაც შეეხება ზოგადად სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას, თავისთავად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სამი საქმე – ასანიძე, შპს „ამატ-ჯი“, შპს „იზა“ – სწორედ საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულებლობას ეხება. როგორც უკვე ვიცოდით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ფერხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაფარ თანხებს.

იუსტიციის სამინისტროს აზრით, „საქართველოს მთავრობამ უნდა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, რათა აღმოფხვრას თანხების უქონლობის გამო ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებლობის პრობლემა“. ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და მეტიც, მივიჩნევთ, რომ მსგავსი ღონისძიებების განხორციელება რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს, გამომდინარე იქიდან, რომ ეს პრობლემა დიდი ხანია დგას და არაერთხელ ასახულა სახალხო დამცველის მოხსენებებშიც.

დაბოლოს, საინტერესოა, რა გავლენას იქონიებს ქართულ კანონმდებლობაზე და განსაკუთრებით, სასამართლოების გადაწყვეტილებებზე გურგენიძის საქმე, რომელიც ეხება მოქალაქის არასათანადოდ დაცვას მისი პირადი ცხოვრების ხელყოფისგან. საგულისხმოა, რომ ხელყოფის მიზეზი იყო არა სახელმწიფო ორგანო ან მოხელე, არამედ პრესა. ევროპელი მოსამართლეების აზრით, სახელმწიფომ არა მარტო თავად არ უნდა ხელყოს მოქალაქის პირადი ცხოვრება, არამედ მას აქვს პოზიტიური ვალდებულება, ხელი შეუშალოს მსგავს დარღვევებს და უზრუნველყოს მათი მიზეზით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის სათანადო ანაზღაურება. ვიმედოვნებთ, ქართული სასამართლოები სრულად გაიზიარებენ ევროპელი კოლეგების მიერ ჩამოყალიბებულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კონცეფციას და მსგავს შემთხვევებში საქართველოს წინააღმდეგ მოტანილი ამ გადაწყვეტილებით და მასში ჩამოყალიბებული პრინციპებით იხელმძღვანელებენ.

¹ 2006 წლის 24 ოქტომბრისთვის

² §61 „the adoption of the impugned Governmental Ordinance amounted to the authorities' second attempt to interfere with the applicant company's right to the peaceful enjoyment of its possession“

ადამიანის უფლებების დარღვევა არაკონტროლირებად ტერიტორიებზე

ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ კვლავ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა საქართველოს არაკონტროლირებად (ოკუპირებულ) რეგიონებში – სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონებში განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებსა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე.

ეს მაშინ, როცა „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ“ დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს 1994 წლის 22 აგვისტოს გადამწყვეტილებისა და ამ გადამწყვეტილების 1995 წლის 26 მაისის დანართის მიხედვით, დსთ-ს სამშვიდობო ძალები პასუხისმგებელნი არიან, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, **„ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვას“**. დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა სამიტის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები არის ის დოკუმენტები, რის საფუძველზეც კონფლიქტის ზონაში დღემდე იმყოფებიან დსთ-ს რუსი სამშვიდობოები.

სახალხო დამცველის მიერ გაკეთდა არაერთი განცხადება და მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციების, დსთ-ს რუსი სამშვიდობო ჯარების სარდლობის, საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების მიმართ, რათა ერთობლივად გატარდეს ყველა ის ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს მო-

მავალში კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დაცვას. სახალხო დამცველმა არაერთხელ მოუწოდა დსთ-ს რუსი სამშვიდობოების სარდლობას, კეთილსინდისიერად შეასრულონ მათზე მანდატით დაკისრებული მოვალეობები.

სახალხო დამცველმა ამავედროულად მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა გალის რაიონსა და უსაფრთხოების ზონაში ჩატარდეს ადამიანის უფლებების მდგომარეობის საერთაშორისო მონიტორინგი.

სახალხო დამცველმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში არაერთხელ მიმართა დახმარებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა განხორციელდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე პატიმრობაში მყოფი პირების მდგომარეობის მონიტორინგი. კონკრეტულ შემთხვევაში, დრანდის ციხეში მყოფი ლევან მამასახლისისათვის

სამედიცინო დახმარების გასაწევად ექიმების გაგზავნისა და საჭირო მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად. შედეგად უკანონო პატიმარი არაერთხელ მოინახულეს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის თანამშრომლებმა. ხოლო შპს „ავერსი-ფარმასა“ და წითელი ჯვრის დახმარებით მას რეგულარულად მიეწოდება მედიკამენტები.

ამ რეგიონებში, ხშირ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ადამიანის უფლებების ისეთ დარღვევებთან, რომლებიც საერთაშორისო სამართლის მიხედვით საერთაშორისო დანაშაულადაა მიჩნეული.

აფხაზეთში, გალში, ე.წ. კონფლიქტის ზონაში და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების მიმართ დარღვეულია მათთვის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით მინიჭებული მთელი რიგი უფლებები და თავისუფლებები, კერძოდ:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მე-3, მე-4, მე-5, მე-9, მე-12, მე-17 მუხლები;
2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მე-7, მე-8, მე-9 და მე-17 მუხლები;
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია მე-3, მე-5, მე-8, მე-10, მე-11 და მე-14 მუხლები;
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის №1, №4 და № 12 ოქმები;
5. საქართველოს კონსტიტუცია მე-17, 21-ე და 38-ე მუხლები.

ამ რეგიონებში მომხდარ ადამიანის უფლებების დარღვევებსა და საერთაშორისო დანაშაულზე დღემდე პასუხი არ უგია არც ერთ დამნაშავეს, რაც დსთ-ს სამშვიდობო ჯარების მიერ კონტროლირებად ე.წ. სამშვიდობო ზონასა და მთლიანად რეგიონში აძლიერებს დაუსჯელობის სინდრომს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გვინდა კიდევ ერთ მეტად აქტუალურ პრობლემას შევხვით. საქმე ეხება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხს. ამ საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება „საერთაშორისო საზოგადოებისათვის შემაშფოთებელ“ უმძიმეს დანაშაულებზე – გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ომის დანაშაულები, აგრესია. (მართალია ეს უკანასკნელი ამოქმედდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ მიღწეული იქნება აგრესიის განსაზღვრება).

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება სწორედ იმ დანაშაულებზე, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა მიმართ იქნა განხორციელებული არაკონტროლირებად ტერიტორიებზე. დღემდე გრძელდება ეთნიკური წარმოშობის ქართველების და არაქართველების შევიწროება, მკვლეობა, დევნა, წამება, მოტაცება.

ჩვენ მხარს უჭერთ სამშვიდობო მოლაპარაკებებს და ხელისუფლების მიერ წარმოებულ სამშვიდობო პოლიტიკას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საქართველოს, რომის სტატუტის რატიფიცირებით, გააჩნია მძლავრი ბერკეტი სამხედრო დანაშაულებში, ეთნიკურ წმენდაში დამნაშავეთა დასჯისათვის, ეფექტური საშუალება, რომლითაც შესაძლებელია ასი ათასობით დევნილის უკან დაბრუნება. მითუმეტეს ეს შესაძლებელია, რადგან საქართველოს 2003 წლის 16 ივლისს რატიფიცირებული აქვს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი), შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს კანონმდებლობა და 2003 წლის 14 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სისხლის სამართლის სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ კანონი.

მიგვაჩნია, რომ ამ მძლავრი მექანიზმის ამოქმედება გარკვეულწილად შეიძლება გამოყენებული იქნას ერთ-ერთ და არა ერთადერთ საშუალებად კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, გახდეს შემაკავებელი ბარიერი ახალი დანაშაულების ჩადენის წინააღმდეგ, უმძიმესი დანაშაულები არ

უნდა დარჩეს დაუსჯელი. სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება განახორციელოს თავისი სისხლის სამართლის იურისდიქცია იმ პირებზე, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის.

აფხაზეთის ე.წ. სამართალდამცავი ორგანოები, ანტიკრიმინალური ოპერაციის ნილაბქვეშ, მასობრივად აპატიმრებენ გალის რაიონის მკვიდრ ეთნიკურ ქართველებს. ისინი სოფლებში ავტომანქანებით შედიან და ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე აპატიმრებენ ათობით ადამიანს, შემდეგ კი გადაჰყავთ ისინი ე.წ. შსს-ს თუ უშიშროების გალის, ოჩამჩირის ან სოხუმის იზოლაციონებში. არის ფაქტები, როდესაც იმ დაკავებულებს, რომელთაც არ გააჩნიათ ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის „დროებითი პასპორტი“, გამოსასყიდს ახდევინებდნენ.

მძევლების აყვანა დამკვიდრებული პრაქტიკაა. დღემდე არც ერთი ადამიანი არ დასჯილა გალის რ-ნში მძევლების აყვანის, ადამიანის გატაცების ან მოქალაქეთათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის გამო. არც ერთი ადამიანი არაა დაცული, რომ ე.წ. აფხაზური ადმინისტრაციის ძალოვანი სტრუქტურების, ან ამ სტრუქტურების ნებართვით, თუ მათი უმოქმედობის გამო მოთარეშე კრიმინალური ჯგუფების მხრიდან არ გახდება ძალადობის, გატაცების, ან სხვა სახის არაკანონიერი ზემოქმედების მსხვერპლი.

ადამიანის უფლებების დაცვის თავლსაზრისით გალის რაიონში მდგომარეობა წლების განმავლობაში უკიდურესად მძიმეა და გაუმჯობესების არანაირი კვალი არ ჩანს. დსთ-ს ეგიდით მოქმედი რუსეთის სამშვიდობოების არაეფექტური, გულგრილი და, ხშირ შემთხვევაში, დანაშაულებრივი მოქმედებისა და აფხაზური ადმინისტრაციის კრიმინალური ზენოლის შედეგად, გალში ადამიანის უფლებების დამცავი დემოკრატიული ინსტიტუტები არ არსებობს.

აქვე მინდა გამოვუცხადო მადლობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, კონფლიქტების მონწილეების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის სოხუმის ოფისის ხელმძღვანელს, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის სამსახურს და ყველას, ვინც გვანჯდის ინფორმაციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე, მათ შორის ე.წ. სამშვიდობო ზონაში მომხდარი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ.

აფხაზეთში ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებიდან გამოვყოფდი შემდეგს:

2006 წელი

6 იანვარს, გალის რაიონის სოფ. **ნაბაკევში**, 6 შეიარაღებულმა პირმა, იარაღის მუქარით, გალი-თაგილონის მარშუტზე მოძრავი პაზ-ის ტიპის მარკის ავტობუსიდან იძულებით გადმოსვეს, სოფ. **თაგილონის** მკვიდრი **მალხაზ შუნტულის ძე ოკუჯავა**. იგი გაათავისუფლეს გამოსასყიდი თანხის, 12 ათასი აშშ დოლარის, გადახდის შემდეგ.

8 იანვარს, **ქ. გალში**, **დაზმირ ეხვაიას** ოჯახს, თავს დაესხა რამდენიმე დაუდგენელი პიროვნება. მათ გაიტაცეს 200 კგ თხილი და მიიმალნენ.

8 იანვარს, **ქ. ოჩამჩირეში ლ. ვ.-ს** ოჯახში შეიჭრა ამავე ქალაქში დისლოცირებული სეპარატისტთა შსს სწრაფი რეაგირების სპეცრაზმის არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი 3 წევრი. მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ლ. ვ.-ს, წაიყვანეს თავიანთ ბაზაზე და გააუპატიურეს. დაზარალებულმა განცხადებით მიმართა მილიციის ადგილობრივ განყოფილებას, თუმცა სპეცრაზმელების მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.



9 იანვარს, გალის რაიონის სოფ. **ნაბაკევი**, საკუთარი სახლიდან გაიტაცეს ამავე სოფლის გამგებელი **ზაირა ეხვია**. 11 იანვარს, 5 ათასი აშშ დოლარის ოდენობის გამოსასყიდის გადახდის შემდეგ, იგი გაათავისუფლეს.

13 იანვარს, გალის რაიონის სოფ. **თაგილონში**, ორმა დაუდგენელმა ნიღბიანმა პირმა გაიტაცა ამავე სოფლის მკვიდრი 40 წლის **ვალერი სარას ძე გამისონია**. 20 იანვარს, 9 ათასი ლარის გადახდის შემდეგ, იგი გაათავისუფლეს.

13 იანვარს, გალის რაიონის **საბერიოს** დასახლებიდან 1,5 კილომეტრში დაუდგენელმა პირებმა დაცხრილეს **ჭუბურხინჯის** მიმართულებით მოძრავი ჟიგულის-ის მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა ენგურჭესის თანამშრომელი **გენადი გივის ძე ფარულავა**, იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

14 თებერვალს, გალის მილიციის თანამშრომელთა ჯგუფი, რაიონის ქვედა ზონის სოფლებში ატარებდა შემოვლას. ჯგუფს ხელმძღვანელობდა მილიციის უფროსის მოადგილე **ოთარ ტურანბა**. სოფელ **განახლებაში**, მილიციელებმა ცეცხლი გაუხსნეს ფეხით მომავალი ადგილობრივი ახალგაზრდების ჯგუფს. შედეგად ადგილზევე დაიღუპა **მანუჩარ ფირცხალავა**, დაიჭრა ვინმე **ჩაკაბერია** და კიდევ ერთი პიროვნება. ისინი გადაიყვანეს გალში.

19 თებერვალს, **გალის** ცენტრალური ბაზრიდან აფხაზი ეროვნების დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს გალის რაიონის მკვიდრი **მაია ბულისკერია**.

1 მარტს, სეპარატისტთა უშიშროების სამსახურის მიერ, „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდებით დააკავეს **ტარიელ სოხაძე, თეა შარია და თემურ ელიავა**. ამ ფაქტთან დაკავშირებით **სახალხო დამცველმა გაავრცელა არა ერთი განცხადება და საგანგებოდ შეხვდა გაეროს დამკვირვებელთა მისიის ადამიანის უფლებების დაცვის სოხუმის ოფისის ხელმძღვანელს, ვლადლენ სტეფანოვს**.

3 მარტს, სოფ. **ოქუმის** მკვიდრის **თამაზ ანთიას** ოჯახს თავს დაესხა ათამდე შეიარაღებული პირი. თავდამსხმელებმა ოჯახის წევრებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, გაიტაცეს ძვირფასეულობა და ორი ტონა თხილი.

მარტის შუა რიცხვებში, აფხაზი ე.წ. სამართალდამცველებმა, გალის რაიონის სოფ. **ღუმურიში** დააკავეს ამავე სოფლის მკვიდრი, **გურგენ ცაგურია**, რომელიც რამდენიმე დღეში დროებითი დაკავების საკანში გარდაცვლილი იპოვეს.

2 აპრილი. გალის რ-ნის სოფ. **პირველი ოტობაიას** ცენტრში, დაახლოებით 10.00 საათზე, ოთხმა შეიარაღებულმა პიროვნებამ, რომლებიც იყვნენ ვაზ-2106 მარკის ავტომანქანით, ყაჩაღური თავდასხმა განახორციელეს სამგზავრო ავტობუსზე, რომელიც მოძრაობდა მზიური-ზუგდიდის მიმართულებით. ყაჩაღებმა მძღოლს და მგზავრებს წაართვეს ფული და ძვირფასეულობა, თვითონ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

გალის რ-ნში, მდ. ენგურის რკინიგზისა და საავტომობილო ხიდებს შორის არსებულ საცალფეხო ხიდთან (გაბუნების ფონი), თითქმის ყოველდღე ადგილი აქვს ყაჩაღურ თავდასხმებს.

4 აპრილი. ამ ხიდზე, ოთხი უცნობი პირის მიერ დაყაჩაღებულ იქნენ გია ოკუჯავა და მისი მეუღლე – ინდირა ოკუჯავა (სოფ. თაგილონიდან), ასევე სოფ. თაგილონის აფხაზური ადმინისტრაციიდან გია შარია. მათ წაართვეს პირადი ნივთები, ფული და ძვირფასეულობა. ამავე ხიდზე 12 აპრილს, დღის 17.00 საათზე, საცალფეხო გადასასვლელ ხიდთან, ოთხმა შეიარაღებულმა ნიღბიანმა დააყაჩაღა გალის რ-ნის სოფ. თაგილონის მცხოვრებნი: ლარისა ჯღარკავა, მარინა თორია, სოფ. სიდის მკვიდრი პროფილე ნულაია და სოფ. მზიურის მცხოვრები ორი ახალგაზრდა. აღნიშნულ ტერიტორიაზე მხოლოდ აპრილის თვეში ჩადენილია სულ 20-მდე ყაჩაღური თავდასხმა.

6 აპრილი. რსძ-ის მთავარსარდალმა ს.ჩაბანმა დადებითად შეაფასა სიტუაცია კონფლიქტის ზონაში. მან ეს განაცხადა ქუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრის დამთავრების შემდეგ. მისივე განცხადებით, ენგურჰესზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით გახსნილია ორი დამატებითი საგუშაგო.

9 აპრილი. გალის რ-ნის სოფ. **ჩხორთოლში** ყაჩაღური თავდასხმისას მოკლული იქნა 80 წლის ქალბატონი (ეროვნებით რუსი).

10 აპრილი. გამთენიისას, ზუგდიდის რ-ნის სოფ. **ხურჩიდან** დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა, საკუთარი სახლიდან გაიტაცეს **ოთარ ნაჭყებია**, რომელიც წაიყვანეს გალის რ-ნის სოფ. ნაბაკევის მიმართულებით. მოგვიანებით გამტაცებლები დაუკავშირდნენ ნაჭყებიას ოჯახს და მძევლის გასათავისუფლებლად მოითხოვეს 100 ათასი ამერიკული დოლარი. 25 აპრილს, ო.ნაჭყებია, გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

14 აპრილი. გალის რ-ნში, ღამის 2.00 საათზე, **პირველ გალში** მცხოვრებ, ენგურჰესზე მძლოლად მომუშავე **როინ ასლანძია** სახლში შეუვარდა ავტომატით შეიარაღებული ოთხი აფხაზი. რ. ასლანძია ანამეს, რის შემდეგაც ოჯახიდან წაიღეს ოქროულობა და 500 აშშ დოლარი.

15 აპრილი. ფსოუს საკონტროლო გამშვებ საზღვარზე, რუსეთის მხრიდან, რუსეთის მესაზღვრეებმა დააკავეს ოჩამჩირის რ-ნის 49 წლის მკვიდრი, რომელსაც ავტომანქანის ჩხრეკისას საბარგულში აღმოაჩინეს ტრეფიკინგის მსხვერპლი, 24 წლის ტაჯიკეთის მოქალაქე.

16 აპრილს გალის რაიონის სოფ. **პირველ გალში**, 3 დაუდგენელი პირი თავს დაესხა **როინ ალექსანდრიას** ოჯახს. ბოროტმოქმედმა ოჯახის უფროსს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, გაიტაცეს ფული და მიიმალნენ.

25 აპრილს ოჩამჩირის რ-ნის სოფ. **აგუბედიაში** ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ოთხი ნიღბიანი ბოროტმოქმედი თავს დაესხა შაკაიების ოჯახს და გაიტაცა 60 წლის მითუშა შაკაია. გამტაცებლები დაუკავშირდნენ გატაცებულის ოჯახს და მოითხოვეს გამოსასყიდი.

25 აპრილს სოხუმის ციხეში გარდაიცვალა 35 წლის **თემურ ცაგურია**, რომელიც დააკავეს 24 თებერვალს, იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით. ცაგურიას ოჯახის წევრები პირველი დღიდანვე აცხადებდნენ, რომ მას იარაღი ჩაუდეს. არსებული ინფორმაციით, გ. ცაგურიასთან ციხეში შევიდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ოთარ ტურანბა. რამოდენიმე საათის შემდეგ გ. ცაგურია საკანში ჩამოხრჩობილი იპოვეს. ამ ფაქტს გაგრძელება მოჰყვა გალში. 8 მაისს გალის რ-ნის მილიციის განყოფილებაში, დაახლოებით 18.00 საათზე, გალის აფხაზური მილიციის უფროსის მოადგილე ოთარ ტურანბასა და გალის რ-ნის უშიშროების თანამშრომელ თემურ განგიას შორის მოხდა კონფლიქტი. ოთარ ტურანბამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თემურ განგიას, რომელმაც საპასუხოდ ტაბელური იარაღიდან რამდენჯერმე გასროლა ტურანბას მიმართულებით. კონფლიქტის მიზეზი იყო ის, რომ თ.განგიამ დაადანაშაულა ო.ტურანბა თავისი ნათესავის, სოხუმის ციხეში გარდაცვლილი გურგენ ცაგურიას მკვლელობაში.

29–30 აპრილი. გალის რ-ნში განლაგებული რუსი სამშვიდობოები მძიმე ტექნიკის გამოყენებით გალის რ-ნის სოფ. **რეფში** პატრულირებისას, ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას პირადობის დამადასტურებელ მონმობებს უმონმებდნენ და აგრეთვე ითხოვდნენ ე.წ. დოკუმენტს „ფორმა №9“, რომლის შევსება აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების განკარგულებით სავალდებულოა ყველა ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის, აფხაზეთიდან საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადასაადგილებლად. იმ პირებს, ვისაც აღნიშნული დოკუმენტი არ ჰქონდათ, მათ ზუგდიდში გადასვლისას რუსი „მშვიდობისმყოფელები“ სძალავდნენ თანხას 10 ლარის ოდენობით. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ რუსი „მშვიდობისმყოფელების“ მხრიდან ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა დარღვევებს, რამაც მიიღო სისტემატური ხასიათი.



30 აპრილი. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. **აგუბედიაში**, ოთხი დაუდგენელი ნიღბიანი ბანდიტი, შეაიარღვებული ორი ავტომობილი და ორი პისტოლეტით, შეუფარდა სახლში ადგილობრივ მაცხოვრებელს და იარაღის მუქარით ოჯახის წევრები გააკოჭეს. გააუპატიურეს 1980 წელს დაბადებული შვილი, რის შემდეგ გაუჩინარდნენ.

2 მაისი. გალის რ-ნის სოფ. **სიდაში**, დაახლოებით 19.00 საათზე, რუსეთის სამშვიდობო ძალების ოთხი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც გადაადგილდებოდნენ ჯავშანმანქანით, შეიჭრნენ **მამუკა სართანის** ოჯახში და მოითხოვეს ალკოჰოლური სასმელი. უარის მიღების შემდეგ ოჯახის წევრები სასტიკად სცემეს.

2 მაისი. **გალში**, ძნელადის ქუჩაზე მცხოვრებ **ლიანა პაპავას** ოჯახში, დილით დაახლოებით 04.00 საათზე, შეიჭრა გალში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების შეიარაღებული ჯგუფი – 4 კაცის შემადგენლობით (იგორ საზონოვი, მარინა საზონოვა, ანდრეი ტრიფონოვი და ვალოდია სერდიუკოვი). ლ. პაპავას მოთხოვეს ალკოჰოლური სასმელი. უარის მიღების გამო რუსმა სამხედროებმა შეურაცხყოფა მიაყენეს ოჯახის წევრებს და ატეხეს სროლა, რის შედეგადაც დაიჭრა ლიანა პაპავა. ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროდა მარინა საზონოვაც, რომელიც ერთ-ერთი რუსი სამხედროს მეუღლეა და სამოქალაქო პირია.

15 მაისი. აფხაზეთის თვითღიარებულმა პარლამენტმა – სახალხო კრებამ მიიღო დადგენილება **„აფხაზეთის მოქალაქეთა უფლებების დაცვის, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისა, საყოფაცხოვრებო ურთიერთობების რეგულირების შესახებ“**.

ამ დადგენილების თანახმად, აფხაზური სასამართლო წარმოებაში არ იღებს, ხოლო უკვე სასამართლო წარმოებაში არსებულ განცხადებებს განუხილველად ტოვებს ყველა იმ საქმეზე, რომელიც ეხება იმ პირთა საკუთრებას, რომლებმაც 1992-93 წლების საომარი მოქმედებების დაწყებამდე, კონფლიქტის პერიოდში ან მის შემდეგ დატოვეს აფხაზეთის ტერიტორია, ხოლო მათი უძრავი ქონება კი საკუთრებაში ან უვადო სარგებლობის უფლებით გადაეცათ აფხაზეთის მოქალაქეებს. ამავე დადგენილებით, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შეჩერებულია სასამართლოების გადანაცვეტილებების აღსრულება. ქალაქებისა და რაიონების ადმინისტრაციებმა არ უნდა მიიღონ განსახილველად დოკუმენტები, უშუალოდ ან მინდობილობით იმ პირებზე გასაფორმებლად, რომლებმაც დატოვეს აფხაზეთი კონფლიქტის დაწყებამდე, კონფლიქტის დროს ან მის შემდგომ. დადგენილება შევიდა ძალაში მიღების დღიდანვე. ამით ფაქტიურად დაკანონდა ეთნიკური წმენდა და დაირღვა ევროპის კონვენციის 1 ოქმის 1 მუხლით გარანტირებული ქონების უფლება.

26, 27, 28 მაისი. დილის 5 საათისათვის, გალის რ-ნის მაღალ სოფლებში უაზ-ისა და 3 ვაზ-212-ის ავტომანქანით შემოვიდა აფხაზ სეპარატისტთა 15-18 კაციანი შეიარაღებული ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტყვარჩელის შს სამმართველოს უფროსის მოადგილე მაიორი ოთარ დეღბა. ჯგუფში იყვნენ სამხედრო კომისარიატის წარმომადგენლები ვინმე ჭოლარიას ხელმძღვანელობით. აღნიშნული ჯგუფი წინასწარ გამზადებული სიით ეძებდა და აკავებდა ჯარში გასაწევ ქართველებს.

მათ დააკავეს წვევამდელები:

სოფელ **ოქუმში** – **ბაკურ ბიგვავა, გია ჩერქეზია, ნოშრია მიქავა, გივი ჯობავა;**
 სოფელ **პირველ გალში** – **ზაზა აცაგურიანი, აპოლონ როდონია.**

დაკავებულები გადაიყვანეს ტყვარჩელში. ახლობლების გადმოცემით, მათ აიძულებენ სავალდებულო სახედრო სამსახურის მოხდას აფხაზურ ჯარში.

27 მაისი. გალის რ-ნის სოფ. **პრიმორსკში** მცხოვრები **ალექსანდრე კორსენკო** სხეულის მძიმე დაზიანებით მიიყვანეს ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. დაზარალებულის განცხადებით,

იგი რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯარისკაცებმა სასტიკად სცემეს. ამ ფაქტს შეესწრო დაზარალებულის დედა, იულია კორსენკო, რომელიც აცხადებს, რომ რამდენიმე რუსმა ჯარისკაცებმა მისი შვილი სრულიად უმიზეზოდ ცემა. მას ავტომატის კონდახს ურტყამდნენ. ა.კორსენკოს მიღებული აქვს მძიმე დაზიანება.

28 მაისი. გალის რ-ნის სოფ. **ბედაში** მეზობლებმა თავის საცხოვრებელ სახლში მოკლული იპოვეს 68 წლის **თამარ ხვიტია-ლაბუანია**. თვითმხილველების განმარტებით, თ. ხვიტიას თავის არეში აღენიშნებოდა მრავლობითი ქრილობები. თ.ხვიტიას ნათესავებმა მომხდარის შესახებ აცნობეს ტყვარჩელის მილიციას, მაგრამ მათი მხრიდან არანაირი რეაგირება არ განხორციელებულა.

10 ივნისი. გალის რ-ნის სოფ. **ლუმურიშში**, დაახლოებით 13.00 საათზე, ორი დაუდგენელი ნიღბიანი, შეიარაღებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, თავს დაესხა **მაჟარა ქვარახიას** ოჯახს. ყაჩაღებმა წაიღეს ძვირფასეულობა და სხვა საოჯახო ნივთი. ქვარახიების ოჯახი მდებარეობს რუსეთის სამშვიდობო ძალების №108 საგუშაგოსთან ახლოს, მაგრამ მათი მხრიდან არავითარი რეაგირება მომხდართან დაკავშირებით არ მომხდარა.

10-11 ივნისი. აფხაზური მილიცია 6 ავტომანქანით შევიდა გალის რ-ნის დაბალი ზონის სოფლებში: **სიდაში, თავილონში, ნაბაკევი, ოტობაიაში, გაგიდაში, განახლებაში და ბარლებში**. ე.წ. რეიდს ხელმძღვანელობდა ოთარ ტურანბა.

10 ივნისს დააკავეს **ნუგზარ ქობალია, ჯუმბერ ბუთბაია, ფირუზ მიქავა და გოჩა მიქავა**.

11 ივნისს, სოფ. **სიდაში** დააკავეს **ზაზა წულუკია და რამაზ ხუბულავა**. დაკავებულები გადაიყვანეს გალის აფხაზური მილიციის შს სამმართველოს შენობაში. მიღებული ინფორმაციით, 12 ივნისს, გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ, დაკავებულები გაათავისუფლეს.

გალის რ-ნის სოფ. **ნაბაკევი, როინ ქარდავას** ოჯახში განლაგდნენ აფხაზი მესაზღვრეები და მებაჟეები, რომლებმაც დაიწყეს კაპიტალური შენობის აშენება და ამზადებენ თავდაცვითი დანიშნულების ნაგებობებს. ჯგუფი შედგება 18–20 მებრძოლისაგან და შეიარაღებულები არიან ყუმბარმტყორცნით, ტყვიამფრქვევით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით (ლულისქვეშა ყუმბარმტყორცნით). ჯგუფი აკონტროლებს ნაბაკევი-ხურჩის გზას და რამოდენიმე ფონს მდინარე ენ-გურზე.

17 ივნისი. გალის რ-ნის სოფ. თავილონში, ღამის 02.00 საათზე, შემოვიდნენ აფხაზი სამართალდამცავები, ოთარ ტურანბას ხელმძღვანელობით და მივიდნენ **ოთარ ბერაიას** სახლში. სახლს შემოარტყეს ალყა და სთხოვეს გამოსულიყვნენ გარეთ ძმები გელა და გოგიტა ბერაიები ხელებანეულები. აღნიშნული პირები სახლში არ აღმოჩნდნენ და მათ მაგივრად დააკავეს მათი მამა – ოთარ ბერაია, რომელიც წაიყვანეს გალის მილიციაში. ორი დღის შემდეგ ო.ბერაია გაათავისუფლეს. მისი თქმით, ო. ტურანბას სურს მისი შვილების ლიკვიდაცია.

19 ივნისი. გალის რ-ნის სოფ. **აჩიგვარაში**, უაზ-ის მარკის 3 ავტომანქანითა და პაზ-ის მარკის ავტობუსით ოჩამჩირის შს აფხაზმა მილიციელებმა, ოჩამჩირის რ-ნის სამხედრო კომისართან ერთად (15-მდე შეიარაღებულნი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით), ჩაატარეს ოპერაცია, იქ მაცხოვრებელი ახალგაზრდების ჯარში განვევის მიზნით. სამხედრო კომისარს, ვინმე კონსტანტინე ფარულავას ჰქონდა წინასწარ შედგენილი სიები, რომლის მიხედვითაც გვიან ღამით სახლებიდან გამოჰყავდათ ახალგაზრდები – დაახლოებით 15-მდე წვევამდელები. დაკავებულები გადაიყვანეს ოჩამჩირის მილიციის შენობაში. ყოველი წვევამდელის გათავისუფლების სანაცვლოდ კომისარიატის თანამშრომლები ითხოვენ 400 აშშ დოლარს. დაკავებულების ოჯახის წევრები და ნათესავები არ ახმაურებენ დაკავებას და ფულის გამოძალვის ფაქტებს იმ მოტივით, რომ ეშინიათ, არაფერი დაუშაონ წვევამდელებს.



ასევე ცნობილია, რომ ტყვარჩელის სამხედრო კომისარი – თემურ გოგუა, გალის რ-ნის სამხედრო კომისარი ბესიკ ბიგვავა და მისი მოადგილე ბესიკ კირთაძე მშვიდობიან მოსახლეობას ფულის სძალავენ.

26 ივნისი. გალის რ-ნის სოფ. **ჭუბურხინჯში** და **თაგილონში** ჩატარდა გალის აფხაზური მილიციისა და სამხედრო კომისარიატის ერთობლივი რეიდი, რომლის შედეგადაც დაკავებული იქნა 11 ახალგაზრდა. ისინი წაიყვანეს გალის მილიციაში და აძალებდნენ აფხაზურ ჯარში სამსახურს. დადგინდა სამი მათგანის ვინაობა – **ნიკა ყოლბაია** – სოფ. თაგილონიდან, **გიული ადამია** და **ელგუჯა თორია** სოფ. ჭუბურხინჯიდან. ორი უკანასკნელი მალე თანხის გადახდისთანავე, ხოლო სხვებიც, გარკვეული დროის შემდეგ, თანხის გადახდის შემდეგ, გაათავისუფლეს.

გალის კომისარიატის წარმომადგენელი ბესიკ კირთაძე თაგილონის ცენტრში ესუბრა მოსახლეობას და უთხრა მათ, რომ თუ მათი შვილები არ იმსახურებენ აფხაზურ ჯარში, მათი ოჯახები ვერ იცხოვრებენ აფხაზეთში.

26 ივნისი. გალის რ-ნის სოფ. **ნაბაკევში**, დაუდგენელი შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ **მამუკა ჯიქიასა** და **ნატო ხუნჯუას** ოჯახს. იარაღის მუქარით გაიტაცეს ძვირფასეულობა და თანხა. ბანდიტებმა მამუკა ჯიქია ფეხში დაჭრეს. ოჯახის ნევრებს დაჭრილის ზუგდიდში გადაყვანის საშუალებას არ აძლევდნენ, ამიტომ დაჭრილის ზუგდიდის საავადმყოფოში გადაყვანა შემოვლითი გზით მოხერხდა.

ამ ფონზე, როცა ადამიანის უფლებების დარღვევებმა მიიღო პერმანენტული და მასიური ხასიათი, დსთ-ს სამშვიდობო ძალები დანაშაულებრივ გულგრილობას იჩენენ. მეტიც, ჯილდოებსაც ლეზულობენ. კერძოდ, 21 ივნისს სოხუმში, აფხაზეთის თვითაღიარებულმა სეპარატისტულმა ხელისუფლებამ, მოსკოვის ოლქის სამხედრო სანატორიუმ „სოხუმში“, სადაც განთავსებულია რუსეთის სამშვიდობო ძალების შტაბი, აღნიშნეს კონფლიქტის ზონაში – აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების შემოყვანის 12 წლისთავი. სამშვიდობო ძალების სარდალის სერგეი ჩაბანის სიტყვებით „12 წლის განმავლობაში სამთავრობო ჯილდოებით დააჯილდოვეს 1377 სამხედრო. აქედან – 2 უფროსი ლეიტენანტი რომან ბარსენოვი და რიგითი დიმიტრი მირონოვი რუსეთის გმირის წოდებით – სიკვდილის შემდეგ. 27 სამხედრო მოსამსახურე – კოლექტიური ძალების „მამაცობის ორდენით“, 32 – ორდენით „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“, 258 – პირველი ხარისხის მედლით „სამხედრო მამაცობისათვის“ და 421 – მეორე ხარისხის მედლით, 639 – მედლით „სამხედრო თანამეგობრობის გაძლიერებისათვის“.

მდგომარეობა გალის ქართულ სკოლებში

გალის რაიონში არსებულ ქართულენოვან სკოლებში მოსწავლეებსა და პედაგოგებს აფხაზური ადმინისტრაციის წარმომადგენლები ხშირად უქმნიან სირთულეებს, განსაკუთრებით, მშობლიურ – ქართულ ენაზე განათლების მიღების თვალსაზრისით. გალში, დსთ-ს სამშვიდობოების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, აფხაზური ადმინისტრაციის ზენოლით, ადგილობრივი სკოლების სასწავლო პროგრამიდან ამოღებულია მთელი რიგი საგნები, კერძოდ, საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და მშობლიური (ქართული) ენა და ლიტერატურა. გალში ქართველ პედაგოგებს აიძულებენ, ბავშვებს ასწავლონ რუსული სახელმძღვანელოებით და რუსეთის ფედერაციის განათლების პროგრამით. უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის №1 ოქმის მე-2 მუხლი – განათლების უფლება და ევროპის ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ.

2006 წლის 24 იანვარს ქ. გალში გაეროს ეგიდით გამართული შეხვედრის ქართველ მონაწილეებს მეზობლად განლაგებული სკოლის შენობიდან მოწაფეები ქართულად მიესალმნენ. მეორე დღეს

აღნიშნული სკოლის დირექტორი და მასწავლებლები დაიბარეს ადგილობრივმა დე-ფაქტო ხელისუფლების წამომადგენლებმა და სკოლის დახურვითა და სათანადო დასჯით დაემუქრნენ მათ.

გავრცელებული ინფრომაციით, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობამ და განათლების სამინისტრომ სოხუმში ჩაატარა თათბირი, სადაც გადაწყდა, რომ 2006 წლის 1 სექტემბრიდან აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის გალის რაიონში სწავლება იწარმოებს რუსულ და აფხაზურ ენებზე. ამ პროცესის სტიმულირებას ახდენენ რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პირები, კერძოდ 2006 წლის მაისი თვეში სოჭში შეხვედრენ აფხაზეთის დე-ფაქტო განათლების მინისტრი ინდირა ვარდანიას და სოჭის ადამიანთა განათლებისა და მეცნიერების სამმართველოს უფროსი ირინა ბადაიანი, შეხვედრის შესახებ კომენტარი გააკეთა ინდირა ვარდანიამ და აღნიშნა, რომ „აფხაზეთის პედაგოგები და მათი სოჭელი კოლეგები მუშაობენ რუსეთის ფედერაციის განათლების სისტემის სტანდარტების ერთიან სივრცეში“.

დემოკრატიული ინსტიტუტები სამშვიდობო ზონაში

გალის რაიონში არ არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის დემოკრატიული ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები ან საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი წარმომადგენლები, რომლებიც, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ობიექტურად და სრულყოფილად შეისწავლიდნენ და შეაფასებდნენ სამშვიდობო ზონაში (გალში) შექმნილი ვითარებას.

აქტუალურია გალის რაიონში გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნის საკითხი. გაეროს ადამიანის უფლებათა სოხუმის ოფისი შეზღუდულად მოქმედებს. მისი მუშაობა გალის რაიონში არაეფექტურია, ხოლო დანარჩენ აფხაზეთში კი ადამიანის უფლებების დაცვაზე პრაქტიკულ ზემოქმედებას ვერ ახდენს.

საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ დასვა გალში გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნის საკითხი. თუმცა დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების განაცხადებით, არ არსებობს გალის რაიონში გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნის საჭიროება და აფხაზეთის ხელმძღვანელობა დამოუკიდებლად იღებს ზომებს გალის რაიონის მოსახლეობის უფლებების დასაცავად.

აღსანიშნავია, რომ გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმაც არაერთხელ მოუწოდა აფხაზურ მხარეს, თანხმობა მისცეს გალის რაიონში გაეროს მისიის სამოქალაქო პოლიციის შეყვანასა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნაზე, მაგრამ მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნისა, გალში ადამიანის უფლებათა დაცვის გაეროს ოფისის გახსნა და გაეროს მისიის სამოქალაქო პოლიციის შეყვანა დღემდე ვერ ხერხდება.

ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა ცხინვალის რეგიონში

ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ კვლავინდებურად მძიმე ვითარებაა შექმნილი ცხინვალის რეგიონში. ხშირია ისეთი ფაქტები, როგორიცაა ადამიანის გატაცება, უკანონო დაპატიმრება, ადამიანის დევნა ეთნიკური წარმოშობის გამო. ამ და სხვა უფლებებთან ერთად, ხელყოფილია მოქალაქეთა აზრისა და სიტყვის გამოთქმისა და გამოხატვის თავისუფლება.

კრიმინალური ფაქტების გარდა, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მხრიდან ადგილი აქვს ისეთი სახის დანაშაულს, როგორიცაა მოსახლეობის საკუთრებაში არსებული მატერიალური ქონების კონფისკაცია. კერძო საკუთრების ამგვარი ჩამორთმევისა და გადაცემის შემთხვევები საერთაშორისო



სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კვალიფიცირებულია, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და სისხლის სამართლის დანაშაული.

ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით შექმნილ მდგომარეობას ასახავს ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტები:

2006 წელი

20 იანვარს **სოფელ ერგნეთთან** შეირაღებულმა პირებმა გაიტაცეს სოფელ ერედვის პოლიციის განყოფილების უფროსი **ლადო ჩალაური** და ამავე განყოფილების თანამშრომელი **გოჩა გვიმრაძე**. ისინი სასტიკად იყვენენ ნაცემი. რამდენიმე დღიანი ტყვეობის შემდეგ, 25 იანვარს ისინი გაათავისუფლეს.

30 იანვარს **სოფელ ერგნეთის** ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიიდან ოსი ეროვნების უცნობმა პირებმა გაიტაცეს საქართველოს ფინანსური პოლიციის თანამშრომლები **კ. დვალისვილი** და **ზ. პაპიაშვილი**, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ. ქ. ცხინვალის სამხედრო კომენდატურაში **პაპიაშვილს** ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. „სამხრეთ ოსეთის“ პარლამენტის წევრმა და თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო ბატალიონის უფროსმა **დიმიტრი ტასოევმა**, რომელსაც პირადი ნაცნობობა აკავშირებს **დვალისვითან**, ორივე დაკავებული ქ. ცხინვალიდან ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გამოიყვანა.

1 თებერვალი. კონფლიქტის ზონაში რუსული სამშვიდობო ძალების სარდლის, **მარატ კულახმეტოვის** ბრძანებით, 11 ჯავშანმანქანამ დისლოკაციის ადგილი შეიცვალა და სოფელ **ტყვიავში** განლაგდა. რუსმა სამშვიდობოებმა იმ სატვირთო მანქანის გადაცემა მოითხოვეს, რომელიც ქართველმა სამართალდამცავებმა 31 იანვარს, სოფ. ტყვიავში, დააკავეს ავარიის გამო, მძღოლს არ აღმოაჩნდა კონფლიქტის ზონაში გადაადგილებისთვის საჭირო ნებართვა.

8 თებერვალს კონფლიქტის ზონაში დააკავეს სამი რუსი ოფიცერი, რომელთაც არ ჰქონდათ ქართული ვიზები. რის შემდეგაც შსმ სარდალმა **მ. კულახმეტოვმა** გამოიყვანა მძიმე ტექნიკა და ჩააყენა ქართულ სოფლებში.

17 თებერვალს **მელვრეკისის** საგუშაგოზე რუსმა სამშვიდობოებმა გაუფრთხილებლად ცეცხლი გაუხსნეს ქართველ სამოქალაქო პირებს **გია და გელა ჭულუხიძეებს**.

17 აპრილს სოფ. დმენისის მხრიდან **სოფ. ვანათში** მოხდა გასროლა ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნიდან („მუხა“) პოლიციის შენობის მიმართულებით.

29 მაისს სახალხო დამცველი სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავასთან ცხინვალის რეგიონში იმყოფებოდა და შეხვდა, დიდი ლიახვისა და ფრონეს ხეობების ქართულ მოსახლეობას. ფრონის ხეობაში არსებული 14 ქართული სოფლიდან 12-ში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფება მოსახლეობა. ეთნიკური ქართველები განიცდიან დამცირებასა და ძალადობას და ფაქტიურად ცხოვრობენ მონობაში, ხშირია იძულებითი შრომის შემთხვევები.

პოლიტიკური დევნის ფაქტები

„სამხრეთ ოსეთის“ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში იდენება განსხვავებული აზრი. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. მკაცრად ისჯება დე-ფაქტო პრეზიდენტის **ედუარდ კოკოითის** საწინააღმდეგო განცხადებები და პროქარ-

თული ორიენტაციის ნებისმიერი გამოვლინება. ხშირია ქართველების სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით ადამიანთა პატიმრობაში აყვანის შემთხვევები:

4 იანვარი. ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლება აქვეყნებს შავ სიას, რომელშიც შესულნი არიან როგორც საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნები ასევე ხეობაში მაცხოვრებელნი.

26 თებერვალს **ქ. ცხინვალში** სპეცრაზმმა დაარბია მშვიდობიანი მიტინგი. დაკავებულია აქციის რამდენიმე მონაწილე.

26 თებერვალს **ქ. ცხინვალში** „სამხრეთ ოსეთის“ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამსახურის თანამშრომლებმა სრულიად უმიზეზოდ („დივერსიის მზადების“ ბრალდებით) დააკავეს საქართველოს მოქალაქე, გორის რაიონის **სოფ. საქაშეთის** მკვიდრი **დავით მოგელაშვილი**, რომელიც სასტიკად სცემეს. მოგვიანებით იგი საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით გათავისუფლებულ იქნა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მომხდარი ადამიანის უფლებების ხელშეშლის ფაქტების გამო პასუხისმგებელი სახელმწიფოს განსაზღვრა

ადამიანის უფლებების დაცვის მიზნიდან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია აფხაზეთში, გალის რაიონსა და ე.წ. სამშვიდობო ზონაში მომხდარ საერთაშორისო დანაშაულებსა და ადამიანის უფლებების დარღვევებზე პასუხისმგებელი სახელმწიფოსა და პირების დადგენა. ჩვეულებრივ, ორდინალურ ვითარებაში ეს არ იქნებოდა სადავო საკითხი, რადგანაც გალის რ-ნი, ისევე, როგორც მთელი აფხაზეთი, საერთაშორისო სამართლის ყველა სუბიექტის მიერ აღიარებულია საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად. ბუნებრივია, ადამიანის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი ამ რეგიონში საქართველოა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ საქართველო აფხაზეთს პრაქტიკულად ვერ აკონტროლებს, რაც დაფიქსირებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ მიღებულ მთელ რიგ სამართლებრივ დოკუმენტებში.

ზემოაღნიშნულ საკითხს – თუ ვინ არის აფხაზეთში და კონკრეტულად გალის რაიონში ადამიანის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი, პასუხს სცემს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოს მეთაურთა სამიტის ის გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც კონფლიქტის ზონაში განლაგებული არიან დსთ-ს (პრაქტიკულად კი – რუსეთის) სამშვიდობო ძალები. კერძოდ:

დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ“ მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედების პერიოდში სამშვიდობო ძალები პასუხისმგებელი არიან, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვას. ეს გადაწყვეტილება ხელმოწერილია დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების მიერ 1994 წლის 22 აგვისტოს. 1995 წლის 26 მაისს დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების მიერ მიღებულ იქნა აღნიშნული გადაწყვეტილების დანართი, რომლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების მიხედვით, მშვიდობის მხარდამჭერ კოლექტიურ ძალებსა და სამხედრო დამკვირვებლების ჯგუფს დაეკისრა შემდეგი პასუხისმგებლობა: ყველა იმ ადამიანს, ვინც კონფლიქტის ზონა დატოვა, შეუქმნას მათ უნინდელ საცხოვრებელ ადგილზე უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისა პირობები; აგრეთვე, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვას. როგორც ვხედავთ, ადამიანის უფლებების დაცვაზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში პასუხისმგებელი არიან დსთ-ს სამშვიდობო ძალები. მაგრამ



გასული წლების განმავლობაში ისინი არათუ არაჯეროვნად ასრულებდნენ საკუთარ ფუნქციებს, არამედ ძალზედ ხშირად სწორედ დსთ-ს სამშვიდობო ძალები იყვნენ ადამიანის უფლებათა დარღვევის ინიციატორი და ხელშემწყობი.

შექმნილ მდგომარეობაში ცხადია, რომ უმთავრესი პასუხისმგებლობა აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეკისრება რუსეთის სახელმწიფოს, რადგანაც აფხაზეთზე ფაქტობრივად ვრცელდება რუსეთის გადამწყვეტი გავლენა. აფხაზეთში განლაგებულია რუსეთის სამხედრო ნაწილები, კერძოდ ოჩამჩირეში, სოხუმში და გუდაუთაში, ბომბორას სამხედრო აეროპორტი. აფხაზეთში სამშვიდობო მისიას ახორციელებენ დსთ-ს სამშვიდობო ძალები, მაგრამ ისინი მთლიანად დაკომპლექტებული არიან რუსეთის სამხედრო შენაერთებით და ემორჩილებიან რუსეთის სამხედრო სარდლობას. კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოების სარდლად რუსეთის სამხედრო ძალების წარმომადგენლის დანიშვნა განსაზღვრულია დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ“ 1994 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით. აფხაზეთში რუსეთის გადამწყვეტი გავლენაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს, რის შესახებაც წინა მოხსენებებში იყო მითითებული და აღნიშნული დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს.

მსგავს შემთხვევებში, მაშინ, როდესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოს დადგენას, ძალზედ აქტუალურია მოცემული ტერიტორიის – ადამიანის უფლებათა დარღვევის (დანაშაულის ჩადენის) ადგილის – როგორც სამართლებრივ-ტერიტორიული, ასევე ფაქტობრივი იურისდიქციის საკითხის განსაზღვრა.

მითითებული პრობლემური საკითხი საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბებულია „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის I მუხლში, რომლის თანახმადაც, „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მათი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრულ უფლებებს და თავისუფლებებს“. ამ მუხლში ნახსენები იურისდიქციის ცნება გულისხმობს როგორც სამართლებრივ-ტერიტორიულ, ასევე სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ფაქტობრივ იურისდიქციასაც – როგორც საკუთარ ტერიტორიაზე, ასევე სხვა ქვეყნების იმ ტერიტორიებზე, სადაც მოცემულ სახელმწიფოს თავისი სტრუქტურების საშუალებით შეუძლია გადამწყვეტი გავლენის მოხდენა და ფაქტობრივი იურისდიქციის განხორციელება.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო და ევროპის კომისია უარს უცხადებენ სახელმწიფოებს, მოიხსნან პასუხისმგებლობა მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ადამიანების, აგრეთვე, ორგანოების (სტრუქტურების) მოქმედებასა და უმოქმედობაზე იმის საფუძველზე, რომ ამ მოქმედებებსა თუ უმოქმედობას ადგილი ჰქონდა მოცემული სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა. ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველ მუხლით განსაზღვრული „იურისდიქციის“ ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ტერიტორიული ასპექტით. ის ხელისუფლების ორგანოების საშუალებით – მათ შორის, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული შეიარაღებული ძალების გამოყენებით – ეფექტური იურისდიქციის განხორციელებასაც გულისხმობს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონკრეტული უფლების დარღვევაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოს განსაზღვრის „დაზუსტების“ დროს სახელმწიფოს იურისდიქცია და ტერიტორია შესაძლებელია მოიცავდეს სხვადასხვა ტერიტორიას და არ ემთხვეოდეს სახელმწიფოს გეოგრაფიულ საზღვრებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ – განმარტა, რომ სახელმწიფოს იურისდიქცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ტერიტორია. ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „კონვენციის ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ასევე შეიძლება დადგეს, როდესაც სამხედრო მოქმედების შედეგად – მიუხედავად იმისა, კანონიერია თუ უკანონო – სახელმწიფო ახორციელებს ეფექტურ კონ-

ტროლს თავისი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიაზე კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება გამომდინარეობს ასეთი კონტროლის ფაქტიდან, იმის მიუხედავად, კონტროლი ხორციელდება სახელმწიფოს მიერ უშუალოდ, მისი შეიარაღებული ძალების, თუ მისდამი დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის მეშვეობით“.

ამდენად, ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, არის თუ არა კონკრეტული ტერიტორია მისი შემადგენელი ნაწილი, ვალდებულია, კონვენციით განსაზღვრული უფლებები დაიცვას იმ ტერიტორიებზე, რომელზეც ფაქტობრივ იურისდიქციას ახორციელებს თავისი სახელმწიფო სტრუქტურების, მათ შორის, შეიარაღებული ძალების გამოყენებით.

ერთი მხრივ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურებისა და მაღალი რანგის თანამდებობის პირების მონაწილეობის შესახებ საყოველთაოდ ცნობილი და სახალხო დამცველის 2004 და 2005 წლების მოხსენებებში აღნიშნული ფაქტებიდან, ხოლო მეორე მხრივ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან და ამ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოქალაქეთათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით მინიჭებული უფლებების დაცვაზე ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის სახელმწიფოს.

საქართველოს სახელმწიფომ ეს საკითხი პრინციპულად უნდა დასვას ევროპის საბჭოს, ეუთოს, ევროკავშირის, დსთ-ს და გაეროს წინაშე, რათა შეფასებების მიცემის დროს ეს რეალობა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უფრო მკაფიოდ და გაბედულად იქნას გათვალისწინებული.

რეკომენდაციები

1. აფხაზეთში, ე.წ. უსაფრთხოების ზონაში და გალის რაიონში რუსი სამშვიდობოების შეყვანის შემდეგ ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობის სრულფასოვანი შესწავლის მიზნით ჩატარდეს საერთაშორისო მონიტორინგი. ამ მიზნით განსახორციელებლად **წინადადებით მივმართავ** საგარეო საქმეთა სამინისტროს გაატაროს შესაბამისი მუშაობა ეუთოს, გაეროს, ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.
2. **საქართველოს გენერალურ პროკურატურას მივმართავ რეკომენდაციით** დაიწყოს გამოძიება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩადენილი იმ დანაშაულებრივი ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც მითითებულია ამ მოხსენებაში. განხორციელდეს სისხლის სამართლებრივი დევნა (მათ შორის გამოყენებულ იქნას ინტერპოლის არხები) ვოლმერ ბუტბას, ოთარ ტურანბას და ყველა იმ პირის მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ სადამსჯელო ოპერაციებში, ადამიანიების გატაცებებში, მკვლელობებში, ყაჩაღობებში, გაუპატიურებასა და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებში.



7

დევნილთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

2006 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით დევნილთა-სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა არ გამოსწორებულა. სამედიცინო მომსახურება, განათლება, დასაქმება, საკვებით მომარაგება, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა საკითხები კვლავ პრობლემად რჩება. ამას ემატება უფლებების შელახვა. განსაკუთრებით ბოლო დროს საქართველოში მიმდინარე დიდი პრივატიზაციის პროცესში. სახელმწიფო ობიექტების გაყიდვისას არ ხდება კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინება.

არის შემთხვევები, როცა დევნილები ცხოვრობენ მინურებში, ავარიულ, მათ შორის, მინისძვრით დაზიანებულ შენობებში, ხშირად ერთ ოთახში რამდენიმე ოჯახი.

საცხოვრებელი ფართით დღემდე დაუკმაყოფილებელია დევნილთა დიდი ნაწილი, მათი უმე-

ტესობა ქირით ცხოვრობს. თუმცა ფასების მატებამ, მათ შორის საცხოვრებელ ფართზე, დევნილები თავშესაფრის გარეშე დარჩენის საფრთხის ქვეშ დააყენა. დღემდე არ არსებობს სამინისტროს განსაზღვრული პოლიტიკა დევნილების საბინაო პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით. ძირითადად, სამინისტრო თავს არიდებს მისი უფლებამოსილების განხორციელებას.

მიუხედავად მრავალგზის დაპირებისა, არ გაზრდილა დევნილების 14 ლარიანი შემწეობები. შეწყვეტილია ჰუმანიტარული დახმარების პროგრამებიც. დევნილთა უდიდესი ნაწილი ცხოვრობს სიღატაკეში. ფინანსური პრობლემების გამო მათთვის ხელმიუწვდომელია დროული და კვალიფიციური სამედიცინო დახმარება. განსაკუთრებით მძიმეა ვითარება რეგიონებში.

პრობლემად რჩება დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებში ელექტროენერჯის მიწოდება, წყალმომარაგება და სხვა კომუნალური მომსახურება. მხოლოდ ქ. თბილისში კომპაქტურად ჩასახლების 17 ობიექტში არ მიენიჭებოდა ელექტროენერჯია ან უკეთეს შემთხვევაში, დღეში მხოლოდ 2 საათით. ქ. თბილისში, ბაგების სტუდექალაქის საერთო საცხოვრებლის ორ კორპუსში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ 1543 მოქალაქეს თვეზე მეტია არ მიენიჭებოდა ელექტროენერჯია, შესაბამისად არ მუშაობს წყალსაქაჩი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მრავალსართულიან კორპუსებში მცხოვრები დევნილების საყოფაცხოვრებო პირობებს.

იმის გამო, რომ კომპაქტურად ჩასახლების ობიექტები არ არის აღჭურვილი ინდივიდუალური მრიცხველებით, დევნილები საქართველოს სხვა მოქალაქეებისაგან განსხვავებით ვერ სარგებლობენ უფლებებით, ჰქონდეთ ელექტროენერგია და წყალმომარაგება. შესაბამისად, გადაიხადონ მხოლოდ მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური. ამავე მიზეზით, დევნილები ვერ სარგებლობენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული „გაზრდილი ტარიფის ანაზღაურების ვაუჩერით“. შემაშფოთებელია ისიც, რომ დევნილების მხრიდან ამ პრობლემის გადაჭრის მცდელობისას სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები მიმართავენ კანონდარღვევებს, შანტაჟსა და ძალისმიერ მეთოდებს.

2004 წლის შემდეგ არ ჩატარებულა დევნილთა ყოველწლიური რეგისტრაცია, შედეგად არ არსებობს დევნილთა რაოდენობისა და განსახლების შესახებ ობიექტური და სრული სურათი. ასეთმა მდგომარეობამ, თავის მხრივ, გამოიწვია ის ქაოსი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აჭარაში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების გამოსახლებისას. აღსანიშნავია ისიც, რომ 2005 წელს ჩატარებული ე.წ. ვერიფიკაციას ვერ ექნებოდა სამართლებრივი შედეგი, ვინაიდან არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი. ამ პროცესისათვის დაიხარჯა 280 ათასი ევრო (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის წარმომადგენლობისა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით), რამაც მოგვცა მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები, თუმცა ამ მონაცემების პრაქტიკული გამოყენება არ მომხდარა. აღსანიშნავია ისიც, რომ დევნილთა უმეტესებას ჰქონდა მცდარი ინფორმაცია ამ პროცესის სავალდებულობის შესახებ, ვინაიდან სამინისტროს მიერ გავრცელებულ სარეკლამო კლიპებსა და ბუკლეტებში მითითებული იყო, რომ ის დევნილები, რომლებიც არ გაივლიდნენ ვერიფიკაციას, ვერ მიიღებდნენ კანონით გათვალისწინებულ შემწეობას.

„დევნილთა-იძულებულ გადაადგილებულ პირთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ არის სრულყოფილი და პრაქტიკულად არ არის მიახლოებული „იძულებით გადაადგილების შესახებ“ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებთან“. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 2004 წლის 23 ივლისის რეზოლუციის №2004 39-ე პუნქტის თანახმად „სახელმწიფოებმა, სადაც არის იძულებითი გადაადგილების პრობლემა, უნდა შექმნან სამართლებრივი ნორმების ქმედითი სისტემა, გაეროს იძულებით გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით, რაც დაარეგულირებს იძულებით გადაადგილებას ქვეყნის შიგნით“.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №80 განკარგულების თანახმად, შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც უნდა უზრუნველყო იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავების მიზნით წინადადებების მომზადება და შემუშავებული სტრატეგიის განხორციელების ორგანიზება და კოორდინაცია. სტრატეგია დღემდე არ არსებობს, შესაბამისად მისი განხორციელებისათვის თანხები ვერ იქნება გათვალისწინებული 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში.

თუმცა არსებობს საქართველოს მთავრობის 2005 წლის 12 სექტემბრის დადგენილება №157 ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა რეგისტრაციისა და სოციალური საკითხების, სახელმწიფო ფულადი შემწეობის, ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარებების გაცემის მონესრიგების ღონისძიებებთან შესახებ. მიუხედავად ამ დადგენილებით განსაზღვრული მთელი რიგი ვალდებულებებისა, ამ მიმართულებით სამინისტროს საქმიანობა პრაქტიკულად შემოიფარგლება ყოველთვიური შემწეობებისა და კომუნალური გადასახადების გადარიცხვით შესაბამის ანგარიშებზე.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოში არ არსებობს გააზრებული პოლიტიკა იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებაში. დევნილების ზემოთხსენებული პრობლემების მოგვარება სტიქიურად და სპონტანურად ხდება. ამის ნათელი მაგალითია, აჭარაში და, მოგვიანებით, ქ. თბილისში რესპუბლიკურ საავადმყოფოში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების გამოსახლების პროცესი.



აჭარაში მცხოვრები დევნილების საბინაო პრობლემის შესახებ

სახალხო დამცველს კოლექტიური (15) და ინდივიდუალური (12) განცხადებით მომართეს აჭარაში სასტუმროებსა და სანატორიუმებში ჩასახლებულმა აფხაზეთიდან დევნილებმა.

მათი საცხოვრებელი ფართი კომპანია „დჯარა რესორტს ჰოლდინგ V“ -მ შეისყიდა და დევნილებს შენობების დაცლა მოთხოვა. დევნილები მიიჩნევენ, რომ მათთვის გამოყოფილი საკომპენსაციო თანხის გაცემის წესი არ იყო სამართლიანი.

ამასთან, განცხადებებში აღნიშნული იყო, რომ აჭარის მთავრობა და პოლიცია დევნილებზე ზეწოლას ახორციელებდა და შენობების დატოვებას მუქარით აიძულებდა. ზეწოლაში იგულისხმებოდა წყალ-მომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მწყობრიდან გამოყვანა, ელ-ენერჯის მიწოდების შეწყვეტა და ა.შ. დევნილების განცხადებით, მუქარას ახორციელებდნენ სხვადასხვა თანამდებობის პირები, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე შველიძე, რომელმაც, დევნილების განცხადებით, 2006 წლის 26 ივნისს, სამუშაო კაბინეტში დევნილებს 48 საათიანი ვადა მისცა შენობის დასაცლელად, ხოლო თუ ისინი ამ მოთხოვნას არ შეასრულებენ, დაემუქრა, რომ მათ პოლიციისა და სპეცდანიშნულების რაზმის მეშვეობით შენობიდან გააძევენ.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ადგილზე შეისწავლეს საკითხი და დაადგინეს, რომ დევნილები შენობაში განთავსებული იყვნენ სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რაც მათი ამ შენობებში ცხოვრების კანონიერი საფუძველი იყო.

- საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად“.
- ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლოს წესით, ამასთან საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:
 - ა) დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება;
 - ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;
 - გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით;
 - დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.“

აღნიშნული ნორმის მიხედვით, დევნილის გამოსახლება შესაძლებელია, თუ მას წერილობით აქვს გაფორმებული შეთანხმება, თუმცა ვალდებულება არ გააჩნია. თუ დევნილი წინააღმდეგია, სახელმწიფოს რჩება ალტერნატივა, გამოუყოს ისეთი საცხოვრებელი ფართი, რომლითაც მისი საყოფაცხოვრებო პირობები არ გაუარესდება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, აჭარის მთავრობასა და ინვესტორს შორის გაფორმებული შეთანხმებით, სადაო ფართში სულ განთავსებული იყო დევნილთა 1921 ოჯახი. 2006 წლის 5 ივნისის მდგომარეობით შეთანხმება გაფორმდა 1601 ოჯახთან, ხოლო მათგან კომპენსაცია მიიღო 1579 ოჯახმა. დანარჩენ ოჯახებთან შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

შესაბამისად, სახელმწიფოს (ან/და ინვესტორს) უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს დევნილთა

გამოსახლების მოთხოვნით, რასაც საბინაო დავის გადაწყვეტის ერთადერთ ფორმად მიიჩნევს „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა შესახებ“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, ან გამოუყოს მათ საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები.

დევენილების გამოსახლება სადავო ფართიდან შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს აქტის საფუძველზე, ხოლო მათ მიმართ იძულებით გამოსახლებას ხსენებული აქტის საფუძველზე უნდა ახდენდეს საალსრულებო დეპარტამენტი და საალსრულებო პოლიცია. ამ ფუნქციას, ყოველგვარი სასამართლო აქტის გარეშე, უკანონოდ ასრულებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურები. კერძოდ, 2006 წლის 26 ივნისს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა სათითაოდ დაიარეს სასტუმრო „მედეას“ ოთახები და დევნილებს იძულების წესით გაძევებით დაემუქრნენ.

- „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა შესახებ“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად“ (მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი);
- „სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში.“ (მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი);
- „დევენილთა განსახლების, რეგისტრაციის, სოციალური და სხვა სახის დახმარების საკითხების გადაწყვეტას ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სამინისტრო შესაბამის აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებთან ერთად (მე-8 მუხლი).

ამ მოვალეობების მიუხედავად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ თავი აარიდა თავისი ფუნქციების განხორციელებას, რაც ნათლად ჩანს მინისტრის მოადგილის ირაკლი გორგაძის მიერ სახალხო დამცველისათვის გამოგზავნილი წერილიდან, სადაც აღნიშნულია, რომ „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაწყებული პრივატიზაციის პროცესი რეგულირდება შემოსული ინვესტორისა და აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებზე კომპენსაციის გაცემას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი ხელისუფლება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსგან დამოუკიდებლად.“

შესწავლილი მასალების საფუძველზე სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დაუშვებელია დევნილთა იძულებით გამოსახლება კომპაქტურად ჩასახლების ადგილებიდან წერილობით შეთანხმების, ან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. მათი გამოსახლება იძულების წესით მხოლოდ „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ბ), გ) და დ) ქვეპუნქტების თანახმად არის შესაძლებელი.

კრიმინალური პოლიციის ჩარევა მხოლოდ დანაშაულის აღკვეთის ან მართლწესრიგის დაცვის შემთხვევაშია ნებადართული.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, დევნილთა უფლებების დაცვის ფუნქცია კანონით უნდა ეკისრა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და მასთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს.

სახალხო დამცველმა 2006 წლის 5 ივლისს მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს რეკომენდაციით, მიეღოთ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა და უზრუნველყოთ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მასზე კანონით დაკისრებული ვალდებულებების განხორციელება.



ინფორმაცია რეკომენდაციის განხილვისა და განხილვის შედეგების შესახებ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან დღემდე არ მიგვიღია, მიუხედავად გაგზავნილი შეხსენებისა.

ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს და ინვეტორს მიემართათ სასამართლოსათვის, ან დევენილთათვის შესაბამისი საცხოვრებელი ფართი გამოეყოთ, 27 ივნისს დევენილები სასტუმრო „მედეადან“ აჭარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით, სპეციალური დანიშნულების რაზმისა და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დევენილები გამოაძევეს.

აჭარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს არ ჰქონდათ უფლება, მონაწილეობა მიეღოთ დევენილთა გამოსახლების პროცესში. შესაბამისად, აღნიშნული ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ შსს-ს თანამშრომლების მიერ ჩადენილი ქმედებები შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესანავალი მასალები წინასწარი გამოძიების დასაწყებად საქართველოს გენერალურ პროკურორს, ბ-ნ ზურაბ ადგიშვილს გაეგზავნა. თავის მხრივ გენერალურმა პროკურატურამ მასალები, განცხადებები და ახსნა-განმარტებები გადაუგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს რეაგირებისათვის, თუმცა აღნიშნულ წერილში მითითებული იყო, რომ სახალხო დამცველის მიერ მიწოდებული მასალები მათ გაეგზავნათ „ქვემდებარებით, თქვენს წარმობაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე დასართავად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დევენილთა საქმეების განყოფილების ხელმძღვანელ პირთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე“. გენერალური პროკურატურის მიერ გაგზავნილ წერილში არაფერი იყო თქმული აჭარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის, კახაბერ მაისურაძის მიერ სახალხო დამცველის სახელზე გამოგზავნილი წერილში მითითებული იყო, რომ „პოლიციის მუშაკები ჩართული იყვნენ ამ პროცესში იმის გამო, რომ დევენილთა მიერ დაკავებული ფართის განთავისუფლება მშვიდობიანად განხორციელებულიყო და ადგილი არ ჰქონოდა აღნიშნული პროცესისადმი უკმაყოფილოდ განწყობილი პირების მხრიდან რაიმე სამართალდარღვევას ანუ პირებისა, რომლებიც დევენილთა კატეგორიას არ მიეკუთვნებოდნენ და შეჭრილები იყვნენ დროებით საცხოვრებლად სასტუმრო „მესხეთში“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქობულეთში პანსიონატ „აისიდან“ დევენილი მოსახლეობის ანალოგიური გამოსახლების პროცესთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის დავით ბედიას მიერ გამოგზავნილი პასუხიდან ირკვევა, რომ „პანსიონატ „აისიდან“ დევენილი მოსახლეობის ოჯახების განსახლების დროს პოლიციის თანამშრომლები მონაწილეობდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თხოვნით, რომლებიც იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს და უნევედნენ დახმარებას ლტოლვილ მოსახლეობას ახალ საცხოვრებელ ფართში გადასვლასთან დაკავშირებით“.

ამის შემდეგ სახალხო დამცველმა დამატებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს, კახაბერ მაისურაძეს გაუგზავნა დამატებითი მასალები: ახსნა-განმარტებები, განცხადებები და ვიდეო-მასალა.

ამ წერილზეც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორმა გვიპასუხა წერილით, სადაც განგვიმარტა, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ამომწურავი პასუხი სახალხო დამცველს უკვე გაეგზავნა.

ამ მასალების საფუძველზე შეგვიძლია გამოვთქვათ ეჭვი, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორატურის მიერ ამ საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არ იყო სრულყოფილი და სავარაუდოდ, იკვეთება სამსახურებრივი გულგრილობა სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალსწინებული ქმედება.

გამოსახლების პროცესს ესწრებოდნენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები. მათ ჩამოართვეს ახსნა-განმარტება 300-მდე დევნილს, რომლებიც საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მოთხოვნით მართავდნენ საპროტესტო აქციებს. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების თვალწინ პოლიციელები სართულ-სართულ დადიოდნენ და მუქარით აიძულებდნენ დევნილებს, დაეტოვებინათ მათი დროებითი საცხოვრებელი. ის დევნილები, ვინც ზენოლასა და მუქარას გაუძლო, სპეცდანიშნულების რაზმის ნიღბიანი თანამშრომლების მეშვეობით გამოაძევეს. იმ დევნილებსაც, რომელთაც ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, ორი კვირის ვადა ჰქონდათ ოთახების დასაცვლელად, ქაოსსა და აურზაურში უხდებოდათ პირადი ნივთების გადატანა.

გამოსახლებულები ცდილობდნენ, გადაერჩინათ დევნილობის წლებში შექმნილი მწირი ქონება. ამ დროს, ზენოლის მიზნით, მათ არ მიეწოდებოდათ ელექტროენერგია, უშუქობის გამო არ მუშაობდა ლიფტი, მწყობრიდან გამოიყვანეს საკანალიზაციო სისტემა. ქუჩაში დარჩენილმა დევნილებმა აჭარის სანაპიროზე ღია ცის ქვეშ თვითნაკეთ კარავებს შეაფარეს თავი, თუმცა ისინი იქედანაც გააძევეს. დევნილები პროტესტის ნიშნად ფეხით გაუდგნენ გზას აფხაზეთისაკენ. ეს პროცესი როგორც უცხოურმა, ასევე ქართულმა მედიამ გააშუქა. საქართველოს ყველა სატელევიზიო არხზე ვიხილეთ ეს კადრები. ამ ფონზე პროკურატურისა და სხვა ჩინოვნიკების განცხადებები, რომ პოლიციის მუშაკები ეხმარებოდნენ დევნილებს „განსახლების პროცესში“ არაფერია, თუ არა ცინიზმი.

**საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
აკად. დ.ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში
ჩასახლებული დევნილების საქმე**

თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფო – კოლექტიური განცხადება

სახალხო დამცველს არაერთგზის მიმართეს განცხადებით რესპუბლიკურ საავადმყოფოში კომპაქტურად ჩასახლებულმა დევნილებმა. როგორც განმცხადებლები განმარტავდნენ, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკად. დ.ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ჩასახლებული აფხაზეთიდან დევნილთა უმრავლესობას წარმოადგენენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ, ინვალიდთა და ომში დაღუპულთა ოჯახები.

დევნილების განცხადებით, სატელევიზიო გადაცემებიდან და ზეპირი განცხადებებიდან მათ შეიტყვეს, რომ მიმდინარე წლის სექტემბრამდე ზემოთ ხსენებულ კლინიკაში მცხოვრებმა 210-მა ოჯახმა უნდა გაათავისუფლოს დაკავებული ფართი. ამისათვის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა, გიორგი ხვეიაშვილმა კომპენსაციის სახით მათ შესთავაზა 10 ათასი აშშ დოლარი, რაც, განმცხადებლების განმარტებით, არ არის საკმარისი ანალოგიური საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად.

დევნილები მიუთითებენ დარღვევებზე რეგისტრაციის პროცესში, როცა ოჯახების გაერთიანება მოხდა ბიოლოგიური, გენეტიკური ნიშნით. რიგ შემთხვევაში კომპენსაცია გაიცემა საცხოვრებელი ფართის მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში – საოჯახო ნომრის მიხედვით. შერჩევით მოხდა საკუჭნაობისა და საპირფარეშოების საცხოვრებელ ფართად ჩათვლა.

ჩვენ მივმართეთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რათა მოენოღებინათ ინფორმაცია, რა სამართლებრივ საფუძველზე ხორციელდება კომპენსაციების გაცემა და დევნილების გამოსახლება ზემოაღნიშნული შენობიდან. რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება კომპენსაციის



ოდენობის განსაზღვრა. ასევე, იმ დევენილების სია, რომლებმაც უნდა მიიღოთ კომპენსაცია. კანონით დადგენილ ვადაში პასუხი ვერ მივიღეთ. შესხენების შემდეგ მივიღეთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის გიორგი ხევიაშვილის წერილი (12.09.06, №01/01-17/6215), საიდანაც გაირკვა, რომ აღნიშნულ კლინიკაში მცხოვრები დევენილებისათვის საცხოვრებელი ფართის გამოთავისუფლებისა და შესაბამისი ფულადი კომპენსაციის პირობების განსაზღვრის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით (10.07.06წ №195/ო 10.07.06წ. №83) შექმნილია კომისია, რომელსაც ევალება საკომპენსაციო თანხის განსაზღვრა, ამ მიზნით აწარმოოს მოლაპარაკებები დევენილებთან შეთანხმების მისაღწევად, დაარეგულიროს კომპენსაციის ფორმა და ვადები, დევენილების გამოსახლებასთან დაკავშირებით ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა. ამასთან, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის წერილის თანახმად, ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ განეკუთვნება მხოლოდ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კომპეტენციას, მაგრამ როგორც კომისიაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე, კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ მოგვანოდებს ინფორმაციას.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა იმ დევენილებს, რომლებმაც საპროტესტო აქციას მიმართეს. დევენილებმა მიუთითეს, რომ პირად საუბრებში ზემოთხსენებული სამინისტროს თანამდებობის პირები სთავაზობდნენ გარიგებას. მათ განაცხადეს დარღვევების არსებობის შესახებ რეგისტრაციის პროცესში, როცა ოჯახების გაერთიანება მოხდა ბიოლოგიური, გენეტიკური ნიშნით. რიგ შემთხვევაში კომპენსაცია გაიცა საცხოვრებელი ფართის მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში – საოჯახო ნომრის მიხედვით. შერჩევით მოხდა საკუჭნაოებისა და საპირფარეშოების საცხოვრებელ ფართად ჩათვლა და ამ ფართზე კომპენსაციის გაცემა.

სახალხო დამცველმა ამ მოქალაქეების ახსნა-განმარტებები და განცხადებები შესასწავლად და შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორს ვაჟა ლელუაშვილს და საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს, ბ-ნ გიორგი ლაცაბიძეს გაუგზავნა.

თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფო – კოლექტიური განცხადება

2006 წლის 3 ივლისს სახალხო დამცველის აპარატს კოლექტიური განცხადებით მომართეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში კომპაქტურად ჩასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა კომიტეტის წარმომადგენლებმა.

დევენილები მიუთითებენ დარღვევებზე რეგისტრაციის პროცესში, როცა ოჯახების გაერთიანება მოხდა ბიოლოგიური, გენეტიკური ნიშნით. აგრეთვე, განმცხადებლები აღნიშნავენ სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან დამამცირებელ და დამცინავ დამოკიდებულებაზე დევენილების მიმართ.

ამასთან, რესპუბლიკურ საავადმყოფოში კომპაქტურად ჩასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევენილთა კომიტეტის წარმომადგენლებმა 2006 წლის 12 და 26 ივნისს წერილობით მიმართეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განცხადებით და ითხოვეს ინფორმაციის მიწოდება, როდის მოხდებოდა დევენილთა კლინიკიდან გამოსახლება და ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილება. განმცხადებლების განმარტებით, მითითებულ წერილზე პასუხი დღემდე არ მიუღიათ.

ჩვენ მივმართეთ სამინისტროს, 15 დღის ვადაში მოეწოდებინა ინფორმაცია აღნიშნული განცხადებების განხილვის შედეგების შესახებ.

პასუხი სამინისტროდან არ მიგვიღია და მათ გაეგზავნათ შესხენება აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით.

შალვა კვარაცხელიას საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა აფხაზეთიდან დევნილმა, მაიორმა შალვა კვარაცხელიამ. განმცხადებლის განმარტებით, იგი 1994 წლიდან შესახლებულ იქნა დაბა ზაჰესში, ავჭალის ქ. №17 მდებარე კოტეჯში, დროებითი სარგებლობის უფლებით. აღნიშნულ მისამართზე დღემდე არის მინერილი, რაც მისი ლტოლვილის მონობით დასტურდება (№ 234). 2004 წლის 2 ნოემბერს, საქართველოს შს ხელმძღვანელობის ბრძანებით (შალვა კვარაცხელია აღნიშნავს, რომ კითხვაზე, თუ რას აკეთებდნენ ისინი, უპასუხეს – მინისტრის ბრძანებას ვასრულებთ) დაახლოებით 30 ნიღბიანი სპეცდანიშნულების რაზმის წევრისა და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ იქნა ზემოთ მითითებული საცხოვრებელი კოტეჯიდან გამოსახლებული. საცხოვრებელი ნივთების ნაწილი მოიპარეს, ნაწილი კი მის დაუკითხავად გადაიტანეს პოლიციის საწყობში.

სახალხო დამცველმა მიმართა გენერალურ პროკურატურას ამ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულიყო წინასწარი გამოძიება. ასევე მიმართა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეაგირებისათვის.

სახალხო დამცველმა მიუთითა საქართველოს კანონმდებლობის იმ ნორმებზე, რომლებიც არეგულირებენ დევნილთა საცხოვრებელი ფართიდან გამოსახლების საკითხებს, კერძოდ, „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად: „საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით, ამასთან საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- ა) დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება;
- ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;
- გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით;
- დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.“

ამავე კანონის თანახმად, „დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად“ (მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი);

„სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში“. (მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი);

„დევნილთა განსახლების, რეგისტრაციის, სოციალური და სხვა სახის დახმარების საკითხების გადაწყვეტას ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სამინისტრო შესაბამის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებთან ერთად. (მე-8 მუხლი).

ამასთან, გამოსახლების თაობაზე შ.კვარაცხელიასა და შს სამინისტროს შორის არავითარ შეთანხმებას არ ჰქონია ადგილი და თუკი პოლიციას მიაჩნდა, რომ შ.კვარაცხელიას უკანონოდ, ყოველგვარი ნებართვის გარეშე ჰქონდა დაკავებული კოტეჯი, საკითხის გადაწყვეტა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო სასამართლო წესით, დასახლებული კანონის თანახმად.



საქართველოს გენერალური პროკურატურისა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელთა მიერ შ. კვარაცხელიას საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველის სახელზე გამოგზავნილ წერილებში შეინიშნება აფხაზეთიდან დევნილი შ. კვარაცხელიას უფლებების ხელყოფის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება.

ამ საკითხთან დაკავშირებით გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი ბესიკ თხელიძე წერილობით /№02/ 11-1-3/7576-ჯ/ განმარტავს, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნების შესრულება, რაზედაც თქვენს წერილშია მითითებული, 2004 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეუძლებელი იყო, ვინაიდან კანონის აღნიშნული დებულება მოქმედებს 2005 წლიდან (გამოქვეყნებული 2005 წლის 6 აპრილს), ანუ კოტეჯში განსაკუთრებულ დავალებათა რაზმის განთავსების შემდეგ“ – აღსანიშნავია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ საქართველოს კანონში 2005 წლის 6 აპრილს შეტანილ ცვლილებებამდე, ამ კანონის მე-7 მუხლში იყო ფორმულირებული კანონში შეტანილი ცვლილებების იდენტური დებულებები, კერძოდ მე-7 მუხლი, მე-3 პუნქტი „საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით, ამასთან, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა: ა) დევნილებთან იდება შეთანხმება; ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები; გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით; დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.“

როგორც აღინიშნა, კანონის ეს მოთხოვნები მოქმედებდა 2001 წლიდან 2005 წლის 6 აპრილამდე, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა შ. კვარაცხელიას გამოსახლება, რაც თავისი შინაარსით იდენტურია 2005 წ.-ს 6 აპრილს „დევნილთა-იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებისა. როგორც ჩანს, გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა საქმის მასალები არასრულყოფილად ან ტენდენციურად შეისწავლეს. სახალხო დამცველის წერილში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ გამოსახლების დროს, სავარაუდოდ, შსს-ს სპეცრაზმის წარმომადგენლების მიერ მოხდა შ. კვარაცხელიას პირადი მოხმარების ნივთების მითვისება. ანუ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, მომხდარი იყო სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება. საქართველოს გენერალური პროკურატურას (როგორც მიღებული წერილიდან ჩანს) შ.კვარაცხელიას ნივთების მითვისების ფაქტისთვის სამართლებრივი შეფასება არ მიუცია და ამ ფაქტზე ძიება არ დაწყებულა.

შ. კვარაცხელიასთვის გამოსახლების დროს შესაბამისი დოკუმენტი – სასამართლო გადაწყვეტილება, სასამართლო სააღსრულებო ფურცელი, შინაგან საქმეთა მინისტრის ან სხვა თანამდებობის პირის ბრძანება დროებითი საცხოვრებელი ფართიდან კვარაცხელიას გამოსახლების შესახებ არ წარუდგენიათ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმის თანამშრომლები არ იყვნენ უფლებამოსილნი, მოეხდინათ შ. კვარაცხელიას გამოსახლება საცხოვრებელი ფართიდან. გენერალური პროკურატურა წერილში /№02/11-1-3/7576-ჯ/ თავადაც მიუთითებს, რომ „1994 წლიდან 2004 წლის 1 ნოემბრამდე ბ-ნ შალვა კვარაცხელია ფლობდა კოტეჯს, მინის ნაკვეთთან ერთად დაბა ზაჰესში, ავჭალის ქ. №17-ში“. ანუ, დევნილი ამ ფართს ფლობდა დაახლოებით 10 წლის განმავლობაში. თუ იგი ამ ხნის მანძილზე უკანონოდ ფლობდა კოტეჯსა და მინის ნაკვეთს, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს უნდა მიემართათ სასამართლოსთვის და მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ უნდა მომხდარიყო ამ პირის გამოსახლება კოტეჯიდან. საქართველოს კანონმდებლობის მიერ რეგულირდება ქონებრივი დავები, მათ შორის ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის საკითხიც, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო ამ კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით „უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა“ – 1. მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. 2. თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის

ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.“

იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა შესახებ კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნები უგულვებელყოფილი იყო შსს-ს თანამშრომლების მიერ, და მათ კანონის მოთხოვნების გვერდის ავლით განახორციელეს მითითებული მისამართიდან შ. კვარაცხელიას გამოსახლების პროცესი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ თანამშრომლების ქმედებაში, რომლებმაც 2004 წლის 2 ნოემბერს დაბა ზაპესში ავჭალის ქ. №17 მდებარე კოტეჯში შესახლებული შ.კვარაცხელია შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის – დოკუმენტის გარეშე გამოასახლეს, სავარაუდოდ იკვეთება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 332-ე მუხლით გათვალისწინებული სამოხელეო დანაშაულის – უფლებამოსილების გადამეტების ნიშნები, ასევე იკვეთება სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – მითვისების ან გაფლანგვის ნიშნები, და სსკ-ის 160-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება „ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა.“ ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე შეგვიძლია გამოვთქვათ ეჭვი, რომ გენერალური პროკურატურის მიერ ამ საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არ იყო სრულყოფილი და სავარაუდოდ, იკვეთება სამსახურებრივი გულგრილობა – სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

ბაგა-ბაღ „ცისარტყელას“ მაცხოვრებელთა საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მომართეს ქ. თბილისში გურამიშვილის ქ. №64-ში მცხოვრებმა აფხაზეთიდან დევნილებმა.

წარმოდგენილი განცხადებით, დოკუმენტაციითა და დევნილთა განმარტებით ირკვევა, რომ აღნიშნულ შენობაში დევნილები ცხოვრობენ 1997 წლიდან. 2001 წელს მინისტრის შედეგად შენობამ მიიღო მე-3 ხარისხის დაზიანება და საცხოვრებლად გამოუსადეგარია, მაგრამ, ვინაიდან დევნილებს სხვა ალტერნატივა არ ჰქონდათ, დარჩნენ ავარიულ შენობაში. სააქციო საზოგადოება თბილაბრეშუმ „ცისარტყელას“ ადმინისტრაციასა და ბაგა-ბაღ „ცისარტყელაში“ მცხოვრებ დევნილებს შორის შენობის გამო წარმოიქმნა სასამართლო დავა. სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება, ბაგა-ბაღ „ცისარტყელას“ სადაო შენობიდან და აგრეთვე, შენობის სადურგლო საამქროდან დევნილთა გამოსახლების შესახებ. ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმადაც დევნილები გამოსახლებულ უნდა იყვნენ ქ. თბილისში გურამიშვილის გამზ. №64-ში არსებული სადაო ფართიდან.

ამ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში, დევნილები რჩებიან თავშესაფრის გარეშე. მათი განმარტებით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სიტყვიერად შესთავაზა დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ქ. ხონში, ქ. წალკასა და ქ. თეთრიწყაროში. ეს შეთავაზება მიუღებელია დევნილებისათვის, რადგან, მათი განმარტებით, გაუარესდება საყოფაცხოვრებო პირობები, ვინაიდან წლების განმავლობაში შეიქმნეს სოციალური მიკროკლიმატი და მნიშვნელოვნად მოახერხეს საზოგადოებაში თვითინტეგრირება. მითითებული რაიონები კი მათთვის უცხოა, დასაქმების პერსპექტივა არ არსებობს, თავიდან მოუწევთ ადაპტაციისა და ინტეგრაციის რთული პროცესის გავლა. „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად“ (მე-5 მუხლი მე-2 პუნქტი).

მივმართეთ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ქ. თბილისის მერს.



მერიის ადმინისტრაციის უფროსის მ. ახვლედიანის წერილში, ქ. თბილისის მერიამ გამოთქვა მზადყოფნა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ითანამშრომლოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან და შესაძლებლობების ფარგლებში აღმოუჩინოს დახმარება. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის წერილიდან ირკვევა, რომ თუ ქ. თბილისის მერია ან რაიონული გამგეობები გამოყოფენ საცხოვრებელ ფართს, სამინისტრო მოახდენს მათ განსახლებას. აღნიშნულ წერილს თან ერთვის ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს, გლდანი ნაძალადევისა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონების გამგეობების პასუხები, რომელთა თანახმად, რაიონებში არსებულ ქონებას განკარგავს ქ. თბილისის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური, ამასთან გამგეობებს არ გააჩნიათ ინფორმაცია თავისუფალი ფართის შესახებ.

ვალენტინა და ვეჟანა ფაცაციების საქმე

2006 წლის 11 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართეს ქ. ქუთაისში მცხოვრებმა აფხაზეთიდან დევნილებმა ვალენტინა და ვეჟანა ფაცაციებმა.

წარმოდგენილი განცხადების თანახმად, ვალენტინა და ვეჟანა ფაცაციებს არ გააჩნიათ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დროებითი საცხოვრებელი ფართი და 1993 წლიდან ცხოვრობდნენ ნაქირავე ბინაში ქ. ქუთაისში. როგორც განმცხადებლები მიუთითებენ, მათი შემოსავალი შედგება მხოლოდ პენსიისა და დევნილის შემწეობისაგან. ბინის ქირის გაზრდის შემდეგ, არა აქვთ საშუალება, გადაიხადონ საჭირო თანხა, რის გამოც ემუქრებათ თავშესაფრის გარეშე დარჩენა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოქალაქეებმა ვალენტინა და ვეჟანა ფაცაციებმა არაერთგზის მიმართეს სხვადასხვა უწყებებს, მათ შორის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, თუმცა ვითარება არ შეცვლილა.

განცხადების შესწავლის შემდეგ, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს გიორგი ხვეიაშვილს და ქ. ქუთაისის მერიის მოვალეობის შემსრულებელს გიგა ჩოგოვაძეს, შესაბამისი რესურსების გამოყენებით მიეღოთ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა და უზრუნველყოთ დევნილები ვალენტინა და ვეჟანა ფაცაციებმა დროებითი საცხოვრებელი ფართით. ვინაიდან, „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“, საქართველოს კანონის თანახმად, „დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად“.

ქ. ქუთაისის მერიის მოადგილის ომარ კიკვიძის წერილიდან (19.05.2006 №02-1000) შევიტყვეთ, რომ ვალენტინა და ვეჟანა ფაცაციებს შესთავაზეს მათ ხელთ არსებული საცხოვრებელი ფართი დევნილთა ჩასახლების კოლექტიურ ცენტრში, თუმცა განმცხადებლებმა უარი განაცხადეს. შესაბამისად, საცხოვრებლად ვარგისი სხვა ფართის გამოთავისუფლების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოხდება მისი შეთავაზება ვალენტინა და ვეჟანა ფაცაციებისათვის.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის ირაკლი გორგაძის მიერ გამოგზავნილი პასუხიდან (01/01-17/3901) კი გაირკვა, რომ ქ.თბილისში რეგისტრირებული 93852 ათასი დევნილიდან მხოლოდ 44564 ათასია განსახლებული ორგანიზებულიად. ასევე აღნიშნული იყო, რომ ქ. თბილისში შეიქმნა ურთულესი სიტუაცია ცარიელი ფართების მოძიების მხრივ და ვალენტინა და ვეჟანა ფაცაციების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა მხოლოდ რეგიონში იყო შესაძლებელი.

სახალხო დამცველმა განმეორებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს და განუმარტა, რომ განმცხადებლების ოჯახი ცხოვრობს ქ.ქუთაისში და რეკომენდაციაში არ ყოფილა მოთხოვნილი დედაქალაქში მათი განსახლება. სახალხო დამცველმა მოითხოვა, მოეწოდებინათ

ინფორმაცია, აგრეთვე დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რა ფართი და რომელ რეგიონში იქნა შეთავაზებული მათთვის.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის ირაკლი გორგაძის მიერ გამოგზავნილი პასუხიდან (30.08.2006, 01/01-17/6061) გაირკვა, რომ სამინისტროს აქვს საშუალება ვალენტინა და ვეჟანა ფაცაცაძეების ოჯახი განასახლოს ხონში ან ბაღდადში. ამისათვის, მათი სურვილის შემთხვევაში, საკმარისია მიმართონ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს. (მის: ქ. ქუთაისი, მშვიდობის ქ. №27).

აღნიშნული ინფორმაცია ეცნობათ განმცხადებლებს. აქედან გამომდინარე, განცხადების განხილვა დასრულებულია.

„კარტოგრაფიის“ მაცხოვრებელთა საქმე

სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მომართეს ს/ს „კარტოგრაფიაში“ (ქ. თბილისი, გლდანი, 1 მ/რ, ფ. მოსულიშვილის ქ. №1) მცხოვრებმა დევნილებმა, რომლებიც რეგისტრირებული არიან აღნიშნულ მისამართზე (სალილიანი ფიქრია, დევნილის მონუმბა №5631, გრიგოლავა ფრიდონი, დევნ. მონ. №1405, სალილიანი ზურაბი, დევნ. მონ. №15630. სულ 67 ხელმოწერა). ამასთან საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით (№ას-633-910-04) დასტურდება, რომ აღნიშნულ შენობაში დევნილები კანონიერად იმყოფებიან.

განმცხადებლების განმარტებით, ისინი ოთხი წელია, ცხოვრობენ აღნიშნულ შენობაში და საკუთარი ხარჯებით გაარემონტეს დაკავებული ფართი, გადახურეს სახურავი, გაიყვანეს ელექტროსადენები და წყალ-კანალიზაცია. განმცხადებლები მოითხოვენ, რომ შენობის პრივატიზაციის დროს, ჰქონდეთ უპირატესი შესყიდვის უფლება მათთვის ხელმისაწვდომი ტარიფით. მათ აღნიშნეს, რომ დაკავებული ფართის ს/ს „კარტოგრაფიის“ დამფუძნებელი არის სახელმწიფო.

2006 წლის 20 ივლისს აღნიშნულმა პირებმა განმეორებით, ზეპირად, მომართეს სახალხო დამცველს და აღნიშნეს, რომ მათთან მივიდა პიროვნება, რომელმაც განაცხადა, რომ იყო აღნიშნული შენობის მფლობელი და მოსთხოვა მათ შენობის დატოვება.

ჩვენ მივმართეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციისათვის, მოხდა თუ არა ს/ს/ „კარტოგრაფიის“ გასხვისება. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გამოვითხოვეთ შესაბამისი დოკუმენტაცია და თუ იქნა გათვალისწინებული დევნილთა კანონიერი ინტერესები.

პასუხი არ მივიღია და მათ გაეგზავნათ შეხსენება აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით. საქმე წარმოებაშია.

ლიანა დარსანიას საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს მომართეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი იუსტიციის საბჭოს თანამშრომლებმა. განმცხადებელთა განმარტებით, მათი სახელფასო დავალიანება დღემდე არ არის გასტუმრებული, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე გადმორიცხულია იუსტიციის საბჭოს თანამშრომელთა სახელფასო დავალიანების ანაზღაურებისათვის საჭირო თანხა.

განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ სახელფასო დავალიანება წარმოიქმნა 1999-2002 წლებში, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №567 ბრძანებულების შეუსრულებლობით, საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი განაკვეთების უსაფუძვლოდ შემცირების ხარჯზე.



აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატამ ჩაატარა დოკუმენტალური რევიზია იუსტიციის საბჭოში და დაადგინა საბჭოს სახელფასო ფონდის თვითნებურად შემცირება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაევალა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება უმოკლეს ვადაში.

ფინანსთა სამინისტროს აღნიშნული გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია. დავალიანების არსებობის ფაქტს ადასტურებს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2003 წლის 24 სექტემბერს კონტროლის პალატაში გაგზავნილი წერილი, რომლითაც იგი აღიარებს იუსტიციის საბჭოს მიმართ არსებულ სახელფასო დავალიანებას. წერილში აღნიშნულია, რომ დავალიანება დაფარული იქნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან თანხის გადარიცხვისთანავე. დავალიანების არსებობაზე საუბარია, აგრეთვე, ფინანსთა სამინისტროს 2003 წლის 23 დეკემბრის წერილში იუსტიციის საბჭოს მიმართ, სადაც მითითებულია, რომ სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნია დავალიანების ასანაზღაურებლად საჭირო თანხის გათვალისწინება ავტონომიური რესპუბლიკის 2004 წლის ბიუჯეტის პროექტში.

განმცხადებელთა განმარტებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ არ შეასრულა კონტროლის პალატის დადგენილება და თავისივე წერილობითი დაპირებები, რის გამოც იუსტიციის საბჭოს ყოფილმა თანამშრომლებმა მიმართეს სასამართლოს.

სოხუმის რაიონულმა და საქალაქო სასამართლომ, 2004 წლის 11 მარტის განჩინებით დაამტკიცა ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და იუსტიციის საბჭოს შორის 2004 წლის 24 თებერვლის მორიგება და საქმე წარმოებით შეწყვიტა. მორიგების თანახმად, მხარეებმა აიღეს ვალდებულება ურთიერთშეთანხმებით დაეზუსტებინათ იუსტიციის საბჭოს თანამშრომელთა სახელფასო დავალიანების თანხა, რომლის დაფარვაც ფინანსთა სამინისტროს უნდა დაეწყო 2004 წლის მარტიდან, არანაკლებ დაზუსტებული თანხის 5-10%-სა კრედიტორ თანამშრომლებზე გასაცემად. თანხის დაზუსტების შემდეგ, მხარეებს უნდა შეედგინათ თანხის დაფარვის განრიგი.

იუსტიციის საბჭომ დააზუსტა ფაქტობრივად მომუშავე თანამშრომელთა სახელფასო დავალიანება და მისი დაფარვის განრიგი წარუდგინა ფინანსთა სამინისტროს. სამინისტროს წარმომადგენელმა განრიგს ხელი არ მოაწერა, თუმცა მოხდა დავალიანების ნაწილობრივ დაფარვა, შემდეგ კი სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება შეწყდა. ამის გამო, გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი 2004 წლის 11 მარტის განჩინების საფუძველზე. საქმე აღსასრულებლად გადაეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალურ სააღსრულებო ბიუროს, რომელმაც წერილობით გააფრთხილა ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე, რაზეც ფინანსთა სამინისტრომ რეაგირება არ მოახდინა.

2005 წელს ავტონომიური რესპუბლიკის სააღსრულებო ბიურო ლიკვიდირებულ იქნა, შესაბამისად სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება არ განხორციელდა.

2004 წლის ოქტომბრიდან გაუქმდა ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოც, თუმცა სახელფასო დავალიანებების გაცემა დღემდე არ მომხდარა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განცხადებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარეს, ფინანსთა სამინისტროს და სააღსრულებო ბიუროს.

ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მოადგილემ გვაცნობა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან იუსტიციის საბჭოს თანამშრომელთა სახელფასო დავალიანების ასანაზღაურებლად თანხის გადარიცხვა ჯერ არ მომხდარა. გაურკვეველი პასუხი მივიღეთ კ. აქიშბაიასგანაც. სააღსრულებო დეპარტამენტიდან პასუხი ჯერ არ მიგვიღია.

ჯონი ჯეჯელავას საქმე

2006 წლის 13 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართეს აფხაზეთიდან დევნილებმა თამაზ ბენდელიანმა და ჯონი ჯეჯელავამ. მათი განმარტებით, ჯონი ჯეჯელავას, ოჯახით (4 ნევრი) და თამაზ ბენდელიანს, ოჯახით (7 ნევრი), 1998 წლიდან, კოოპერატივის თავმჯდომარის ნებართვით დაკავებული ჰქონდათ ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტლის მე-8 კორპუსში მდებარე 130 კვ/მ არასაცხოვრებელი ფართი. ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით ორივე ოჯახი გამოასახლებულ იქნა აღნიშნული ფართიდან და იმყოფებოდნენ ღია ცის ქვეშ. აღნიშნული გადაწყვეტილება მათ მიერ გასაჩივრებული იყო ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში.

განმცხადებლები ითხოვდნენ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებასა და დროებით საცხოვრებელ ფართს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 16 თებერვალს ჩვენ მიერ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში გაიგზავნა რეკომენდაცია, რომელშიც „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 და მე-2 პუნქტის „ზ“ და „ლ“ ქვეპუნქტების თანახმად, ვითხოვდით მათ უზრუნველყოფას საცხოვრებელი ფართით.

2006 წლის 7 მარტს პასუხად გვეცნობა, რომ სამინისტროს მიერ განმცხადებლებისათვის შეთავაზებულ იქნა საცხოვრებელი ფართი ისანი-სამგორის რაიონის აფრიკის დასახლებაში, ან ხონის რაიონში, რაზეც ჯიჯელავა ჯონიმ და თამაზ ბენდელიანის ოჯახებმა უარი განაცხადეს.

მიმდინარე წლის 13 მარტს განმცხადებლებს გაეგზავნათ აღნიშნული პასუხი და ეცნობათ, რომ ვინაიდან მათ მიერ შეთავაზებულ ფართზე უარი განაცხადეს, ჩვენ მიერ საქმისნარმოება დასრულებულია, ხოლო რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს, განმცხადებელს ეცნობა, რომ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14 მუხლის თანახმად: „განცხადებასა და საჩივარს საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სადავოდ ხდის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას“. ვინაიდან გადაწყვეტილება, რომლის კანონიერების გადამოწმებასაც ითხოვდა განმცხადებელი, მის მიერვე იყო გასაჩივრებული საოლქო სასამართლოში, და არ არსებობდა აღნიშნული ინსტანციის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, აღნიშნული საკითხის შესწავლა ჩვენს კომპეტენციას აღემატება.

ალიოშა გვარამიანის საქმე

2005 წლის 9 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა მესტიის რაიონში, სოფელ ნაკრაში მცხოვრებმა ალიოშა გვარამიანმა. მისი განმარტებით 1999 წლის 6 აგვისტოს სოფ. ნაკრაში განვითარებული მენყერული მოვლენებისა და მდინარე ლექვერას ადიდების შედეგად განადგურდა მისი საცხოვრებელი სახლი და დამხმარე შენობა-ნაგებობები. აღნიშნული ფაქტი დასტურდება განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციიდან. მიუხედავად ამისა მის მიმართ გადახდილი არ ყოფილა ე. წ. „საკომპენსაციო თანხა“, რაც გაცემულ იქნა მესტიის რაიონში მენყერული მოვლენების შედეგად დაზარალებული სხვა ოჯახების მიმართ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ალიოშა გვარამიანი არის მრავალშვილიანი, ჰყავს 10 შვილი და ამჟამად ცხოვრობს მამისეულ სახლში, რომელიც მდებარეობს მენყერსაში, ე.წ. „ნითელ ზონაში“.

2005 წლის 14 ნოემბერს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულსა და მესტიის რაიონის გამგებელს, რომელშიც ითხოვდა ალიოშა გვარ-



მიანის ოჯახის საცხოვრებლად გადაყვანას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ადგილას.

2005 წლის 27 დეკემბერს პასუხად გვეცნობა, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ საკომპენსაციო თანხები გაიცა საქართველოს მთავრობის 20.05.2005 წლის №190 განკარგულების საფუძველზე. უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახთა სიების შედგენა ამავე განკარგულებით დაევალა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს სამგრელო-სვანეთში. აღნიშნულ სიებში ალიოშა გვარამიანის გვარი არ ფიგურირებდა, რის გამოც მასზე არ ყოფილა გაცემული საკომპენსაციო თანხა.

საწინააღმდეგოს ამტკიცებს მესტიის გამგებელი, რომელმაც 2006 წლის 23 მარტს პასუხად გვეცნობა, რომ 2005 წელს ალიოშა გვარამიანს დახმარებისათვის გაენია რეკომენდაცია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, რაც ვერ შესრულდა, რის გამოც ალიოშა გვარამიანი შეყვანილ იქნა 2006 წლის სიაში.

მიმდინარე წლის 27 თებერვალს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გაეგზავნა წერილი, რომელშიც კიდევ ერთხელ ვითხოვდით ალიოშა გვარამიანის საკითხის მოგვარებას.

პასუხად გვეცნობა, რომ 2006 წელს საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების შემთხვევაში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო განიხილავს ა. გვარამიანის დახმარების საკითხს.

მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში სახალხო დამცველის წარმომადგენელი ესაუბრა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეკომიგრაციის სამმართველოს წარმომადგენელს, რომლის განცხადებითაც 2006 წლის სიებში ალიოშა გვარამიანის გვარი ფიგურირებს, როგორც I კატეგორიის დაზარალებულის. ამჟამად სამინისტროს მიერ ხორციელდება დაზარალებულთათვის განკუთვნილი ბინების შეძენა, რომლის შემდეგაც მოხდება მსურველთა დაკმაყოფილება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოქალაქე ა.გვარამიანის მოთხოვნაა, ისარგებლოს კონსტიტუციით მინიჭებული საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებით და მისთვის საცხოვრებელი სახლის შეძენა იმავე ფასად მოხდეს სოფელ ნაკრაში. საქმე წარმოებაშია.

გელაშვილის საქმე

2006 წლის 29 მაისს სახალხო დამცველის აპარატს კოლექტიური განცხადებით მომართეს ქ. თბილისში, კაიროს ქ. №15-ში მცხოვრებმა დევნილებმა. მათი განმარტებით, შენობაში ელექტრო გაყვანილობის ხაზები არის მოუწესრიგებელი, რაც იწვევს მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესებას.

საკითხის შესწავლის შემდეგ, მიმდინარე წლის 20 ივლისს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში გაიგზავნა წერილი, აღნიშნული საკითხის მოგვარების მოთხოვნით და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა აღნიშნული განცხადება. საქმე წარმოებაშია.

რეკომენდაციები

1. წინადადებით მიმართავ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს, რათა შეიქმნას უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს – „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის ცვლილებების პროექტს. კანონპროექტში უნდა

ჩაიდოს უფრო სრულყოფილი გარანტიები დევნილთა სოციალური უფლებების დაცვის შესახებ. კერძოდ, დახმარებების გაზრდის, დროული, ეფექტური და ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების განწევის, აგრეთვე საბინაო საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით. „დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი და მისი პრაქტიკული რეალიზების მექანიზმები მაქსიმალურად უნდა იქნას მიახლოებული „იძულებით გადაადგილების შესახებ“ ევროს სახელმძღვანელო პრინციპებთან“.

2. წინადადებით მივმართავ საგარეო საქმეთა სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რათა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მეგობარ ქვეყნებთან გატარებულ იქნას შესაბამისი კონსულტაციები იმ მიზნით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ამოქმედდეს თვითდასაქმების პროგრამები, შესაბამისად დევნილებზე გაიცეს მცირე ბიზნესის წამოწყებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო შეღავათიანი კრედიტები.
3. წინადადებით მივმართავ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს მთავრობას, რათა თავშესაფრის გარეშე დარჩენილი დევნილების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის და მათი დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნას დამატებითი თანხები.
4. წინადადებით მივმართავ ფინანსთა სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და საქართველოს მთავრობას, რათა 2007 წ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს დევნილთა შემწეობების გაზრდის საკითხი. დევნილთათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი შემწეობა – 14 ლარი – ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ელემენტარული საარსებო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამდენად, დევნილებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა – 14 ლარი – სასურველია, რომ გაიზარდოს.
5. წინადადებით მივმართავ ფინანსთა სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და საქართველოს მთავრობას, რათა 2007 წ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში ელექტროენერგია და სხვა კომუნალური მომსახურების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ღონისძიებების ხარჯები. კომპაქტურად ჩასახლების ობიექტები ალჭურვოს ინდივიდუალური მრიცხველებით. გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა დევნილებმა ისარგებლონ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული „გაზრდილი ტარიფის ანაზღაურების ვაუჩერით“.
6. წინადადებით მივმართავ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, დროულად დაიწყოს დევნილთა ყოველწლიური რეგისტრაციის პროცესი;
7. უმოკლეს ვადებში მოხდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავების მიზნით წინადადებების მომზადება და შემუშავებული სტრატეგიის განხორციელების ორგანიზება და კოორდინაცია, ასევე მისი განხორციელებისათვის თანხების გათვალისწინება 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში.
8. წინადადებით მივმართავ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტების გასხვისების ან პრივატიზაციის დროს მოხდეს ამ ობიექტებში ჩასახლებული დევნილების კანონიერი ინტერესების გათვალისწინება.
9. რეკომენდაციით მივმართავ გენერალურ პროკურატურას, დაუყოვნებლივ და სრულყოფილად გამოიძიოს იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების უფლებების ხელყოფის ყველა ფაქტი.



8

ლტოლვილების უფლებების დაცვის შესახებ

გასულ წლებთან შედარებით შემცირდა ჩეჩენი ლტოლვილების შევიწროვების ფაქტები. მართალია, არის რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც ამჟამადაც შესწავლის პროცესშია, მაგრამ გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით არ მომხდარა ჩეჩენი ლტოლვილების გატაცება ან ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ მიმართული სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები პერიოდულად ჩადიან პანკისის ხეობაში და ადგილზე სწავლობენ ვითარებას. ჩვენს ოფისთან თანამშრომლობს ჩეჩენი ლტოლვილების საკოორდინაციო საბჭო. ჩეჩენი ლტოლვილების წარმომადგენლები განეწვევიანებული არიან სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნული უმცირესობების საბჭოში და მონაწილეობენ სხვადასხვა საკითხების განხილვაში.

ჩეჩენ ლტოლვილებს აქვთ ჯანდაცვის, განათლების, საცხოვ-

რებელი ფართისა და სხვა საყოფაცხოვრებო პრობლემები. „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ზ“ პუნქტის მოთხოვნისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფო ჩეჩენ ლტოლვილებზე შემწეობებს არ გასცემს, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მონოდებული ჰუმანიტარული დახმარება, ჩეჩენი ლტოლვილების ინფორმაციით, ძალზედ მცირეა და უხარისხო. ამასთან, ჩეჩენი ლტოლვილები არ სარგებლობენ დევნილებისთვის დაწესებული სოციალური შეღავათებით ელექტროენერჯის საფასურის გადახდისას. ისინი ასევე პრეტენზიებს გამოთქვამენ იმის გამო, რომ არ ეძლევათ სამგზავრო საბუთები. საქართველოს ხელისუფლება ლტოლვილთა კანონმდებლობაში შესაბამისი ნორმის არარსებობის გამო ჩეჩენ ლტოლვილებზე არ გასცემს საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტაციას. მათ პრობლემები ექმნებათ ბანკებში ფულადი გზავნილების მიღების დროსაც.

ასევე აღსანიშნავია, რომ ჩეჩენი ლტოლვილების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს არ გრძობს უსაფრთხოდ. მართალია, ისინი საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის მიმართ მადლიერებას გამოხატავენ იმის გამო, რომ რთულ მდომარეობაში შეიფარეს და დახმარების ხელი გაუწოდეს, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ისინი საქართველოშიც შეიძლება გახდნენ რუსეთის სპეცსამსახურების თვალთვალის, დევნისა და შევიწროვების ობიექტები. ამის გამო მათ უმრავლესობას გადაწყვეტილი აქვს საქართვე-

ლოდან ნასვლა მესამე ქვეყანაში. ისინი ცდილობენ, გაეროს ლტოლვილთა კონისარიატის თბილისის ოფისის საშუალებით მიმართონ სხვადასხვა ევროპულ და ამერიკულ სახელმწიფოებს, თუმცა, მათივე განცხადებით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი მათ მოთხოვნებს ხშირად უგულვებლყოფს, მათი საბუთები არ იგზავნება შესაბამის სახელმწიფოებში. გაეროს მხრიდან უარის მიზეზად ხშირად ლტოლვილთა მიერ მინოდებული დოკუმენტაციის ხარვეზიანობა სახელდება. ლტოლვილები გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობისაგან ასევე ითხოვენ დახმარებას პატიმარი ლტოლვილების ოჯახებისა და მცირეწლოვანი ბავშვებისათვის. ეს საკითხი კომპეტენტური ორგანოების მიერ დამატებით შესწავლას მოითხოვს, რადგან სცილდება სახალხო დამცველის კომპეტენციას.

ა.ნ. 26 მაისს სახალხო დამცველის წარმომადგენლები პანკისის ხეობაში ჩავიდნენ და იქ ჩასახლებულ ჩეჩენ ლტოლვილებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ჩეჩენმა ლტოლვილებმა მძიმე ყოფით პირობებზე ისაუბრეს. აღინიშნეს, რომ არ აქვთ საკმარისი საკვები, მედიკამენტები, ტანსაცმელი. ყოფილ საბავშვო ბაღში შესახლებულ 5 ოჯახს დროებითი საცხოვრებლის დაკარგვა ემუქრება, ვინაიდან, ადგილობრივი მოსახლეობა საბავშვო ბაღის აღდგენას ითხოვს.

ჩეჩენი ლტოლვილების განმარტებით, საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მიღებისას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მხრიდან მათ კვლავ პრობლემები ექმნებათ. გარდა ამისა, ჭიანჭურდება საქართველოს „ლტოლვილთა შესახებ“ კანონის ჰარმონიზაციის პროცესი „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ გაეროს კონვენციასთან. რის გამოც, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ვერ იძლევა გადაადგილებისათვის აუცილებელ სამგზავრო დოკუმენტებს. შესაბამისად, ლტოლვილებს აზერბაიჯანში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები ოჯახის წევრების მონახულების საშუალება არა აქვთ.

დაფიქსირებული პრობლემების შესახებ სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და სთხოვა აღნიშნული გარემოებების შესწავლა და გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მონოდება.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ გვაცნობა, რომ პრივატიზირებული ყოფილი ბაღის შენობის მეპატრონესთან მიღწეულ იქნა შეთანხმება ამ შენობების სამინისტროსათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ და დევნილებს შენობიდან გამოსახლება აღარ ემუქრებათ.

რაც შეეხება სამგზავრო დოკუმენტების არარსებობას, გვაცნობეს, რომ უკვე შემუშავდა მთავრობის დადგენილების პროექტი ლტოლვილთა სამგზავრო დოკუმენტების შესახებ, რომელიც ამჟამად დასკვნისათვის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს გადაეცა.

მუშაობა მიმდინარეობს, აგრეთვე „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზეც. სახალხო დამცველმა გამოხატა მზადყოფნა, ითანამშრომლოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ კანონპროექტზე მუშაობის პროცესში.

სახალხო დამცველს მიმართეს პანკისის ხეობაში მცხოვრებმა ჩეჩენი ეროვნების ლტოლვილებმა, რომლებიც სხვა სოციალურ პრობლემების ფონზე განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზეც მიუთითებენ.

მათი განცხადებით, სოფ. დუისის სკოლაში მოქმედებს ქართული და რუსული სექტორები. რუსულ სექტორზე სწავლობენ ჩეჩენი ბავშვები. სკოლის ქართული სექტორის პედაგოგები ანაზღაურებას საერთო წესით ღებულობენ, ხოლო რუსული სექტორის პედაგოგებს ხელფასს საერთაშორისო ორგანიზაციები უხდიან ფქვილის, ზეთისა და სხვა პროდუქტების სახით. ჩეჩენი ლტოლვილების განმარტებით, ხშირია კონფლიქტები ადგილობრივ და ჩეჩენ ლტოლვილ ბავშვებს შორის. ამის გამო პანკისის



ხეობაში მაცხოვრებელი ჩეჩენი ლტოლვილები ბავშვებს სკოლაში ვერ გზავნიან. შედეგად, სასწავლო პროცესი ფაქტობრივად ჩაშლილია და ლტოლვილი ბავშვები ვერ სარგებლობენ განათლების უფლებით.

„ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, „აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ ლტოლვილ ბავშვებს სახელმწიფო სკოლამდელ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მონაწილეობაში“.

„ლტოლვილთა სტატუსის შესახებ საერთაშორისო კონვენციის“ მე-4 თავის 22-ე მუხლის (სახალხო განათლება) თანახმად „სახელმწიფოები ლტოლვილებს უქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს და ყოველ შემთხვევაში იმაზე არანაკლებს, ვიდრე მსგავს პირობებში ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები“.

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბ-ნ ალექსანდრე ლომიას აღნიშნული ფაქტების შესწავლისა და რეაგირებისათვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ქ-მა ბელა ნიფურიამ გვაცნობა, რომ ა/ნ 13 სექტემბერს მათმა უწყებამ მიმართა ახმეტის რაიონის რესურს ცენტრის უფროსს ქ-ნ ციციწო ფიცხელაურს, რომლისგანაც მიიღო პასუხი სოფ. დუისის სკოლის დირექტორის, მ.შ. მარგოშვილისა და რუსული სექტორის სასწავლო ნაწილის გამგის, მ.მარგოშვილის თანდართული მოხსენებითი ბარათებით.

ქ-ნი ბელას სახალხო დამცველისადმი საპასუხო წერილის მიხედვით, ჩეჩენ და ქისტ ბავშვებს შორის რაიმე სერიოზულ კონფლიქტსა და დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია; ქართული სექტორის მასწავლებელთა ხელფასები ჩვეულებრივი წესით გაცივდა, ხოლო რუსული სექტორის პედაგოგები ხელფასს ღებულობენ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან პროდუქტების სახით. ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ იმსჯელა ამის თაობაზე და დახმარების თხოვნით მიმართა გაეროს რუსული სკოლის მასწავლებელთა ხელფასების ქართული სექტორის მსგავსად დარეგულირებისთვის. გაეროს აღნიშნული საკითხი დღემდე არ გადაუწყვეტია. მინისტრის მოადგილის წერილში აგრეთვე ნათქვამია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შემდგომშიც დაინტერესდება აღნიშნული საკითხით და პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში დაარეგულირებს მას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ წერილით ფაქტიურად დადასტურდა ჩეჩენი ეროვნების ლტოლვილების მიერ მონოდებული ინფორმაცია.

სახალხო დამცველს რამდენჯერმე მიმართეს პანკისის ხეობაში ჩასახლებულმა ჩეჩენი ეროვნების ლტოლვილებმა, რომელთაც პრობლემები ექმნებოდათ მათთვის საზღვარგარეთიდან გადმოგზავნილი ფულადი გზავნილების მიღებისას რიგ კომერციულ ბანკებში (ერთ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არის „ბაზის ბანკი“). ჩეჩენი ლტოლვილების განმარტებით, კომერციულ ბანკებში მათთვის ფულადი გზავნილის გაცემისას, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გაცემული ლტოლვილის მონაწილის გარდა ითხოვდნენ სხვა პირადობის დამადასტურებელ საბუთს, თუმცა არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, პანკისში ჩასახლებული ჩეჩენების უმრავლესობას მხოლოდ რუსეთის ფედერაციის ძალადაკარგული პასპორტი აქვს. შედეგად, ლტოლვილებს ეზღუდება საკუთრების უფლება.

„ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, ლტოლვილის უფლებებს იცავს სახელმწიფო. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის მე-5 თავის 27-ე მუხლის თანახმად, „ხელმომწერი სახელმწიფოები ვასცემენ პირადობის დამადასტურებელ საბუთებს მათ ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებზე, რომელთაც არ გააჩნიათ მოქმედი სამგზავრო საბუთები“.